

# საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა

კვლევის ანგარიში

2021

# ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ

## კვლევის ანგარიში
## 2021

### მეხუთე რაუნდი

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ
INSTITUTE OF SOCIAL STUDIES AND ANALYSIS

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

With funding from
Austrian Development Cooperation

UNDP

კვლევა მომზადებულია სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის (ISSA) მიერ გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით.

გამოცემა მომზადებულია პროექტის - „რეგიონული და ადგილობრივი განვითრების ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს განვითრების პროგრამის (UNDP) მიერ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და არ ასახავს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების და ინსტიტუტების ოფიციალურ მოსაზრებებს.

© UNDP Georgia, 2021

საავტორო უფლებები დაცულია

თბილისი

# სარჩევი


შესავალი 11

მეთოდოლოგია 13
სამაგიდე კვლევა 13
რაოდენობრივი კვლევა 14
თვისებრივი კვლევა 15
კვლევის შეზღუდვები 17

სამაგიდე კვლევა 18
ზოგადი მიმოხილვა 18
კანონმდებლობა 18
2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია და მისი განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა 21
ეკონომიკური საფუძვლები 21
მოქალაქეთა მონაწილეობა 23
კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გავლენა მუნიციპალიტეტებზე 26

ძირითადი მიგნებები 29

ინფორმირებულობა 41

განათლება (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) 47
საჯარო საბავშვო ბაღი / საჯარო სკოლა 47
პროფესიული სასწავლებლები 64
რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) არსებული პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლები 67
უმაღლესი სასწავლებლები 72

სხვადასხვა სოციალური მომსახურება 78
სოციალური სერვისები 78
უფასო მუნიციპალური სასადილო 85

ჯანდაცვა 87
ჯანდაცვის სერვისები 87
პირუტყვის/შინაური ცხოველების აცრები 92

რეკრეაცია/დასვენება/კულტურა 94

კომუნალური ინფრასტრუქტურა 101
წყალმომარაგება 101
ადგილობრივი მნიშვნელობის საირიგაციო სისტემა 111
საკანალიზაციო სისტემა 113
ელექტროენერგია 115
გაზმომარაგების ცენტრალური სისტემა 116
ნარჩენების გატანა 118
დასუფთავება 122

გზები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი 124

სხვადასხვა მომსახურება 133

ტურიზმი 138

გარე ვაჭრობა/ბაზრები/ბაზრობები 142

სოფლის მეურნეობა 143

უსაფრთხოება 153

ელექტრონული სერვისები 159

ეკოლოგია 163
ჰაერის, წყლისა და ბუნებრივი რეზერვუარების დაბინძურება 163
სახელმწიფოს მიერ გატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები 167

ქალთა ოთახები 171

მუნიციპალური მომსახურების ზოგადი შეფასება 178
საკრებულო/მერიისა და სოფლებში მერის წარმომადგენლების მუშაობით კმაყოფილება და ნდობა 178
ურთიერთობა მოსახლეობასთან და მოქალაქეთა მიმართვიანობა ადგილობრივი თვითმმართველობისადმი 192
მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში/სამოქალაქო აქტივიზმი 204

კვლევაში მონაწილე პირთა სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები 214


# დიაგრამები


დიაგრამა #1 - მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა 42
დიაგრამა #2 - მუნიციპალური პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები 46
დიაგრამა #3 - საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საჯარო საბავშვო ბაღის/საჯარო სკოლის მუშაობის გრაფიკს შორის თანხვედრა 57
დიაგრამა #4 - პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის განრიგის თანხვედრა 65
დიაგრამა #5 - მუნიციპალიტეტში/რეგიონში არსებული პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლების მიმართ ნდობის შეფასება 66
დიაგრამა #6- მუნიციპალიტეტში/რეგიონში არსებული პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლების მიმართ ნდობის შეფასება 66
დიაგრამა #7 - პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლის ხელმისაწვდომობა რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) 67
დიაგრამა #8 - უახლოეს პროფესიულ სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა 67
დიაგრამა #9 - რეგიონში არსებული პროფესიული სასწავლებლების მიმართ ნდობის შეფასება 68
დიაგრამა #10 - რეგიონში არსებული პროფესიული სასწავლებლებით კმაყოფილების შეფასება 68
დიაგრამა #11 - სოფლის მეურნეობის სფეროში პრიორიტეტული პროფესიები 70
დიაგრამა #12 - მუნიციპალიტეტში/ქალაქში სახელმწიფო დაფინანსების უმაღლესი სასწავლებლის ხელმისაწვდომობა 72
დიაგრამა #13 - სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის განრიგის თანხვედრა 73
დიაგრამა #14 - სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლებით ნდობა/ კმაყოფილების შეფასება 74

დიაგრამა #15 - სახლსა და სახელმწიფო დაფინანსების უმაღლეს სასწავლებელს (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) შორის მანძილი 76
დიაგრამა #16 - რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) არსებული სახელმწიფო დაფინანსების უმაღლესი სასწავლებლის მიმართ კმაყოფილების/ნდობის შეფასება 77
დიაგრამა #17 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური სოციალური დახმარება 78
დიაგრამა #18 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მუნიციპალური სოციალური დახმარებით სარგებლობა 83
დიაგრამა #19 - უახლოესი უფასო მუნიციპალური სასადილოს მდებარეობა 85
დიაგრამა #20 - უახლოეს მუნიციპალურ სასადილოში ერთ ადამიანზე გამოყოფილი საჭმლის ულუფა 86
დიაგრამა #21 - უახლოესი მუნიციპალური სასადილოს საკვების ხარისხი 86
დიაგრამა #22 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებები 87
დიაგრამა #23 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებით სარგებლობა 90
დიაგრამა #24 - სახელმწიფო პროგრამით შინაური ცხოველებისთვის/ფრინველებისთვის პროფილაქტიკური აცრების ჩატარების პრაქტიკა, გამოცდილება, საფასური 92
დიაგრამა #25 - სახელმწიფო პროგრამით მიწოდებული ცხოველების აცრების სერვისისადმი ნდობა 93
დიაგრამა #26 - დასახლების/ქალაქის ურბანული დაგეგმარებით უკმაყოფილების მიზეზები 134
დიაგრამა #27 - დასახლებაში მშენებლობის რეგულაციებით უკმაყოფილების მიზეზები 135
დიაგრამა #28 - დასახლების/ქალაქის კეთილმოწყობით უკმაყოფილების მიზეზები 136
დიაგრამა #29 - შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოთი უკმაყოფილების მიზეზები 137
დიაგრამა #30 - ტურისტთა ჩამოსვლის ძირითადი სეზონი 140
დიაგრამა #31 - დასახლებაში / ქალაქში გარე ვაჭრობის ორგანიზებით კმაყოფილება 142
დიაგრამა #32 - დასახლებაში / ქალაქში ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით კმაყოფილება 142
დიაგრამა #33 - სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა მეურნეობების განვითარებისთვის სათანადო ხელშეწყობის პრაქტიკა და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა 143
დიაგრამა #34 - სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვნება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის 147
დიაგრამა #35 - დასახლებაში ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება 163
დიაგრამა #36 - ნიადაგის დაბინძურების დონის შეფასება 166
დიაგრამა #37 - ბუნებრივი წყლის რეზერვუარების დაბინძურების შეფასება 166
დიაგრამა #38 - ჰაერის, ნიადაგისა და ბუნებრივი წყლის რეზერვუარების დაბინძურებულად შეფასება 167
დიაგრამა #39 - სახელმწიფოს მიერ გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების პრაქტიკა 167
დიაგრამა #40 - ქალთა ოთახის სერვისით მოსარგებლეთა ცნობადობა 171
დიაგრამა #41 - ქალთა ოთახების შესახებ ინფორმირებულობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 171
დიაგრამა #42 - ქალთა ოთახების შესახებ ინფორმირებულობა ეთნიკურობის ჭრილში 172
დიაგრამა #43 - ქალთა ოთახის სერვისით მოსარგებლეთა ცნობადობა ეთნიკურობის ჭრილში 172
დიაგრამა #44 - ქალთა ოთახის სერვისით მოსარგებლეთა ცნობადობა სქესის ჭრილში 173
დიაგრამა #45 - ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 174
დიაგრამა #46 - ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა ქალაქი/სოფლის ჭრილში 175
დიაგრამა #47 - ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებისადმი ნდობა 175
დიაგრამა #48 - ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებისადმი ნდობა სქესის ჭრილში 176
დიაგრამა #49 - ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებისადმი ნდობა ეთნიკურობის ჭრილში 177
დიაგრამა #50 - მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მუშაობით კმაყოფილება 178
დიაგრამა #51 - მერის წარმომადგენლის მუშაობით კმაყოფილება 179
დიაგრამა #52 - ადგილობრივი ხელისუფლების მუშობის უკმაყოფილების მიზეზები 183

დიაგრამა #53 - კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მუშაობით კმაყოფილება ეთნიკურობის ჭრილში 187
დიაგრამა #54 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისობა 189
დიაგრამა #55 - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისობა 189
დიაგრამა #56 - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობა 195
დიაგრამა #57 - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების ჩართულობა 196
დიაგრამა #58 - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების ჩართულობა სქესის ჭრილში 197
დიაგრამა #59 - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების ჩართულობა ეთნიკურობის ჭრილში 197
დიაგრამა #60 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები 198
დიაგრამა #61 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ასაკის ჭრილში 199
დიაგრამა #62 - ბოლო 2 წლის განმავლობაში პრობლემის მოგვარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის (საკრებულო/მერია) მიმართვიანობის გამოცდილება 200
დიაგრამა #63 - ბოლო 2 წლის განმავლობაში პრობლემის მოგვარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის (საკრებულო/მერია) მიმართვიანობის ინტენსივობა 200
დიაგრამა #64 - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესში ჩართულობის შესახებ ინფორმირებულობა ეთნიკურობის ჭრილში 207
დიაგრამა #65 - რესპონდენტის ასაკი 214
დიაგრამა #66 - რესპონდენტის განათლების დონე 214

## ცხრილები

ცხრილი ა - გამოკითხული რესპონდენტების რაოდენობა სამიზნე ჯგუფების მიხედვით 14
ცხრილი ბ - ფოკუს-ჯგუფების რაოდენობა რეგიონისა და დასახლების ტიპის მიხედვით 15
ცხრილი გ - სიღრმისეული (ექსპერტული) ინტერვიუების რაოდენობა რეგიონისა და სამიზნე ჯგუფების მიხედვით 16
ცხრილი #1 - მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა ქალაქი/სოფლის ჭრილში 43
ცხრილი #2 - მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 45
ცხრილი #3 - დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღები, საჯარო სკოლა/სკოლების ხელმისაწვდომობა 47
ცხრილი #4 - დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღების ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში 48
ცხრილი #5 - დასახლებაში/უბანში საჯარო სკოლა/სკოლების ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში 49
ცხრილი #6 - დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღები, საჯარო სკოლა/სკოლების ხელმისაწვდომობა ქალაქი/სოფლის ჭრილში 50
ცხრილი #7 - მანძილი სახლსა და საჯარო საბავშვო ბაღს/საჯარო სკოლას შორის 51
ცხრილი #8 - მანძილი სახლსა და საჯარო საბავშვო ბაღს/საჯარო სკოლას შორის ქალაქი/სოფლის ჭრილში 52
ცხრილი #9 - უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე/საჯარო სკოლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა 53
ცხრილი #10 - უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა რეგიონის ჭრილში 54

ცხრილი #11 - უახლოეს საჯარო სკოლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა რეგიონის ჭრილში 55
ცხრილი #12 - უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე/საჯარო სკოლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა ქალაქი/სოფლის ჭრილში 56
ცხრილი #13 - საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საჯარო საბავშვო ბაღის/საჯარო სკოლის მუშაობის გრაფიკს შორის თანხვედრა ქალაქი/სოფლის ჭრილში 58
ცხრილი #14 - დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღებით/საჯარო სკოლა/სკოლებით ზოგადი კმაყოფილების შეფასება 59
ცხრილი #15 - დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღებით/საჯარო სკოლა/სკოლებით ზოგადი კმაყოფილების შეფასება ეთნიკურობის ჭრილში 60
ცხრილი #16 - დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღის/ბაღების/საჯარო სკოლის/სკოლების მიმართ ნდობის შეფასება 62
ცხრილი #17 - დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღის/ბაღების/საჯარო სკოლის/სკოლების მიმართ ნდობის შეფასება ეთნიკურობის ჭრილში 63
ცხრილი #18 - დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღის/ბაღების/საჯარო სკოლის/სკოლების მიმართ ნდობის შეფასება ქალაქი/სოფლის ჭრილში 64
ცხრილი #19 - მუნიციპალიტეტში/ქალაქში პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლის ხელმისაწვდომობა 64
ცხრილი #20 - უახლოეს პროფესიულ (პროფტექნიკურ) სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა 65
ცხრილი #21 - დასახლების მაცხოვრებლებისათვის პროფესიულ სასწავლებელში დასაუფლებელი პრიორიტეტული პროფესიები 69
ცხრილი #22 - სოფლის მეურნეობის სფეროში პრიორიტეტული პროფესიები მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 70
ცხრილი #23 - მუნიციპალიტეტში/ქალაქში სახელმწიფო დაფინანსების უმაღლესი სასწავლებლის ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში 75
ცხრილი #24 - სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლების მიმართ ნდობის შეფასება 75
ცხრილი #25 - სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლებით კმაყოფილების შეფასება 75
ცხრილი #26 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური სოციალური დახმარება რეგიონის ჭრილში 79
ცხრილი #27 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური სოციალური დახმარება მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 80
ცხრილი #28 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური სოციალური დახმარება ქალაქი/სოფლის ჭრილში 81
ცხრილი #29 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური სოციალური დახმარება ეთნიკურობის ჭრილში 82
ცხრილი #30 - მუნიციპალური სოციალური მომსახურებების მისაღებად რეგისტრაციის პროცედურების შეფასება და დახმარების გაცემის მხრივ მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასება 84
ცხრილი #31 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარება რეგიონის ჭრილში 88
ცხრილი #32 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარება ქალაქი/სოფლის ჭრილში 89
ცხრილი #33 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარება ასაკის ჭრილში 90
ცხრილი #34 - მუნიციპალური ჯანდაცვის მომსახურებების მისაღებად რეგისტრაციის პროცედურების შეფასება და დახმარების გაცემის მხრივ მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასება 91
ცხრილი #35 - დასახელებული გასართობი/დასასვენებელი ადგილების მდებარეობა 94
ცხრილი #36 - დასახლებაში/ქალაქში მოქმედი გასართობი/დასასვენებელი ადგილების არსებობა და მათი პრიორიტეტულობა 95
ცხრილი #37 - გასართობი/დასასვენებელი ადგილების პრიორიტეტულობა ქალაქი/სოფლის ჭრილში 96
ცხრილი #38 - გასართობი/დასასვენებელი ადგილების პრიორიტეტულობა ასაკის ჭრილში 98
ცხრილი #39 - დასახლებაში არსებული გასართობი/დასასვენებელი ადგილების მდგომარეობა 99
ცხრილი #40 - ცენტრალურ წყალმომარაგებაზე ხელმისაწვდომობა 101

ცხრილი #41 - ცენტრალიზებულად მოწოდებული წყლის სასმელად ვარგისიანობა 101
ცხრილი #42 - ცენტრალიზებულად მოწოდებული წყლის სასმელად ვარგისიანობა ქალაქი/სოფლის ჭრილში 102
ცხრილი #43 - ცენტრალიზებულად მოწოდებული წყლის სასმელად ვარგისიანობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 103
ცხრილი #44 - ცენტრალური წყალმომარაგების მოწოდების გრაფიკი 103
ცხრილი #45 - ცენტრალური წყალმომარაგების მოწოდების გრაფიკის დამაკმაყოფილებლობა 104
ცხრილი #46 - ცენტრალური წყალმომარაგების მოწოდების გრაფიკის დამაკმაყოფილებლობა ქალაქი/სოფლის ჭრილში 104
ცხრილი #47 - ცენტრალური წყალმომარაგების მოწოდების გრაფიკის დამაკმაყოფილებლობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 105
ცხრილი #48 - ცენტრალური წყალმომარაგების მოწოდების გრაფიკის დამაკმაყოფილებლობა რეგიონის ჭრილში 106
ცხრილი #49 - მოწოდებული წყლის რაოდენობა 107
ცხრილი #50 - წყლის საფასური 107
ცხრილი #51 - ცენტრალური წყალმომარაგების საფასურის ხელმისაწვდომობა 107
ცხრილი #52 - ცენტრალური წყალმომარაგების საფასურის ხელმისაწვდომობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 108
ცხრილი #53 - ცენტრალური წყალმომარაგების საფასურის ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში 109
ცხრილი #54 - ცენტრალური წყალმომარაგების მომსახურებისადმი ნდობა 110
ცხრილი #55 - ცენტრალიზებულ საირიგაციო სისტემაზე ხელმისაწვდომობა 111
ცხრილი #56 - ცენტრალიზებულ საირიგაციო სისტემაზე ხელმისაწვდომობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 111
ცხრილი #57 - ცენტრალიზებული საირიგაციო სისტემის გამართულობა 112
ცხრილი #58 - საირიგაციო სისტემით სარგებლობის საფასური 112
ცხრილი #59 - საირიგაციო სისტემის მომსახურებისადმი ნდობა 113
ცხრილი #60 - ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე ხელმისაწვდომობა 113
ცხრილი #61 - სახლის დაკავშირება ვენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან 114
ცხრილი #62 - ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის გამართულობა 114
ცხრილი #63 - ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის მომსახურებისადმი ნდობა 114
ცხრილი #64 - ბოლო სამი თვის განმავლობაში ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი 115
ცხრილი #65 - ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კმაყოფილება 115
ცხრილი #66 - ელექტროენერგიასთან დაკავშირებული მომსახურებისადმი ნდობა 116
ცხრილი #67 - მოწოდებული გაზის ხარისხითა და გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კმაყოფილება 117
ცხრილი #68 - მოწოდებული გაზის ხარისხითა და გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კმაყოფილება მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 118
ცხრილი #69 - გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებისადმი ნდობა 118
ცხრილი #70 - ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის პრაქტიკა, სიხშირე და მომსახურებით კმაყოფილება 119
ცხრილი #71 - ნარჩენების გატანის მომსახურებით კმაყოფილება 120
ცხრილი #72 - ნარჩენების გატანის მომსახურებასთან მიმართებით უკმაყოფილების მიზეზები ქალაქი/სოფლის ჭრილში 121
ცხრილი #73 - ნარჩენების გატანის საფასურის ხელმისაწვდომობა 121
ცხრილი #74 - ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის მომსახურებისადმი ნდობა 122
ცხრილი #75 - ქუჩების დასუფთავების სიხშირე და დასუფთავების სამსახურის მომსახურებით კმაყოფილება 123
ცხრილი #76 - ქუჩის დასუფთავების მომსახურებისადმი ნდობა 123
ცხრილი #77 - გზების ინფრასტრუქტურა 124
ცხრილი #78 - დასახლების/ქალაქის შიგნით გადასაადგილებელი გზების მდგომარეობა 125
ცხრილი #79 - საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე, ფასი და საგზაო ნიშნების რაოდენობა 126
ცხრილი #80 - შუქნიშნების რაოდენობა, ქუჩების/დასახლების განათება და ქუჩაზე სახლების ნუმერაცია 127

ცხრილი #81 - საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე, ფასი და ქუჩების/
დასახლების განათება მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 128
ცხრილი #82 - ინფორმაციული ფირნიშები, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები, ტროტუარებისა
და ქვეითთა გადასასვლელების მდგომარეობა 129
ცხრილი #83 - საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები 129
ცხრილი #84 - საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პირველი რიგის პრობლემური
საკითხები ქალაქი/სოფლის ჭრილში 130
ცხრილი #85 - საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები 131
ცხრილი #86 - საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებული პირველი რიგის პრობლემური
საკითხები ქალაქი/სოფლის ჭრილში 132
ცხრილი #87 - ტურიზმის მნიშვნელოვნება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის 138
ცხრილი #88 - ტურიზმის განვითარების/აქტუალობის ხარისხი მუნიციპალიტეტში 139
ცხრილი #89 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა რეგიონის ჭრილში 144
ცხრილი #90 - სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა მეურნეობების განვითარებისთვის
სათანადო ხელშეწყობის პრაქტიკა რეგიონის ჭრილში 145
ცხრილი #91 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების
ჭრილში 147
ცხრილი #92 - სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა მეურნეობების განვითარებისთვის
სათანადო ხელშეწყობის პრაქტიკა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 147
ცხრილი #93 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა ასაკის ჭრილში 148
ცხრილი #94 - სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო დახმარებების
ხელმისაწვდომობა 150
ცხრილი #95 - სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო დახმარებების
ხელმისაწვდომობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 150
ცხრილი #96 - სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო დახმარებებით კმაყოფილება 151
ცხრილი #97 - მოსახლეობის უსაფრთხოების დაცულობა 153
ცხრილი #98 - დასახლებაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გავრცელებული პრობლემები 154
ცხრილი #99 - ძარცვა-ყაჩაღობის გავრცელებულობა რეგიონის მიხედვით 154
ცხრილი #100 - ნარკოტიკების მოხმარების გავრცელებულობა რეგიონის მიხედვით 156
ცხრილი #101 - წვრილმანი ხულიგნობის, ოჯახში ძალადობის, განქორწინების გავრცელებულობა 157
ცხრილი #102 - ოჯახში ძალადობის გავრცელებულობის შეფასება ეთნიკურობის ჭრილში 157
ცხრილი #103 - ნაადრევი ქორწინების პრაქტიკა ეთნიკურობის ჭრილში 158
ცხრილი #104 - სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა,
სარგებლობის გამოცდილება და კმაყოფილება 159
ცხრილი #105 - სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა
მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 160
ცხრილი #106 - მუნიციპალური ელექტრონული სერვისებისადმი ნდობა 160
ცხრილი #107 - მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა,
სარგებლობის გამოცდილება, კმაყოფილება და ნდობა 161
ცხრილი #108 - მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა
ეთნიკურობის ჭრილში 161
ცხრილი #109 - ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება ქალაქი/სოფლის ჭრილში 164
ცხრილი #110 - ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება რეგიონის ჭრილში 165
ცხრილი #111 - დაბინძურებული გარემოს გასაუმჯობესებლად მთავრობის მიერ განხორციელებული
ღონისძიებები 168
ცხრილი #112 - დაბინძურებული გარემოს გასაუმჯობესებლად მთავრობის მიერ განხორციელებული
ღონისძიებებით კმაყოფილება 169
ცხრილი #113 - დაბინძურებული ჰაერის გასასუფთავებლად სახელმწიფოს მიერ ღონისძიებების
განხორციელების პრაქტიკა ქალაქი/სოფლის ჭრილში 169
ცხრილი #114 - ოჯახში ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებზე რეკომენდაციის გაცემის
პრაქტიკა და ხელმისაწვდომობა 174
ცხრილი #115 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება რეგიონის
ჭრილში 180
ცხრილი #116 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება ასაკის
ჭრილში 181

ცხრილი #117 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება ეთნიკურობის ჭრილში 182
ცხრილი #118 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი (საკრებულო/მერია) ნდობა 183
ცხრილი #119 - მერის წარმომადგენლისადმი ნდობა 184
ცხრილი #120 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი (საკრებულო/მერია) ნდობა რეგიონის ჭრილში 184
ცხრილი #121 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი (საკრებულო/მერია) ნდობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 185
ცხრილი #122 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი (საკრებულო/მერია) ნდობა ეთნიკურობის ჭრილში 186
ცხრილი #123 - კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მუშაობით კმაყოფილება რეგიონის ჭრილში 187
ცხრილი #124 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მიერ მოქალაქეების საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად განსახორციელებელი ცვლილებები 190
ცხრილი #125 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისობა რეგიონის ჭრილში 191
ცხრილი #126 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში 191
ცხრილი #127 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისობა ეთნიკურობის ჭრილში 192
ცხრილი #128 - მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან ურთიერთობა 193
ცხრილი #129 - მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან ურთიერთობა რეგიონის ჭრილში 193
ცხრილი #130 - საკითხები, რომელთა შესახებაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობისათვის მიუმართავთ 201
ცხრილი #131 - თვითმმართველობის მიერ კონკრეტული პრობლემების მოგვარების გამოცდილება 202
ცხრილი #132 - თვითმმართველობისათვის თხოვნით მიმართვის პროცედურის შეფასება 202
ცხრილი #133 - თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობა 205
ცხრილი #134 - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობა ეთნიკურობის ჭრილში 206
ცხრილი #135 - ბოლო ერთი წლის განმავლობაში კონკრეტული აქტივობების განხორციელების გამოცდილება 207
ცხრილი #136 - რესპონდენტთა წილი კატეგორიაში 208
ცხრილი #137 - მიზეზები, რომელთა გამოც რესპონდენტებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში არანაირი აქტივობა არ უცდიათ 209
ცხრილი #138 - მიზეზები, რომელთა გამოც რესპონდენტებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში არანაირი აქტივობა არ უცდიათ ასაკის ჭრილში 210
ცხრილი #139 - საკითხები, რომელთაც შეეხებოდა რესპონდენტის მიერ განხორციელებული სამოქალაქო აქტივობა 211
ცხრილი #140 - რესპონდენტის ოჯახის წევრები 215
ცხრილი #141 - რესპონდენტის სამუშაო სტატუსი 215
ცხრილი #142 - რესპონდენტის სამუშაო სტატუსი სქესის ჭრილში 216
ცხრილი #143 - რესპონდენტის ოჯახის ფინანსური მდგომარეობა 217
ცხრილი #144 - რესპონდენტის ოჯახის თვიური შემოსავალი 217

# შესავალი

საქართველოს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისთვის განსაკუთრებულ როლს ლოკალურ პრობლემებზე, საჭიროებებსა და რესურსებზე დაფუძნებული სისტემის არსებობა ასრულებს. ქვეყანაში საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, თითოეული მოქალაქის თუ საზოგადოებრივი ჯგუფის თავისუფალი განვითარება, სახელმწიფო და მუნიციპალური საჯარო მომსახურების წარმოება და მოსახლეობისთვის ამ სერვისების ეფექტიანი მიწოდება ქვეყნის განვითარების პროცესის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. ქვეყნისთვის მთავარია ისეთი პირობების შექმნა, რომ მოქალაქეებს თანაბარი უფლებები ჰქონდეთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მსგავსი პრაქტიკა ეფუძნება გამოცდილებას, რომ სრულფასოვანი საზოგადოებრივი მომსახურებების წარმოება და მიწოდება შეუძლებელია მხოლოდ ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში.

ამ თვალსაზრისით, ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობი ცვლილებები განხორციელდა, თუმცა, მნიშვნელოვან პრობლემად კვლავ რჩება დეცენტრალიზაციის საკითხი, რადგან სხვადასხვა საჯარო სერვისის შემუშავება ისევ და ისევ ცენტრალური ხელისუფლების დონეზე ხორციელდება, ამ პირობებში კი რთულია ცენტრალურმა ხელისუფლებამ სწორად განსაზღვროს ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტები და საჭიროებები. ამდენად, მნიშვნელოვანია სერვისების მიწოდების მხრივ  ადგილობრივი მუნიციპალიტეტების როლის ზრდა. მუნიციპალური სერვისების დაგეგმვისა და შეფასების პროცესში საყურადღებოა ხელმისაწვდომობისა და ხარისხის ინდიკატორების განსაზღვრა, ასევე, მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა. საზოგადოებრივი სერვისების წარმოებისა და მიწოდების კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრა უნდა განხორციელდეს ლოკალურად, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და რესურსების გათვალისწინებით. ქვეყანაში უნდა შეიქმნას სერვისების მიწოდების მოქალაქეებზე ორიენტირებული სისტემა, რათა საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იყოს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი მომსახურეობებით.

ადგილობრივი თვითმმართველობა მმართველობის დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი დემოკრატიული ინსტიტუტია. მმართველობის დეცენტრალიზაცია, თავისი არსით, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების განხორციელების შესაძლებლობას უკავშირდება.

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი - „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, ფაზა 2", რომელიც შვეიცარიის, ავსტრიის და საქართველოს მთავრობებისგან მიღებული დაფინანსებით და ჩართულობით ხორციელდება, მხარს უჭერს ქვეყანაში რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემური რეფორმის განხორციელებას, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და კომპეტენტური ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მიზნით, პროექტის ფარგლებში გაწეული დახმარება, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გაძლიერება და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, სწორედ, ადგილობრივ დონეზე მუნიციპალური სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. გაეროს განვითარების პროგრამის მიმდინარე პროექტის ფარგლებში, 2021 წელს ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში მუნიციპალიტეტების მიერ მიწოდებული სერვისებით მოქალაქეთა კმაყოფილების

დონის განსაზღვრას. მსგავსი კვლევა გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით 2013 წლიდან ტარდება. სულ ჩატარდა კვლევის ხუთი რაუნდი (I – 2013; II – 2015; III – 2017; IV – 2019; V – 2021) მოცემული დოკუმენტი აღნიშნული კვლევის მეხუთე რაუნდის შედეგების ანგარიშს წარმოადგენს, რომელშიც 2021 წლის კვლევის მონაცემები შედარებულია წინა რაუნდის მონაცემებთან.

კვლევის ანგარიში შედგება 4 ძირითადი ნაწილისგან. დოკუმენტი იწყება კვლევის მეთოდოლოგიის აღწერით; წარმოდგენილია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის დიზაინი, რესპონდენტთა შერჩევისა და განაწილების კრიტერიუმები, კვლევის შეზღუდვები. შემდგომ განხილულია სამაგიდე კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში თვითმმართველობისა და მუნიციპალური სერვისების სფეროში განხორციელებული ცვლილებებისა და ტენდენციების შესახებ. რაოდენობრივი კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს შეჯამებული სახით წამძღვარებული აქვს კვლევის ძირითადი მიგნებები. გამოკითხვის შედეგები კი, თემატურადაა წარმოდგენილი. თითოეული ქვეთავი ცალკეულ მუნიციპალურ სერვისს შეეხება: განათლება, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები, რეკრეაცია, კომუნალური და საგზაო ინფრასტრუქტურა, მუნიციპალიტეტების საქმიანობის ზოგადი შეფასება და ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა. დოკუმენტში რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების შედეგები კომბინირებულადაა წარმოდგენილი.

მიღებულ მონაცემებს გაეროს განვითარების პროგრამა გამოიყენებს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვისათვის. მონაცემების წინა კვლევებთან შედარება კი, შესაძლებელს გახდის გამოიკვეთოს მუნიციპალური სერვისების მიწოდებაში არსებული ტენდენციები და დინამიკა. კვლევის შედეგები ასევე დაეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, გაიგონ მოსახლეობის სხვადასხვა სერვისით კმაყოფილების დონე და შესაბამისად დაგეგმონ საპასუხო აქტივობები.

# მეთოდოლოგია

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა საჯარო სერვისებით მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესწავლა, განსაკუთრებული ყურადღება კი გამახვილებული იყო ადგილობრივი თვით-მმართველობების მიერ გაწეულ მომსახურებებზე. კვლევის ფარგლებში, აგრეთვე, შეფასდა მო-ქალაქეების მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. კვლევის მიზნის მისაღწევად განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული საჯარო მომსახურების სახეების განსაზღვრა
- მოსახლეობის ინფორმირებულობისა და კმაყოფილების დონის შესწავლა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაწეული კონკრეტული საჯარო მომსახურების მიმართ
- მოსახლეობის კმაყოფილების დონის დადგენა ზოგიერთი საზოგადოებრივი სერვისის ფასით
- კონკრეტული საზოგადოებრივი სერვისებით კმაყოფილებისა და უკმაყოფილების ძირითადი მიზეზების დადგენა
- მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრა გადაწყვეტილებების მიღების/ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში
- მოსახლეობის კმაყოფილების დონის დადგენა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართუ-ლობით
- ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელმძღვანელობის საქმიანობით მოსახლეობის კმაყო-ფილების დონის განსაზღვრა
- ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ზოგადი შეფასება
- მოქალაქეების ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ჩართულობის შეფა-სება.

ზემოაღნიშნული მიზნისა და ამოცანების სრულყოფილად შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები. დამატებით ჩატარდა სამაგიდე კვლევა.

## სამაგიდე კვლევა

სამაგიდე კვლევის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობისა და დეცენტრალიზაციის ბო-ლოდროინდელ მოვლენებზე ორიენტირებული ადგილობრივი პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური კონტექსტი გაანალიზდა. აგრეთვე, შეფასდა მუნიციპალური ხელისუფლების მიერ საჯარო მომსახურების გაწევის პრაქტიკა და მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები, მოსახლეობის ჩართულობის შესაძლებლობები. სამაგიდე კვლევის ფარგლებში მიმოიხილა ქვეყანაში არსებული კანონმდებლობა, დეცენტრალიზაციის სტრატეგია, თვითმმართველობების დაფინანსების წესი და ეკონომიკური საფუძვლები, მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები. შეფასდა თვითმმართველობის და მუნიციპალური სერვისების სფეროში ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებები და ტენდენციები.

გარდა ამისა, სამაგიდე კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა მსგავსი კვლევები, რომლებიც ეხე-ბოდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული საზოგადოებრივი მომსახურების კუთხით არსებულ მდგომარეობას საქართველოში.

## რაოდენობრივი კვლევა

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა (18 წლის ან მეტი ასაკის პირები). კვლევამ მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორია (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).

რესპონდენტებმა კვლევაში მონაწილეობა პირისპირ გამოკითხვის მეთოდით მიიღეს. მათი შერ-ჩევა განხორციელდა ალბათური შერჩევის პრინციპით, კერძოდ ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევის მოდელით. შერჩევა დაეფუძნა 2014 წლის აღწერის შედეგებს.

კლასტერიზაციის პროცესში გამოიყო პირველადი, მეორადი, საბოლოო შერჩევის წერტილები:

- **პირველადი შერჩევის წერტილი** (PSU): სააღწერო უბნები საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებებში
- **მეორადი შერჩევის წერტილი** (SSU): შინამეურნეობა
- **საბოლოო შერჩევის წერტილი** (FSU): 18 წლის ან მეტი ასაკის ინდივიდები. შინამეურნეობებში რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა „ბოლო დაბადების დღის“ პრინციპით.

შერჩევის მოცულობად განისაზღვრა **3400 რესპონდენტი.** ამ მოცულობის შერჩევით მიღებული მონაცემები რეპრეზენტატულია ქვეყნის დონეზე, აგრეთვე სხვადასხვა ჭრილში - რეგიონი, ქალაქი/სოფელი, მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლებები, სქესი, ასაკი. ცალკეულ ჯგუფში გამოკითხული რესპონდენტების ოდენობის გადანაწილება წარმოდგენილია ცხრილში ა.

**ცხრილი ა - გამოკითხული რესპონდენტების რაოდენობა სამიზნე ჯგუფების მიხედვით**

| | ინტერვიუს რაოდენობა | ცდომილება 95%-იანი სანდოობის დონეზე |
|---|---|---|
| **რეგიონი** | | |
| თბილისი | 400 | 4.9% |
| აჭარა | 300 | 5.7% |
| გურია | 300 | 5.7% |
| იმერეთი | 300 | 5.7% |
| კახეთი | 300 | 5.7% |
| მცხეთა-მთიანეთი | 300 | 5.6% |
| რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი | 300 | 5.6% |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 300 | 5.7% |
| სამცხე-ჯავახეთი | 300 | 5.7% |
| ქვემო ქართლი | 300 | 5.7% |
| შიდა ქართლი | 300 | 5.7% |
| **საქალაქო/სასოფლო ტიპის დასახლება** | | |
| საქალაქო ტიპის დასახლება | 1942 | 2.2% |
| სასოფლო ტიპის დასახლება | 1458 | 2.6% |
| **მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლება** | | |
| მაღალმთიანი დასახლება | 618 | 4.9% |
| სხვა ტიპის (დაბალმთიანი) დასახლება | 2782 | 1.8% |

(გაგრძელება)

| | ინტერვიუს რაოდენობა | ცდომილება 95%-იანი სანდოობის დონეზე |
|---|---|---|
| **სქესი** | | |
| კაცი | 1503 | 2.4% |
| ქალი | 1897 | 2.3% |
| **ასაკი** | | |
| 18-24 წლის | 294 | 4.8% |
| 25-34 წლის | 553 | 3.9% |
| 35-44 წლის | 600 | 4.1% |
| 45-54 წლის | 645 | 4% |
| 55-64 წლის | 609 | 4.2% |
| 65 წლის ან მეტის | 699 | 3.9% |
| **ეთნიკური უმცირესობები** | | |
| ეთნიკური უმცირესობები | 495 | 4.9% |
| | | |
| **სულ** | **3400** | **1.7%** |

## თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ორი მეთოდი იყო გამოყენებული: ფოკუს-ჯგუფები და ძირითად ინფორმანტებთან (ექსპერტული) ინტერვიუები. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტებში გათვალისწინებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის შედეგები, ძირითადი თუ წინააღმდეგობრივი საკითხები, რათა მომხდარიყო მიღებული მონაცემების ახსნა და ინტერპრეტაცია.

**ფოკუს-ჯგუფები** ჩატარდა გაეროს განვითარების პროგრამის მიმდინარე პროექტის - „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში ფაზა 2“-ის სამიზნე რეგიონებში: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, ქვემო ქართლი. თვისებრივი კვლევისთვის დამატებით რეგიონად განისაზღვრა თბილისიც, რათა დედაქალაქის დონეზეც შეგვესწავლა ის სპეციფიკები, რომლებიც თან ახლავს მოსახლეობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას.

სულ კვლევის ფარგლებში ჩატარდა 9 ფოკუს-ჯგუფი, რაც რეგიონებისა და დასახლების ტიპების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. ცხრილი ბ).

**ცხრილი ბ - ფოკუს-ჯგუფების რაოდენობა რეგიონისა და დასახლების ტიპის მიხედვით**

| რეგიონი | საქალაქო ტიპის დასახლება | სასოფლო ტიპის დასახლება |
|---|---|---|
| თბილისი | 1 | |
| რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი | 1 | |
| | | 1 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 1 | |
| | | 1 |
| გურია | 1 (შერეული ჯგუფი) | |

(გაგრძელება)

| რეგიონი | საქალაქო ტიპის დასახლება | სასოფლო ტიპის დასახლება |
|---|---|---|
| ქვემო ქართლი | 1 | |
| | | 1 |
| | 1 (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან) | |

ფოკუს-ჯგუფები დაკომპლექტდა განსხვავებული დასაქმების სტატუსის, ასაკის, სქესის, განათლების მქონე რესპონდენტებისგან. ამასთანავე, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა ნაწილს ჰქონდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გამოცდილება, ხოლო სხვებს - არა. მსგავსმა მიდგომამ უზრუნველყო საკვლევი საკითხის მრავალმხრივი შესწავლა და შემდგომი ინტერპრეტაცია. ცალკეულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 8 მონაწილემ.

რაც შეეხება სიღრმისეულ (ექსპერტულ) ინტერვიუებს, რესპონდენტებად განისაზღვრნენ სახელმწიფო რწმუნებულები, თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები. კვლევის ფარგლებში სულ ჩატარდა 12 ინტერვიუ საქართველოს 5 რეგიონში: თბილისი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, გურია, ქვემო ქართლი (იხ. ცხრილი გ).

**ცხრილი გ - სიღრმისეული (ექსპერტული) ინტერვიუების რაოდენობა რეგიონისა და სამიზნე ჯგუფების მიხედვით**

| რეგიონი | სახელმწიფო რწმუნებულები | ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები | მუნიციპალიტეტის მერია | მუნიციპალიტეტის საკრებულო |
|---|---|---|---|---|
| თბილისი | | | | 1 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | | 1 | 2 | |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | | 1 | 1 | |
| გურია | 1 | 1 | 1 | |
| ქვემო ქართლი | 1 | 1 | 1 | |

როგორც ფოკუს-ჯგუფების, ისე სიღრმისეული ინტერვიუების რესპონდენტების შერჩევა განხორციელდა არაალბათური შერჩევის მოდელით, კერძოდ მიზნობრივი შერჩევის პრინციპის დაცვით.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, თვისებრივი კვლევის ორივე მეთოდით რესპონდენტები გამოიკითხნენ დისტანციურად, ონლაინ პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუკი სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელს, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეს, არ ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა, გადაეცა ინტერნეტ პაკეტი, რომლის საშუალებითაც შეძლო ZOOM-ში ჩართვა. ამასთანავე, თითოეულ რესპონდენტს მიეწოდა შეხვედრის ელექტრონული მისამართი („ლინკი“), რომლის გახსნაც შესაძლებელი იყო, როგორც მობილურით, ისე პერსონალური კომპიუტერითა თუ ლეპტოპით. აგრეთვე, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ტექნიკურმა მენეჯერმა ფოკუს-ჯგუფისა და ინტერვიუების თითოეულ რესპონდენტთან უშუალოდ შეხვედრამდე ჩაატარა ტრენინგი, თუ როგორ ესარგებლათ ონლაინ პლატფორმით.

## კვლევის შეზღუდვები

როგორც აღინიშნა, კვლევის ფარგლებში გამოყენებული იყო თვისებრივი (ფოკუს-ჯგუფი, ექსპერტული ინტერვიუ, სამაგიდე კვლევა) და რაოდენობრივი მეთოდების კომბინაცია. თუმცა, მუნიციპალური სერვისების მასშტაბურობის გათვალისწინებით, თითოეული მათგანის სიღრმისეულად გაანალიზება ვერ მოხერხდა. რაოდენობრივი კვლევის შერჩევითი მოცულობა (3400 პირისპირ ინტერვიუ საქართველოს მასშტაბით) საკმარისია რეპრეზენტატული მონაცემების მისაღებად, როგორც ქვეყნის დონეზე, ისე შემდეგი ჯგუფებისთვის: 1) რეგიონი, 2) თბილისი/ქალაქი/სოფელი, 3) მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლება, 4) ქართველი/ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, 5) სქესი, 6) ასაკი. თუმცა, კვლევის ფარგლებში მუნიციპალიტეტების დონეზე განზოგადებადი მონაცემების მიღება შეუძლებელია. ამ ჭრილში შედეგების გასაანალიზებლად საჭირო იქნებოდა შერჩევის მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

საბოლოოდ, კვლევის შედეგები მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს საზოგადოებრივ მომსახურებათა ხელმისაწვდომობის და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის შესახებ; თუმცა, მომავალში, კონკრეტულ სერვისებთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად, აუცილებელია დამატებითი სპეციფიკური კვლევის ჩატარება.

# სამაგიდე კვლევა

## ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისთვის განსაკუთრებულ როლს ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპზე დაფუძნებული პოლიტიკის სისტემის არსებობა ასრულებს. მოსახლეობისთვის სახელმწიფო და მუნიციპალური მომსახურებების ეფექტიანი მიწოდება ამ ეტაპზე კვლავ ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. ქვეყნისთვის მთავარია ისეთი პირობების შექმნა, რომ მოქალაქეებს თანაბარი უფლებები ჰქონდეთ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მსგავსი პრაქტიკა ეფუძნება გამოცდილებას, რომ სრულფასოვანი საზოგადოებრივი მომსახურებების წარმოება და მიწოდება შეუძლებელია მხოლოდ ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში. იმის გათვალისწინებით, რომ სრულად იქნეს უზრუნველყოფილი ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულზე მაცხოვრებელი პირების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და დაკმაყოფილდეს მათი საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, აუცილებელია მმართველობითი უფლებამოსილებების მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის გადანაწილება.[1]

ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება სწორედ ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევადაა საჭირო. იგი მმართველობის დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი დემოკრატიული ინსტიტუტია. მმართველობის დეცენტრალიზაცია, თავისი არსით, ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების განხორციელების შესაძლებლობას უკავშირდება.

## კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის არსს და პრინციპებს. საქართველოს მოქალაქეები სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით აწესრიგებენ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს. ამ ჩანაწერით, გამიჯნულია სახელმწიფოს ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად (მუხლი 7, პუნქტი 4). აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციაში გაწერილი ორი ძირითადი პრინციპი - სუბსიდიარობა და თანაბარზომიერება - „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის ფუნდამენტურ საკითხებს ესადაგება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 თავი სრულად მიემართება ადგილობრივ თვითმმართველობას, მისი სამართლებრივი საფუძვლების, თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებების, გარანტიების განსაზღვრას. კონსტიტუციაში ვკითხულობთ, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები გამიჯნულია, ანუ თვითმმართველი ერთეული თავად იღებს გადაწყვეტილებებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების ან ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას არ მიეკუთვნება და რომელზე გადაწყვეტილების მიღებაც თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებიდან კანონით არ გამოირიცხება. 2017 წელს კონსტიტუციაში მიღებული ცვლილებების საფუძველზე, თვითმმართველი ერთეულისა და სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებათა გამიჯვნა სუბსიდიარობის პრინციპს დაეფუძნა - სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, რომ თვითმმართველი

1. Assigning competences and functions to local self-government in four EU member states: a comparative review, 2005

ერთეული ორგანული კანონით დადგენილ უფლებამოსილებებთან შესაბამისი ფინანსური რესურსით უზრუნველყოს. საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლის მე-3 პუნქტში ვკითხულობთ: „თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად და თავისი პასუხისმგებლობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. ორგანული კანონით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებები სრული და ექსკლუზიურია."

2014 წელს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომლის ფარგლებშიც თვითმმართველობის სფეროში არსებული კანონები ერთ აქტად გაერთიანდა. სწორედ ამ კოდექსით განპირობებული სიახლე იყო მოსახლეობის მიერ პირდაპირი კენჭისყრის წესით, აღმასრულებელი ორგანოს - გამგებელი[2]/მერი - არჩევის შესაძლებლობა. გაზრდილი ლეგიტიმაციის კვალდაკვალ ასევე გაიზარდა გამგებლის/მერის ფუნქციები - ის გახდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი.[3] კოდექსს 2015 წლის ივლისიდან დაემატა მე-4 კარი „მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში", სადაც გადამუშავდა და გაუმჯობესდა არსებული მონაწილეობის შესაძლებლობები და დაემატა ორი ახალი მექანიზმი, დასახლების საერთო კრება და მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო.[4] მუნიციპალიტეტს დაემატა ორი ახალი უფლებამოსილება, რომლებიც შეეხება წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფას,[5] უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა-რეგისტრაციას.[6] ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვა[7], ახალი რედაქციით და შინაარსით ჩამოყალიბდა.

ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილების ზრდის მხრივ, 2019 წლიდან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მათ გადაეცათ სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და ბავშვების სკოლებში ტრანსპორტირების უფლებამოსილება შესაბამისი ფინანსური რესურსით. მეორე მხრივ კი, მუნიციპალიტეტებისთვის გასანაწილებელი ფინანსური რესურსი დამატებითი ღირებულების გადასახადს დაუკავშირდა.

ამ ეტაპზე მოქმედი კანონმდებლობებით, თვითმმართველ ერთეულებზე დელეგირებულია სხვადასხვა უფლებამოსილება. მაგალითად, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" კანონის 36-ე მუხლი[8] შეეხება სწორედ მსგავს მომსახურებებს, მათ შორისაა გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა და ა.შ.

2019 წელს დამტკიცდა ბავშვთა უფლებათა კოდექსი, რომლის გათვალისწინებითაც ცვლილება შევიდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და მუნიციპალიტეტს დაემატა საკუთარი უფლებამოსილება, რომელიც გულისხმობს ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულების, ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბ-

2. 2017 წლამდე ტერმინი გამგებელი აღნიშნავდა სათემო კატეგორიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, ხოლო 2017 წლის შემდეგ ტერმინი მერი აღნიშნავს როგორც საქალაქო ისე სათემო კატეგორიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.
3. საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 48-49, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429
4. იგივე, კარი IV
5. იგივე, ქვეპუნქტი „თ"
6. იგივე, ქვეპუნქტი „ფ"
7. იგივე, მუხლი 16, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „გ"
8. საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ, მუხლი 36, https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784?publication=37

ში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩაწერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვის, ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით პრევენციული და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას.[9]

2019 წლიდან, დედაქალაქ თბილისს ჩამოერთვა სასწრაფო  სამედიცინო მომსახურების გაწევის უფლებამოსილება.[10]

2019 წლიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინიციატივით და საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკისა (WB) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით, საქართველოს მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვა დაიწყო. პროექტი გულისხმობს 63 მუნიციპალიტეტში ერთიანი სტანდარტის მაღალი ხარისხის ელექტრონული სერვისების დანერგვას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოქალაქეებისთვის ნაკლები ბიუროკრატია და მეტი გამჭირვალობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებს ამ სიახლის დანერგვის შემდეგ ექნებათ წვდომა და პირდაპირი კავშირი ცენტრალური ხელისუფლების ელექტრონულ სისტემებთან.[11]

2020 წლიდან მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით ამ მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალ დასახლებაში/დასახლების ნაწილში/დასახლებათა ერთობლიობაში დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება შესაბამის ტერიტორიაზე განახორციელოს მუნიციპალიტეტის შემდეგი საკუთარი უფლებამოსილებები: ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, მუნიციპალური ნარჩენების მართვა, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა, მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე საჯარო ზედამხედველობის განხორციელება, გარე რეკლამის განთავსების ადმინისტრირება.[12]

2020 წელს, საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა, მუნიციპალიტეტებს საშუალება მისცა საკუთარ ადმინისტრაციულ საზღვრებში განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილებები, მუნიციპალური ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების და შესაბამისი რეგულაციების დადგენის მიმართულებით. ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს მიეცა მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვის გაცემის შესაძლებლობა.[13]

2021 წელს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად განისაზღვრა ქარსაფარი (მინდორდაცვითი)  ზოლის აღდგენისა და გაშენების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა, მუნიცი-

9. საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ღ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429
10. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4681060?publication=0
11. საქართველოს მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვა იწყება , საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, https://mrdi.gov.ge/ka/press-center/სიახლეები%20&%20ღონისძიებები/საქართველოს-მუნიციპალიტეტებში.html
12. საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 1561, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429
13. „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4892812?publication=0

პალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის აღდგენა, გაშენება, მოვლა, დაცვა და მასზე ზედამხედველობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის სამეურნეო მიზნით გამოყენებისთვის დაინტერესებული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქარსაფარ (მინდორდაცვით) ზოლში სპეციალური დანიშნულებით ჭრის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის მართვის გეგმის დამტკიცება.[14]

2020-2021 წლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელმა კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცა და 172 საკანონდებლო აქტი ჰარმონიზაციაში მოვიდა საქართველოს ორგანულ კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

## 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია და მისი განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა

2019 წლის დეკემბერში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციითა და დაინტერესებული ორგანიზაციების, სპეციალისტების ჩართულობით, შემუშავდა 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია და მისი განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა.[15] სწორედ მასში გათვალისწინებულმა აქტივობებმა უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების გაზრდილი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და ზოგადად, ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტების როლის ზრდას საჯარო საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილების გადაწყვეტასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

2020-2025 წლების სტრატეგია მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში კარგი მმართველობის პრინციპის დამკვიდრებას, ადამიანური რესურსის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ზოგადად, მუნიციპალურ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობასა და ხარისხის გაუმჯობესებას, მუნიციპალიტეტების ფინანსურ და ეკონომიკურ გაძლიერებას აგრეთვე, სტრატეგიის ფარგლებში მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული დაგეგმვისა და მონიტორინგის სისტემის განვითარებისა და შედეგზე ორიენტირებული მართვის ხელშეწყობა.[16]

2020-2025 წლების სტრატეგიის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს 3 მიზანს, 8 ამოცანას, 26 აქტივობას და 46 შესრულების ინდიკატორს. 2020 წელს განხორციელებული აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ მიღებულია 171 საკანონმდებლო ცვლილება კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის, 21 მუნიციპალიტეტში დაინერგა ინფორმაციული ნაკადების მართვის ელექტრონული სისტემა, გადამზადდა 3000 ათასზე მეტი ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, მომზადებულია სამი საკანონმდებლო ინიციატივის პროექტი.[17]

## ეკონომიკური საფუძვლები

მუნიციპალიტეტში, საბიუჯეტო პროცესს არეგულირებს საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს.

14. საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ, https://matsne.gov.ge/ka/document/view/5270607?publication=0
15. 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია, 2019, shorturl.at/bfwKW
16. 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგია, 2019, shorturl.at/bfwKW
17.https://parliament.ge/media/news/regionuli-politikisa-da-tvitmmartvelobis-komitetma-detsentralizatsiis-strategiis-2020-2021-tslebis-samokmedo-gegmis-gankhortsielebis-angarishi-moismina

თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან.

საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არ აქვთ, ჩაერიონ მუნიციპალიტეტის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.[18]

2019 წლამდე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების უმთავრესი დაფინანსების წყარო იყო გათანაბრებითი ტრანსფერი, რომელიც სპეციალური ფორმულით გამოითვლებოდა, ხოლო 2019 წლიდან შეიცვალა მუნიციპალური ბიუჯეტის დაფინანსების სისტემა და ის გადავიდა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული სახსრების გაზიარების სისტემაზე. კერძოდ მუნიციპალიტეტებზე ნაწილდება დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული სახსრების ჯამური მოცულობის 19%.

მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდა გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბერის №678 დადგენილების „დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას შეეხება. ამ მიმართულებით სტრატეგია ორიენტირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსულობების თანმიმდევრული ზრდის ხელშეწყობაზე. მათ შორის ერთ-ერთ აქტივობად სახელმწიფო ქონების განკარგვიდან მიღებულ შემოსავლებში მუნიციპალიტეტის წილის ზრდაა მოაზრებული. კერძოდ, საშუალოვადიან პერსპექტივაში საბიუჯეტო კოდექსში უნდა მომზადდეს ცვლილებები, რომელთა მიზანი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი შემოსავლების გაზრდა მათი უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით. ამ კუთხით განხილული იქნება საშემოსავლო გადასახადის საზიარო წილის/პროცენტის ცვლილება. შემუშავდება საკანონმდებლო ბაზა საშემოსავლო გადასახადის ფიზიკური პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად.

დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიის მიხედვით, მნიშვნელოვანი ცვლილებებია გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ქონების მიმართულებით, კერძოდ:

- გადაიხედება ქონების გადასახადით დაბეგვრის წესი და დღეს არსებული საგადასახადო შეღავათები. გადაიხედება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ქონების ნუსხა, გადაცემის ფორმები და ვადები.
- გამარტივდება სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის ქონების გადაცემის და რეგისტრაციის პროცედურები. 2025 წლის ბოლოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებელი ქონების მესაკუთრე გახდება შესაბამისი მუნიციპალიტეტი.[19]

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში მნიშვნელოვან ასპექტებადაა განსაზღვრული შემოსავლების განაწილების პრინციპის გაუმჯობესება და დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსების მექანიზმების სრულყოფა.

18. იგივე, მუხლი 65
19. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბერის №678 დადგენილება „დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, https://matsne.gov.ge/document/view/4764626?publication=0

სტრატეგიის მიხედვით შეფასებულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების ხარჯების წილის ოდენობით მშპ-ში, საქართველო ევროპის ქვეყნებთან შედარებით, იმყოფება საშუალო დონეზე დაბლა, მაგრამ არა ბოლო რიგებში, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარი შემოსავლების წილი მშპ-თან მიმართებაში საკმაოდ დაბალია და ამასთან ფინანსური უთანაბრობაა მუნიციპალიტეტებს შორის. დეცენტრალიზაციის პროცესისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია გონივრული ფინანსური გათანაბრების მექანიზმების დანერგვა, რომლებიც მოქალაქეს აძლევს ადგილობრივ სერვისებზე ხელმისაწვდომობის შედარებით თანაბარ შესაძლებლობას მიუხედავად იმისა, თუ რომელ მუნიციპალიტეტში ცხოვრობს ის. აღნიშნულ გამოწვევებზე საპასუხოდ სტრატეგიის მიერ განსაზღვრულია, შემდეგი ინდიკატორი, რომ 2025 წლისთვის საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ისარგებლებს მოქალაქეთა მაღალი ნდობით ადგილობრივი საჭიროებების მოგვარებისა და ადგილობრივი განვითარების საკითხებში.

ასევე სტრატეგიის მიხედვით გათვალისწინებულია, რომ ცენტრალური ხელისუფლებისგან ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცემა ის უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელებაც ადგილზე უფრო ეფექტიანია; თვითმმართველობები ფლობს აუცილებელ ქონებას და უზრუნველყოფილია გაზრდილი ფინანსური სახსრებით. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობების საერთო შემოსულობების წილი იქნება მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 7 პროცენტი.[20]

## მოქალაქეთა მონაწილეობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტიანობისა და, ზოგადად, დემოკრატიული მმართველობის პრინციპების დასამყარებლად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა მონაწილეობას ენიჭება. მუნიციპალიტეტების მუშაობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საფუძვლები, მეტწილად, სწორედ ამ ასპექტზეა დამოკიდებული - მოსახლეობის მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და მათი აქტიური ჩართვა ადგილობრივი დონის გამოწვევების გადალახვაში.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება ეს არ არის მხოლოდ ეკონომიკური პარამეტრების მათემატიკური ზრდა. ეს არის იმ პროცესის ნაწილი როცა ადგილობრივი თვითმმართველობა მოქალაქეთა აქტიური მონაწილოებით ხორციელდება და შესაბამისად განვითარება მორგებულია მოქალაქეთა ინტერესებზე. მოქალაქეთა მონაწილეობა, არ ხორციელდება მხოლოდ კანონით განსაზღვრული ფორმებით. მუნიციპალიტეტს, მოქალაქეებს, სამოქალაქო საზოგადოებას, ბიზნესს გააჩნიათ კანონით განსაზღვრული ფორმა, მაგალითად მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, ასევე მათ ფორმების შეუზღუდავად შეუძლიათ მუნიციპალიტეტს შესთავაზონ თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატი, რომლებიც შეიძლება მიმართული იყოს, ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის, მუნიციპალიტეტის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, ბიზნესის მხარდაჭერის, დასაქმების და სხვა მიმართულებებით.

მოქალაქეთა მონაწილეობა კანონის დონეზე დარეგულირებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით". დოკუმენტში 2015 წელს შეტანილი ცვლილების საფუძველზე, განისაზღვრა თვითმმართველობის პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის საკანონმდებლო ჩარჩო. კოდექსში აღწერილია, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები და თანამდებობის პირები ვალდებულები არიან, მოსახლეობის ჩართულობისთვის ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პი-

20. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბერის №678 დადგენილება „დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ", https://matsne.gov.ge/document/view/4764626?publication=0

რობები შექმნან. ამასთანავე, მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართულებით ბიუჯეტშიც უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისი პროგრამები. კოდექსის 85-88 მუხლებით გაწერილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები:

- დასახლების საერთო კრება
- პეტიცია
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა
- მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა[21]

მნიშვნელოვანია, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით" გაწერილი მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები გაფართოვდეს. ამ მიმართულებით ისეთი მექანიზმების გამოყოფაა შესაძლებელი, როგორებიცაა: თანამონაწილეობითი დაგეგმვა, სამოქალაქო ბიუჯეტი და ადგილობრივი რეფერენდუმი. ამ უკანასკნელის გარდა, სხვა ფორმების დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებს საკუთარი ინიციატივით შეუძლიათ. რაც შეეხება ადგილობრივ რეფერენდუმს, ამ შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონდებლო დონეზე დარეგულირებულია მოქალაქეთა მონაწილეობა და შექმნილია შესაბამისი სამართლებრივი პირობები, დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში მოსახლეობის მონაწილოების დონე. 2017 წლიდან შექმნილი ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი[22] საქართველოს 64 მუნიციპალიტეტის მუშაობას აფასებს. ამ ინდექსის ერთი ბლოკია მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება, ხოლო ერთ-ერთ ქვე-ბლოკს წარმოადგენს უშუალოდ მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებლების განსაზღვრა. თუკი 2019 წლის მონაცემებით, ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესში ქვეყნის მასშტაბით მოქალაქეთა მონაწილეობა 25%-ს უტოლდებოდა, 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 18%-მდეა შემცირებული, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მოქალაქეები, ძირითადად, არ ერთვებიან არც მათ ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებში და, ასევე, თავს იკავებენ სამოქალაქო აქტივიზმისა და საჯარო პროცესებში ჩართულობისგან. მონაცემების მიხედვით, განსხვავებული მდგომარეობაა ურბანული და რურალური ტიპის დასახლებების შემთხვევაში - ბათუმში (2021 – 66%; 2019 - 87%), რუსთავსა (2021 – 44%; 2019 - 72%) და ქუთაისში (2021 – 27%; 2019 - 61%) მაღალია მოქალაქეთა ადგილობრივ თვითმმართველობის პროცესში მონაწილეობა, ხოლო გარდაბნის (2021 – 6%; 2019 - 6%) და კასპის (2021 – 6%; 2019 - 8%) შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებელი 10%-საც კი ვერ აღწევს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების ძირითად ნაწილში 2021 წელს მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელი შემცირებულია.[23]

მოქალაქეების მონაწილეობაზე დაყრდნობით, 2020 წელს გამოქვეყნებული ანგარიში **„მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში"**[24] ასახავს ამ

21. საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 85, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429
22. ინდექსი შემუშავებულია კონსულტაციისა და სწავლების ცენტრის (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და მართვის სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) მიერ. ინდექსი მიზნად ისახავს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბებას საქართველოში მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასების გზით, ადგილობრივ საკითხებში საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლებას და კორუფციის რისკების შემცირებას.
23. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, http://www.lsgindex.org/ge/analysis/
24. Citizen Participation in the Implementation of Local Self-Governance, 2020, G.Toklikashvili, et al. https://tvitmmartveloba.ge/2021/03/25/citizen-participation-in-the-implementation-of-local-self-governance-brief-report/

სფეროში არსებულ ძირითად გამოწვევებს. ანგარიშის თანახმად, მუნიციპალიტეტების მიერ პრაქტიკაში შემუშავებული მოქალაქეთა მონაწილეობის ზოგიერთი ფორმა მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით არ არის ფორმალიზებული. ეს მიდგომა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მონაწილეობის ფორმების მდგრადობას, რადგან მისი შენარჩუნება მუნიციპალური მთავრობის პირადი შემადგენლობის შეცვლისას საეჭვო ხდება. მერისა და საკრებულოს წევრების ანგარიშის წარდგენის პროცედურის ღიაობა და მასში ამომრჩევლის ინფორმირებული ჩართულობის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საჯარო ანგარიშების წარდგენის პროცედურა ხშირად ფორმალურია - მხოლოდ სპეციალურად “მოწვეული” პირები და მუნიციპალური დაწესებულებების თანამშრომლები ესწრებიან. ანგარიშის წარდგენამდე, მისი გამოქვეყნების პრაქტიკა ასევე იშვიათია, რაც პროცესში ამომრჩეველთა ინფორმირებული ჩართულობის შესაძლებლობას ზღუდავს.

ანგარიშის **„დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (2020)“**[25] მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობები მოიცავს ადვოკატირების ინსტიტუტებს, მოქალაქეთა ბიუჯეტებსა და სხვა ინიციატივებს. საქართველო სახელდება იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს, გავლენა მოახდინონ ადგილობრივ თვითმმართველობაზე. მართალია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკაზე გავლენის მხრივ, განსაკუთრებით კი არჩევნების, ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობის და უმცირესობათა უფლებების მიმართულებით, მათ მუშაობაზე უარყოფითად აისახება საზოგადოების მხრიდან გამოვლენილი დაბალი ნდობა, ნაკლები ჩართულობა და მხარდაჭერა, ასევე მთავრობის მხრიდან შეზღუდული თანამშრომლობა. ზოგადად, მთავრობა მზად არის ითანამშრომლოს დონორებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არასაკამათო საკითხებზე, როგორებიცაა სოფლის განვითარება, განათლება, ჯანდაცვა, გარემო და ნარჩენების მართვა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მრავალ საკონსულტაციო ორგანოსა და სამთავრობო სამუშაო ჯგუფებში ერთვება; მათი მონაწილეობა ხშირად ცერემონიულია.

ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობითი პოლიტიკის აუცილებლობაზე კეთდება აქცენტი „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებით ოქმში“. არსებულ დოკუმენტზე დაყრდნობით, მონაწილე სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, ვალდებულები არიან რომ მათ იურისდიქციაში შემავალი თითოეული ინდივიდის პროცესებში მონაწილეობა უზრუნველყონ და ამ კონკრეტული უფლების რეალიზებას შესაბამისი ინსტრუმენტების საშუალებით ხელი შეუწყონ.[26]

ქარტიის დამატებით ოქმის მიხედვით, ადგილობრივ ხელისუფლებას ენიჭება უფლება, რომ შემოიღოს ისეთი პროცედურები, რომლებიც ადამიანებს საკონსულტაციო პროცესებში, ადგილობრივ რეფერენდუმებსა და პეტიციებში ჩართავს, უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლების ოფიციალურ დოკუმენტებზე წვდომას და მოახდენს იმ საჩივრებსა და წინადადებებზე რეაგირებას, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლებისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი სამსახურების ფუნქციონირებას შეეხება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმი ძალაში შევიდა 2020 წლის 1 მარტიდან, თუმცა დღემდე კანონმდებლობის მიმართულებით კონკრეტული ცვლილებები არ განხორციელებულა, რომელიც მოქალაქეთა მონაწილეობის მიმართულებით რაიმე ახალ ინსტრუმენტს შემოიტანდა ან არსებულ ინსტრუმენტებს გააუმჯობესებდა.

25. Decentralisation and Local Self-government in Eastern Partnership countries, 2020
https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2021-04/Decentralisation-and-Local-Self-government-in-Eastern-Partnership-Countries.pdf
26. ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის დამატებითი ოქმი ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე, 2019, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4843521?publication=0

ანგარიშში „დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (2020)“[27] წარმოდგენილია, რომ საქართველო აჩვენებს პროგრესს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაში, მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის დამყარებაში, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მხრივ და ელექტრონული მმართველობის და ციფრული სერვისების ხელმისაწვდომობაში. თუმცა, მოსახლეობის ნდობა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართ მცირდება. ამიტომ, ნდობის გასაზრდელად, რეკომენდებულია სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის კომუნიკაციისა და გამჭვირვალობის განვითარება. ასევე რეკომენდებულია ადგილობრივი თემების ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება საჯარო და კერძო პარტნიორობის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავების გზით. ამჟამად, ბიზნეს სექტორის პოტენციალი მუნიციპალური მომსახურების დივერსიფიკაციისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის კუთხით კვლავ გამოუყენებელია.

## კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გავლენა მუნიციპალიტეტებზე

ჯანდაცვის მსოფლიოს ორგანიზაციამ 2020 წლის 11 მარტს ახალი კორონავირუსი, COVID-19, პანდემიად გამოცხადა ხოლო საქართველოს ხელისუფლებამ 2020 წლის 29 იანვრიდან დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა ვირუსის გავრცელების შესაკავებლად. აღნიშნულმა ნაბიჯებმა დრამატული გავლენა იქონიეს მუნიციპალიტეტებისთვის ოთხი ძირითადი მიმართულებით:

- მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში
- მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს საქმიანობის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა
- მუნიციპალური მომსახურებების მიწოდება
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მოქალაქეთა მონაწილეობის, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი/აღმასრულებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის შეფასების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და დინამიკური კვლევის ინდექსის lsgindex.org-ის[28] მონაცემებზე დაყრდნობით, 2019 წელთან (პანდემიის დაწყებამდე პერიოდი) შედარებით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული:

- საკრებულოს სხდომებში მოქალაქეთა მონაწილოება: 2021 – 47%; 2019 – 59%,
- საკრებულოს კომისიის სხდომებში მოქალაქეთა მონაწილოება: 2021 – 41%; 2019 – 53%
- დასახლების საერთო კრებების ფუნქციონირება: 2021 – 2%; 2019 – 9%
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინფორმაციული მხარდაჭერა: 2021 – 14%; 2019 – 24%
- მერის საქმიანობის ანგარიშების საჯარო მოსმენა: 2021 – 9%; 2019 – 17%
- საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიშების საჯარო მოსმენა: 2021 – 7%; 2019 – 15%

ამასთანავე გართულებული იყო მუნიციპალიტეტებთან კომუნიკაცია საჯარო ინფორმაციის მიღებისა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მიმართულებებით.

მუნიციპალური მომსახურების გაწევის და ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების მართვის პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ცენტრალური ხელისუფლების მითითებებით, კერძოდ:

27. Decentralisation and Local Self-government in Eastern Partnership countries, 2020
https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2021-04/Decentralisation-and-Local-Self-government-in-Eastern-Partnership-Countries.pdf
28. ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი, www.lsgindex.org

- მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურების შეჩერება[29]
- დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლა[30]

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, პანდემიამ და მისი შეკავების მიზნით განხორციელებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ცვლილებები შეეხო როგორც მუნიციპალური სერვისების მიწოდებას, ისე მუნიციპალური ადმინისტრაციის მართვას.

დისტანციურად მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა ეკისრებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს და თანამშრომლებს ჰქონდათ უფლება ბინაზე გაეტანათ მათზე განპიროვნებული კომპიუტერული ტექნიკა, გამოკითხულთა 35%-მა აღნიშნა რომ სირთულეები შეექმნა დისტანციურად მუშაობაში.

COVID-19-ის პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა მუნიციპალური სამსახურების მართვის წესი და პირობები. საგანგებო მდგომარეობის და საყოველთაო კარანტინის პირობებში ზოგი კომუნალური მომსახურება შეჩერდა, ზოგმა კი გამკაცრებული რეგულაციებით გააგრძელა მუშაობა:

**მუნიციპალური ტრანსპორტი** - 2020 წლის 21 მარტიდან მთლიანად გაჩერდა მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა, როგორც ქ. თბილისში (მეტროპოლიტენის ჩათვლით) 2020 წლის მაისის ბოლოდან ქალაქ თბილისში ამუშავდა მეტროპოლიტენი, ხოლო ივნისის შუა რიცხვებიდან რეგულაციების გათვალისწინებით აღდგა საქალაქო და საქალაქთაშორისო ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მოძრაობა. თუმცა მოკლევადიანი ჩაკეტვები შემდგომ პერიოდებშიც გაგრძელდა.

**სკოლამდელი განათლება** - 2020 წლის 21 მარტიდან შეწყდა სწავლა საქართველოს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ყველა მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში შეწყდა ბავშვთა დასწრება, მასწავლებლები და მოსამსახურე პერსონალი დათხოვნილი იყვნენ საგანგებო მდგომარეობის ვადით, სახელფასო ანაზღაურების გარანტიით.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება** - საგანგებო მდგომარეობის და კარანტინის პირობებში არ შეჩერებულა მყარი ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება, ასევე გამართულად მუშაობდა დასუფთავების სამსახური.

**გარე განათება და კეთილმოწყობის საქმიანობა** - გარე განათებისა და კეთილმოწყობის სამსახურებიც ასევე სრული დატვირთით მუშაობდნენ საგანგებო მდგომარეობის და საყოველთაო კარანტინის დროს. არ დაფიქსირებულა გარე განათების შეზღუდვის ან ქალაქ მოწყობის და გამწვანების სამუშაოების შეჩერების ფაქტები.

**სოციალური დახმარების პროგრამა** - COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეულ კრიზისს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია მუნიციპალიტეტების სოციალური დახმარების პროგრამებზე.[31]

29. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ"
30. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის №529 განკარგულება „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ"
31. საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა) კვლევის ანგარიში „მუნიციპალური მართვის გამოწვევები COVID-19-ის პანდემიის პირობებში", თბილისი, 2020

მკაცრი კარანტინის მოქმედების პირობებში, განსაკუთრებული შეზღუდვები შეეხო სულ 10 მუნიციპალიტეტს (მარნეული, ბოლნისი, ლენტეხი, ქობულეთი, ხაშური, ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი, ქ. ბათუმი, თეთრიწყარო), მაგრამ აქ მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით (1930,5 ათასი), ის უშუალოდ შეეხო საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს (52%). ყველაზე დიდი გავლენა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებზე მოახდინა საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის — დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) მობილიზებისა და იქიდან მუნიციპალიტეტებისათვის მისაღები წილის შემცირებამ. დღგ-ის შემცირება ობიექტური (ეკონომიკის შემცირება) და სუბიექტური (ხელისუფლების მიერ შემოღებული შეღავათები) მიზეზებით მოხდა.

პანდემიის გავლენის შემამსუბუქებელი ღონისძიებების ფარგლებში ხელისუფლების გადაწყვეტილებამ ქონების გადასახადთან დაკავშირებით შეღავათების შესახებ მნიშვნელოვნად შეამცირა მუნიციპალიტეტების შემოსავლები;[32]

პანდემიის პირობებში უფრო ნათლად გამოიკვეთა დეცენტრალიზაციის პროცესის მნიშვნელობა. საქართველოში მუნიციპალიტეტების იურისდიქცია მოსახლეობის და ტერიტორიის დიდ ნაწილზე ვრცელდება და აუცილებელია ადგილობრივ ხელისუფლებას ჰქონდეს დარგობრივი კომპეტენციები (ეკონომიკა, ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დაცვა), რაც მას საშუალებას მისცემს განახორციელოს პანდემიის საწინაღმდეგო ღონისძიებათა ფართე სპექტრი და ეფექტიანად გაუმკლავდეს კრიზისის შედეგებს. შესაბამისად, აუცილებელია შეიცვალოს უფლებამოსილებათა განაწილების პრინციპი და ცენტრალური ხელისუფლებიდან ადგილობრივ თვითმმართველობაზე მოხდეს არა ამოცანების, არამედ უფლებამოსილებათა სრულად დელეგირება. ასევე, აუცილებელია გაუმჯობესდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შემუშავდეს დისტანციური მუშაობის რეგულაცია, რათა მომავალ კრიზისულ სიტუაციებში დაბრკოლება არ შეექმნას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას.[33]

32. საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა) კვლევის ანგარიში „COVID-19-ის პანდემიის გავლენა მუნიციპალურ ბიუჯეტებსა და შემოსავლებზე საქართველოში“ თბილისი, 2020
33. საქართველოს თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (ათეა) „მუნიციპალური მართვის გამოწვევები COVID-19-ის პანდემიის პირობებში“, თბილისი, 2020

# ძირითადი მიგნებები

**ინფორმირებულობა**

კვლევის მეხუთე ტალღის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალური პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ, რესპონდენტების ინფორმირებულობის დონე არც თუ ისე მაღალია. გამოკითხულთაგან, ყველაზე დიდი ნაწილი თავს კარგად ინფორმირებულად ისეთ სერვისებთან მიმართებით მიიჩნევს, როგორიცაა კომუნალური სერვისები (17.5%) და ტრანსპორტი (16.1%). ამა თუ იმ პროგრამის შესახებ ინფორმირებულთა წილს, მნიშვნელოვნად აჭარბებს არაინ-ფორმირებული რესპონდენტების რაოდენობა. ასეთთა შორის განსაკუთრებით მაღალია დასაქ-მების/ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა (30.6%) და კულტურული პროგრამების (30.3%) თაობაზე ინფორმაციის არმქონე რესპონდენტთა რაოდენობა. მუნიციპალური პროგრამების შე-სახებ ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ პირველადი სოციალური ჯგუფები და/ან ტელევიზია სახელდება.

**საჯარო საბავშვო ბაღი/საჯარო სკოლა**

კვლევის ხუთივე რაუნდში გამოკითხულთა უმრავლესობის დასახლებაში/უბანში მდებარეობს საჯარო საბავშვო ბაღი/საჯარო სკოლა. ამასთან, აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და რესპონდენტების დასახლებას შორის მანძილი გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის 5 კმ-ზე ნაკლებია. ამ უკანასკნელთა წილი მე-5 ტალღაში 2019 წელთან შედარებით მცირედით გაიზარდა, თუმცა, 5-ივე რაუნდის მონაცემების შედარების საფუძველზე კლება-მატების ტენდენცია ვლინ_დება (საჯარო საბავშვო ბაღი: 2021 81.7%; 2019 – 74.1%; 2017 – 79.5%; 2015 – 75.8%; 2013 – 76.5%; საჯარო სკოლა: 2021 - 86.1%; 2019 – 83.4%; 2017 – 90.4%; 2015 – 86.5%; 2013 – 94.6%;). საგანმანათლებლო დაწესებულებამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობის მქონე რესპონდენტთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი 2015 წელს დაფიქსირდა, როგორც საბავშვო ბაღის (65.6%), ასევე საჯარო სკოლის (66.6%) შემთხვევაში. კვლევის მე-5 ტალღაში გამოკითხულთაგან ყოველმა მესამე რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ტრანსპორტირების საჭიროება არ არსებობს. რაც რამდენადმე აღემატება წინა რაუნდების მონაცემებს, გარდა 2013 წლისა (საჯარო საბავშვო ბაღი - 41.2%; საჯარო სკოლა - 45.7%). 2021 და 2019 წლებში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საჯარო ბაღის/სკოლის მუშაობის განრიგი ერთმანეთს ემთხვევა.

სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, საჯარო საბავშვო ბაღისა და საჯარო სკოლის მიმართ რესპონ-დენტების კმაყოფილების დონის შეფასებამ აჩვენა, რომ საბავშვო ბაღის შემთხვევაში, 5-ვე ტალღის ფარგლებში, რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი კმაყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურით (2021 – 48.4%; 2019 – 56.2%; 2017 – 51%; 2015 – 47.8%; 2013 – 54.9%).

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2021 (6%), 2015 (4.8%) და 2013 (10.6%) წლებში რესპონდენტები ყველაზე მეტად უკმაყოფილოები ინფრასტრუქტურით არიან. 2017 (3.7%) და 2019 (5.6%) წლებში კი რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილის უკმაყოფილების მიზეზი რეგისტრაციის პროცედურები იყო. რაც შეეხება საჯარო სკოლას, ხუთივე რაუნდის ფარგლებში გამოკითხულთა ძირითადი ნაწილი ხსენებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ დადებითად არის განწყობილი. კვლევის პირველ სამ რაუნდში (2017 – 58.9%; 2015 – 60.9%; 2013 – 62.4%) რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურული მოწყობით იყო კმაყოფილი, მე-4 და მე-5 რაუნდში კი ხელმისაწვდომობით (2021 – 66.1%; 2019 –62.4%). სხვადასხვა პარამეტრის

გათვალისწინებით, უკმაყოფილო რესპონდენტების წილი თითოეული ტალღის შემთხვევაში არ აღემატება 10.9%-ს.

კვლევის ხუთივე ტალღის მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ გარდა 2015 წლისა (48.9%), დანარჩენ წლებში გამოკითხულთა უმრავლესობა (50%-ზე მეტი) საჯარო საბავშვო ბაღების მიმართ საკუთარი ზოგადი კმაყოფილების დონეს შეფასების დადებით ველში ათავსებს. ამასთან, საჯარო სკოლით კმაყოფილი რესპონდენტების წილი თითოეულ რაუნდში 50%-ზე მაღალია. 2021 და 2019 წლის კვლევებმა ცხადყო, რომ საჯარო სკოლების (2021 - 68.8%; 2019 – 73%) და საჯარო საბავშვო ბაღების მიმართ (2021 – 62.9%; 2019 – 68.9%) ნდობა მაღალია, თუმცა წინა წლების მონაცემებთან შედარებით შემცირებულია.

### პროფესიული (პროფტექნიკური საგანმანათლებლო დაწესებულება) სასწავლებლები

კვლევის სხვადსხვა ეტაპზე, გარდა მე-3 რაუნდისა (2017) გამოკითხულთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ დასახლებაში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მდებარეობს. ამათ-გან, უმრავლესობა მიუთითებს, რომ უახლოეს პროფესიულ სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლა შესაძლებელია. 2021 და 2019 წლებში გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის და საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის განრიგი ერთმანეთს ემთხვევა (2021 - 74.6%; 2019 – 76%). კვლევის ბოლო ორ რაუნდში გამოკითხულთა უმრავლესობა (2021 – 58.3%; 2019 – 63.9%) - ენდობა ხსენებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. საგულისხმოა, რომ კმაყოფილება პროფესიული სასწავლებლების მიმართ პოზიტიურ დინამიკას უჩვენებს და, თუ 2013-2017 წლებში ამ თვალსაზრისით ცვლილებები არ იყო, კვლევის ბოლო ორ რაუნდში კმაყოფილების დონე წინა რაუნდებთან შედარებით, რამდენადმე გაიზარდა (2021 – 58.7%; 2019 – 51.5%).

### რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარეთ) არსებული პროფესიული (პროფტექ-ნიკური) სასწავლებლები)

კვლევის მე-5 რაუნდში გამოკითხულთა მეოთხედი (26.5%) მიუთითებს მათ რეგიონში (მუნიციპა-ლიტეტის/ქალაქის გარეთ) პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლების არსებობაზე. ამათგან, ყოველი მეორე (54.4%) ამბობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამდე მიდის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, 22.8%-მა კი აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა არ არსებობს. მათ შორის, რომლებიც ტრანსპორტის არსებობაზე მიუთითებენ, მხოლოდ 10% ამბობს, რომ პროფესიული სასწავლებლისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის განრიგი ერთმანეთს არ ემთხვევა. გამოკითხულთა უმრავლესობა (57.9%) ენდობა და დიდი ნაწილი (47.1%) კმაყოფილია მათ რეგიონში არსებულ პროფესიული სასწავლებლებით. რესპონდენტთა მცირე ნაწილში უკმაყოფილების ძირითად მიზეზებად სახელდება პედაგოგების მომზადების დონე, სპეციალობების სიმცირე/არააქტუალურობა და ხელმისაწვდომობა.

2013-დან 2019 წლის ჩათვლით თითქმის თანაბრად მნიშვნელოვან სფეროებად რჩებოდა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის და სამედიცინო (მედდა, სანიტარი) სფერო. 2021 წელს კი რესპონდენტთა განწყობები რამდენადმე შეიცვალა და მშენებლობა ჩაანაცვლა ტურიზმმა. სოფლის მეურნეობის დარგში ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებებად მეცხოველეობა დასახელდა (2021 – 23.9%; 2019 - 30.3%).

### უმაღლესი სასწავლებლები

კვლევის მე-5 რაუნდში, წინა ეტაპთან შედარებით, გაიზარდა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომელ-თა მუნიციპალიტეტში სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებელი არ არის (2021 – 61.2%; 2019 – 49.6%). კვლევის ორივე რაუნდში, გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს,

რომ სახლიდან უმაღლეს სასწავლებლამდე მანძილი 1-10 კმ-დე მერყეობს. აბსოლუტური უმრავლესობის თქმით, სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლეს სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლა შესაძლებელია (2021 – 91.9%; 2019 – 91.9%). ამასთან, კვლევა ცხადყოფს, რომ უმრავლესობის შეფასებით ტრანსპორტისა და სასწავლებლის მუშაობის განრიგი ერთმანეთს ემთხვევა (2021 – 75.2%; 2019 – 84.3%). როგორც აღმოჩნდა, ორივე რაუნდში გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია და ენდობა უმაღლეს სასწავლებელს. სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლეს სასწავლებელთან მიმართებით უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზებს შორის რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (2021 და 2019 წლებში) პედაგოგების ცოდნის/ კომპეტენტურობის დონეს და სასწავლო პროგრამას ასახელებს.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარეთ არსებულ უმაღლეს სასწავლებელს, ასეთის არსებობაზე გამოკითხულთა 23.3% მიუთითებს. საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და რესპონდენტების სახლს შორის მანძილი გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილისთვის (40%) 31-50 კმ-ს შორის ვარირებს. გამოკითხულთა დიდი ნაწილის (67.7%) შემთხვევაში სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლეს სასწავლებლამდე მიდის საზოგადოებრივი ტრანსპორტი და 60.8% აღნიშნავს, რომ ამ ორი საჯარო სერვისის მუშაობის განრიგი ერთმანეთს ემთხვევა. სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლების (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარეთ) მიმართ რესპონდენტების ნდობის და კმაყოფილების დონის შეფასებამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ამ ინსტიტუციის მიმართ, როგორც ნდობას (75.9%), ასევე, კმაყოფილებას (61.6%) გამოხატავს.

## სხვადასხვა სოციალური მომსახურება

მეხუთე რაუნდში (2021 წელი) გამოკითხული პირების უმრავლესობას (54%) არც თავად უსარგებლია რომელიმე მუნიციპალური სოციალური დახმარებით და არც მისი ოჯახის წევრს. რესპონდენტების დაახლოებით მეათედს ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარების მიღების გამოცდილება აქვს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური სოციალური დახმარების არმიმღებთა წილი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლში (65%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (64%) და სამცხე-ჯავახეთში (63%).

თბილისში შედარებით მეტად გავრცელებული პრაქტიკაა **სტაბილური მუნიციპალური დახმარებები,** როგორებიცაა უფასო მგზავრობა და უფასო სასადილოების პროგრამები; ხოლო თბილისის გარეთ (სხვა ქალაქებსა და სოფლებში) უფრო მეტად **ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარების** მიღება.

ეთნიკურად არაქართველებს შორის უფრო მეტია მათი რაოდენობა (64%), ვინც მუნიციპალურ დახმარებებს არ იღებს, ეთნიკურ ქართველებთან შედარებით (53%).

სტაბილურ მუნიციპალურ სოციალურ დახმარებებს ინდივიდები, როგორც წესი, **დროულად** იღებენ.

სხვადასხვა დახმარების მიმღები პირების უმრავლესობა (60%-ზე მეტი) **რეგისტრაციის პროცედურებს** აფასებს, როგორც **„იოლს“.** თუმცა, გამოვლინდა ისეთი დახმარებებიც, რომელთა მისაღებად საჭირო პროცედურები შედარებით **რთულად** შეფასდა: უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარება. შესაბამისად, აღნიშნული დახმარებების კონტექსტში მუნიციპალიტეტების საქმიანობა უმრავლესობის მიერ ფასდება როგორც საშუალო (მუნიციპალიტეტი „მეტ-ნაკლებად“ ახორციელებს საქმიანობას - უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა - 51.1%, სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარება - 58.1%).

გამოკითხვის ხუთივე ტალღაში რესპონდენტების უმრავლესობამ არ იცის მათი სახლიდან რა მანძილზე იმყოფება უახლოესი უფასო მუნიციპალური სასადილო (55-75%-ის შუალედში). ძირითად არეალად კი ინდივიდის უბანი/დასახლება ან დასახლებიდან/უბნიდან 10 კმ განისაზღვრა.

უფასო სასადილოს ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მფლობელ რესპონდენტებს უჭირთ განსაზღვრონ საკმარისია თუ არა ერთ ადამიანზე გამოყოფილი საჭმლის ულუფა. ამავდროულად, ხუთივე რაუნდში მონაწილე პირების უმრავლესობა მუნიციპალურ უფასო სასადილოში საკვების ხარისხს დადებითად აფასებს. მსგავსი პოზიცია დომინანტურია თითოეულ ტალღაში, თუმცა ზიგზაგისებურად ცვალებადი (3 და 4 ქულები 4 ქულიან სკალაზე): 2021 – 59.3%; 2019 – 75.7%; 2017 – 52.8%; 2015 – 65.1%; 2013 – 47.4%.

### ჯანდაცვა

2021 წლის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ რესპონდენტების უმრავლესობას (85.6%) არც თავად უსარგებლია მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებით და არც მისი ოჯახის წევრს. გამოკითხულთა მეათედის შეფასებით კი, მუნიციპალიტეტი მათ უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფს.

მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა ყველაზე დაბალია ეთნიკური უმცირესობების რეგიონებში - ქვემო ქართლსა (94%) და სამცხე-ჯავახეთში (93%).

მაღალმთიან დასახლებებში, სხვა ტიპის დასახლებებთან შედარებით, უფრო ხშირია მუნიციპალიტეტის მიერ მაცხოვრებლების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა: მაღალმთიანი - 16%; სხვა ტიპის დასახლება - 8%.

ჯანდაცვის სერვისებით მოსარგებლე პირების უმრავლესობა მუნიციპალურ დახმარებებს დროულად იღებს. მათი შეფასებით, რეგისტრაციის პროცედურებიც იოლია. თუმცა, დროული მიღების თვალსაზრისით, შედარებით პრობლემური აღმოჩნდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამით სარგებლობა - მოსარგებლეთა მეოთხედს დროულად არ მიუღია აღნიშნული დახმარება და, ამ მხრივ, მუნიციპალიტეტის საქმიანობასაც ნეგატიურად აფასებს. სხვა მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისების გათვალისწინებით კი, მუნიციპალიტეტის საქმიანობა, ძირითადად, დადებითადაა შეფასებული.

რესპონდენტთა უმრავლესობას წარმოადგენენ ისინი, ვინც აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პროგრამით შინაური ცხოველისთვის/ფრინველისთვის პროფილაქტიკური აცრები ტარდება (2021 – 54%; 2019 – 67.7%; 2017 – 60.8%; 2015 – 67%; 2013 – 48.5%). 2021 წლის გამოკითხვაში მონაწილე პირების უმრავლესობას, წინა რაუნდებში გამოკითხული ინდივიდებისგან განსხვავებით, ამ პროგრამით უსარგებლია კიდეც. გაწეულ მომსახურებაში კი, ძირითადად, არაფერი გადაუხდიათ. ის პირები, რომელთაც აცრის მომსახურებაში რამე საფასური გადაიხადეს, აღნიშნავენ, რომ გადახდილი ოდენობა მისაღებია.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის ხუთივე რაუნდში მონაწილე პირების აბსოლუტური უმრავლესობა გაწეული მომსახურებით კმაყოფილია (2021 – 97.7%; 2019 – 97.9%; 2017 – 92.9%; 2015 – 96.7%; 2013 – 91.2%.); მეტიც, რესპონდენტების დიდი ნაწილი სახელმწიფო პროგრამით მიწოდებული ცხოველების აცრების სერვისს ენდობა (2021 – 79.6%; 2019 – 79.3%).

### რეკრეაცია/დასვენება/კულტურა

გამოკითხვის ხუთივე რაუნდში, რესპონდენტების დიდმა ნაწილმა მათ დასახლებაში/ქალაქში სპორტული მოედნის, საჯარო პარკის, ბიბლიოთეკის არსებობაზე მიუთითა; ყველაზე იშვიათად კი თეატრისა (2021 – 7.6%; 2019 – 8.8%; 2017 – 14.3%; 2015 – 14.3%; 2013 – 14.1%) და კულტურის სახლის/

სოფლის კლუბის (2021 – 7.9%; 2019 – 6.5%; 2017 – 8.4%; 2015 – 12.6%; 2013 – 12.1%) კატეგორია დასახელდა. საინტერესოა, რომ 2013-2017 წლებში, 2019-2021 წლების მონაცემებთან შედარებით, უფრო მეტი გამოკითხული პირი უსვამდა ხაზს თეატრისა და მუზეუმის არსებობას. თითოეული გასართობი/დასასვენებელი ადგილი რესპონდენტების სახლიდან, ძირითადად, 0-3 კმ-შია. როგორც აღმოჩნდა, წლების განმავლობაში რეკრეაციული/კულტურული ობიექტების მდგომარეობა გაუმჯობესებულია და 2021 წლის გამოკითხვაში ყოველი დასახელებული გასართობი/დასასვენებელი ადგილის მდგომარეობა ფასდება, როგორც „კარგი" (საშუალოდ 60%). 2021 წლის კვლევაში დადებითი შეფასების მაჩვენებლები წინა რაუნდების გამოკითხვების შედეგებს აღემატება, ანუ პოზიტიური დინამიკა შეინიშნება.

2013-2019 წლებში რესპონდენტების შეფასებით, მათ დასახლებაში/ქალაქში პრიორიტეტულად ბიბლიოთეკის, საჯარო პარკის, სპორტული მოედნის, კულტურის სახლის/სოფლის კლუბის გამართულად ფუნქციონირება განისაზღვრა. 2021 წლის კვლევაში შენარჩუნებულია სპორტული მოედნისა და საჯარო პარკის პრიორიტეტულობა, რასაც სხვა სპორტული ინფრასტრუქტურის (13%) გამართული ფუნქციონირება დაემატა.

### კომუნალური ინფრასტრუქტურა

კვლევის მონაწილეთა წილი, ვისაც ცენტრალური წყალმომარაგება აქვს, გამოკითხვის ტალღებს შორის იზრდება. ამავდროულად, ხუთივე რაუნდის შემთხვევაში რესპონდენტთა უმრავლესობის თანახმად, ცენტრალური წყალმომარაგება, რომელიც მიეწოდება, არის სასმელად ვარგისი. ხაზგასასმელია, რომ წლებს შორის ასევე ზრდადია წყლის თითქმის უწყვეტად მიწოდების მაჩვენებელი (2021 – 72.3%; 2019 – 71.8%; 2017 – 78.6%; 2015 – 66.7%; 2013 – 64.7%). აღნიშნული გრაფიკი ხუთივე რაუნდის რესპონდენტების მიერ ფასდება, როგორც დამაკმაყოფილებელი. დამატებით ხაზგასასმელია, რომ ის რესპონდენტები, ვისაც ცენტრალური წყალმომარაგება მიეწოდება, საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის წყლის რაოდენობას აფასებენ, როგორც საკმარისს. აღსანიშნავია **განსხვავებებიც:** ა) თბილისში მცხოვრები რესპონდენტების მიერ წყლის სასმელად ვარგისიანობის მაჩვენებელი აღემატება როგორც სოფლის, ასევე ქალაქის ზოგად მაჩვენებლებს; ბ) 2021 წლისათვის რესპონდენტთა წილი, ვინც **თბილისის** (84%) ან **ქალაქის** (81%) ჭრილში ამბობს, რომ წყალმომარაგების გრაფიკი თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია, საგრძნობლად აღემატება ასეთივე შეფასების წილს **სოფლის ტიპის დასახლებებში** (49%).

2019 წლის ჩათვლით, რესპონდენტები მეტად ასახელებენ, რომ წყლის საფასური სულადობის მიხედვით (40.3%) ერიცხებათ, ხოლო 2021 წლისათვის კვლევის მონაწილეები შედარებით ხშირად ასახელებენ, რომ საფასური ითვლება მრიცხველის მიხედვით (45.6%). რაც შეეხება წყლის საფასურის ხელმისაწვდომობას, ხუთი გამოკითხვის ეტაპის შემთხვევაში რესპონდენტთა ნახევარზე მეტი აფიქსირებდა, რომ წყლის საფასური მისთვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა. 2019-2021 წლისათვის, რესპონდენტთა უმრავლესობა ნდობას აცხადებს ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის მიმართ (4 და 5 ქულები 5 ქულიან სკალაზე: 2021 – 71.1%; 2019 – 76.9%); თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის მეხუთე ტალღისთვის ნდობის მაჩვენებელი მცირედით შემცირებულია.

რაც შეეხება ცენტრალურ საირიგაციო სისტემას, რესპონდენტების უმრავლესობა მიუთითებს, რომ დასახლებაში ეს სიტემა არ აქვს. ის რესპონდენტები, ვისაც დასახლებაში საირიგაციო სისტემა აქვს, 2013-2019 წლებში მას აფასებენ როგორც გამართულს, ხოლო 2021 წლისათვის ასეთი შეფასების წილი იკლებს (2021 – 45.6%; 2019 – 73.5%; 2017 – 74.3%; 2015 – 66.1%; 2013 – 66.6%). ამასთანავე, 2021 წლის კვლევაში შედარებით დაბალია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც საირიგაციო სისტემით სარგებლობის საფასურს აფასებს როგორც მისაღებს. 2019 წლისათვის რესპონდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ საირიგაციო სისტემას ენდობა, ხოლო 2021 წლისათვის ეს მონაცემი შესამჩნევად იკლებს: 2021 – 43.4%; 2019 – 70.8%.

2013-2021 წლებს შორის იზრდება იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ მათ დასახლებაში არის ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა (2021 – 55.1%; 2019 – 53%; 2017 – 51.2%; 2015 – 52.3%; 2013 – 49.6%). ამასთან, დასახლებაში ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის არსებობის შემთხვევაში, საცხოვრებელი ფართები, როგორც წესი, მიერთებულია ამ სისტემაზე. კვლევის მონაწილეები აღნიშნულ სისტემას მეტწილად აფასებენ, როგორც გამართულს. ამავდროულად, 2019-2021 წლისათვის კვლევის მონაწილეთა უმეტესობა ამბობს, რომ ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის მომსახურებას ენდობა.

როგორც აღმოჩნდა, ხუთივე რაუნდის გამოკითხვის პერიოდისათვის კვლევის მონაწილეთა სრულ უმრავლესობას ბოლო სამი თვის განმავლობაში ელექტროენერგია ფაქტობრივად 24 საათის განმავლობაში მიეწოდებოდა (2021 – 98.2%; 2019 – 94.7%; 2017 – 97.9%; 2015 – 93.8%; 2013 – 94.3%). რესპონდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ როგორც ზამთრის პერიოდში, ასევე დანარჩენ სეზონებზე მოწოდებული ელექტროენერგიის ხარისხით. გარდა ამისა, კვლევის მონაწილეები ასევე დადებითად აფასებენ ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებულ მომსახურებას. 2019-2021 წლების კვლევებში რესპონდენტთა უმრავლესობა ნდობას უცხადებს აღნიშნულ მომსახურებას (2021 – 88%; 2019 – 89%).

გამოკითხვის ყველა რაუნდისათვის რესპონდენტთა უმრავლესობა აფიქსირებს, რომ მათ დასახლებაში შეყვანილია ცენტრალური გაზსადენი. აღსანიშნავია, რომ წლების მიხედვით მზარდია იმ რესპონდენტთა წილი, ვის ოჯახსაც გაზი მიეწოდება ცენტრალიზებული სისტემიდან (2021 – 96.2%; 2019 – 95.5%; 2017 – 93.5%; 2015 – 92%; 2013 – 75.3%). გამოკითხვის ყველა ეტაპზე, რესპონდენტთა უმრავლესობა კმაყოფილებას გამოხატავს მიწოდებული გაზის ხარისხთან დაკავშირებით. ამასთან, გამოკითხვის ხუთივე ტალღისათვის გაზმომსახურება მეტწილად დადებითად ფასდება. 2019-2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტთა სრული უმრავლესობა აფიქსირებს, რომ გაზმომარაგებასთან დაკავშირებულ მომსახურებას ენდობა.

გამოკითხვის ყველა რაუნდში რესპონდენტთა უმრავლესობა აფიქსირებს, რომ მათი დასახლებიდან/უბნიდან ნარჩენების გატანა რეგულარულად ხდება. ამასთან, ასეთი პრაქტიკა წლების მიხედვით ერთმნიშვნელოვნად მზარდია (2013 – 59%; 2015 – 73.5%; 2017 – 78.7%; 2019 – 88.6%; 2021 – 90.9%). ხუთივე კვლევაში მინიმუმ ყოველი მეორე რესპონდენტი მიუთითებს, რომ ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ. აღსანიშნავია, რომ 2019 წელთან შედარებით (84.5%), 2021 წლისათვის (95.4%) მაღალმთიან დასახლებებში 11%-ით არის გაზრდილი რესპოდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ მათი დასახლებიდან ხდება ცენტრალიზებულად ნარჩენების გატანა.

გამოკითხვის ყველა რაუნდში რესპონდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ნარჩენების გატანის მომსახურების მიმართ. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2021 წლისათვის კმაყოფილების პროცენტული წილი სხვა წლებთან შედარებით რამდენადმე იკლებს: 2021 – 83.4%; 2019 – 90.7%; 2017 – 89.2%; 2015 – 87.8%; 2013 – 85.8%. ნარჩენების გატანის მომსახურებასთან მიმართებით უკმაყოფილება სხვადასხვა წლის გამოკითხვის ფარგლებში ნაწილდება სამ ძირითად მიზეზს შორის, ესენია რეგულარობა, ხარისხი და ჰიგიენური ნორმების დაცვა. აღსანიშნავია, რომ კვლევის ყველა ტალღისათვის ნარჩენების გატანის საფასური ფასდება, როგორც ხელმისაწვდომი. 2019-2021 წლებში კვლევის მონაწილეები ნდობას აცხადებენ ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანასთან დაკავშირებული მომსახურების მიმართ.

რაც შეეხება დასუფთავებისსერვისს, რესპონდენტების გამოკვეთილი უმრავლესობა აფიქსირებს, რომ ქუჩებს ყოველდღიურად ასუფთავებენ (2021 – 71.2%; 2019 – 73.4%; 2017 – 78.5%; 2015 – 80.1%; 2013 – 79.1%), რაც რესპონდენტების ერთმნიშვნელოვან კმაყოფილებას იწვევს. დასუფთავების სამსახურის მომსახურებასთან მიმართებით უკმაყოფილება კვლევის ყველა ეტაპისათვის დაკავშირებულია სამ ძირითად საკითხთან, ესენია: ხარისხი, რეგულარობა და ჰიგიენური ნორმების დაცვა. 2019-2021

წლების გამოკითხვის თანახმად რესპონდენტები ნდობას გამოთქვამენ ქუჩის დასუფთავებასთან დაკავშირებული მომსახურების მიმართ.

### გზები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი

გზებთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურის კომპონენტებს, როგორებიცაა დასახლების/უბნის შიგნით გადასაადგილებელი გზები (2021 – 63.2%; 2019 – 63.9%; 2017 – 56.5%; 2015 – 53.5%; 2013 – 46.5%), დასახლებასთან/დაბასთან/ქალაქთან მისასვლელი გზები (2021 – 83.5%; 2019 – 84.4%; 2017 – 76.8%; 2015 – 80.1%; 2013 – 72.4%), უახლოესი ავტომაგისტრალი (2021 - 87.6%; 2019 – 88.4%; 2017 – 89.3%; 2015 – 92%; 2013 – 88.2%), საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე (2021 – 64.7%; 2019 – 71.2%; 2017 – 80.6%; 2015 – 82%; 2013 – 72.9%), საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფასი (2021 – 75.6%; 2019 – 72.2%; 2017 – 81.3%; 2015 – 79.1%; 2013 – 66.2%), საგზაო ნიშნების რაოდენობა (2021 – 59%; 2019 – 63.5%; 2017 – 58.1%; 2015 – 64.4%; 2013 – 53%), შუქნიშნების რაოდენობა (2021 – 39.7%, 2019 – 39.4%; 2017 – 45.7%;2015 – 40.8%; 2013 – 39%)ქუჩების/დასახლების განათება (2021 – 76.9%; 2019 – 78.6%; 2017 – 75.7%;2015 – 66.4%; 2013 – 61.5%)ქუჩაზე სახლების ნუმერაცია (2021 – 50.6%; 2019 – 48.3%; 2017 – 49.4%; 2015 – 45.9%; 2013 – 41.5%)ხუთივე რაუნდის გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტები დადებითად აფასებენ.

სასოფლო დასახლებების შიგნით გადასაადგილებელ გზებს პრაქტიკულად ყველა რაუნდში რესპონდენტების უმრავლესობა ცუდად აფასებს (2021 – 56%; 2017 – 74%; 2015 – 66%; 2013 – 65%).

საგზაო ინფრასტრუქტურის ის კომპონენტები, რაც, რესპონდენტთა აზრით, მათ მუნიციპალიტეტებში გამოსასწორებელია, შემდეგია: გზების ხარისხი (2021 - 30.5%; 2019 – 37.6%) ქვეითთა გადასასვლელების მოწყობა (2021 – 10.8%; 2019 – 11.3%) სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების არსებობა (2021 – 13.8%; 2019 – 13.7%) საგზაო ნიშნების (2021 – 11.6%; 2019 – 6.5%) და გამაფრთხილებელი/საგზაო ნიშნების მოწყობა (2021 - 10%; 2019 - 9.6%), ასევე ქვეითთა/ველოსიპედის ბილიკები/ტროტუარების არსებობა (2021 - 9.6%; 2019 – 11.8%).

2019-2021 წლებში საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს შორის ხშირად სახელდება: ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა როგორც ცენტრალურ, ასევე გარეუბნებში(2021 – 17.1%; 2019 - 11%), ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი (2021 – 16.1%; 2019 – 19.6%), ტრანსპორტის არასათანადო მდგომარეობა (2021 - 11.6%; 2019 - 13.8%), ტრანსპორტის გაუმართაობა (2021 - 10.7%; 2019 - 17.5%) და მგზავრობაზე დახარჯული დრო (2021 - 5.4%; 2019 - 17%).

### სხვადასხვა მომსახურება

სხვადასხვა მომსახურებით კმაყოფილების თვალსაზრისით, კვლევის ხუთივე რაუნდის მონაცემების შედარება ცხადყოფს, დასახლების/ქალაქის ურბანული დაგეგმარებით კმაყოფილი რესპონდენტების წილი ყველაზე მაღალი კვლევის მე-5 (72.1%) და პირველ რაუნდებშია (72.1%); დასახლებაში/ქალაქში მშენებლობის რეგულაციით კმაყოფილი რესპონდენტების ყველაზე მაღალი წილი კი 2021 (54.8) და 2015 (49.2%) წლებში დაფიქსირდა. რაც შეეხება დასახლების / ქალაქის კეთილმოწყობის საკითხს, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების თანახმად, რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი კმაყოფილი 2021 (74.2%) და 2019 (65%) წლებში აღმოჩნდა. 2021 წელს გამოკითხულმა რესპონდენტებმა თითოეული მომსახურებით უკმაყოფილების მიზეზები დაასახელეს. ურბანულ დაგეგმარებასთან მიმართებით უკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მწვანე ადგილების დეფიციტია(24.1%), მშენებლობის რეგულაციების შემთხვევაში კი ახალი მრავალსართულიანი კორპუსების აშენების საკითხი (23.4%); ქალაქის კეთილმოწყობით უკმაყოფილო რესპონდენტები, ამის განმაპირობებელ ფაქტორად კეთილმოუწყობელ სკვერებსა და პარკებს ასახელებს (30.5%). შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს ჭრილში კი მთავარი პრობლემა ეტლით მოსარგებლეთათვის პანდუსების არარსებობაა (44.6%).

### ტურიზმი

2021 და 2019 წლის კვლევებში რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა მათი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის ტურიზმის მნიშვნელობაზე მიუთითებს. მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტების რაოდენობის შეფასების თვალსაზრისით, კვლევის პირველი სამი რაუნდის განმავლობაში ფიქსირდება მზარდი ტენდენცია; თუმცა, მეოთხე და, განსაკუთრებით, მეხუთე რაუნდისთვის (პანდემიის ფაქტორი!) რეალობა რამდენადმე იცვლება და ნეგატიურ დინამიკას უჩვენებს (2021 – 77.4%; 2019 – 83.8%; 2017 – 88.8%; 2015 – 78.1%, 2013 – 76.1%). გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა, კვლევის 5-ვე ეტაპზე, ტურისტთა ჩამოსვლის ძირითად სეზონად ზაფხულს ასახელებს.

### გარე ვაჭრობა/ბაზრები/ბაზრობები

რაც შეეხება გარე ვაჭრობისა და ბაზრობების საკითხს, გამოკითხულთა უმრავლესობა კმაყოფილია ამ სერვისებით. გარე ვაჭრობის ორგანიზების მიმართ დადებითი განწყობების მქონე რესპონდენტთა წილი კვლევაში 69.5%-ია. რაც შეეხება უარყოფით შეფასებებს, გამოკითხულთა მეხუთედი ამ საკითხით უკმაყოფილო (17.6%) ან ძალიან უკმაყოფილოა (2.6%). ბაზრების/ბაზრობების ორგანიზებით კმაყოფილი რესპონდენტების წილი კვლევაში 73.9%-ს უტოლდება. ამ საკითხით უკმაყოფილო რესპონდენტების რაოდენობა კი 16.9%-ია. უარყოფითი დამოკიდებულებების მქონე პირების ამგვარი განწყობის ძირითადი მიზეზი უსუფთაობა/დარღვეული სანიტარიული სტანდარტებია.

### სოფლის მეურნეობა

ხუთივე რაუნდის კვლევაში რესპონდენტების უმრავლესობა სოფლის მეურნეობას პრიორიტეტულად აფასებს მათი მუნიციპალიტეტების განვითარებისთვის.

მეორე მხრივ, 2015 წლიდან მოყოლებული, 2013 წელთან შედარებით, მკვეთრად მატულობს იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობის განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ხელშეწყობის არარსებობაზე მიუთითებენ, ან ასეთი ხელშეწყობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ (ამ ორი პოზიციის მქონე რესპონდენტები 2015, 2017, 2019 და 2021 წლებში გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენს).

საყურადღებოა ისიც, რომ გამოკითხვის რაუნდებში იმ პირების ოდენობა მზარდია, რომელთათვისაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დახმარება არ არის ხელმისაწვდომი. სახელმწიფო დახმარებებით მოსარგებლე რესპონდენტებმა დაასახელეს დახმარების სახეები, რომელთა შორის გამოირჩევა ვაუჩერები, სასუქი, პესტიციდები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება. ამ და სხვა სერვისით მოსარგებლე პირები გაწეული დახმარებით, ძირითადად, კმაყოფილნი არიან.

### უსაფრთხოება

კვლევის სხვადასხვა ტალღის ფარგლებში რესპონდენტთა შეფასებით მათ დასახლებაში/ქალაქში/დაბაში მოსახლეობის უსაფრთხოება დაცულია (2021 – 80.7%; 2019 – 64.8%; 2017 – 72.2%; 2015 – 83.2%; 2013 – 85.5%). კონკრეტული კომპონენტების შეფასების მხრივ რესპონდენტების შეფასებით მათ დასახლებაში ნაკლებად არის გავრცელებული ძარცვა / ყაჩაღობა (2021 – 87.5%; 2019 – 83.5%; 2017 – 85.3%; 2015 – 91.5%; 2013 – 94.4%), ნარკოტიკების მოხმარება (2021 – 69.4%; 2019 – 56.9%; 2017 – 74.9%; 2015 – 81.6%; 2013 – 85.6%), ალკოჰოლის მოხმარება (2021 – 59%; 2019 – 50.8%; 2017 – 65.9%; 2015 – 72%; 2013 – 72%), წვრილმანი ხულიგნობა (2021 – 81.4%; 2019 – 72.8%; 2017 – 78.4%; 2015 – 87%; 2013 – 89.5%), ძალადობა ოჯახში (2021 -71.6%; 2019 – 69.2%; 2017 – 66.6%; 2015 – 79%; 2013 – 83.4%) და განქორწინება (2021 – 70.6%; 2019 – 60.6%; 2017 – 62.5%; 2015 – 74.3%; 2013 – 78.1%). უსაფრთხოების საკითხების

შეფასების მხრივ, კვლევის ტალღებს შორის იკვეთება მსგავსი ტენდენცია. კონკრეტულად, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემური გარემოებების გავრცელება ეტაპობრივად იზრდება 2013 წლის მომდევნო წლებში, ხოლო 2021 წლისათვის შედარებით მცირდება.

### ელექტრონული სერვისები

2021 წლისათვის გაზრდილია როგორც სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ ცოდნა (2021 – 52. 5%, 2019 – 37.8%; 2017 – 39.3%; 2015 – 33.6%; 2013 – 32%)ასევე ამ სერვისებით სარგებლობის მაჩვენებელი (2021 – 45.7%;  2019 – 26.5%; 2017 –  17.9%; 2015 – 19.3%; 2013 – 22.9%)კვლევის სხვადსხვა რაუნდის ფარგლებში რესპონდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ელექტრონული სერვისების მიმართ (2021 - 93.5%; 2019 – 93.9%; 2017 – 97.5%; 2015 – 95.7%; 2013 - 97.5%). 2019-2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში სახელმწიფო ელექტრონული სერვისებისადმი ნდობას რესპონდენტთა უმეტესობა გამოთქვამს (2021 – 70.2%; 2019 - 70.2%).

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ  2019-2021 წლებისათვის რესპონდენტთა მიახლოებით ნახევარს  (2021 – 50.6%; 2019 – 53.4%) არ სმენია  ელექტრონული სერვისების შესახებ. ხოლო მათ შორის, ვისაც აღნიშნული სერვისის შესახებ სმენია, მხოლოდ მცირე ნაწილს გამოუყენებია ის (2021 – 12.1%; 2019 – 13.5%)კვლევის მონაწილეები კონკრეტულად მიუთითებენ მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის (2021 – 61.3%; 2019 – 55.7%),  ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდის გამოყენებაზე (2021 – 25.7%; 2019 – 15.8%). ზოგადად, მუნიციპალური ელექტრონული სერვისებით კმაყოფილებას 2019-2021 წლებში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა გამოთქვამს (2021 – 73.7%; 2019 – 73.3%). კვლევის მონაწილეების მხრიდან მუნიციპალური ელექტრონული სერვისებისადმი ნდობა 2021 წლისათვის ზრდადია (2021 – 70.8%; 2019 – 62.2%).

### ეკოლოგია

ხუთივე რაუნდის კვლევაში რესპონდენტები მათ საცხოვრებელ ადგილას არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას სამი პარამეტრის მიხედვით - ჰაერის დაბინძურება, ნიადაგის დაბინძურება, ბუნებრივი წყლის რეზერვუარების დაბინძურება - ძირითადად უფრო დადებითად აფასებენ, ვიდრე უარყოფითად (გამონაკლისია 2013 წელი, როდესაც ჰაერის დაბინძურების შესახებ შეფასება უარყოფითი შეფასების ველში მოექცა). ამასთან, ყოველ მომდევნო გამოკითხვაში დადებითი შეფასების მაჩვენებლები, როგორც წესი, რამდენადმე უმჯობესდება. მიუხედავად ამისა, არსებობს კრიტიკულად განწყობილ რესპონდენტთა რაოდენობა (11-44%-ის ფარგლებში), რომელიც უკმაყოფილოა მათი საცხოვრებელი ადგილის ეკოლოგიური მდგომარეობით. რესპონდენტთა უკმაყოფილება განსაკუთრებით  ჰაერის დაბინძურებას უკავშირდება.

რესპონდენტთა უმრავლესობამ, გამოკითხვის ხუთივე რაუნდში, არ იცის, ანდა აღნიშნავს, რომ მთავრობა არ ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს დაბინძურებული გარემოს გასაუმჯობესებლად.

ინფორმირებული (ანუ, ვინც იცის, რომ მთავრობა გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებს) რესპონდენტები, გამოკითხვის ყველა ეტაპზე, ორ ძირითად ღონისძიებას გამოყოფენ, რასაც მთავრობა ახორციელებს ეკოლოგიური ვითარების გასაუმჯობესებლად: ა) გარემოს დროული/ეფექტიანი დასუფთავება და ბ) ტყეში ხეების ჭრაზე შეზღუდვები და კონტროლი. ინფორმირებულ რესპონდენტთა უმრავლესობა კმაყოფილებას გამოხატავს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ამა თუ იმ ღონისძიების მიმართ.

### ქალთა ოთახები

2019-2021 წლებში გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობას მუნიციპალიტეტში არსებული ქალთა ოთახების შესახებ არ სმენია. ინფორმირებული პირების დიდი ნაწილი კი არ იცნობს არავის,

ვისაც ქალთა ოთახის მომსახურებით უსარგებლია. განსაკუთრებით დაბალია იმ გამოკითხულთა წილი, ვისაც ეს სერვისი თავად გამოუყენებია.

გამოკითხულთა დიდი ნაწილის შეფასებით, მათ მუნიციპალიტეტში ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისები ხელმისაწვდომია (2021 – 41.4%; 2019 – 56.7%). თუმცა, რესპონდენტების უმრავლესობას არავისთვის ურჩევია, რომ ოჯახში ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისები გამოეყენებინა.

მუნიციპალიტეტებში არსებული ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისების მიმართ 2019 წლის კვლევაში ჩართულ პირებს (54%) უფრო პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ, ვიდრე 2021 წელს გამოკითხულებს (49.5%). თუმცა, აღსანიშნავია, რომ მონაცემის შემცირება უნდობლობის მაჩვენებლის ზრდის შედეგად არ მომხდარა - 2021 წლის გამოკითხვაში გაზრდილია იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებენ.

### მუნიციპალური მომსახურების ზოგადი შეფასება

გამოკითხვის ხუთივე ტალღაში რესპონდენტებს ზომიერად პოზიტიური დამოკიდებულება გააჩნიათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (მერია/საკრებულო) და სოფლად მერის წარმომადგენლების მიმართ. ეს ნიშნავს, რომ რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი იზიარებს შეფასებებს „კმაყოფილი ვარ“ და „ვენდობი“. მეორე მხრივ, სხვადასხვა წლის გამოკითხვაში ყოველი მეხუთე ან მეოთხე (ხოლო 2021 წლის კვლევაში - ყოველი მესამე) რესპონდენტი უკმაყოფილო ან ძალიან უკმაყოფილოა მერია/საკრებულოს მუშაობით. უკმაყოფილების ძირითად მიზეზებად სახელდება ის, რომ არ ხდება მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინება და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აქვთ კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობით ყველაზე მეტად კმაყოფილები საქართველოს 5 **რეგიონში** არიან: შიდა ქართლი - 57%, გურია - 57%, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - 57%, იმერეთი - 56%, და **აჭარა** 55%. ყველაზე მეტად უკმაყოფილო რეგიონებს შორის გამოირჩევა: თბილისი - 39%, **აჭარა** - 39%, მცხეთა-მთიანეთი - 37%, ქვემო ქართლი - 34%.

გამოკითხვების ხუთივე რაუნდში, ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობით ყველაზე უკმაყოფილონი ახალგაზრდა (18-24 ასაკობრივი ჯგუფის) რესპონდენტები არიან.

საინტერესოა, რომ, ყველა კვლევაში, ეთნიკურ ქართველებში მუნიციპალური ორგანოების მიმართ კმაყოფილება უფრო მაღალია, ვიდრე ეთნიკური უმცირესობების ჯგუფებში.

2021 და 2019 წლების გამოკითხვებში ყოველი მეორე, ან უფრო მეტი რესპონდენტი ინარჩუნებს ზომიერად პოზიტიურ დამოკიდებულებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ, რამდენადაც იზიარებს მოსაზრებას, რომ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ასევე თავად მიღებული გადაწყვეტილებები მეტ-ნაკლებად პასუხობს მოქალაქეთა მოთხოვნებს.

რესპონდენტებმა დაასახელეს სამი ფაქტორი, რაც, მათი აზრით გააუმჯობესებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოქალაქეთა საჭიროებების დაკმაყოფილებას:

- გადაწყვეტილებების მიღებისას უფრო მეტად გაითვალისწინონ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები
- მეტი ბიუჯეტი გამოყონ მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად
- უფრო ხშირი შეხვედრები მოაწყონ მოსახლეობასთან.

სხვადასხვა წლის კვლევებში რესპონდენტთა უმრავლესობა (2021 – 55.5%; 2017 – 52.6%; 2015 – 54.6%), ხოლო ზოგიერთ კვლევაში (2019 – 48.5%; 2013 – 47.5%) ყველაზე დიდი ნაწილი, იზიარებს მოსაზრებას, რომ მათი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ეფექტიანად ურთიერთობს მოსახლეობასთან. მეორე მხრივ, სულ მცირე, ყოველი მესამე რესპონდენტი, ხუთივე კვლევაში, აცხადებს, რომ მუნიციპალური ხელმძღვანელობის ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან არაეფექტიანია.

2021 და 2019 წლის კვლევებში გამოკითხულთა უმრავლესობა (52-56%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეები მეტ-ნაკლებად არიან ჩართულები. ამასთან, 2021 წლის გამოკითხვაში რესპონ-დენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ ქალები და მამაკაცები თანაბრად მონაწილეობენ აღნიშნულ პროცესში (2019 წელს გენდერულად არაგანპირობებულ ჩართვაზე მიუთითებდა გაცილებით ნაკლები - 35% და დაახლოებით ამდენივე ნაწილი მამაკაცების უფრო მეტად მონა-წილეობას უსვამდა ხაზს).

რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი ორივე - 2021 წლის (32%) და 2019 წლის (45%) - კვლევებში მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ ახორციელებს არანაირ ღონისძიებას, რათა გაიზარდოს ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ხუთივე რაუნდის კვლევა აჩვენებს, რომ, ბოლო 2 წლის განმავლობაში, რესპონდენტთა უმრავ-ლესობას არასოდეს მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის (მერია/საკრებულო) რომელიმე კონკრეტული პრობლემების მოგვარების მიზნით. მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა 2019 წელს (22%), ყველა სხვა წელთან, მათ შორის, 2021 წელთან (16%) შედარებით. იმათ შორის, ვინც ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა, ძირითად ნაწილს ან ერთხელ, ან 2-3 ჯერ მიუმართვს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. აღსანიშნავია, რომ, 2019 წელთან შედარებით, 2021 წელს იკლო მიმართვიანობის ინტენსივობამ (როგორც ჩანს, აქ აუცილებლად გასათვალისწინებელია პანდემიის ფაქტორი. აქვე აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის მეხუთე რაუნდის რესპონდენტები კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მუშაობით კმაყოფილები არიან - 54.7%. მონაწილეთა მეხუთედს (20.1%) გაუჭირდა პასუხის გაცემა, რაც შესაძლოა სწორედ თვითმმართველობებისადმი დაბალი მიმართვიანობით იყოს განპირობებული).

გამოიკვეთა ორი საკითხი/პრობლემა, რომელთა გამოც მოსახლეობა ყველაზე ხშირად მიმართავს ადგილობრივ თვითმმართველობას (მერია/საკრებულო):

- სოციალური საკითხები (სოციალური დახმარება, უმუშევრობა და ა.შ.)
- ინფრასტრუქტურული პრობლემები (გაზის შეყვანა სოფელში, წყალმომარაგება, ელექტრო-ენერგია).

ხუთივე რაუნდის კვლევაში რესპონდენტთა პოზიციები გაყოფილია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მოუგვარა მათ პრობლემური საკითხები ადგილობრივმა ხელისუფლებამ: ერთი ნაწილი (დაახლოებით მესამედი ან მესამედზე მეტი) მიუთითებს, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას არც ერთი პრობლემა არ მოუგვარებია (2021 – 32.5%; 2019 – 38.2%; 2017 – 31.2%; 2015 – 38%; 2013 – 35.2%); რესპონდენტთა მეორე - ოდნავ მცირე - ნაწილი აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ მათ პრობლემები სრულად მოუგვარა (2021 – 28.3%; 2019 – 29.3%; 2017 – 31.4%; 2015 – 30.1%; 2013 – 28.6%).

ხუთივე რაუნდის გამოკითხვა აჩვენებს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობას (71-87%-ის ფარგლებში), ბოლო ერთი წლის განმავლობაში, არ უცდია შეესრულებინა არც ერთი სამოქალაქო აქტივობა,

რომელიც აჩვენებდა მათ მოტივაციას, მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში (2021 წლის კვლევაში ასეთთა წილი 77.3%-ია).

გამოიკვეთა შემდეგი აქტივობები, რომელთა შესრულების მცდელობა რესპონდენტებს ჰქონდათ:

- დასახლების/სამეზობლოს პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება
- შეკითხვის დასმა საჯარო შეხვედრაზე
- პოლიტიკოსისათვის, ადგილობრივი ან ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლისათვის პირადი ან წერილობითი მიმართვა
- მონაწილეობის მიღება პოლიტიკურ ან საგანმანათლებლო საკითხებზე გამართულ შეხვედრებში.

უმრავლეს შემთხვევებში რესპონდენტთა მცდელობებს, განეხორციელებინათ ესა თუ ის სამოქალაქო აქტივობა, შესაბამისი რეალური ქმედებებიც მოჰყვა.

იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში განახორციელეს ესა თუ ის სამოქალაქო აქტივობა, კიდევ უფრო მეტად დააკონკრეტეს ის, თუ რა საკითხს შეეხებოდა მათი აქტივობები, რომელთა შორის (2021, 2019 და 2017 წლებში) გამოიკვეთა რამდენიმე:

- კეთილმოწყობა: ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, გამწვანება, განათება
- წყალმომარაგების საკითხები
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება
- ბიუჯეტის მომზადება/განხილვა/დამტკიცება/ცვლილებების შეტანა (2017 და 2021 წლებში).

რესპონდენტებმა, რომლებსაც (ბოლო ერთი წლის განმავლობაში) არ განუხორციელებიათ რაიმე სამოქალაქო აქტივობა, დაასახელეს თავიანთი პასიურობის მიზეზები, რომელთა შორის ხაზგასმულია შემდეგი:

- არ მეცალა
- ჩემი აქტივობა არაფერს შეცვლიდა
- არ დავფიქრებულვარ ასეთ საკითხებზე.

# ინფორმირებულობა

საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევის ფარგლებში, 2021 წელს გამოკითხულმა რესპონდენტებმა შეაფასეს საკუთარი ინფორმირებულობის დონე მუნიციპალური პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ისეთი პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ, როგორებიცაა: სოციალური დახმარების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურული, საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამები, ასევე, დასუფთავება/გარემოს დაცვა, სპორტი და ახალგაზრდობა, დასაქმება/ადგილობრივი განვითარება, კომუნალური სერვისები და ტრანსპორტი.

კვლევის შედეგად მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა შორის ისეთთა წილი, რომლებიც თავს „კარგად ინფორმირებულად" მიიჩნევენ შედარებით მაღალია ისეთი მომსახურებების შემთხვევაში, როგორებიცაა კომუნალური სერვისები (17.5%) და ტრანსპორტი (16.1%). ზემოთ ჩამოთვლილ სხვა სერვისებთან მიმართებით „კარგად ინფორმირებული" რესპონდენტების წილი 10.9%-15.3%-ს შორის ვარირებს. აღსანიშნავია, რომ არაინფორმირებული რესპონდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ინფორმირებული რესპონდენტების პროცენტულ მაჩვენებლებს. ასეთთა  შორის განსაკუთრებით მაღალია დასაქმების/ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა (30.6%) და კულტურული პროგრამების (30.3%) თაობაზე არაინფორმირებულთა რაოდენობა. უკიდურესად არაინფორმირებული რესპონდენტების წილი შედარებით დაბალია ჯანდაცვის (15.6%) და სოციალური დახმარების პროგრამების შემთხვევაში (18.3%) (იხ. დიაგრამა #1).

ხსენებული საკითხის რეგიონის ჭრილში გაანალიზება ცხადყოფს, რომ თითოეული პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ, გარდა ტრანსპორტისა (აჭარა - 39.2%), ყველაზე მეტად რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობაა ინფორმირებული (ინფორმირებულობის დონე - კარგად ინფორმირებული - თითოეული პროგრამის შემთხვევაში მერყეობს 35.8%-38.3%-მდე). რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის ცოდნის დონე განსაკუთრებით მაღალია შემდეგ პროგრამებთან მიმართებით: კომუნალური სერვისები - 38.3%; ჯანდაცვის პროგრამები - 38%; დასუფთავება/გარემოს დაცვა - 38%; სოციალური დახმარების პროგრამები - 36.7%; ტრანსპორტი - 36%; ამასთან, რამდენადმე მაღალია აჭარის მოსახლეობის ინფორმირებულობის დონეც, თუმცა, ზოგიერთი პროგრამის შემთხვევაში თბილისის მოსახლეობა უფრო მეტად ინფორმირებული აღმოჩნდა. მაგალითად, ასეთია, კულტურული პროგრამები (აჭარა - 19%, თბილისი - 20.4%) და დასაქმება/ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება (აჭარა - 18%; თბილისი – 20.9%). გარდა თქმულისა, რესპონდენტების რეგიონული განაწილება აჩვენებს, რომ თითოეული პროგრამის შესახებ არაინფორმირებულ (საერთოდ არ ვარ ინფორმირებული) რესპონდენტთა წილი ყველაზე მაღალია იმერეთში (21.7%-60.3%-მდე მერყეობს). ხსენებულ რეგიონში მცხოვრები რესპონდენტების ინფორმირებულობის დონე განსაკუთრებით დაბალია კულტურული პროგრამებისა (60.3%) და სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებული პროგრამების (60.2%) შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ გარდა იმერეთისა, ასევე, სხვა რეგიონებშიც დაბალია ამა თუ იმ პროგრამის შესახებ ცოდნის დონე. თბილისში, განსაკუთრებით მაღალია ინფრასტრუქტურული (62.1%) და ჯანდაცვის პროგრამების (60.3%) შესახებ არაინფორმირებულ რესპონდენტთა წილი.

**დიაგრამა #1 - მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა**




მუნიციპალური პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის დონის **ქალაქი-სოფლის ჭრილში** განხილვა აჩვენებს, რომ გარდა სპორტი და ახალგაზრდობის პროგრამებისა (ქალაქი - 14.1%; სოფელი - 8.8%), დანარჩენი მომსახურებების შესახებ ***„კარგად ინფორმირებულთა“*** ხვედრითი წილი საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებებში გამოკითხულთა შორის თითქმის იდენტურია. რაც შეეხება დედაქალაქის მოსახლეობის ცოდნის დონეს მუნიციპალური პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული მომსახურებების შესახებ, თითქმის ყველა პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად აღემატება როგორც ქალაქის, ასევე, სოფლის კარგად ინფორმირებული მაცხოვრებლების წილს. გამონაკლისია მხოლოდ ჯანდაცვის (თბილისი - 14%; ქალაქი - 17.5%; სოფელი - 13.4%) და ინფრასტრუქტურული (თბილისი - 13.7%; ქალაქი - 12.8%; სოფელი - 10.5%) პროგრამები. აღსანიშნავია, რომ როგორც ქალაქში, ასევე, სოფელში, მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე ყველაზე მაღალია ჯანდაცვის პროგრამების (ქალაქი - 17.5%; სოფელი - 13.4%), კომუნალური სერვისებისა (ქალაქი - 18.2%; სოფელი - 14.9%) და ტრანსპორტის თაობაზე (ქალაქი - 16.6%; სოფელი - 13.7%). თბილისის შემთხვევაში კი ასეთ სერვისებად, კომუნალურ სერვისებთან და ტრანსპორტთან ერთად, სოციალური დახმარების პროგრამებიც სახელდება. რაც შეეხება ისეთ რესპონდენტთა წილს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ***საერთოდ არ არიან ინფორმირებული*** მუნიციპალური პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ამა თუ იმ პროგრამის შესახებ რამდენადმე მაღალია თბილისის და სოფლების მოსახლეობის შემთხვევაში, ვიდრე სხვა ქალაქების. აღსანიშნავია, რომ ისეთი მუნიციპალური სერვისების შესახებ, როგორებიცაა სოციალური დახმარების, ჯანდაცვის და ინფრასტუქტურული პროგრამები, არაინფორმირებულთა წილი დედაქალაქის შემთხვევაში უფრო მაღალია ვიდრე სოფლების.

სასოფლო და ქალაქის ტიპის დასახლებებში გამოკითხულთა შორის ინფორმაციის არქონას ყველაზე მეტად ისეთ სერვისებთან მიმართებით აფიქსირებენ, როგორებიცაა: დასაქმება/ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროგრამები (ქალაქი - 24%; სოფელი - 37.6%), კულტურული პროგრამები (ქალაქი - 24.2%; სოფელი - 35.9%) და სპორტი და ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებული მომსახურებები (ქალაქი - 23.1%; სოფელი - 35.3%). თბილისის შემთხვევაში ასეთ მომსახურებებად, ხსენებულთან ერთად, ინფრასტრუქტურული, საგანმანათლებლო და დასუფთავება/გარემოს დაცვის სერვისებიც სახელდება (იხ. ცხრილი #1).

**ცხრილი #1 - მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა ქალაქი/სოფლის ჭრილში N=3400 | | კარგად ინფორმირებული | მეტ-ნაკლებად ინფორმირებული | მცირედ ინფორმირებული | საერთოდ არ ვარ ინფორმირებული | მიჭირს პასუხის გაცემა | უარი პასუხზე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | | |
| სოციალური დახმარების პროგრამები | თბილისი | 19.5 | 25.5 | 28 | 26.3 | 0 | 0.8 |
| | ქალაქი | 15.5 | 30.1 | 36.1 | 15.3 | 0.1 | 2.8 |
| | სოფელი | 13.3 | 33.6 | 32.5 | 19.3 | 0.1 | 1.2 |
| | **საქართველო** | **15** | **31.1** | **33.6** | **18.3** | **0.1** | **1.9** |
| ჯანდაცვის პროგრამები | თბილისი | 14 | 25 | 36 | 24.3 | 0 | 0.8 |
| | ქალაქი | 17.5 | 30.1 | 38.3 | 11.4 | 0.2 | 2.4 |
| | სოფელი | 13.4 | 35.1 | 32.6 | 17.6 | 0 | 1.2 |
| | **საქართველო** | **15.3** | **31.7** | **35.6** | **15.6** | **0.1** | **1.7** |
| ინფრასტრუქტურული პროგრამები | თბილისი | 13.7 | 22.7 | 31.2 | 30.9 | 0.2 | 1.2 |
| | ქალაქი | 12.8 | 30.7 | 34.5 | 17.7 | 0.3 | 4.1 |
| | სოფელი | 10.5 | 29.9 | 30 | 26.6 | 0 | 2.9 |
| | **საქართველო** | **11.9** | **29.4** | **32.2** | **23.1** | **0.1** | **3.3** |
| საგანმანათლებლო პროგრამები | თბილისი | 18 | 23.7 | 28.4 | 28.9 | 0.2 | 0.7 |
| | ქალაქი | 13.9 | 24.5 | 35.4 | 21.1 | 0.6 | 4.5 |
| | სოფელი | 11.4 | 24.9 | 29.9 | 30.5 | 0 | 3.3 |
| | **საქართველო** | **13.3** | **24.6** | **32.2** | **26.1** | **0.3** | **3.6** |
| კულტურული პროგრამები | თბილისი | 20.4 | 18.9 | 25.6 | 32.8 | 0.5 | 1.7 |
| | ქალაქი | 12.4 | 22.8 | 34.9 | 24.2 | 0.4 | 5.3 |
| | სოფელი | 8.8 | 23.5 | 27.7 | 35.9 | 0.1 | 4.1 |
| | **საქართველო** | **11.8** | **22.7** | **30.7** | **30.2** | **0.3** | **4.4** |
| დასუფთავება, გარემოს დაცვა | თბილისი | 19.8 | 22 | 27.3 | 29.8 | 0.3 | 1 |
| | ქალაქი | 15.5 | 26.5 | 36.7 | 16.7 | 0.5 | 4 |
| | სოფელი | 11.4 | 26.2 | 29.9 | 29.2 | 0.1 | 3.2 |
| | **საქართველო** | **14.3** | **25.8** | **32.7** | **23.6** | **0.3** | **3.3** |

(გაგრძელება)

| მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა ქალაქი/სოფლის ჭრილში N=3400 | | კარგად ინფორმირებული | მეტ-ნაკლებად ინფორმირებული | მცირედ ინფორმირებული | საერთოდ არ ვარ ინფორმირებული | მიჭირს პასუხის გაცემა | უარი პასუხზე |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | | |
| სპორტი და ახალგაზრდობა | თბილისი | 19 | 22.3 | 27.8 | 29.3 | 0.3 | 1.5 |
| | ქალაქი | 14.1 | 21.4 | 35.8 | 23.1 | 0.6 | 5 |
| | სოფელი | 8.8 | 23.2 | 27.5 | 35.3 | 0.2 | 4.9 |
| | **საქართველო** | **12.4** | **22.3** | **31.3** | **29.1** | **0.4** | **4.6** |
| დასაქმება/ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება | თბილისი | 20.9 | 19.7 | 27.2 | 29.9 | 0 | 2.2 |
| | ქალაქი | 11 | 21.7 | 36.3 | 24 | 0.7 | 6.2 |
| | სოფელი | 8.1 | 21.6 | 26.9 | 37.6 | 0.3 | 5.5 |
| | **საქართველო** | **10.9** | **21.4** | **31.2** | **30.6** | **0.4** | **5.5** |
| კომუნალური სერვისები | თბილისი | 24.3 | 21.5 | 32 | 21.3 | 0.3 | 0.8 |
| | ქალაქი | 18.2 | 27.4 | 35.3 | 14.9 | 0.1 | 4.1 |
| | სოფელი | 14.9 | 30.1 | 27 | 24.9 | 0.1 | 2.9 |
| | **საქართველო** | **17.5** | **27.9** | **31.3** | **20** | **0.1** | **3.2** |
| ტრანსპორტი | თბილისი | 23.3 | 19.8 | 32.3 | 24.3 | 0 | 0.5 |
| | ქალაქი | 16.6 | 25.7 | 35.3 | 18.2 | 0.1 | 4.1 |
| | სოფელი | 13.7 | 26.9 | 28.2 | 27.8 | 0.2 | 3.2 |
| | **საქართველო** | **16.1** | **25.6** | **31.9** | **23** | **0.1** | **3.3** |

მუნიციპალური პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის დონის **მაღალმთიანი-სხვა ტიპის დასახლების** ჭრილში განხილვა ცხადყოფს, რომ მაღალმთიანი დასახლების წარმომადგენელთა შორის „კარგად ინფორმირებული" რესპონდენტების წილი მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ტიპის დასახლებებში გამოკითხული „კარგად ინფორმირებული" რესპონდენტების წილს *(თითოეული მუნიციპალური პროგრამის შემთხვევაში).* მაღალმთიან დასახლებებში გამოკითხულთა მეოთხედი ნაწილი კარგად ინფორმირებულია ისეთი სერვისების შესახებ, როგორებიცაა სოციალური დახმარების პროგრამები (26.9%), ჯანდაცვის პროგრამები (27.6%), კომუნალური სერვისები (25.5%) და დასუფთავება/გარემოს დაცვა (24.9%). სხვა მომსახურებების შემთხვევაში ასეთთა წილი 18%-23.7%-ს შორის ვარირებს. რაც შეეხება სხვა ტიპის დასახლების წარმომადგენელთა ინფორმირებულობის დონეს, თითოეული პროგრამის შემთხვევაში კარგად ინფორმირებულთა ხვედრითი წილი 9.4%-15.7%-ს შორის მერყეობს. ამასთან, სხვა ტიპის დასახლებებში გამოკითხულთა 33.8% აღნიშნავს, რომ კულტურული პროგრამების შესახებ საერთოდ არ არის ინფორმირებული. 32.5% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებთან დაკავშირებული მომსახურებების შესახებ, 34.1% კი დასაქმების/ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სფეროში საკუთარ თავს არაინფორმირებულად მიიჩნევს. მაღალმთიან დასახლებებში არაინფორმირებულთა ხვედრითი წილი თითოეული მომსახურების შემთხვევაში 14.4%-ს არ აღემატება, ყოველი მესამე რესპონდენტი კი აღნიშნავს, რომ მცირედ ინფორმირებულია (იხ. ცხრილი #2).

**ცხრილი #2 - მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| N=3400 | | კარგად ინფორმირებული | მეტ-ნაკლებად ინფორმირებული | მცირედ ინფორმირებული | საერთოდ არ ვარ ინფორმირებული | უარი პასუხზე | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | | |
| სოციალური დახმარების პროგრამები | მაღალმთიანი | 26.9 | 42.9 | 20.1 | 6,7 | 0 | 3.4 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 12.4 | 28.5 | 36.6 | 20.9 | 0.1 | 1.5 |
| | **საქართველო** | **15** | **31.1** | **33.6** | **18.3** | **0.1** | **1.9** |
| ჯანდაცვის პროგრამები | მაღალმთიანი | 27.6 | 40.7 | 22.1 | 6.5 | 0 | 3.1 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 12.6 | 29.7 | 38.6 | 17.6 | 0.1 | 1.4 |
| | **საქართველო** | **15.3** | **31.7** | **35.6** | **15.6** | **0.1** | **1.7** |
| ინფრასტრუქტურული პროგრამები | მაღალმთიანი | 22.3 | 37 | 21.7 | 12.7 | 0 | 6.4 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 9.6 | 27.8 | 34.5 | 25.3 | 0.2 | 2.6 |
| | **საქართველო** | **11.9** | **29.4** | **32.2** | **23.1** | **0.1** | **3.3** |
| საგანმანათლებლო პროგრამები | მაღალმთიანი | 23.2 | 34.3 | 27.6 | 9.4 | 0 | 5.5 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 11.1 | 22.4 | 33.2 | 29.8 | 0.4 | 3.2 |
| | **საქართველო** | **13.3** | **24.5** | **32.2** | **26.1** | **0.3** | **3.6** |
| კულტურული პროგრამები | მაღალმთიანი | 20.3 | 34.6 | 24.4 | 14.3 | 0 | 6.5 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 9.9 | 20 | 32.1 | 33.8 | 0.3 | 3.8 |
| | **საქართველო** | **11.8** | **22.7** | **30.7** | **30.3** | **0.2** | **4.3** |
| დასუფთავება, გარემოს დაცვა | მაღალმთიანი | 24.9 | 36.4 | 19.2 | 12.8 | 0 | 6.7 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 12 | 23.5 | 35.7 | 25.9 | 0.4 | 2.6 |
| | **საქართველო** | **14.3** | **25.8** | **32.7** | **23.6** | **0.3** | **3.3** |
| სპორტი და ახალგაზრდობა | მაღალმთიანი | 21.6 | 33 | 24.9 | 13.7 | 0.3 | 6.5 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 10.4 | 19.9 | 32.8 | 32.5 | 0.4 | 4.1 |
| | **საქართველო** | **12.4** | **22.2** | **31.4** | **29.1** | **0.4** | **4.6** |
| დასაქმება/ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება | მაღალმთიანი | 18 | 35.4 | 24.7 | 14.4 | 0.5 | 7 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 9.4 | 18.3 | 32.6 | 34.1 | 0.4 | 5.1 |
| | **საქართველო** | **10.9** | **21.4** | **31.2** | **30.6** | **0.4** | **5.5** |
| კომუნალური სერვისები | მაღალმთიანი | 25.5 | 37.6 | 18.5 | 11.9 | 0.2 | 6.3 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 15.7 | 25.7 | 34.2 | 21.8 | 0.1 | 2.5 |
| | **საქართველო** | **17.5** | **27.9** | **31.4** | **20** | **0.1** | **3.2** |
| ტრანსპორტი | მაღალმთიანი | 23.7 | 41 | 15.9 | 13 | 0.3 | 6 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 14.4 | 22.2 | 35.4 | 25.2 | 0.1 | 2.7 |
| | **საქართველო** | **16.1** | **25.6** | **31.9** | **23** | **0.1** | **3.3** |

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების რესპონდენტებს მწირი ინფორმაცია აქვთ იმის შესახებ, თუ რა ეკონომიკურ აქტივობებს ახალისებს ადგილობრივი ხელისუფლება. თუმცა, თბილისის ფოკუს ჯგუფში მონაწილეთა ინფორმაციით მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა სოციალური საწარმოს საქმიანობა, სადაც შშმ პირები ხელნაკეთ ნივთებს ამზადებენ. ამასთან, რესპონდენტები ინფორმირებულები არიან ისეთ საკითხებთან მიმართე-

ბით, როგორებიცაა საჯარო და კერძო სექტორის მომსახურებით სოფლიდან გაუსვლელად სარგებლობის შესაძლებლობა, ჯანდაცვის პროგრამების კუთხით გაზრდილი დაფინანსება, რამაც უფრო ხელმისაწვდომი გახადა ჯანდაცვის სერვისები. გარდა ხსენებულისა, რესპონდენტები ინფორმირებული აღმოჩნდნენ მათ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პოზიტიური მოვლენების შესახებ. კერძოდ, ისინი აცხადებენ, რომ მათ მუნიციპალიტეტში აიკრძალა ქვიშის და ხრეშის უკანონოდ გატანა (სოფ. კვირიკეთი; ოზურგ ეთი); ქალაქ რუსთავში გაიხსნა სსმ საჭიროებათა მქონე ბავშვების სარეაბილიტაციო ცენტრი, გურიის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში პროფესიული სასწავლებლების გახსნა და ა.შ.. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუების რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში, ძირითადი აქცენტი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და კეთილმოწყობაზეა გადატანილი.

მუნიციპალური პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების გზად ყოველი მესამე რესპონდენტი მეგობარს/ნათესავს/მეზობელს (34.6%) ასახელებს. გამოკითხულთა 31.6%-ისთვის დომინანტური წყარო ტელევიზია აღმოჩნდა. კვლევაში მონაწილე პირთა მეხუთედი ნაწილი ინფორმაციას ინტერნეტ გვერდებიდან (20,8%) იღებს. ისეთთა წილი, რომლებმაც პრესაზე, პირისპირ შეხვედრებზე, ინფორმაციულ/საგანმანათლებლო ბეჭდურ მასალაზე ან სხვა საინფორმაციო საშუალებებზე მიუთითეს ჯამში 6%-ს არ აღემატება. როგორც თბილისის და სხვა ქალაქების მოსახლეობისთვის, ასევე, სოფლის მაცხოვრებლებისთვის, ინფორმაციის მიღების წყაროებს შორის თითქმის თანაბრად მნიშვნელოვანია სატელევიზიო მედია. ამასთან, მაშინ როდესაც ინფორმაციის მიღების ძირითად საშუალებად ინტერნეტ გვერდებს თბილისის მოსახლეობის თითქმის მესამედი (32.7%) ასახელებს, იგივე წყაროზე სხვა ქალაქებში გამოკითხულთა 22.6% და სოფლის მოსახლეობის 16% მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ როგორც სასოფლო დასახლებაში გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (38.8%), ასევე, ქალაქებში გამოკითხულთაგან ყოველი მესამე დომინანტურ წყაროდ მეგობრებს/ნათესავებს/მეზობლებს ასახელებს. დედაქალაქის შემთხვევაში ასეთ რესპონდენტთა წილი 23.9%-ს არ აღემატება (იხ. დიაგრამა #2).

**დიაგრამა #2 - მუნიციპალური პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები**



## საჯარო საბავშვო ბაღი / საჯარო სკოლა

2021 წლის კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 88.6% აღნიშნავს, რომ მათ დასახლებაში/უბანში არის სულ მცირე ერთი საჯარო საბავშვო ბაღი მაინც, 11.4% კი საპირისპირო გამოცდილებაზე საუბრობს. ამასთან, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (94.5%) მიუთითებს მათ დასახლებაში საჯარო სკოლა/სკოლების არსებობაზე, 5.5% კი ამბობს, რომ მსგავსი ტიპის დაწესებულება მათ საცხოვრებელ არეალში არ არის. ჩატარებული ხუთი ტალღის მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ თითოეულ ეტაპზე გამოკითხულთა უმრავლესობა მათ დასახლებაში/უბანში ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებების (საჯარო საბავშვო ბაღი/საჯარო სკოლა) არსებობაზე მიუთითებს (იხ. ცხრილი #3).

**ცხრილი #3 - დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღები, საჯარო სკოლა/სკოლების ხელმისაწვდომობა**

| არის თუ არა თქვენს დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღები, საჯარო სკოლა/სკოლები? | საჯარო საბავშვო ბაღი | | საჯარო სკოლა | |
|---|---|---|---|---|
| | % | | | |
| | დიახ | არა | დიახ | არა |
| 2021 (N=3400) | 88.6 | 11.4 | 94.5 | 5.5 |
| 2019 (N=3400) | 80.9 | 19.1 | 92.5 | 7.5 |
| 2017 (N=3400) | 83.4 | 16.6 | 95.8 | 4.2 |
| 2015 (N=3400) | 77.3 | 22.7 | 88.1 | 11.9 |
| 2013 (N=3400) | 76.5 | 23.5 | 94.6 | 5.4 |

რაოდენობრივი კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების **რეგიონის** ჭრილში გაანალიზებამ აჩვენა, რომ თითოეულ რეგიონში გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის საჯარო საბავშვო ბაღი უშუალოდ მათ დასახლებაში/უბანშია ხელმისაწვდომი. ხსენებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, კვლევის მე-5 რაუნდის მონაცემების თანახმად, გამოირჩევა თბილისი (100%). დანარჩენ რეგიონებში ასეთთა წილი 73.3%-დან 95%-მდე მერყეობს. მათი წილი კი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საჯარო საბავშვო ბაღებზე ხელმისაწვდომობა არ გააჩნიათ, ყველაზე მაღალია ქვემო ქართლისა (26.7%) და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში (22%). უშუალოდ დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღებზე ხელმისაწვდომობის ზრდის დინამიკა ყველაზე შესამჩნევი რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონშია. თუ 2013 წელს რეგიონში ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებაზე გამოკითხულთა 42.9%-ს მიუწვდებოდა ხელი, 2021 წელს, მათი რიცხვი 78%-მდე გაიზარდა. ასევე, ზრდის ტენდენცია ფიქსირდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შემთხვევაშიც (2021 – 89.3%; 2013 – 51.9%). აღსანიშნავია, რომ 2021 წელს წინა წლებთან შედარებით სხვა რეგიონებშიც მნიშვნელოვნად არის მომატებული ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც მათ დასახლებაში საჯარო საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობაზე მიუთითებენ (იხ. ცხრილი #4).

**ცხრილი #4 - დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღების ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში**

| არის თუ არა თქვენს დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღები? | 2021 N=3400 | | 2019 N=3400 | | 2017 N=3400 | | 2015 N=3400 | | 2013 N=3400 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | | | | | | | | | |
| | დიახ | არა | დიახ | არა | დიახ | არა | დიახ | არა | დიახ | არა |
| თბილისი | 100 | 0 | 85 | 15 | 92.9 | 7.1 | 99.5 | 0.5 | 89.5 | 10.5 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 93.3 | 6.7 | 89.4 | 10.6 | 95.2 | 4.8 | 87.3 | 12.7 | 89.4 | 10.6 |
| გურია | 90.3 | 9.7 | 81.3 | 18.7 | 91.6 | 8.4 | 79.1 | 20.9 | 71.9 | 28.1 |
| აჭარა | 84 | 16 | 72.4 | 27.6 | 65.8 | 34.2 | 65.9 | 34.1 | 52.1 | 47.9 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 78 | 22 | 68.8 | 31.3 | 68.8 | 31.3 | 51.2 | 48.8 | 42.9 | 57.1 |
| იმერეთი | 88 | 12 | 77.9 | 22.1 | 83.1 | 16.9 | 72 | 28 | 86.4 | 13.6 |
| სამცხე-ჯავახეთი | 89.3 | 10.7 | 57.6 | 42.4 | 72.2 | 27.8 | 42.9 | 57.1 | 51.9 | 48.1 |
| შიდა ქართლი | 95 | 5 | 80.9 | 19.1 | 69.3 | 30.7 | 77.8 | 22.2 | 59.3 | 40.7 |
| მცხეთა-მთიანეთი | 91.7 | 8.3 | 79.5 | 20.5 | 79.8 | 20.2 | 60.6 | 39.4 | 65.7 | 34.3 |
| ქვემო ქართლი | 73.3 | 26.7 | 74.6 | 25.4 | 65.2 | 34.8 | 37.8 | 62.2 | 57.3 | 42.7 |
| კახეთი | 87.3 | 12.6 | 93.2 | 6.8 | 96.6 | 3.4 | 92.8 | 7.2 | 87.1 | 12.9 |
| საქართველო | 88.6 | 11.4 | 80.9 | 19.1 | 83.4 | 16.6 | 77.3 | 22.7 | 76.5 | 23.5 |

აღსანიშნავია, რომ თვისებრივი კვლევის ფარგლებში ერთ-ერთი ფოკუს-ჯგუფის მონაწილე სკოლამდელი დაწესებულებების არასაკმარის რაოდენობაზე საუბრობს.

> *„შემოდგომაზე მიმართვიანობა იზრდება, და არის ხოლმე შემთხვევა, როცა ჭირს ბავშვის ბაღში დარეგისტრირება არასაკმარისი ადგილების გამო" (64 წლის ქალი, ქ. რუსთავი, ქვემო ქართლი);*

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელ ექსპერტებთან ჩატარებულ ინტერვიუებში აღინიშნა, რომ სამეგრელო ზემო-სვანეთის **სკოლამდელი დაწესებულებები** ბოლომდე ვერ აკმაყოფილებენ არსებულ სტანდარტებს. ქვემო ქართლში აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში სკოლამდელი დაწესებულებების სიმცირეა, ან საერთოდ არ არის.

კვლევის მე-5 რაუნდის მონაცემები ცხადყოფს, რომ რეგიონების ჭრილში იმ რესპონდენტთა განაწილება, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ დასახლებაში/უბანში საჯარო სკოლები მდებარეობს, კახეთისა (85.7%) და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის (82.3%) გარდა, თითოეული რეგიონის შემთხვევაში 91%-ზე მაღალია. ამათგან, სამეგრელო-ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში გამოკითხულთა 100% ადასტურებს საჯარო სკოლის ხელმისაწვდომობას. ყველაზე დაბალი ხელმისაწვდომობა რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთშია (82.3%). საჯარო სკოლის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, 2013-2017 წლებში მნიშვნელოვანი კლების ტენდენცია აჭარის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონებში ვლინდება. რაც შეეხება სხვა რეგიონების დინამიკას, კვლევის ხუთივე რაუნდის ფარგლებში კლება-მატების გარკვეული ვარიაციები შეინიშნება. საგულისხმოა, რომ კვლევის ბოლო რაუნდში წინა ტალღებთან შედარებით ყველა რეგიონში იზრდება საჯარო სკოლებისადმი ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი (იხ. ცხრილი #5).

**ცხრილი #5 - დასახლებაში/უბანში საჯარო სკოლა/სკოლების ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში**

| არის თუ არა თქვენს დასახლებაში/უბანში საჯარო სკოლები? | 2021 N=3400 | | 2019 N=3400 | | 2017 N=3400 | | 2015 N=3400 | | 2013 N=3400 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | % | | | | | | | | | |
| | დიახ | არა | დიახ | არა | დიახ | არა | დიახ | არა | დიახ | არა |
| თბილისი | 98.3 | 1.8 | 95 | 5 | 98.3 | 1.7 | 99.7 | 0.3 | 98 | 2 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 100 | 0 | 94.8 | 5.2 | 99.4 | 0.6 | 95.9 | 4.1 | 92.9 | 7.1 |
| გურია | 91.7 | 8,3 | 85 | 15 | 96.3 | 3.7 | 86.8 | 13.2 | 87.8 | 12.2 |
| აჭარა | 97 | 3.0 | 84.4 | 15.6 | 86 | 14 | 74.9 | 25.1 | 100 | 0 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 82.3 | 17.7 | 78.1 | 21.9 | 81.3 | 18.8 | 60.5 | 39.5 | 74.4 | 25.6 |
| იმერეთი | 94 | 6 | 92.6 | 7.4 | 95.2 | 4.8 | 79.1 | 20.9 | 90 | 10 |
| სამცხე-ჯავახეთი | 100 | 0 | 90.3 | 9.7 | 91 | 9 | 83.8 | 16.2 | 100 | 0 |
| შიდა ქართლი | 96.3 | 3.7 | 92.9 | 7.1 | 96.3 | 3.7 | 86.8 | 13.2 | 90.1 | 9.9 |
| მცხეთა-მთიანეთი | 93.3 | 6.7 | 83 | 17 | 88.8 | 11.2 | 77.8 | 22.2 | 82.8 | 17.2 |
| ქვემო ქართლი | 100 | 0 | 94.7 | 5.3 | 97.3 | 2.7 | 78.6 | 21.4 | 100 | 0 |
| კახეთი | 85.7 | 14.3 | 94.6 | 5,4 | 96.9 | 4.8 | 96.2 | 3.8 | 94 | 6 |
| საქართველო | 94.5 | 5.5 | 92.5 | 7.5 | 95.8 | 4.2 | 88.1 | 11.9 | 94.6 | 5.4 |

კვლევის თვისებრივი კომპონენტის საფუძველზე მოპოვებული მონაცემების თანახმად, მარნეულის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად უმჯობესდება საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა. ამჟამად, 8 საჯარო სკოლა შენდება, ხოლო 3 სკოლის შენობას რეაბილიტაცია უტარდება.

*„მარნეულში შენდება 8 საშუალო სკოლა, რამდენიმე უკვე ჩაბარებულია, აბსოლუტურად სრული სტანდარტების მოთხოვნებით თავისი კომპიუტერიზაციით, სპორტული მოედნებით, ბიბლიოთეკით და ა.შ ყველანაირად შემკობილი 8 სკოლა და 3 სკოლას უკეთდება სრული რეაბილიტაცია“ (მარნეულის მერიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი).*

2021 წლის კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ **სოფლებში** გამოკითხულთა მხოლოდ 74.9% მიუთითებს მათ დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღის არსებობაზე, **თბილისსა და სხვა ქალაქებში** კი ასეთთა წილი რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს (თბილისი - 100%, სხვა ქალაქები - 98.5%). რაც შეეხება საჯარო სკოლის ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას, ამ თვალსაზრისით, როგორც თბილისის, ასევე, სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის პროცენტული წილი 90%-ზე მაღალია. 2021 წლის და კვლევის წინა რაუნდების მონაცემების შედარება 2013-2019 წლებში ქალაქებში საჯარო საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობის კლების ტენდენციას ავლენს, მაშინ როდესაც სოფლებში, დროის იგივე პერიოდში, ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა შეინიშნება (იხ. ცხრილი #6).

**ცხრილი #6 - დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღები, საჯარო სკოლა/სკოლების ხელმისაწვდომობა ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| არის თუ არა თქვენს დასახლებაში/უბანში საჯარო საბავშვო ბაღი/საჯარო სკოლა? | | | თბილისი | ქალაქი | სოფელი | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | % | | | |
| 2021 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | დიახ | 100 | 98.5 | 74.9 | 88.6 |
| | | არა | 0 | 1.5 | 25.1 | 11.4 |
| | საჯარო სკოლა | დიახ | 98.3 | 97.9 | 90.1 | 94.5 |
| | | არა | 1.8 | 2.1 | 9.9 | 5.5 |
| 2019 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | დიახ | 85 | 81.3 | 77.8 | 80.9 |
| | | არა | 15 | 18.7 | 22.2 | 19.1 |
| | საჯარო სკოლა | დიახ | 95 | 90.4 | 92.1 | 92.5 |
| | | არა | 5 | 9.6 | 7.9 | 7.5 |
| 2017 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | დიახ | 92.9 | 87.5 | 74.2 | 83.4 |
| | | არა | 7.1 | 12.5 | 25.8 | 16.6 |
| | საჯარო სკოლა | დიახ | 98.3 | 92.9 | 95.9 | 95.8 |
| | | არა | 1.7 | 7.1 | 4.1 | 4.2 |
| 2015 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | დიახ | 99.5 | 87.2 | 59.4 | 77.3 |
| | | არა | 0.5 | 12.8 | 40.6 | 22.7 |
| | საჯარო სკოლა | დიახ | 99.7 | 88 | 81.9 | 88.1 |
| | | არა | 0.3 | 12 | 18.1 | 11.9 |
| 2013 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | დიახ | 89.5 | 94.8 | 58.8 | 76.5 |
| | | არა | 10.5 | 5.2 | 41.2 | 23.5 |
| | საჯარო სკოლა | დიახ | 98 | 99.1 | 90.1 | 94.6 |
| | | არა | 2 | 0.9 | 9.9 | 5.4 |

კვლევის 5-ვე რაუნდის მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და რესპონდენტების დასახლებას შორის მანძილი გამოკითხულთა უმრავლესობისთვის 5კმ-ზე ნაკლებია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2021 წლის კვლევაში წინა წლებთან შედარებით ასეთთა წილი რამდენადმე გაზრდილია. კერძოდ, მე-5 ტალღაში გამოკითხულთა 81.7% აღნიშნავს, რომ ეს დაწესებულება მათ უბანში/დასახლებაში მდებარეობს. საჯარო სკოლის შემთხვევაში კი იმავე ლოკაციაზე რესპონდენტთა 86.1%-მა მიუთითა (2021 წ.). გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ კვლევის პირველი ტალღიდან (2013წ.) მე-5 ტალღამდე პერიოდში საგრძნობლად შემცირდა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ საჯარო საბავშვო ბაღი დასახლებიდან/უბნიდან 5 კმ-ზე უფრო შორ მანძილზე მდებარეობს (დასახლებიდან/უბნიდან 5 კმ-ზე უფრო შორ მანძილზე: 2021 – 4.4%; 2019 – 7.2%; 2017 – 8.2%; 2015 – 8.9%; 2013 – 12.4%). კლების ანალოგიური ტენდენცია არ ფიქსირდება საჯარო სკოლების შემთხვევაში (იხ. ცხრილი #7).

**ცხრილი #7 - მანძილი სახლსა და საჯარო საბავშვო ბაღს/საჯარო სკოლას შორის**

| თქვენი სახლიდან რა მანძილზე იმყოფება საჯარო საბავშვო ბაღი/საჯარო სკოლა? | საჯარო საბავშვო ბაღი | | | საჯარო სკოლა | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | უბანში/ დასახლებაში | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | უფრო შორს | უბანში/ დასახლებაში | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | უფრო შორს |
| | % | | | | | |
| 2021 (N=3400) | 81.7 | 13.8 | 4.4 | 86.1 | 13 | 0.9 |
| 2019 (N=3400) | 74.1 | 18.7 | 7.2 | 83.4 | 14.3 | 2.3 |
| 2017 (N=3400) | 79.5 | 12.4 | 8.2 | 90.4 | 8.8 | 0.8 |
| 2015 (N=3400) | 75.8 | 15.3 | 8.9 | 86.5 | 11.9 | 1.6 |
| 2013 (N=3400) | 76.5 | 11.1 | 12.4 | 94.6 | 4.1 | 1.3 |

სტატისტიკური მონაცემების **ქალაქი/სოფლის** ჭრილში გაანალიზება აჩვენებს, რომ 2021 წელს, როგორც საჯარო საბავშვო ბაღი, ასევე, საჯარო სკოლა თბილისში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის უბანში/დასახლებაში მდებარეობს. რაც შეეხება სხვა ქალაქებსა და სოფლებს, ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საჯარო საბავშვო ბაღი მათ უბანში დასახლებაშია - ქალაქის შემთხვევაში 88.8%-ს შეადგენს, ხოლო სოფლის - 70.4%. ამასთან, საქალაქო ტიპის დასახლებაში გამოკითხულთა 86.5% და სოფელში გამოკითხულთა 83.2% მიუთითებს საჯარო სკოლის მათ დასახლებაში არსებობაზე. წინა წლების მონაცემებთან შედარების თანახმად, სოფლებში რესპონდენტების საცხოვრებელ ადგილსა და საჯარო საბავშვო ბაღებს შორის მანძილის კლების ტენდენცია შეინიშნება, ასევე, უმეტესად პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება ქალაქების შემთხვევაშიც. რაც შეეხება რესპონდენტების საცხოვრებელი ადგილიდან საჯარო სკოლამდე არსებულ მანძილს, აღსანიშნავია, რომ ქალაქებისა და სოფლების შემთხვევაში ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ საჯარო სკოლა მათ დასახლებაში/უბანში მდებარეობს კვლევის მეხუთე რაუნდში პირველ რაუნდთან შედარებით რამდენადმე შემცირებულია (ქალაქი: 2021 – 86.5%; 2013 – 99.1%; სოფელი: 2021 – 83.2%; 2013 – 90.1%) (იხ. ცხრილი #8).

**ცხრილი #8 - მანძილი სახლსა და საჯარო საბავშვო ბაღს/საჯარო სკოლას შორის ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| თქვენი სახლიდან რა მანძილზე იმყოფება საჯარო საბავშვო ბაღი/საჯარო სკოლა? | | | თბილისი | ქალაქი | სოფელი | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | % | | | |
| 2021 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | უბანში/დასახლებაში | 96 | 88.8 | 70.4 | 81.7 |
| | | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | 4 | 10.8 | 19.6 | 13.8 |
| | | უფრო შორს | 0 | 0.3 | 10 | 4.4 |
| | საჯარო სკოლა | უბანში/დასახლებაში | 95 | 86.5 | 83.2 | 86.1 |
| | | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | 5 | 12.7 | 15.5 | 13 |
| | | უფრო შორს | 0 | 0.8 | 1.2 | 0.9 |
| 2019 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | უბანში/დასახლებაში | 84.3 | 77.9 | 64.4 | 74.1 |
| | | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | 9.7 | 15.9 | 26.9 | 18.7 |
| | | უფრო შორს | 6 | 6.2 | 8.7 | 7.2 |
| | საჯარო სკოლა | უბანში/დასახლებაში | 91.6 | 86.1 | 76 | 83.4 |
| | | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | 7.4 | 11.1 | 21.1 | 14.3 |
| | | უფრო შორს | 1.1 | 2.8 | 2.9 | 2.3 |
| 2017 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | უბანში/დასახლებაში | 91.8 | 84.9 | 67.3 | 79.5 |
| | | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | 5.2 | 12.4 | 17.3 | 12.4 |
| | | უფრო შორს | 3 | 2.7 | 15.4 | 8.2 |
| | საჯარო სკოლა | უბანში/დასახლებაში | 96.4 | 88.6 | 87.2 | 90.4 |
| | | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | 30.2 | 11.1 | 11.3 | 8.8 |
| | | უფრო შორს | 0.4 | 0.2 | 1.5 | 0.8 |
| 2015 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | უბანში/დასახლებაში | 99.9 | 85.2 | 57.3 | 75.8 |
| | | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | 0 | 14.5 | 24.1 | 15.3 |
| | | უფრო შორს | 0.1 | 0.3 | 18.6 | 8.9 |
| | საჯარო სკოლა | უბანში/დასახლებაში | 100 | 86.4 | 79.2 | 86.5 |
| | | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | 0 | 13.3 | 17.6 | 11.9 |
| | | უფრო შორს | 0 | 0.3 | 3.2 | 1.6 |
| 2013 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | უბანში/დასახლებაში | 89.5 | 94.8 | 58.8 | 76.5 |
| | | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | 4.2 | 4.8 | 18.4 | 11.1 |
| | | უფრო შორს | 6.4 | 0.4 | 22.7 | 12.4 |
| | საჯარო სკოლა | უბანში/დასახლებაში | 98 | 99.1 | 90.1 | 94.6 |
| | | დასახლებიდან/ უბნიდან 5 კმ-ში | 1.6 | 0.7 | 7.3 | 4.1 |
| | | უფრო შორს | 0.3 | 0.1 | 2.6 | 1.3 |

კვლევის მე-5 ტალღაში, გამოკითხულთა დიდი ნაწილის შემთხვევაში, როგორც საჯარო საბავშვო ბაღამდე (41.2%), ასევე, საჯარო სკოლამდე (43.2%) მიდის საზოგადოებრივი ტრანსპორტი. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის წვდომის მქონე რესპონდენტთა ყველაზე მაღალი წილი დაფიქსირდა 2015 (საჯარო საბავშვო ბაღი - 65.6%; საჯარო სკოლა - 66.6%), 2017 (საჯარო

საბავშვო ბაღი - 58.5%; საჯარო სკოლა - 59%) და 2019 (საჯარო საბავშვო ბაღი - 53.5%; საჯარო სკოლა - 57.8%) წლებში.

2021 წელს გამოკითხულთაგან ყოველი მესამე რესპონდენტი  აღნიშნავს, რომ ტრანსპორტირების საჭიროება არ არსებობს ***(თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)***, რაც რამდენადმე აღემატება წინა რაუნდების მონაცემებს, გარდა 2013 წლისა (საჯარო საბავშვო ბაღი - 41.2%; საჯარო სკოლა - 45.7%).  2021 წლის კვლევაში მონაწილე პირთა 25% მიუთითებს, რომ საჯარო საბავშვო ბაღამდე გადაადგილებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის ხელმისაწვდომი. საჯარო სკოლების შემთხვევაში კი იგივე გამოცდილებაზე რესპონდენტთა 22.5% საუბრობს. ამ თვალსაზრისით, საჯარო საბავშვო ბაღების შემთხვევაში, ყველაზე მაღალია 2021 წლის მონაცემი (25%), ყველაზე დაბალი კი 2013 წლის (10.4%). საჯარო სკოლების შემთხვევაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ასევე, კვლევის ბოლო ეტაპზე ფიქსირდება (2021წ), ყველაზე დაბალი კი 2017 წელს (9%) (იხ. ცხრილი #9).

**ცხრილი #9 - უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე/საჯარო სკოლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა**

| მიდის თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე/საჯარო სკოლამდე? | საჯარო საბავშვო ბაღი | | | საჯარო სკოლა | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | % | | | | | |
| | დიახ | არა | არ არის საჭირო | დიახ | არა | არ არის საჭირო |
| 2021 (N=3400) | 41.2 | 25 | 33.9 | 43.2 | 22.5 | 34.3 |
| 2019  (N=3400) | 53.5 | 23.4 | 23.1 | 57.8 | 16.3 | 25.9 |
| 2017 (N=3400) | 58.5 | 13.6 | 27.9 | 59 | 9 | 32 |
| 2015 (N=3400) | 65.6 | 21.5 | 12.8 | 66.6 | 15 | 18.4 |
| 2013 (N=3400) | 48.4 | 10.4 | 41.2 | 42.9 | 11.4 | 45.7 |

რაც შეეხება საგანმანათლებლო დაწესებულებამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობას **რეგიონების** ჭრილში, მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ კვლევის მე-5 რაუნდზე იმ რესპონდენტთა შორის, რომელთაც ამ შესაძლებლობის არსებობაზე მიუთითეს, ყველაზე მაღალი წილი აჭარის (77.7%), სამეგრელო-ზემო სვანეთისა (82.9%) და თბილისის (75.5%) რეგიონებში დაფიქსირდა. გამოკითხულთა იმ ნაწილის გადანაწილება, რომლებმაც აღნიშნეს, რომ უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია, აჩვენებს, რომ ყველაზე მეტად ამ შესაძლებლობის ნაკლებობა სამცხე-ჯავახეთისა (56.3%) და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის (54.5%) რეგიონშია. უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობის განხილვა რეგიონების ჭრილში აჩვენებს, რომ 2013-2017 წლებში გურიასა (2017 – 72%; 2015 – 57%; 2013 – 23.2%) და იმერეთში (2017 - 69.6%; 2015 – 61.8%; 2013 – 51.4%) პოზიტიურ დინამიკაა, შემდეგი ორი რაუნდის მონაცემების მიხედვით კი კლების ტენდენცია ფიქსირდება. ამასთან, აღსანიშნავია კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებიც. კერძოდ კახეთში - 2013 - 2019 წლებში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა 8.3%-დან 38.6%-მდე, ხოლო შიდა ქართლში 9%-დან 49%-მდე, რაც ცალსახად ზრდადი პროცესია, თუმცა კვლევის მე-5 რაუნდში ასეთ რესპონდენტთა წილი შემცირდა  (იხ. ცხრილი #10).

**ცხრილი #10 - უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაად-გილების შესაძლებლობა რეგიონის ჭრილში**

| მიდის თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე? | 2021 N=3400 | | | 2019 N=3400 | | | 2017 N=3400 | | | 2015 N=3400 | | | 2013 N=3400 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დიახ | არა | არ არის საჭირო | დიახ | არა | არ არის საჭირო | დიახ | არა | არ არის საჭირო | დიახ | არა | არ არის საჭირო | დიახ | არა | არ არის საჭირო |
| | % | | | | | | | | | | | | | | |
| თბილისი | 75.5 | 2.8 | 21.8 | 50.3 | 17.5 | 32.2 | 74.8 | 9.7 | 15.5 | 97 | 0.3 | 2.7 | 91.9 | 1.5 | 6.6 |
| სამეგრელო–ზემო სვანეთი | 82.9 | 8.4 | 8.7 | 69.4 | 19 | 11.6 | 56.5 | 26.5 | 17.1 | 80.4 | 18.8 | 0.8 | 33.1 | 17.9 | 48.9 |
| გურია | 43.3 | 16 | 40.7 | 56.1 | 33.6 | 10.3 | 72 | 17.8 | 10.3 | 57 | 31.6 | 11.4 | 23.2 | 12.2 | 64.6 |
| აჭარა | 77.7 | 4.3 | 18 | 81.3 | 15.7 | 3 | 72.1 | 3.7 | 24.3 | 96.1 | 3.9 | 0 | 48.3 | 7.6 | 44.1 |
| რაჭა–ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 3.7 | 54.5 | 41.9 | 37.5 | 34.4 | 28.1 | 56.3 | 18.8 | 25 | 59.5 | 31 | 9.5 | 5.3 | 31.6 | 63.2 |
| იმერეთი | 27.7 | 36 | 36.3 | 59 | 21.7 | 19.3 | 69.6 | 10.9 | 19.5 | 61.8 | 25.8 | 12.4 | 51.4 | 9.3 | 39.4 |
| სამცხე–ჯავახეთი | 16 | 56.3 | 27.7 | 43.8 | 45.8 | 10.4 | 28.5 | 34 | 37.5 | 41.2 | 51.6 | 7.2 | 10.1 | 29.1 | 60.8 |
| შიდა ქართლი | 35 | 14.7 | 50.3 | 49 | 30.3 | 20.7 | 48.5 | 9.5 | 41.9 | 42.4 | 51 | 6.6 | 9 | 11.7 | 79.3 |
| მცხეთა–მთიანეთი | 41 | 33.7 | 25.3 | 50 | 31.8 | 18.2 | 38.2 | 31.5 | 30.3 | 45 | 17 | 38 | 3.1 | 26.2 | 70.8 |
| ქვემო ქართლი | 35 | 17 | 48 | 39.5 | 19.5 | 41.1 | 28.9 | 13.1 | 58 | 35 | 36.9 | 28.1 | 28.6 | 21.4 | 50 |
| კახეთი | 4 | 38.3 | 57.7 | 38.6 | 39.7 | 21.7 | 34.4 | 13.9 | 51.7 | 18.1 | 32.5 | 49.4 | 8.3 | 9.4 | 82.4 |
| **საქართველო** | **41.2** | **25** | **33.9** | **53.5** | **23.4** | **23.1** | **58.5** | **13.6** | **27.9** | **65.6** | **21.5** | **12.8** | **48.4** | **10.4** | **41.2** |

საჯარო სკოლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლის შესაძლებლობის მქონე რესპონ-დენტების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (2021 წლის მონაცემებით) ფიქსირდება სამეგრელო-ზემო სვანეთის (82.9%), თბილისისა (75.6%) და აჭარის (74.3%) რეგიონებში, ყველაზე დაბალი კი სამცხე-ჯავახეთსა (9%)  და კახეთში (4%). 2013-2019 წლებში საჯარო სკოლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლის შესაძლებლობა კახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მნიშვნე-ლოვნად გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ გარდა თბილისის (2021 – 75.6%; 2013 – 87.9%;), გურიის (2021 – 37.3%; 2013 – 46%;) და კახეთის რეგიონებისა (2021 – 4%; 2013 – 10.3%;), სხვა ტერიტორიულ ერთეულებში კვლევის ხუთივე რაუნდის ფარგლებში რამდენადმე გაიზარდა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც აცხადებენ, რომ მათთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმისაწვდომია (იხ. ცხრილი #11).

**ცხრილი #11 - უახლოეს საჯარო სკოლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა რეგიონის ჭრილში**

| | 2021 N=3400 | | | 2019 N=3400 | | | 2017 N=3400 | | | 2015 N=3400 | | | 2013 N=3400 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მიდის თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი უახლოეს საჯარო სკოლამდე?** | დიახ | არა | არ არის საჭირო | დიახ | არა | არ არის საჭირო | დიახ | არა | არ არის საჭირო | დიახ | არა | არ არის საჭირო | დიახ | არა | არ არის საჭირო |
| | % | | | | | | | | | | | | | | |
| თბილისი | 75.6 | 3.2 | 21.2 | 49.5 | 12.4 | 38.1 | 76.8 | 8.6 | 14.6 | 97 | 0.3 | 2.7 | 87.9 | 2.8 | 9.3 |
| აჭარა | 74.3 | 3.7 | 22 | 86.7 | 11.6 | 1.7 | 69.8 | 2.3 | 27.9 | 97.1 | 2.9 | 0 | 40.9 | 10 | 49.1 |
| გურია | 37.3 | 20.3 | 42.3 | 63.6 | 27.1 | 9.3 | 78.5 | 11.2 | 10.3 | 60.9 | 27 | 12.2 | 46 | 7 | 47 |
| იმერეთი | 53.5 | 9.7 | 36.8 | 69.6 | 10.9 | 19.6 | 69 | 5.6 | 25.4 | 72.5 | 20.4 | 7.1 | 48.8 | 9.1 | 42.1 |
| კახეთი | 4 | 38.7 | 57.3 | 50.2 | 29.2 | 20.7 | 43.9 | 11.9 | 44.2 | 19.7 | 27.3 | 53 | 10.3 | 10.7 | 79 |
| მცხეთა-მთიანეთი | 40.3 | 33.3 | 26.3 | 61.8 | 18 | 20.2 | 53.4 | 21.6 | 25 | 31.6 | 16.3 | 52 | 1.2 | 23.2 | 75.6 |
| ქვემო ქართლი | 34 | 22.3 | 43.7 | 37.2 | 17.9 | 44.9 | 19.7 | 8 | 72.3 | 23.3 | 11.8 | 64.9 | 15.1 | 26.6 | 58.2 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 18.9 | 40.9 | 40.2 | 54.8 | 19.4 | 25.8 | 53.1 | 12.5 | 34.4 | 55.8 | 30.2 | 14 | 3.1 | 31.3 | 65.6 |
| სამცხე-ჯავახეთი | 9 | 58.7 | 32.3 | 42.4 | 38.2 | 19.4 | 24.8 | 24.8 | 50.3 | 35.7 | 18.2 | 46.1 | 5.9 | 22.9 | 71.2 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 82.9 | 8.4 | 8.7 | 75.6 | 10.3 | 14.1 | 73.9 | 9.7 | 16.5 | 84.5 | 14.9 | 0.5 | 34.8 | 15.8 | 49.4 |
| შიდა ქართლი | 34.7 | 15 | 50.3 | 56.6 | 20.2 | 23.1 | 25.3 | 7.9 | 66.8 | 46.7 | 47.1 | 6.1 | 6.4 | 6.9 | 86.7 |
| **საქართველო** | **43.2** | **22.5** | **34.3** | **57.8** | **16.3** | **25.9** | **59** | **9** | **32** | **66.6** | **15** | **18.4** | **42.9** | **11.4** | **45.7** |

უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობის არსებობაზე 2021 წელს **თბილისში** გამოკითხულთა 75.5% მიუთითებს, მაშინ როცა **სხვა ქალაქებსა** (39.3%) და **სოფლებში** (33.7%) ასეთთა წილი 40%-ზე დაბალია. უახლოეს საჯარო ბაღამდე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველაზე მეტად ქალაქებში ***(თბილისის გამოკლებით)*** არ სჭირდებათ (38.6%). თბილისში ტრანსპორტი არ არის საჭირო გამოკითხულთა მეხუთედზე მცირედით მეტისთვის, სოფლებში კი ასეთთა წილი თითქმის ყოველ მესამე რესპონდენტს შეადგენს (თბილისი - 21.8%, სოფლები - 32.2%). კვლევის პირველი რაუნდიდან მეოთხე რაუნდის ჩათვლით საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის ზრდის თვალსაზრისით პოზიტიური დინამიკა ვლინდება ქალაქებსა და სოფლებში. კერძოდ, უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე მისასვლელად საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა ქალაქებში 22 პროცენტული ერთეულით (2019 – 54%; 2013 – 32%), სოფლებში კი - 27 პროცენტული ერთეულით (2019 – 55%; 2013 – 28%) იყო გაზრდილი. 2021 წელს კი ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად შემცირდა, ვინაიდან კვლევაში გაიზარდა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ საჯარო საბავშვო ბაღამდე მისასვლელად ტრანსპორტი არ სჭირდებათ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რომელიც საჯარო სკოლამდე მისასვლელად არის საჭირო, არსებითი განსხვავებები **ქალაქი/სოფლის** ჭრილში (კვლევის სხვადასხვა ეტაპზე) არ ვლინდება. კერძოდ, 2013-2019 წლებში, როგორც ქალაქებში, ასევე, სოფლებში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობის პროცენტული მაჩვენებელი უცვლელია ან იზრდება, 2021 წელს კი ამ შესაძლებლობის მქონე რესპონდენტთა წილი წინა წლებთან შედარებით შემცირდა. ამასთან, მაშინ როდესაც კვლევის მეოთხე რაუნდზე პირველთან შედარებით ქალაქსა და სოფლად მნიშვნელოვნად იყო შემცირებული

ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ამბობდნენ, რომ საჯარო სკოლამდე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ სჭირდებოდათ, 2021 წელს (2019 წელთან შედარებით) გამოკითხულთა შორის ასეთთა რაოდენობა ქალაქის შემთხვევაში 14.9%-ული ერთეულით გაიზარდა, სოფლად კი 14.2%-ული ერთეულით (ქალაქი: 2021 – 39%; 2019 – 24.1%; სოფელი - 2021 – 32.8%; 2019 – 18.6%) (იხ. ცხრილი #12).

**ცხრილი #12 - უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე/საჯარო სკოლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| მიდის თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი უახლოეს საჯარო საბავშვო ბაღამდე/საჯარო სკოლამდე? | | | თბილისი | ქალაქი | სოფელი | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | % | | | |
| 2021 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | დიახ | 75.5 | 39.3 | 33.7 | 41.1 |
| | | არა | 2.8 | 22.1 | 34.1 | 25 |
| | | არ არის საჭირო | 21.8 | 38.6 | 32.2 | 33.9 |
| | საჯარო სკოლა | დიახ | 75.6 | 37.9 | 39.9 | 43.2 |
| | | არა | 3.2 | 23.1 | 27.3 | 22.5 |
| | | არ არის საჭირო | 21.2 | 39 | 32.8 | 34.3 |
| 2019 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | დიახ | 50.3 | 54.5 | 55 | 53.5 |
| | | არა | 17.5 | 22.4 | 28.3 | 23.4 |
| | | არ არის საჭირო | 32.2 | 23.2 | 16.7 | 23.1 |
| | საჯარო სკოლა | დიახ | 49.5 | 58.6 | 63.1 | 57.8 |
| | | არა | 12.4 | 17.3 | 18.3 | 16.3 |
| | | არ არის საჭირო | 38.1 | 24.1 | 18.6 | 25.9 |
| 2017 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | დიახ | 74.8 | 53.8 | 50.2 | 58.5 |
| | | არა | 9.7 | 10.4 | 18.3 | 13.6 |
| | | არ არის საჭირო | 15.5 | 35.8 | 31.5 | 27.9 |
| | საჯარო სკოლა | დიახ | 76.8 | 51.9 | 51.2 | 59 |
| | | არა | 8.6 | 9.7 | 8.9 | 9 |
| | | არ არის საჭირო | 14.6 | 38.4 | 39.8 | 32 |
| 2015 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | დიახ | 97 | 57.9 | 53.2 | 65.6 |
| | | არა | 0.3 | 25.1 | 30.9 | 21.5 |
| | | არ არის საჭირო | 2.7 | 17 | 15.9 | 12.9 |
| | საჯარო სკოლა | დიახ | 97 | 60 | 53.9 | 66.5 |
| | | არა | 0.3 | 23.6 | 18 | 15 |
| | | არ არის საჭირო | 2.7 | 16.4 | 28.1 | 18.4 |
| 2013 N=3400 | საჯარო საბავშვო ბაღი | დიახ | 91.9 | 32 | 28.2 | 48.4 |
| | | არა | 1.5 | 13.9 | 14.2 | 10.4 |
| | | არ არის საჭირო | 6.6 | 54.1 | 57.6 | 41.2 |
| | საჯარო სკოლა | დიახ | 87.9 | 30.7 | 24.1 | 42.9 |
| | | არა | 2.8 | 13.1 | 15.4 | 11.4 |
| | | არ არის საჭირო | 9.3 | 56.2 | 60.5 | 45.7 |

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, 2021 და 2019 წლების კვლევებში, რესპონდენტებმა ისაუბრეს, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და სკოლამდელი და ზოგადი განათლების საჯარო დაწესებულებების მუშაობის განრიგს შორის თანხვედრის შესახებ. კერძოდ, ორივე ტალღის მონაცემების გათვალისწინებით, საჯარო საბავშვო ბაღის შემთხვევაში, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ამ ორი საჯარო სერვისის მუშაობის განრიგი ერთმანეთს ემთხვევა (2021წ. – 77.4%; 2019წ. - 73.3%). რაც შეეხება საჯარო სკოლას, 2021 და 2019 წლებში გამოკითხულთა თითქმის თანაბარი რაოდენობა აცხადებს, რომ სკოლისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის განრიგი თანხვედრაშია (2021 – 79.9%; 2019 - 79.5%) (იხ. დიაგრამა #3).

**დიაგრამა #3 - საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საჯარო საბავშვო ბაღის/საჯარო სკოლის მუშაობის გრაფიკს შორის თანხვედრა**




საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საჯარო საბავშვო ბაღის/სკოლის მუშაობის განრიგის თანხვედრის ანალიზი **ქალაქი/სოფლის** ჭრილში აჩვენებს, რომ მეხუთე რაუნდში, მეოთხესთან შედარებით, სოფელში საგრძნობლად შემცირდა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც მუშაობის განრიგის თანხვედრაზე მიუთითებდნენ. კერძოდ, 2021 წელს სოფლის მოსახლეობის 66.4%-მა აღნიშნა, რომ საჯარო ბაღისა და ტრანსპორტის გრაფიკი თანხვედრაშია, მაშინ როდესაც 2019 წელს ამ შეფასებას 75.9% აფიქსირებდა. რაც შეეხება საჯარო სკოლისა და ტრანსპორტის მუშაობის განრიგის თანხვედრას, ამ შემთხვევაში 2021 წელს, 2019 წლის მონაცემთან შედარებით, სოფელში 10%-ული ერთეულით შემცირდა მათი წილი, რომლებიც გრაფიკის თანხვედრაზე მიუთითებდნენ (2021 – 72.7%; 2019 – 82.7%) (იხ. ცხრილი #13).

**ცხრილი #13 - საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საჯარო საბავშვო ბაღის/საჯარო სკოლის მუშაობის გრაფიკს შორის თანხვედრა ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| ემთხვევა თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განრიგი საჯარო საბავშვო ბაღის/ სკოლის მუშაობის განრიგს? | | 2021 | | | | 2022 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თბილისი | ქალაქი | სოფელი | საქართველო | თბილისი | ქალაქი | სოფელი | საქართველო |
| | | % | | | | | | | |
| საჯარო საბავშვო ბაღი (2021 N=1400; 2019 N=1805) | დიახ | 89.7 | 80.3 | 66.4 | 77.4 | 69.2 | 75.9 | 74.2 | 73.3 |
| | არა | 3.3 | 3.6 | 16.3 | 8 | 9.2 | 6 | 11.3 | 9.2 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0.3 | 0.2 | 0.2 | 0 | 1.4 | 0 | 0.4 |
| | არ არის ამის საჭიროება/არ ეხება | 3 | 2.5 | 3.7 | 3 | 6.3 | 3.3 | 2 | 3.6 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 4 | 13.2 | 13.4 | 11.3 | 15.3 | 13.4 | 12.4 | 13.5 |
| საჯარო სკოლა (2021 N=1469; 2019 N=2012 | დიახ | 89.4 | 82.3 | 72.7 | 79.9 | 73.2 | 80.1 | 82.7 | 79.5 |
| | არა | 3 | 3.6 | 14.4 | 7.8 | 7 | 6 | 8.8 | 7.5 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0.3 | 0.3 | 0.2 | 0 | 0.4 | 0 | 0.1 |
| | არ არის ამის საჭიროება/არ ეხება | 2.6 | 2.1 | 3.3 | 2.7 | 7.2 | 3.3 | 1.9 | 3.6 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 5 | 11.7 | 9.3 | 9.3 | 12.6 | 10.3 | 6.7 | 9.2 |

რესპონდენტებმა სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით შეაფასეს უახლოესი საჯარო საბავშვო ბაღისა და საჯარო სკოლის მიმართ საკუთარი კმაყოფილების დონე. პარამეტრებად განისაზღვრა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ინფრასტრუქტურა, მენეჯმენტი/ხელმძღვანელობა, რეგისტრა-ციის პროცედურები, სამეურვეო საბჭოს საქმიანობა, კვება, პედაგოგების მომზადების დონე, უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა.

**საჯარო საბავშვო ბაღი**

კვლევის 5-ვე ტალღაში საჯარო საბავშვო ბაღის მიმართ თითოეული პარამეტრის მიხედვით კმაყოფილების დონის შეფასებისას, რესპონდენტთა დიდი ნაწილი საკუთარ პოზიციას შეფასების დადებით ველში ათავსებს **(კმაყოფილი + ძალიან კმაყოფილი).** 2021 წლის კვლევის ფარგლებში ასეთთა წილი 50.3%-დან 58%-მდე მერყეობს. კვლევის სხვადასხვა ეტაპზე გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი კმაყოფილია საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული ინფრას-ტრუქტურით (2021 – 48.4%; 2019 – 56.2%; 2017 – 51%; 2015 – 47.8%; 2013 – 54.9%). ამასთან, ინფრას-ტრუქტურით უკმაყოფილო რესპონდენტების ყველაზე მაღალი რაოდენობა 2013 წელს (9.8%) დაფიქსირდა, ასევე, ამავე ტალღის მონაცემების თანახმად, რესპონდენტთა 10.6% საჯარო საბავშვო ბაღების გადასახადით იყო უკმაყოფილო. აღსანიშნავია, რომ 2015 (4.8%) და 2021 (6%) წლებშიც რესპონდენტები უკმაყოფილოები ყველაზე მეტად ინფრასტრუქტურით არიან. 2017 (3.7%) და 2019 (5.6%) წლებში კი ყველაზე დიდი ნაწილის უკმაყოფილების მიზეზი რეგისტრაციის პროცედურები აღმოჩნდა. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კვლევის 5-ვე რაუნდში, მცირეა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც საჯარო საბავშვო ბაღის მიმართ საკუთარი კმაყოფილების დონე ნეგატიურ კონტექსტში (უკმაყოფილო და ძალიან უკმაყოფილო) შეაფასეს.

**საჯარო სკოლა**

წინასწარ განსაზღვრული პარამეტრების მიხედვით საჯარო სკოლებისადმი რესპონდენტების კმაყოფილების შეფასებამ აჩვენა, რომ კვლევის 5-ვე ტალღის ფარგლებში გამოკითხულთა ძი-რითადი ნაწილი ხსენებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ დადებითად **(კმაყო-ფილი + ძალიან კმაყოფილი)** არის განწყობილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თუ 2021 წელს მინიმუმ

ყოველი მეორე რესპონდენტი კმაყოფილია, როგორც ინფრასტრუქტურით, ასევე, მენეჯმენტით, სამეურვეო საბჭოს საქმიანობით, პედაგოგების მომზადების დონით, უსაფრთხოებით და ა.შ (ასეთთა წილი 52.8%-დან 66.1%-მდე მერყეობს), მსგავსი განწყობების მქონე რესპონდენტთა წილი წინა წლების მონაცემებზე დაყრდნობით ზოგიერთი პარამეტრის შემთხვევაში 50%-ზე რამდენადმე ნაკლებია. კვლევის პირველ სამ რაუნდში (2017 – 58.9%; 2015 – 60.9%; 2013 – 62.4%) რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურული მოწყობით არის კმაყოფილი, მე-4 და მე-5 რაუნდში კი ხელმისაწვდომობით (2021 – 66.1%; 2019 –63.4%). რაც შეეხება ნეგატიურ შეფასებებს, საგულისხმოა, რომ სხვადასხვა პარამეტრის გათვალისწინებით, უკმაყოფილო რესპონდენტების რაოდენობა თითოეული ტალღის შემთხვევაში 10.9%-ს არ აღემატება (რომელიმე ერთი პარამეტრით უკმაყოფილო რესპონდენტთა ყველაზე დიდი წილი დაფიქსირდა 2013 წელს). ამათგან კვლევის 5-ვე ეტაპზე ინფრასტრუქტურით უკმაყოფილოთა რაოდენობა (2021 – 7.8%; 2019 – 9%; 2017 – 5.9%; 2015 – 5.7%; 2013 – 11.5%) ყველაზე მაღალია.

**საჯარო საბავშვო ბაღებით/სკოლებით ზოგადი კმაყოფილება**

კვლევის ხუთივე ტალღის მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ გარდა 2015 წლისა (48.9%), დანარჩენ წლებში გამოკითხულთა უმრავლესობა (50%-ზე მეტი) საჯარო საბავშვო ბაღების მიმართ საკუთარი კმაყოფილების დონეს შეფასების დადებით ველში ათავსებს (კმაყოფილი და ძალიან კმაყოფილი). კერძოდ, წლების მიხედვით ასეთ რესპონდენტთა რაოდენობები შემდეგია: 2021 – 60.3%; 2019 – 55.4%; 2017 - 52.3%; 2015 - 48.9%; 2013 – 52.3%; უარყოფითი განწყობების მქონე რესპონდენტთა წილი გამოკითხვის სხვადასხვა ეტაპზე 1.4%-3.8% შორის მერყეობს (ძალიან უკმაყოფილო და უკმაყოფილო). რაც შეეხება საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, კვლევის 5-ვე ეტაპზე რესპონდენტების ძირითადი ნაწილი საკუთარ კმაყოფილებას შეფასების დადებით ველში აქცევს. ასეთთა წილი ყველაზე მაღალი 2021 (66.6%) და 2019 (63.5%) წლებშია. ასევე, კვლევის ერთი ტალღიდან მეორემდე იზრდება კმაყოფილი რესპონდენტების რაოდენობა. უარყოფითი განწყობების მქონეთა წილი კვლევის სხვადასხვა ეტაპზე 5.1%-ს არ აღემატება (იხ. ცხრილი #14).

**ცხრილი #14 - დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღებით/საჯარო სკოლა/სკოლებით ზოგადი კმაყოფილების შეფასება**

| ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენს დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღებით/საჯარო სკოლებით? | საჯარო საბავშვო ბაღი | | | | | საჯარო სკოლა | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 N=3400 | 2019 N=3400 | 2017 N=3400 | 2015 N=3400 | 2013 N=2602 | 2021 N=3400 | 2019 N=3400 | 2017 N=3400 | 2015 N=3400 | 2013 N=3217 |
| | % | | | | | | | | | |
| ძალიან უკმაყოფილო | 0.2 | 0.4 | 0.6 | 0.2 | 0.9 | 0.5 | 1.2 | 0.1 | 0.5 | 1 |
| უკმაყოფილო | 1.3 | 3.4 | 1.5 | 1.2 | 2.7 | 1.9 | 3.9 | 1.5 | 1.7 | 3.2 |
| არც უკმაყოფილო და არც კმაყოფილი | 7.8 | 5.5 | 5.9 | 4.7 | 12.6 | 8.3 | 6.6 | 6.6 | 5.2 | 11.2 |
| კმაყოფილი | 51.8 | 48.1 | 46.2 | 40.1 | 51.2 | 57.3 | 54.9 | 54.2 | 49.7 | 57.2 |
| ძალიან კმაყოფილი | 8.5 | 7.3 | 6.1 | 8.8 | 3 | 9.3 | 8.6 | 7.7 | 11.7 | 4.7 |
| უარი პასუხზე | 0.7 | 0.1 | 0.4 | 0.5 | 0.4 | 0.2 | 0.4 | 0.6 | 0.4 | 0.3 |
| არ ეხება | 19.8 | 25.6 | 27.4 | 31.5 | | 15.3 | 18.2 | 20.8 | 19.4 | |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 9.9 | 9.6 | 11.9 | 12.9 | 29.3 | 7.2 | 6.2 | 8.4 | 11.3 | 22.6 |

საჯარო საბავშვო ბაღების/სკოლების მიმართ კმაყოფილების ანალიზი რესპონდენტის ეროვნების ჭრილშიც ***(ეთნიკურად ქართველი/ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი)*** განხორციელდა. კვლევის მეხუთე რაუნდის თანახმად, საჯარო საბავშვო ბაღების მიმართ კმაყოფილებას უფრო მეტად ეთნიკურად ქართველი რესპონდენტები (62.6%) გამოხატავენ, ვიდრე სხვა ეთნოსის წარმომადგენლები (47.3%).კვლევის 5-ვე რაუნდის მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ მნიშვნელოვნად არ არის შემცირებული ან გაზრდილი საჯარო საბავშვო ბაღებით კმაყოფილი, როგორც ეთნიკურად ქართველი, ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი რესპონდენტების წილი. ამასთან, თითქმის არ არის გაზრდილი უკმაყოფილოთა რაოდენობა (კვლევის სხვადასხვა ეტაპზე). 2021 წლის კვლევის მონაცემების მიხედვით, საჯარო სკოლებით კმაყოფილი ეთნიკურად ქართველი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი რესპონდენტების რაოდენობას შორის სხვაობა თითქმის არ არის (ეთნიკურად ქართველი - 67%; სხვა ეროვნების - 63.8%). ანალოგიური განწყობის მქონე პირთა წილის კლება-მატების ტენდენცია წინა ოთხი რაუნდის ფარგლებში უმნიშვნელოა. გამოკითხულთა შორის უკმაყოფილოთა რაოდენობა კვლევის ხუთივე რაუნდზე უმნიშვნელოდ იცვლება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით შედარებით მაღალია 2013 (9.3%) და 2019 წელს (10%) გამოკითხული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი უკმაყოფილო რესპონდენტების წილი (იხ. ცხრილი #15).

**ცხრილი #15 - დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღი/ბაღებით/საჯარო სკოლა/სკოლებით ზოგადი კმაყოფილების შეფასება ეთნიკურობის ჭრილში**

| | | ძალიან უკმაყოფილო | უკმაყოფილო | არც უკმაყოფილო და არც კმაყოფილი | კმაყოფილი | ძალიან კმაყოფილი | უარი პასუხზე | არ ეხება | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საჯარო საბავშვო ბაღი** | | **%** | | | | | | | |
| 2021 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0.1 | 1.1 | 7.3 | 53.8 | 8.8 | 0.5 | 18.1 | 10.3 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0.6 | 2.2 | 11 | 40.5 | 6.8 | 2 | 29.7 | 7.2 |
| | **საქართველო** | **0.2** | **1.3** | **7.8** | **51.8** | **8.5** | **0.7** | **19.8** | **9.9** |
| 2019 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0.4 | 3.3 | 5.6 | 48.9 | 7.5 | 0.1 | 25 | 9.3 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0.9 | 4.4 | 4.4 | 40 | 5.7 | 0.1 | 31.9 | 12.7 |
| | **საქართველო** | **0.4** | **3.4** | **5.5** | **48.1** | **7.3** | **0.1** | **25.6** | **9.6** |
| 2017 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0.5 | 1.4 | 6.2 | 48.4 | 6.3 | 0.3 | 25.4 | 11.5 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 1.6 | 1.9 | 4.2 | 29.2 | 5 | 0.8 | 42.2 | 15.1 |
| | **საქართველო** | **0.6** | **1.5** | **5.9** | **46.2** | **6.1** | **0.4** | **27.4** | **11.9** |
| 2015 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0.2 | 1.2 | 4.8 | 41.9 | 9.7 | 0.3 | 27.9 | 14 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0 | 1.6 | 3.3 | 25.8 | 1.6 | 1.6 | 62.2 | 3.8 |
| | **საქართველო** | **0.2** | **1.2** | **4.7** | **40.1** | **8.8** | **0.5** | **31.5** | **12.9** |
| 2013 N=2602 | ეთნიკურად ქართველი | 0.9 | 2.5 | 12.5 | 51.9 | 3.2 | 0.3 | | 28.8 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0 | 5.7 | 14.2 | 41.5 | 1.1 | 1.7 | | 35.8 |
| | **საქართველო** | **0.9** | **2.7** | **12.6** | **51.2** | **3** | **0.4** | | **29.3** |

(გაგრძელება)

| | | ძალიან უნდობელი | უნდობელი | არც უნდობელი და არც მნდობელი | მნდობელი | ძალიან მნდობელი | უარი პასუხზე | არ ეხება | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საჯარო სკოლა** | | **%** | | | | | | | |
| 2021 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0.3 | 1.6 | 7.7 | 57.5 | 9.5 | 0.2 | 15 | 7.9 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 2 | 4 | 12.2 | 56 | 7.8 | 0.2 | 14.6 | 3.2 |
| | **საქართველო** | **0.5** | **1.9** | **8.3** | **57.3** | **9.3** | **0.2** | **15.3** | **7.2** |
| 2019 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 1.1 | 3.5 | 6.4 | 55.6 | 8.6 | 0.4 | 18.3 | 6.1 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 2 | 8 | 8.6 | 48.3 | 8.5 | 0 | 17 | 7.7 |
| | **საქართველო** | **1.2** | **3.9** | **6.6** | **54.9** | **8.6** | **0.4** | **18.2** | **6.2** |
| 2017 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0.1 | 1.4 | 6.5 | 55.1 | 7.3 | 0.6 | 20.7 | 8.4 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0.5 | 2.9 | 7.7 | 47.8 | 11.6 | 0 | 21.1 | 8.4 |
| | **საქართველო** | **0.1** | **1.5** | **6.6** | **54.2** | **7.7** | **0.6** | **20.8** | **8.4** |
| 2015 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0.5 | 1.6 | 4.7 | 49.4 | 12 | 0.5 | 19.6 | 11.7 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0.3 | 2.7 | 9 | 52.7 | 9 | 0.3 | 18 | 7.9 |
| | **საქართველო** | **0.5** | **1.7** | **5.2** | **49.7** | **11.7** | **0.4** | **19.4** | **11.3** |
| 2013 N=3217 | ეთნიკურად ქართველი | 0.8 | 2.7 | 11.3 | 57 | 4.8 | 0.2 | | 23.3 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 2.1 | 7.2 | 10.3 | 58.7 | 3.8 | 0.8 | | 17.2 |
| | **საქართველო** | **1** | **3.2** | **11.2** | **57.2** | **4.7** | **0.3** | | **22.6** |

2021 და 2019 წლებში გამოკითხულმა რესპონდენტებმა სკოლამდელი და ზოგად საგანმანათლებლო საჯარო დაწესებულებების მიმართ ნდობის საკითხი შეაფასეს. ორივე ტალღის თანახმად, საჯარო სკოლების (2021 - 68.8%; 2019 – 73%) და საჯარო საბავშვო ბაღების მიმართ (2021 – 62.9%; 2019 – 68.9%) ნდობა მაღალია, თუმცა, ორივე დაწესებულების შემთხვევაში იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ნდობას გამოხატავდნენ საჯარო საბავშვო ბაღის და საჯარო სკოლების მიმართ, წინა წლის მონაცემებთან შედარებით შემცირდა, რაც ერთი მხრივ განპირობებულია ისეთ რესპონდენტთა ზრდით კვლევაში, რომელთაც პასუხზე უარი განაცხადეს. იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც უნდობლობას უცხადებენ საჯარო სკოლებსა და ბაღებს კვლევის ორივე რაუნდზე 5%-ზე დაბალია (იხ. ცხრილი #16).

**ცხრილი #16 - დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღის/ბაღების/საჯარო სკოლის/სკოლების მიმართ ნდობის შეფასება**

| საჯარო საბავშვო ბაღი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სრულიად არ ვენდობი | არ ვენდობი | არც არ ვენდობი და არც ვენდობი | ვენდობი | სრულიად ვენდობი | უარი პასუხზე | არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა |
| % | | | | | | | |
| 2021 (N=3400) | 0.1 | 1.1 | 6.8 | 54.1 | 8.8 | 19.9 | 9.1 |
| 2019 (N=3400) | 0.5 | 2.3 | 5.4 | 60 | 8.9 | 3.3 | 19.7 |
| **საჯარო სკოლა** | | | | | | | |
| | სრულიად არ ვენდობი | არ ვენდობი | არც არ ვენდობი და არც ვენდობი | ვენდობი | სრულიად ვენდობი | უარი პასუხზე | არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა |
| % | | | | | | | |
| 2021 (N=3400) | 0.4 | 1.5 | 7.2 | 58.8 | 10 | 15.2 | 6.9 |
| 2019 (N=3400) | 0.7 | 3.5 | 6.7 | 62.9 | 10.2 | 1.3 | 14.7 |

კვლევის მეხუთე ტალღის მონაცემების თანახმად, საჯარო საბავშვო ბაღებისადმი ნდობის თვალსაზრისით, დადებითი განწყობის ***(ვენდობი და სრულიად ვენდობი)*** მქონე **ეთნიკურად ქართველი** რესპონდენტების წილი აჭარბებს იგივე განწყობის მქონე **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ** რესპონდენტთა რაოდენობას (ეთნიკურად ქართველი - 65,2%; ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 49,4%). სკოლების შემთხვევაში ხსენებული ორი ჯგუფის პროცენტული გადანაწილება თითქმის თანაბარია (ეთნიკურად ქართველი - 69.5%; ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 64.7%). 2021 წლის სტატისტიკური მონაცემების წინა ტალღასთან შედარება აჩვენებს, რომ ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც საჯარო საბავშვო ბაღების/საჯარო სკოლების მიმართ დადებით განწყობას ავლენს, მეხუთე რაუნდში შემცირდა, თუმცა, ამის პარალელურად არ ფიქსირდება უნდობლობით განმსჭვალული რესპონდენტების წილის ზრდა (იხ. ცხრილი #17).

**ცხრილი #17 - დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღის/ბაღების/საჯარო სკოლის/სკოლების მიმართ ნდობის შეფასება ეთნიკურობის ჭრილში**

| | | სრულიად არ ვენდობი | არ ვენდობი | არც არ ვენდობი და არც ვენდობი | ვენდობი | სრულიად ვენდობი | უარი პასუხზე | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საჯარო საბავშვო ბაღი** | | **%** | | | | | | |
| 2021 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0 | 0.9 | 6 | 55.9 | 9.3 | 18.3 | 9.5 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0.4 | 2.4 | 12 | 43.8 | 5.6 | 29 | 6.8 |
| | საქართველო | 0.1 | 1.1 | 6.8 | 54.1 | 8.8 | 19.9 | 9.1 |
| 2019 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0.5 | 2.5 | 5.6 | 60.6 | 9 | 2.7 | 19.1 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0 | 0.8 | 2.8 | 54.8 | 8.2 | 8.5 | 25 |
| | საქართველო | 0.5 | 2.3 | 5.4 | 60 | 8.9 | 3.3 | 19.7 |
| **საჯარო სკოლა** | | **%** | | | | | | |
| 2021 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0.2 | 1.2 | 6.1 | 58.9 | 10.6 | 15.4 | 7.5 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 1.2 | 3.4 | 13.2 | 58.1 | 6.6 | 14.4 | 3 |
| | საქართველო | 0.4 | 1.5 | 7.2 | 58.8 | 10 | 15.2 | 6.9 |
| 2019 N=3400 | ეთნიკურად ქართველი | 0.7 | 3.4 | 6.8 | 63 | 10.1 | 1.4 | 14.6 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0.9 | 4.1 | 5.3 | 61.7 | 11 | 1.1 | 15.9 |
| | საქართველო | 0.7 | 3.5 | 6.7 | 62.9 | 10.2 | 1.3 | 14.7 |

საჯარო საბავშვო ბაღისადმი/სკოლისადმი ნდობის საკითხის **მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების** ჭრილში განხილვა ცხადყოფს, რომ როგორც 2021 წელს *(საჯარო ბაღი - მაღალმთიანი: 71.3%; სხვა ტიპის დასახლება: 61.1%; საჯარო სკოლა - მაღალმთიანი: 76.9%; სხვა ტიპის დასახლება: 67% ),* ასევე, 2019 წელს (საჯარო ბაღი - მაღალმთიანი: 73,8%; სხვა ტიპის დასახლება: 68,5%; საჯარო სკოლა - მაღალმთიანი: 87.4%; სხვა ტიპის დასახლება: 71.7%), მაღალმთიანი დასახლებებში გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი გამოხატავდა ნდობას თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ, ვიდრე სხვა ტიპის დასახლების წარმომადგენელი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კვლევის მეხუთე რაუნდში, წინა რაუნდთან შედარებით, ორივე ტიპის დასახლებულ პუნქტში რამდენადმე შემცირდა საჯარო საბავშვო ბაღებისადმი/სკოლებისადმი დადებითად განწყობილი რესპონდენტების წილი (იხ. ცხრილი #18).

**ცხრილი #18 - დასახლებაში/უბანში არსებული საჯარო საბავშვო ბაღის/ბაღების/საჯარო სკოლის/სკოლების მიმართ ნდობის შეფასება მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| | | სრულიად არ ვენდობი | არ ვენდობი | არც არ ვენდობი და არც ვენდობი | ვენდობი | სრულიად ვენდობი | უარი პასუხზე | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საჯარო საბავშვო ბაღი | | % | | | | | | |
| 2021 N=3400 | მაღალმთიანი | 0 | 0.6 | 3.7 | 66.1 | 5.2 | 19.2 | 5.2 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 0.1 | 1.3 | 7.5 | 51.5 | 9.6 | 20 | 10 |
| | საქართველო | 0.1 | 1.1 | 6.8 | 54.1 | 8.8 | 19.9 | 9.1 |
| 2019 N=3400 | მაღალმთიანი | 0 | 0.4 | 4.7 | 63.9 | 9.9 | 3 | 18 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 0.5 | 2.5 | 5.4 | 59.7 | 8.8 | 3.3 | 19.8 |
| | საქართველო | 0.5 | 2.3 | 5.4 | 60 | 8.9 | 3.3 | 19.7 |
| საჯარო სკოლა | | % | | | | | | |
| 2021 N=3400 | მაღალმთიანი | 0 | 1 | 2.8 | 71.1 | 5.8 | 16.4 | 2.9 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 0.4 | 1.7 | 8.2 | 56.1 | 11 | 15 | 7.8 |
| | საქართველო | 0.4 | 1.5 | 7.2 | 58.8 | 10 | 15.2 | 6.9 |
| 2019 N=3400 | მაღალმთიანი | 0 | 1.2 | 4.3 | 73 | 14.4 | 1 | 6.1 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 0.8 | 3.7 | 6.9 | 62 | 9.8 | 1.4 | 15.5 |
| | საქართველო | 0.7 | 3.5 | 6.7 | 62.9 | 10.2 | 1.3 | 14.7 |

## პროფესიული სასწავლებლები

კვლევის სხვადასხვა ეტაპზე, გარდა 2017 წლისა (27.3%), იმ რესპონდენტთა წილი, რომელთაც აღნიშნეს, რომ მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებელი არ არსებობს (2021 – 43.2%; 2019 – 41.4%; 2017 – 27.3%; 2015 – 39.4%; 2013 – 44%;) მეტია მათ რაოდენობაზე, რომლებიც ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულების არსებობას ადასტურებენ (იხ. ცხრილი #19).

**ცხრილი #19 - მუნიციპალიტეტში/ქალაქში პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლის ხელმისაწვდომობა**

| არის თუ არა თქვენს მუნიციპალიტეტში/ქალაქში პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებელი? | 2021 N=3400 | 2019 N=3400 | 2017 N=3400 | 2015 N=3400 | 2013 N=3400 |
|---|---|---|---|---|---|
| | % | | | | |
| დიახ | 38.6 | 35.9 | 40.2 | 36.9 | 31 |
| არა | 43.2 | 41.4 | 27.3 | 39.4 | 44 |
| უარი პასუხზე | 0 | 0.1 | 0.2 | | 0 |
| არ ეხება/არ მჭირდება | 5.1 | 3.2 | 4.8 | 3.1 | 2.7 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 13 | 19.5 | 27.5 | 20.5 | 22.2 |

კვლევის ყველა ეტაპზე იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, რომელთაც მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში პროფესიული სასწავლებლის არსებობაზე მიუთითეს, აღნიშნავს, რომ უახლოეს პროფესიულ სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლა შესაძლებელია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით 2021 წელს ასეთ რესპონდენტთა წილი მნიშვნელოვნად არის შემცირებული (2021 – 63.9%; 2019 – 76.1%; 2017 – 81.2%; 2015 – 89.8%; 2013 -78%). კვლევის ბოლო ტალღის თანახმად, რესპონდენტთა 18.3%-ს გადაადგილების ეს შესაძლებლობა არ აქვს, 11.9%-ს კი ამის საჭიროება არ გააჩნია (იხ. ცხრილი #20).

**ცხრილი #20 - უახლოეს პროფესიულ (პროფტექნიკურ) სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა**

| მიდის თუ არა საზოგადოებრივი ტრანსპორტი უახლოეს პროფესიულ (პროფტექნიკურ) სასწავლებლამდე? | 2021 N=1313 | 2019 N=1221 | 2017 N=1365 | 2015 N=1256 | 2013 N=1056 |
|---|---|---|---|---|---|
| | % | | | | |
| დიახ | 63.9 | 76.1 | 81.2 | 89.8 | 78 |
| არა | 18.3 | 9.6 | 5.5 | 6.8 | 10.6 |
| უარი პასუხზე | 0.1 | | 0.1 | | |
| არ ეხება/არ მჭირდება | 11.9 | 7.6 | 3.1 | 0.9 | 1.7 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 5.9 | 6.8 | 10.1 | 2.6 | 9.7 |

ბოლო ორი ტალღის ფარგლებში (2021, 2019) იმ რესპონდენტთაგან, რომლებმაც აღნიშნეს, რომ პროფესიულ სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი მიდის, დიდი უმრავლესობა (2021 - 74.6%; 2019 – 76%) ამბობს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის და საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის განრიგი ერთმანეთს ემთხვევა (იხ. დიაგრამა #4).

**დიაგრამა #4 - პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის განრიგის თანხვედრა**




კვლევის ბოლო ორი ტალღის ფარგლებში, რესპონდენტებმა შეაფასეს მათ რეგიონში/მუნიციპალიტეტში არსებული პროფესიული სასწავლებლების მიმართ ნდობა. კვლევა ცხადყოფს, რომ გამოკითხვის ორივე ეტაპზე, რესპონდენტთა უმრავლესობა (ვენდობი და სრულიად ვენდობი - 2021 – 63.9%; 2019 – 58.3%) - ენდობა ხსენებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. ნეიტრალურად (არც არ ვენდობი და არც ვენდობი) განწყობილი რესპონდენტების წილი 2021 (18%) წლის მონაცემებით უფრო მაღალია, ვიდრე 2019-ის (8%) (იხ. დიაგრამა #5).

**დიაგრამა #5 - მუნიციპალიტეტში/რეგიონში არსებული პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლების მიმართ ნდობის შეფასება**




რაც შეეხება ზოგად კმაყოფილებას, იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (2021 წ.), რომელთაც პროფესიულ სასწავლებლებთან ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა გააჩნიათ, კმაყოფილია ხსენებული საგანმანათლებლო დაწესებულებით (57.7%). საგულისხმოა, რომ კმაყოფილება პროფესიული სასწავლებლების მიმართ პოზიტიურ დინამიკას უჩვენებს და, თუ 2013-2017 წლებში ამ თვალსაზრისით ცვლილებები არ იყო, კვლევის ბოლო ორ რაუნდში კმაყოფილების დონე წინა რაუნდებთან შედარებით რამდენადმე გაიზარდა (2021 – 58.7%; 2019 – 51.5%). რესპონდენტთა მცირე ნაწილი, რომელიც უკმაყოფილოა პროფესიული სასწავლებლებით, ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კვლევის ყველა რაუნდში პედაგოგების მომზადების დონეს და/ან საფასურს ასახელებს (იხ. დიაგრამა #6).

**დიაგრამა #6 - მუნიციპალიტეტში/რეგიონში არსებული პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლებით კმაყოფილების შეფასება**



**რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) არსებული პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლები**

რესპონდენტებმა მხოლოდ 2021 წლის კვლევის ფარგლებში უპასუხეს კითხვებს მათი მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა რეგიონში არსებულ პროფესიულ (პროფტექნიკურ) სასწავლებლებზე. გამოკითხულთა მეოთხედი (26.5%) ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებობას ადასტურებს, 29.1% კი ამბობს, რომ არ არის. 26.5% ამ საკითხის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს („მიჭირს პასუხის გაცემა“) (იხ. დიაგრამა #7).

**დიაგრამა #7 - პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლის ხელმისაწვდომობა რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა)**




იმ რესპონდენტთაგან, რომლებმაც დაადასტურეს მათი მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარეთ პროფესიული სასწავლებლის არსებობა, ყოველი მეორე (54.4%) ამბობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამდე მიდის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, 22.8%-მა კი აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა არ არსებობს. გარდა ზემოთქმულისა, საგულისხმოა, რომ მათ შორის, რომლებიც ტრანსპორტის არსებობაზე მიუთითებენ, მხოლოდ 10% ამბობს, რომ პროფესიული სასწავლებლისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის განრიგი ერთმანეთს არ ემთხვევა, 56.6% კი საპირისპირო ფაქტზე საუბრობს (იხ. დიაგრამა #8).

**დიაგრამა #8 - უახლოეს პროფესიულ სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა**



კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა (57.9%) ენდობა მათ რეგიონში არსებულ პროფესიულ სასწავლებლებს, 18.3% კი ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებს. გამოკითხულთაგან მხოლოდ 3 რესპონდენტს აქვს უნდობლობა აღნიშნული სასწავლებლების მიმართ (0.5%) (იხ. დიაგრამა #9).

**დიაგრამა #9 - რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) არსებული პროფესიული სასწავლებლების მიმართ ნდობის შეფასება**




გარდა ნდობისა, რესპონდენტებმა 5 ქულიან სკალაზე შეაფასეს პროფესიული სასწავლებლებით კმაყოფილების დონე. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ 47.1% შეფასების დადებით ველში აქცევს საკუთარ კმაყოფილებას ***(ძალიან კმაყოფილი და კმაყოფილი)***, უკმაყოფილო რესპონდენტების წილი კვლევაში მნიშვნელოვნად მცირეა (4 რესპონდენტი). უკმაყოფილების ძირითად მიზეზებად სახელდება პედაგოგების მომზადების დონე, სპეციალობების სიმცირე/არააქტუალურობა და ხელმისაწვდომობა (იხ. დიაგრამა #10).

**დიაგრამა #10 - რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) არსებული პროფესიული სასწავლებლებით კმაყოფილების შეფასება**



კვლევის ფარგლებში (5-ვე ტალღაში) რესპონდენტებმა დაასახელეს ის სამი ძირითადი სფერო, რომელთა შესაბამისი პროფესიების დაუფლებაც პრიორიტეტულია მათი დასახლების/ქალაქის მაცხოვრებლებისთვის პროფესიულ (პროფტექნიკურ) სასწავლებლებში. კვლევის ბოლო რაუნდის მონაცემებით, გამორჩეულია სოფლის მეურნეობის სფერო (20.3%), ტურიზმი (სასტუმროს ბიზნესი) (19%) და სამედიცინო სფერო (მედდა, სანიტარი – 16.2%). ამ თვალსაზრისით, 2013-დან 2019 წლის ჩათვლით თითქმის თანაბრად მნიშვნელოვან სფეროებად რჩებოდა სოფლის მეურნეობის, მშენებლობის და სამედიცინო (მედდა, სანიტარი) სფერო. 2021 წელს კი რესპონდენტთა განწყობები რამდენადმე შეიცვალა და მშენებლობა ჩაანაცვლა ტურიზმმა (იხ. ცხრილი #21).

**ცხრილი #21 - დასახლების მაცხოვრებლებისათვის პროფესიულ სასწავლებელში დასაუფლე-ბელი პრიორიტეტული პროფესიები**

| პროფესიები, რომელთა დაუფლება პრიორიტეტულია დასახლების მაცხოვრებლებისათვის პროფ. სასწავლებელში N=598 (2021) | 2021 N=3400 | 2019 N=3400 | 2017 N=3400 | 2015 N=3400 | 2013 N=3400 |
|---|---|---|---|---|---|
| | % | | | | |
| სასოფლო სამეურნეო სფერო | 20.3 | 16.7 | 18.1 | 20.7 | 24 |
| ტურიზმი (სასტუმროს ბიზნესი) | 19 | 15.7 | 18.2 | 14.3 | 12.2 |
| მშენებლობა (ხურო, ელექტრიკოსი, მექანიკოსი ა. შ.) | 14 | 17.2 | 21.7 | 21.6 | 23 |
| სამედიცინო (მედდა, სანიტარი) | 16.2 | 17.4 | 21 | 22.6 | 23.4 |
| ადმინისტრაციული (მდივანი, ადმინისტრაციული ასისტენტი) | 3.7 | 3.2 | 8.6 | 10.6 | 9.5 |
| ინფორმაციული ტექნოლოგია (IT) | 10.4 | 7.9 | 0.2 | 0.1 | 0.3 |
| ინჟინერია | 6.3 | 6.1 | | | |
| სხვა | 0.8 | 5.1 | 1.4 | 2 | 1.6 |
| უარი პასუხზე | 1.2 | 0.6 | 0.3 | 0.3 | 0.2 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 8.3 | 10.1 | 10.7 | 7.8 | 5.7 |

იმ რესპონდენტებს, რომლებმაც სოფლის მეურნეობა დაასახელეს პროფესიულ სასწავლებელში დასაუფლებელ პროფესიებს შორის პრიორიტეტულად, 2021 და 2019 წლებში შესაძლებლობა მიეცათ მათი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული მიმართულებები ჩამოეთვალათ. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე პრიორიტეტულად რესპონდენტები ორივე რაუნდში მეცხოველეობას მიიჩნევენ (2021 – 23.9%; 2019 - 30.4%). ასევე, 2021 წელს პრიორიტეტულ პროფესიებს შორის დასახელდა მებაღეობა (22.8%), მევენახეობა/მეღვინეობა (22.9%) და მეფუტკრეობა (15.5%). ამ თვალსაზრისით 2019 წლის მონაცემები მეხუთე რაუნდის მონაცემების მსგავსია (იხ. დიაგრამა #11).

**დიაგრამა #11 - სოფლის მეურნეობის სფეროში პრიორიტეტული პროფესიები**




ხსენებული საკითხის განხილვა **მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების** ჭრილში აჩვენებს, რომ კვლევის მეხუთე რაუნდში მაღალმთიანი დასახლების წარმომადგენელთათვის პრიორიტეტული პროფესიები მევენახეობა/მეღვინეობა (37.8%) და მეფუტკრეობაა (35.1%), მაშინ როდესაც 2019 წელს მაღალმთიან დასახლებაში ყოველი მეორე რესპონდენტი ასეთ პროფესიად მეცხოველეობას ასახელებდა (52.1%), რაც მნიშვნელოვნად შემცირდა 2021 წელს (17.1%). სხვა ტიპის დასახლების წარმომადგენელთა შორის, 2021 და 2019 წელს, ასეთ პროფესიებად გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი მებაღეობას (2021 – 28.8%; 2019 – 21.9%) და მეცხოველეობას (2021 – 26.2%; 2019 -26.5%) ასახელებს (იხ. ცხრილი #22).

**ცხრილი #22 - სოფლის მეურნეობის სფეროში პრიორიტეტული პროფესიები მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| | | მებაღეობა | მეხილეობა | მეფუტკრეობა | მეცხოველეობა | მევენახეობა/ მეღვინეობა | სხვა | უარი პასუხზე | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | | | | |
| 2021 N=1473 | მაღალმთიანი | 5.2 | 1.6 | 35.1 | 17.1 | 37.8 | 1.1 | 0.5 | 1.6 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 28.8 | 14.2 | 8.9 | 26.2 | 17.9 | 1.2 | 0.2 | 2.7 |
| | საქართველო | 22.8 | 11 | 15.5 | 23.9 | 22.9 | 1 | 0.3 | 2.5 |
| 2019 N=1287 | მაღალმთიანი | 10.4 | 1.8 | 16.6 | 52.1 | 12.9 | 2.4 | 1.2 | 2.5 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 21.9 | 9.3 | 14 | 26.5 | 20.1 | 2.6 | 0.6 | 5.1 |
| | საქართველო | 20.1 | 8.1 | 14.4 | 30.4 | 19 | 2.7 | 0.7 | 4.7 |

თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის თანხმად, დასაქმების მიმართულებით, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების მიღებას. მაღალმთიან რეგიონებში მოთხოვნადია ისეთი პროფესიები, როგორებიცაა მეღვინე, ვეტერინარი და ა.შ. ეთნიკური უმცირესობით დასახლებული მუნიციპალიტეტების მოსახლეობაში გამოითქვა მოსაზრება, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს ქალების დასაქმებაზე. ასევე, ადგილობრივებს შეეძლოთ პროფესიულ განათლების მიღება ადგილზე - *„კერვა, ქსოვა გოგოებისთვის, ბევრი ხელობაა რომელიც შეიძლება შეისწავლონ ადგილზე" (ქალი 25 წლის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლის მაცხოვრებელი, ქვემო ქართლი).*

ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმების შესაძლებლობების შესახებ, ორგანიზება გაუწიოს დამსაქმებლებსა და სამუშაოს მაძიებლებს შორის შეხვედრებსა და ფორუმებს. გამოაცხადოს საგრანტო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს კერძო ინიციატივების წახალისებას.

დასაქმების შესაძლებლობებზე საუბრისას, თბილისის მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში ითქვა, რომ მასობრივად დასაქმება ისეთ სფეროებშია შესაძლებელი, სადაც კვალიფიკაცია ნაკლებად, ან საერთოდ არ მოითხოვება. ეს სფეროებია ვაჭრობა, ტრანსპორტი (ტაქსის მძღოლობა), მომსახურების სფერო (კონსულტანტი, კურიერი), მშენებლობა (მუშა) და ა.შ. რაც შეეხება ისეთ სფეროებში დასაქმებას, სადაც კვალიფიკაციის ქონა საჭიროა, რესპონდენტებმა ტექნოლოგიების სფერო დაასახელეს (ვებ-დიზაინერი, ბიზნეს ანალიტიკოსი). ამ სფეროში ვაკანსიების რაოდენობა განსაკუთრებით პანდემიის დაწყების შემდეგ გაიზარდა, როცა ბევრი კერძო ბიზნესის დიდი ნაწილი დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა და ონლაინ მომსახურების მასშტაბი გაიზარდა. თბილისელების შეფასებით, თბილისში ისეთი ანაზღაურებადი სამუშაოს პოვნაა შესაძლებელი, რომლითაც მხოლოდ ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფა არის შესაძლებელი, ხოლო რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის შეფასებით, ადგილზე არსებული ანაზღაურებით, მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებაც კი რთულია.

> *„მე მგონია რომ გრანდიოზულის კეთებას ვერ ვახერხებთ და ვერ შევძლებთ ისეთ სიტუაციაში ვცხოვრობთ. რაღაც ელემენტალურის გაკეთება შეიძლება, ის რომ არ მოგვშივდეს" (20 წლის კაცი, თბილისი).*

პატარა ზომის ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებელთათვის ადგილზე დასაქმება გაცილებით რთულია, ვიდრე ქალაქებში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში. რეგიონების მაცხოვრებლების ნაწილი უმუშევრობის შემცირების საუკეთესო გზად სამუშაო ადგილების შექმნას ასახელებენ, კერძოდ, ქარხნების, ფაბრიკების და ა.შ. გახსნას. საქმე ისაა, რომ მოსახლეობის უფროსი ნაწილის მეხსიერებაში ჯერ კიდევ ის პერიოდია აღბეჭდილი, როცა მცირე ქალაქებსა და სოფლებში ადგილობრივები მასობრივად იყვნენ დასაქმებულები და გააჩნდათ სტაბილური შემოსავლის წყაროები. ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა ერთი ნაწილის აზრით, მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივების წახალისება, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ საკუთარი ცოდნისა და უნარების გამოყენებით შეძლოს დოვლათის შექმნა და საკუთარი და თემის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. თუმცა, მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფების მცირე ნაწილში გამოითქვა მოსაზრება, რომ ადგილზე არსებული უპერსპექტივობის გამო, მოსახლეობა საჯარო სექტორში უნდა დასაქმდეს.

> *„ჩემი აზრით, საჯაროში უნდა მოხდეს დასაქმება, რადგან კერძო ინიციატივა შეიძლება ბევრს არ ქონდეს და ვერც სამსახური იპოვოს" (21 წლის ქალი, სამეგრელო-ზემო სვანეთი).*

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს თავად მუნიციპალურ ორგანოებში არსებულ დაბალ ანაზღაურებაზე, რის გამოც ჭირს კვალიფიციური კადრების მოზიდვა საჯარო

სექტორში. საჯარო სექტორში მუშაობით განსაკუთრებით იმ ახალგაზრდების დაინტერესებაა რთული, რომლებმაც უმაღლესი განათლება დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) მიიღეს და იქვე ცდილობენ თავის დამკვიდრებას, რადგან ცოდნის რეალიზების მეტი შესაძლებლობებია. „როცა მერს 2066 ლარი აქვს ხელზე ასაღები ხელფასი, თანამშრომელს რა უნდა ქონდეს? ეს არ არის მამოტივირებელი. თუ შინაგანად საჯარო მოხელე ხარ, მაინც იქნები და იმუშავებ, მაგრამ ყველას თავის ოჯახი აქვს, ხო? თუნდაც სამუშაო ბაზარი უფრო დიდია თბილისში, რათ უნდა ამას ახსნა-განმარტება. უფრო მარტივად პოულობენ სამსახურს“ (მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).

## უმაღლესი სასწავლებლები

გარდა ზემოთ განხილული საგანმანათლებლო დაწესებულებების ტიპებისა, კვლევის ბოლო ორი ტალღის (2021, 2019) ფარგლებში რესპონდენტებმა ისაუბრეს მათ მუნიციპალიტეტში/ქალაქში სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლების არსებობის საკითხზეც. 2021 წელს წინა რაუნდთან შედარებით გაზრდილია ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ამბობენ, რომ ასეთი დაწესებულება მათ მუნიციპალიტეტში არ არის (2021 – 61.2%; 2019 – 49.6%). მათი წილი, რომლებიც საპირისპიროზე მიუთითებენ 2021 წელს 33.7%, 2019-ში კი 38.7%-ია. იმ რეგიონებში, სადაც არის აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულება, კვლევის ორივე რაუნდში, გამოკითხულ-თა უმრავლესობა მიუთითებს, რომ სახლიდან უმაღლეს სასწავლებლამდე მანძილი 1-10 კმ-დე მერყეობს. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი წილი, რომლებიც ხსენებულ დისტანციაზე მიუთითებენ (2021 – 77.3%; 2019 – 56.9%).

**დიაგრამა #12 - მუნიციპალიტეტში/ქალაქში სახელმწიფო დაფინანსების უმაღლესი სასწავლებ-ლის ხელმისაწვდომობა**




მუნიციპალიტეტში/ქალაქში სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლის **რეგი-ონული** განაწილების საკითხს რაც შეეხება, გამოკითხულ რესპონდენტთაგან თბილისში (95%) ყველაზე მაღალია ისეთთა წილი, რომლებიც ამბობენ, რომ მათ ქალაქში უმაღლესი სასწავლებელია, ასევე, ასეთთა წილი შედარებით მაღალია სამცხე-ჯავახეთსა (79.3%) და შიდა ქართლში (54.3%). იმ რესპონდენტთა შორის კი, რომლებიც მიუთითებენ რომ მათ მუნიციპალიტეტში ქალაქში მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის, ყველაზე მაღალია გურიასა (99%) და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში (92.3%). მე-5 რაუნდის მონაცემების წინა რაუნდთან შედარება აჩვენებს, რომ 2019 წელთან შედარებით თბილისში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლეს სასწავლებლებზე ხელმისაწვდომობა. ამასთან, როგორც კვლევის მე-4 ტალღაში, ასევე, ბოლო ეტაპზე, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა (2021 – 92.3%; 2019 – 90.6%) და მცხეთა-მთიანეთის (2021 – 96.7%; 2019 – 92.1%) მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ ქალაქში/მუნიციპალიტეტში არ არის მსგავსი ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება (იხ. ცხრილი #23).

**ცხრილი #23 - მუნიციპალიტეტში/ქალაქში სახელმწიფო დაფინანსების უმაღლესი სასწავლებლის ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში**

| არის თუ არა თქვენს მუნიციპალიტეტში/ქალაქში სახ. დაფინანსების უმაღლესი სასწავლებელი? | 2021 N=3400 | | | 2019 N=3400 | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | დიახ | არა | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | დიახ | არა | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა |
| | % | | | | | |
| თბილისი | 95 | 0 | 5 | 67.5 | 25.1 | 7.4 |
| აჭარა | 33 | 65.7 | 1.3 | 35.7 | 55.7 | 8.7 |
| გურია | 0 | 99 | 1 | 0.9 | 93.5 | 5.6 |
| იმერეთი | 20 | 74 | 6 | 32.6 | 56.5 | 10.9 |
| კახეთი | 21 | 78 | 1 | 27.2 | 63.9 | 8.8 |
| მცხეთა-მთიანეთი | 0 | 96.7 | 3.3 | 0 | 92.1 | 7.9 |
| ქვემო ქართლი | 0 | 75.7 | 24.3 | 10.7 | 62.3 | 27 |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 0 | 92.3 | 7.7 | 0 | 90.6 | 9.4 |
| სამცხე-ჯავახეთი | 79.3 | 19 | 1.7 | 35 | 55.2 | 9.8 |
| სამეგრელო ზემო სვანეთი | 47.7 | 48.3 | 4 | 30.3 | 52.9 | 16.8 |
| შიდა ქართლი | 54.3 | 45 | 0.7 | 40.7 | 44.4 | 14.9 |
| საქართველო | 33.7 | 61.2 | 5.1 | 38.7 | 49.6 | 11.8 |

იქ, სადაც არის აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულება, კვლევის ორივე რაუნდში გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის თქმით, სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლეს სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლა შესაძლებელია (2021 – 91.9%; 2019 – 91.9%). მათ შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით შეუძლიათ მივიდნენ, უმრავლესობა (როგორც 2021, ასევე, 2019 წელს) ამბობს, რომ ტრანსპორტისა და სასწავლებლის მუშაობის განრიგი ერთმანეთს ემთხვევა (2021 – 75.2%; 2019 – 84.3%) (იხ. დიაგრამა #13).

**დიაგრამა #13 - სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის განრიგის თანხვედრა**



იმ რესპონდენტთა უმრავლესობა (2021 და 2019 წლებში), ვინც აცხადებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში/ქალაქში არის სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებელი/მისი ფილიალი, კმაყოფილია (2021 – 61.2%; 2019 – 55.4%) და ენდობა მას (2021 – 67.8%; 2019 – 70.4%) (იხ. დიაგრამა #14). სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლეს სასწავლებელთან მიმართებით უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზებს შორის რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (2019 და 2021 წლებში) პედაგოგების ცოდნის/ კომპეტენტურობის დონეს (2021 - 24.9%; 2019 - 19.7%;) და სასწავლო პროგრამას (2021 - 19.8%; 2019 – 18.1%;) ასახელებს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ორი პარამეტ-რით უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი კვლევის ბოლო რაუნდში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა ეტაპებზე.

**დიაგრამა #14 - მუნიციპალიტეტში/ქალაქში არსებული სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღ-ლესი სასწავლებლებით ნდობა/კმაყოფილების შეფასება**




კვლევის მეხუთე რაუნდში წინა ეტაპთან შედარებით შემცირებულია სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლის მიმართ ნდობით განწყობილი **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ** რესპონდენტთა წილი (2021 – 52.6%; 2019 – 61.1%), თუმცა **ეთნიკურად ქართველ** რესპონდენტთა შორის ანალოგიური განწყობის მქონეთა წილი 2021 და 2019 წლებში თანაბარია (2021 – 71.9%; 2019 – 71.1%). ამის ფონზე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შორის 2021 წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ისეთთა წილი, რომლებიც საკუთარ ნდობას შეფასების ნეიტრალურ ველში ათავსებენ (არც არ ვენდობი და არც ვენდობი - 2021 – 21.9%; 2019 – 2.4%). ნეგატიურად განწყობილ რესპონდენტთა წილი კვლევის ორივე ეტაპზე თითქმის უცვლელია, როგორც ეთნიკურად ქართველი, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შემთხვევაშიც (იხ. ცხრილი #24).

**ცხრილი #24 - მუნიციპალიტეტში/ქალაქში არსებული სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლების მიმართ ნდობის შეფასება**

| რამდენად ენდობით მუნიც-ში/ქალაქში არსებულ სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლეს სასწავლებელს? | | სრულიად არ ვენდობი | არ ვენდობი | არც არ ვენდობი და არც ვენდობი | ვენდობი | სრულიად ვენდობი | უარი პასუხზე | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | | | |
| 2021 N=1100 | ეთნიკურად ქართველი | 2.2 | 3.9 | 13.3 | 63.5 | 8.4 | | 8.8 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 1.3 | 2.6 | 21.9 | 42.5 | 10.1 | | 21.5 |
| | საქართველო | 2 | 3.6 | 15.1 | 59.2 | 8.8 | | 11.4 |
| 2019 N=1882 | ეთნიკურად ქართველი | 0.4 | 2.7 | 12.8 | 65.3 | 5.8 | 0.1 | 13 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0 | 2.8 | 2.4 | 55.5 | 5.6 | 0.5 | 33.3 |
| | საქართველო | 0.4 | 2.7 | 12.1 | 64.7 | 5.7 | 0.2 | 14.2 |

რაც შეეხება რესპონდენტთა კმაყოფილების შეფასებას, 2021 წელს სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლების მიმართ ეთნიკურად ქართველი კმაყოფილი (63.6%) რესპონდენტების წილი აჭარბებს, იმავე განწყობის მქონე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების რაოდენობას (51.8%). წინა რაუნდის მონაცემების თანახმად, ეთნიკურად ქართველი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ისეთი რესპონდენტების წილი, რომლებიც ხსენებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ კმაყოფილებას გამოხატავდნენ, თანაბარი იყო (ეთნიკურად ქართველი 55.5%; ეთნიკური უმცირესობის - 54.5%) (იხ. ცხრილი #25).

**ცხრილი #25 - მუნიციპალიტეტში/ქალაქში არსებული სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლებით კმაყოფილების შეფასება**

| რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიც-ში/ქალაქში სახ. დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლით? | | ძალიან უკმაყოფილო | უკმაყოფილო | არც უკმაყოფილო და არც კმაყოფილი | კმაყოფილი | ძალიან კმაყოფილი | უარი პასუხზე | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | | | |
| 2021 N=1100 | ეთნიკურად ქართველი | 0.1 | 3.3 | 20.3 | 60.9 | 2.7 | | 12.6 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0 | 3.9 | 20.6 | 40.8 | 11 | | 23.7 |
| | საქართველო | 0.1 | 3.4 | 20.4 | 56.8 | 4.4 | - | 14.9 |
| 2019 N=1882 | ეთნიკურად ქართველი | 0.4 | 3.5 | 17.2 | 51.2 | 4.3 | 0.4 | 22.9 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 0 | 0.5 | 4.6 | 50 | 4.5 | 1 | 39.4 |
| | საქართველო | 0.4 | 3.4 | 16.4 | 51.1 | 4.3 | 0.5 | 23.9 |

2021 წლის კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა 63.9% აღნიშნავს, რომ მათ რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) **სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებელი/მისი ფილიალი** არ არის. 23.3% კი საპირისპირო გამოცდილებაზე მიუთითებს. ამასთან, გამოკითხულთა 12.8% ამ საკითხის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს (არ ვიცი).

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი (2021) აჩვენებს, რომ აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და რესპონდენტების სახლს შორის მანძილი გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილისთვის (40%) 31-50 კმ-ს შორის ვარირებს. 22%-ის შემთხვევაში სახლსა და უმაღლეს სასწავლებელს შორის დაშორება 21-30 კმ-მდეა. შედარებით მცირეა ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ამბობენ, რომ მანძილი ამ ორ წერტილს შორის 1-10 კმ (5.5%) ან 11-20 კმ-ა (16.2%) (იხ. დიაგრამა #15).

**დიაგრამა #15 - სახლსა და სახელმწიფო დაფინანსების უმაღლეს სასწავლებელს (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) შორის მანძილი**




კვლევა ცხადყოფს, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილის (67.7%) შემთხვევაში სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლეს სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლა შესაძლებელია. რესპონდენტთა მეხუთედი (20.5%) კი აღნიშნავს, რომ ხსენებულ საგანმანათლებლო დაწესებულებამდე გადაადგილებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის ხელმისაწვდომი. გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, რესპონდენტებმა ისაუბრეს, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის განრიგს შორის თანხვედრაზე. კერძოდ, გამოკითხულთა 60.8% აღნიშნავს, რომ ამ ორი საჯარო სერვისის მუშაობის განრიგი ერთმანეთს ემთხვევა. ძალზედ მცირეა მათი წილი, რომლებიც ამბობენ, რომ არ ემთხვევა (7.3%). გამოკითხულთა 32% აცხადებს, რომ ამ საკითხის თაობაზე ინფორმაციას არ ფლობს (არ ვიცი).

რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) სახელმწიფო დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებლების მიმართ რესპონდენტების ნდობის და კმაყოფილების დონის შეფასებამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა ამ ინსტიტუციის მიმართ, როგორც ნდობას (75.9%), ასევე, კმაყოფილებას (61.6%) გამოხატავს. გამოკითხულთაგან მხოლოდ 6 რესპონდენტი (1%) ათავსებს საკუთარ განწყობებს შეფასების უარყოფით ველში. უკმაყოფილების ძირითად მიზეზებად სახელდება ისეთი პარამეტრები, როგორებიცაა: სასწავლო პროგრამა და პედაგოგების ცოდნის/კომპეტენტურობის დონე. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, სპეციალობების სიმცირეს, საფასურს და მმართველობას, ამ საკითხებით უკმაყოფილო რესპონდენტების რაოდენობა თითოეული პარამეტრის შემთხვევაში თითო პირია (იხ. დიაგრამა #16).

**დიაგრამა #16 - რეგიონში (მუნიციპალიტეტის/ქალაქის გარდა) არსებული სახელმწიფო დაფინანსების უმაღლესი სასწავლებლის მიმართ კმაყოფილების/ნდობის შეფასება**



# სხვადასხვა სოციალური მომსახურება

## სოციალური სერვისები

გამოკითხვის მეხუთე ტალღის ფარგლებში რესპონდენტებს წარედგინათ მუნიციპალური სოციალური დახმარებების ჩამონათვალი. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხული პირების უმრავლესობის შემთხვევაში (54.1%), არც თავად და არც მისი ოჯახის წევრი არ იღებს ჩამოთვლილი დახმარებებიდან არცერთს. მეორე მხრივ, რესპონდენტების დაახლოებით 10%-ს ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარების მიღების გამოცდილება აქვს (იხ. დიაგრამა #17).

**დიაგრამა #17 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური სოციალური დახმარება**




მსგავსი ტენდენციაა შენარჩუნებული საკითხის რეგიონულ ჭრილში გაანალიზების შემთხვევაშიც. თითოეულ რეგიონში გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ არცერთ მუნიციპალურ სოციალურ დახმარებას არ იღებს არც თვითონ და არც მისი ოჯახის წევრი. აღნიშნული მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლში (65.1%), სამეგრელო-ზემო სვანეთში (63.6%), სამცხე-ჯავახეთში (63.1%), ხოლო ყველაზე დაბალი - კახეთში (39.3%). ცალკეული სოციალური სერვისით სარგებლობის შემთხვევაში რესპონდენტებმა დაასახელეს ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მებრძოლთა (ვეტერანთა) და მათი ოჯახების დახმარება (იხ. ცხრილი #26).

**ცხრილი #26 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური სოციალური დახმარება რეგიონის ჭრილში**

| | % | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გთხოვთ, მითხრათ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ იღებთ ჩამოთვლილი მუნიციპალური სოციალური დახმარებებიდან რომელიმეს?** | **თბილისი** | **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | **გურია** | **აჭარა** | **რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი** | **იმერეთი** | **სამცხე-ჯავახეთი** | **შიდა ქართლი** | **მცხეთა-მთიანეთი** | **ქვემო ქართლი** | **კახეთი** | **საქართველო** |
| არა, არცერთი | 58.5 | 63.6 | 45.6 | 60.5 | 43.4 | 51 | 63.1 | 51.5 | 55.8 | 65.1 | 39.3 | 54.1 |
| ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარება | 7.4 | 5.6 | 10.5 | 9.7 | 7.6 | 7.5 | 9.5 | 10.3 | 12 | 7.1 | 14.3 | 9.2 |
| უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (სოციალური საცხოვრისი) | 0.4 | 1.3 | 0 | 0.5 | 0 | 0.3 | 0.4 | 0.4 | 0 | 0.2 | 0.7 | 0.4 |
| მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარება | 1.5 | 1 | 1.2 | 1.1 | 0.5 | 1.1 | 2.5 | 0.8 | 0.3 | 0.5 | 2.5 | 1.2 |
| სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამა | 3.5 | 3 | 2.4 | 4.3 | 2.5 | 0.5 | 2.5 | 1 | 1.4 | 0.9 | 10.3 | 3 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება | 1.1 | 0.8 | 2.4 | 3.3 | 0.2 | 0.8 | 1.4 | 2.2 | 0.8 | 1.1 | 3.7 | 1.6 |
| უფასო მგზავრობა | 3.7 | 0.5 | 0.4 | 1.6 | 0.5 | 0.4 | 0 | 0.4 | 0 | 2.1 | 0 | 0.9 |
| უფასო სასადილოების პროგრამა | 2.5 | 0.7 | 0.3 | 0.2 | 0 | 0.5 | 1 | 0.7 | 1.4 | 0 | 0.4 | 0.8 |
| შინმოვლის პროგრამა | 0 | 0.6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1.4 | 0 | 0 | 0.2 |
| სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარება | 0 | 0.8 | 0 | 0 | 0 | 0.6 | 0 | 0.4 | 0 | 0 | 0 | 0.2 |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მებრძოლთა (ვეტერანთა) და მათი ოჯახების დახმარება | 5.7 | 6.5 | 0.2 | 0 | 0.3 | 2.9 | 0 | 1.2 | 0 | 0.8 | 0.9 | 1.8 |
| სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი პირების მხარდაჭერა | 0.2 | 0 | 0.5 | 2.3 | 1 | 0 | 0 | 0.7 | 0 | 0 | 0.9 | 0.5 |
| სხვა | 15.7 | 15.6 | 36.6 | 16.4 | 44 | 34.4 | 19.7 | 30.6 | 26.8 | 22.2 | 27.1 | 26.1 |

როგორც აღმოჩნდა, მუნიციპალური სოციალური სერვისებით სარგებლობის გამოცდილების მხრივ, **მაღალმთიანი და სხვა ტიპის დასახლებების** ჭრილში განსხვავებები არ გამოვლენილა - რესპონდენტების უმრავლესობას არცერთი სერვისით არ უსარგებლია: მაღალმთიანი - 50.2%; სხვა ტიპის დასახლება - 55%. მეორე მხრივ კი, მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი პირების მხარდამჭერ მომსახურებებს მცირედით, მაგრამ უფრო ხშირად სწორედ მაღალმთიანი დასახლებების მაცხოვრებლები იღებენ:

- მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარება: მაღალმთიანი - 1.6%; სხვა ტიპის დასახლება - 1.1%
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი პირების მხარდაჭერა: მაღალმთიანი - 1.1%; სხვა ტიპის დასახლება - 0.3% (იხ. ცხრილი #27).

**ცხრილი #27 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური სოციალური დახმარება მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | |
|---|---|---|---|
| **გთხოვთ, მითხრათ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ იღებთ ჩამოთვლილი მუნიციპალური სოციალური დახმარებებიდან რომელიმეს?** | **მაღალმთიანი** | **სხვა ტიპის დასახლება** | **საქართველო** |
| არა, არცერთი | 50.2 | 55 | 54.1 |
| ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარება | 8.2 | 9.5 | 9.2 |
| უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (სოციალური საცხოვრისი) | 0 | 0.5 | 0.4 |
| მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარება | 1.6 | 1.1 | 1.2 |
| სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამა | 2.3 | 3.2 | 3 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება | 1.3 | 1.7 | 1.6 |
| უფასო მგზავრობა | 0.5 | 1 | 0.9 |
| უფასო სასადილოების პროგრამა | 0.7 | 0.8 | 0.8 |
| შინმოვლის პროგრამა | 0.6 | 0.1 | 0.2 |
| სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარება | 0 | 0.2 | 0.2 |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მებრძოლთა (ვეტერანთა) და მათი ოჯახების დახმარება | 0.2 | 2.1 | 1.8 |
| სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი პირების მხარდაჭერა | 1.1 | 0.3 | 0.5 |
| სხვა | 33.2 | 24.5 | 26.1 |

მართალია, არც **დედაქალაქის და არც სხვა ურბანული თუ რურალური დასახლებების** მაცხოვ-რებლები, ძირითადად, მუნიციპალური სოციალური სერვისებით არ სარგებლობენ, როგორც ჩანს, თბილისში შედარებით მეტად გავრცელებული პრაქტიკაა უფასო მგზავრობის, უფასო სასადილოების პროგრამაში ჩართულობა:

- უფასო მგზავრობა: თბილისი - 3.7%; ქალაქი - 0.8%; სოფელი - 0.4%
- უფასო სასადილოების პროგრამა: თბილისი - 2.5%; ქალაქი - 0.9%; სოფელი - 0.1%

მეორე მხრივ კი, დედაქალაქისგან განსხვავებით, სხვა ქალაქისა და სოფლების მაცხოვრებლებს შორის უფრო ხშირია ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარების მიღების გამოცდილება:

- თბილისი - 7.4%; ქალაქი - 9.6%; სოფელი - 9.3% (იხ. ცხრილი #28).

**ცხრილი #28 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური სოციალური დახმარება ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| % | | | | |
|---|---|---|---|---|
| **გთხოვთ, მითხრათ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ იღებთ ჩამოთვლილი მუნიციპალური სოციალური დახმარებებიდან რომელიმეს?** | **თბილისი** | **ქალაქი** | **სოფელი** | **საქართველო** |
| არა, არცერთი | 58.5 | 54.8 | 52.2 | 54.1 |
| ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარება | 7.4 | 9.6 | 9.3 | 9.2 |
| უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (სოციალური საცხოვრისი) | 0.4 | 0.5 | 0.2 | 0.4 |
| მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარება | 1.5 | 1.4 | 1 | 1.2 |
| სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამა | 3.5 | 2.6 | 3.4 | 3 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება | 1.1 | 1.8 | 1.6 | 1.6 |
| უფასო მგზავრობა | 3.7 | 0.8 | 0.4 | 0.9 |
| უფასო სასადილოების პროგრამა | 2.5 | 0.9 | 0.1 | 0.8 |
| შინმოვლის პროგრამა | 0 | 0.4 | 0 | 0.2 |
| სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარება | 0 | 0.3 | 0.1 | 0.2 |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მებრძოლთა (ვეტერანთა) და მათი ოჯახების დახმარება | 5.7 | 1.9 | 0.5 | 1.8 |
| სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი პირების მხარდაჭერა | 0.2 | 0.2 | 0.9 | 0.5 |
| სხვა | 15.7 | 24.9 | 30.3 | 26.1 |

საკითხის **ეთნიკური მიკუთვნებულობის** ჭრილში განხილვისას, ზოგადი ტენდენცია, ცხადია, შენარჩუნებულია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების უფრო დიდ ნაწილს (63.7%) არ აქვს არცერთი მუნიციპალური სოციალური სერვისით სარგებლობის გამოცდილება. ეთნიკურად ქართველებს შორის ეს მაჩვენებელი 52.5%-ს უტოლდება. როგორც ჩანს, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები შედარებით ხშირად მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარებით, სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარებით სარგებლობენ. თუმცა, აღნიშნული სერვისების მიღების მაჩვენებელი მცირეა:

- მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარება: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 2.2%; ეთნიკურად ქართველი - 1.1%
- სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამა: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 4%; ეთნიკურად ქართველი - 2.9%
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 2.9%; ეთნიკურად ქართველი - 1.4% (იხ. ცხრილი #29).

**ცხრილი #29 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური სოციალური დახმარება ეთნიკურობის ჭრილში**

| % | | | |
|---|---|---|---|
| **გთხოვთ, მითხრათ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ იღებთ ჩამოთვლილი მუნიციპალური სოციალური დახმარებებიდან რომელიმეს?** | **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი** | **ეთნიკურად ქართველი** | **საქართველო** |
| არა, არცერთი | 63.7 | 52.5 | 54.1 |
| ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარება | 7 | 9.6 | 9.2 |
| უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (სოციალური საცხოვრისი) | 0.2 | 0.4 | 0.4 |
| მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარება | 2.2 | 1.1 | 1.2 |
| სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამა | 4 | 2.9 | 3 |
| შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება | 2.9 | 1.4 | 1.6 |
| უფასო მგზავრობა | 0 | 1.1 | 0.9 |
| უფასო სასადილოების პროგრამა | 0.6 | 0.8 | 0.8 |
| შინმოვლის პროგრამა | 0 | 0.2 | 0.2 |
| სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარება | 0 | 0.2 | 0.2 |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მებრძოლთა (ვეტერანთა) და მათი ოჯახების დახმარება | 0.1 | 2 | 1.8 |
| სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი პირების მხარდაჭერა | 0.6 | 0.5 | 0.5 |
| სხვა | 18.6 | 27.4 | 26.1 |

რესპონდენტების უმრავლესობის შეფასებით, ზემოაღნიშნულ მუნიციპალურ სოციალურ დახმარე-ბებს დროულად იღებენ. მსგავსი პოზიცია ყველაზე მაღალი მაჩვენებლით შემდეგ კატეგორიებშია წარმოდგენილი:

- ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარება - 93.4%
- სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამა - 91.6%
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მებრძოლთა (ვეტერანთა) და მათი ოჯახების დახმარება - 95.3%

ზოგიერთი სერვისის შემთხვევაში კი რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ეს მხოლოდ ერთჯერადი დახმარება იყო (იხ. დიაგრამა #18).

**დიაგრამა #18 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მუნიციპალური სოციალური დახ-მარებით სარგებლობა**




სხვადასხვა სოციალური სერვისით სარგებლობის გამოცდილების მქონე პირთა უმრავლესობა ძირითად შემთხვევაში მიუთითებს, რომ არსებული დახმარების მისაღებად დარეგისტრირება იოლად მოახერხა - მაჩვენებელი 60-88% შუალედშია თავმოყრილი. უფასო სასადილოების პროგ-რამით მოსარგებლეთა 44.8%-მაც მსგავსი პოზიცია დააფიქსირა (3 და 4 ქულები 4 ქულიან სკალაზე).

თუმცა, მეორე მხრივ, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ისეთი სოციალური სერვისებიც, რომელთა მისაღებად საჭირო სარეგისტრაციო პროცედურები შედარებით რთულად შეფასდა (1 და 2 ქულები 4 ქულიან სკალაზე):

- ✦ უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (სოციალური საცხოვრისი) – 33.6%
- ✦ სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარება - 51.4%.

რესპონდენტებმა განხილული სოციალური დახმარებების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მუშაობა, ძირითადად, დადებითად შეაფასეს - მაჩვენებელი 50-68% შუალედში მერყეობს (4 და 5 ქულები 5 ქულიან სკალაზე). თუმცა, გამოიკვეთა არაერთი სოციალური სერვისი, რომელთა ჭრილში მუნიციპალიტეტის საქმიანობა უფრო საშუალო დონეზე შეფასდა (კატეგორია „მეტ-ნაკლებად“, ქულა 3):

- ✦ უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (სოციალური საცხოვრისი) – 51.1%
- ✦ სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარება - 58.1%
- ✦ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მებრძოლთა (ვეტერანთა) და მათი ოჯახების დახმარება - 69% (იხ. ცხრილი #30).

**ცხრილი #30 - მუნიციპალური სოციალური მომსახურებების მისაღებად რეგისტრაციის პროცედურების შეფასება და დახმარების გაცემის მხრივ მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასება**

| % | | ერთჯერადი (ფულადი ან სხვა სახის) სოციალური დახმარება | უსახლკარო პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (სოციალური საცხოვრისი) | მრავალშვილიანი ოჯახების/მარტოხელა მშობლების სოციალური დახმარება | სოციალურად დაუცველი ბავშვების და ახალშობილების მხარდაჭერის პროგრამა | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება | უფასო მგზავრობა | უფასო სასადილოების პროგრამა | შინმოვლის პროგრამა | სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლთა დახმარება | საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და მებრძოლთა (ვეტერანთა) და მათი ოჯახების დახმარება | სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი პირების მხარდაჭერა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იოლად მოახერხეთ თუ არა რეგისტრირება არსებული დახმარების მისაღებად/ რამდენად მარტივი იყო რეგისტრაციის პროცედურები? | ძალიან რთული | 5.3 | 18.4 | 4.6 | 4.9 | 5.5 | 10.5 | 20.1 | 13 | 16.4 | 6.2 | 5.4 |
| | რთული | 12.4 | 15.2 | 16.5 | 14.6 | 20.5 | 17 | 2.8 | 0 | 34.9 | 2.6 | 22.7 |
| | მარტივი | 68.2 | 27.7 | 66.6 | 68 | 55.5 | 56.2 | 39.5 | 19.2 | 14 | 72.7 | 60.7 |
| | ძალიან მარტივი | 10 | 8.8 | 10.6 | 9.1 | 10.5 | 9.3 | 5.3 | 0 | 0 | 13.9 | 0 |
| | არ შეეხო რეგისტრა-ციის პროცე-დურები | 4.2 | 29.9 | 1.7 | 3.4 | 8.1 | 7 | 32.3 | 67.9 | 34.6 | 4.6 | 11.3 |
| რამდენად კარგად ახორციელებს მუნიციპალიტეტი შემდეგ საქმიანობებს? | ძალიან ცუდად | 1 | 5.5 | 0 | 1.5 | 0 | 2.2 | 3.6 | 0 | 0 | 1.2 | 0 |
| | ცუდად | 3.1 | 22 | 1.8 | 3.9 | 11.3 | 7 | 13.9 | 13 | 21 | 6.6 | 13.2 |
| | მეტ-ნაკლებად | 36.3 | 51.1 | 46.3 | 37.9 | 31 | 27 | 27.2 | 19.2 | 58.1 | 69 | 19.4 |
| | კარგად | 44.3 | 0 | 40.1 | 32.1 | 31.5 | 49.2 | 31.3 | 67.9 | 21 | 23.3 | 28.7 |
| | ძალიან კარგად | 12.8 | 21.4 | 10.1 | 22.3 | 21.2 | 14.7 | 21.2 | 0 | 0 | 0 | 34.2 |
| | არ ვიცი | 2.4 | 0 | 1.7 | 2.3 | 5.1 | 0 | 2.8 | 0 | 0 | 0 | 4.5 |

თვითმმართველობის მერიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამები საჭიროებს დახვეწას, თუმცა, მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი ისიცაა, რომ ბიუჯეტის სიმცირის გამო, მოქალაქეების ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თქვეს, სერვისების გაუმჯობესებაზე მსჯელობისას, მუნიციპალური ორგანოების მხრიდან მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზად ფინანსური რესურსების სიმცირე სახელდება, რაც ხშირ შემთხვევაში რელევანტურია, თუმცა არა ყოველთვის.

ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებში გამოითქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალური სერვისების გასაუმჯობესებლად უფრო მეტი ფინანსური რესურსების მობილიზება მნიშვნელოვანია, თუმცა, ფინანსების არსებობა საკმარისი პირობა არ არის საჯარო სერვისების გასაუმჯობესებლად. აუცილებელია, სერვისები დაიგეგმოს საჭიროებების მიხედვით. ასევე, ფინანსური ნაკადების სწორად მართვასა და ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. ზოგიერთ დაწესებულებაში არსებობს პრაქტიკა, როდესაც საჯარო მოხელე სათანადოდ არ ან ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას სხვადასხვა მიზეზის (არასაკმარისი კვალიფიკაცია, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება და ა.შ.) გამო.

## უფასო მუნიციპალური სასადილო

გამოკითხვის ხუთივე ტალღაში რესპონდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ არ იცის მათი სახლიდან რა მანძილზე იმყოფება უახლოესი უფასო მუნიციპალური სასადილო: 2021 – 55.9%, 2019 – 63.2%; 2017 – 66.3%; 2015 – 64.5%; 2013 – 73.6%. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი რესპონდენტები ფლობენ ინფორმაციას, ძირითადად, მიუთითებენ, რომ ეს დაწესებულება მათ უბანშია/დასახლებაშია ან მათი დასახლებიდან/უბნიდან 10 კმ-შია (იხ. დიაგრამა #19).

**დიაგრამა #19 - უახლოესი უფასო მუნიციპალური სასადილოს მდებარეობა**




იმ პირებს, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას უფასო მუნიციპალური სასადილოს არსებობის შესახებ, უჭირთ შეაფასონ საკმარისია თუ არა სასადილოში ერთ ადამიანზე გამოყოფილი საქმლის ულუფა. მსგავსი ტენდენცია შენარჩუნებულია გამოკითხვის ხუთივე ტალღაში: 2021 – 67.6%; 2019 – 62.3%; 2017 – 64.4%; 2015 – 71.5%; 2013 – 69.1%. 2021 წლის მონაცემებით ვლინდება, რომ, რესპონდენტების მეხუთედზე მეტის აზრით (22.2%), სასადილოში ერთ ადამიანზე გამოყოფილი საქმლის ულუფა საკმარისია, რაც, წინა ტალღებთან შედარებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (იხ. დიაგრამა #20).

**დიაგრამა #20 - უახლოეს მუნიციპალურ სასადილოში ერთ ადამიანზე გამოყოფილი საჭმლის ულუფა**




გამოკითხვის ხუთივე ტალღაში რესპონდენტების უმრავლესობა (იმათგან, ვისაც შეუძლია საჭმლის ულუფის საკმარისობის შეფასება) მუნიციპალურ უფასო სასადილოში საკვების ხარისხს დადებითად აფასებს. მსგავსი პოზიცია დომინანტურია თითოეულ ტალღაში, თუმცა ზიგზაგისებურად ცვალებადი (3 და 4 ქულები 4 ქულიან სკალაზე): 2021 – 59.3%; 2019 – 75.7%; 2017 – 52.8%; 2015 – 65.1%; 2013 – 47.3%. (იხ. დიაგრამა #21).

**დიაგრამა #21 - უახლოესი მუნიციპალური სასადილოს საკვების ხარისხი**



## ჯანდაცვის სერვისები

გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებს წარედგინათ მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებების ჩამონათვალი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის (85.6%) შემთხვევაში, არც თავად და არც მისი ოჯახის წევრი არ იღებს ჩამოთვლილი დახმარებებიდან არცერთს. როგორც ჩანს, მუნიციპალიტეტი ყველაზე ხშირად რესპონდენტებს უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფს - 9.5% (იხ. დიაგრამა #22).

**დიაგრამა #22 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებები**




მსგავსი ტენდენციაა შენარჩუნებული თითოეული რეგიონის შემთხვევაში - რესპონდენტების 70%-ზე მეტი მიუთითებს, რომ მუნიციპალური ჯანდაცვის არცერთი სერვისით არ სარგებლობს არც თავად და არც მისი ოჯახის წევრები. აღნიშნული კატეგორია ყველაზე მაღალი მაჩვენებლით წარმოდგენილია იმერეთის (90.2%), სამცხე-ჯავახეთისა (93.4%) და ქვემო ქართლის (93.9%) შემთხვევაში. ხოლო შედარებით დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში გამოკითხულ რესპონდენტებში - 72.5%. დასახელებულ კატეგორიებს შორის კი თითოეული რეგიონის ჭრილში „უფასო მედიკამენტების უზრუნველყოფის“ კატეგორია ჭარბობს (იხ. ცხრილი #31).

**ცხრილი #31 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარება რეგიონის ჭრილში**

| | % | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გთხოვთ, მითხრათ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ იღებთ ჩამოთვლილი მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებებიდან რომელიმეს?** | **თბილისი** | **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | **გურია** | **აჭარა** | **რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი** | **იმერეთი** | **სამცხე-ჯავახეთი** | **შიდა ქართლი** | **მცხეთა-მთიანეთი** | **ქვემო ქართლი** | **კახეთი** | **საქართველო** |
| არა, არცერთი | 84.3 | 87.8 | 88.4 | 81.9 | 72.5 | 90.2 | 93.4 | 81.4 | 86.2 | 93.9 | 82.8 | 85.6 |
| უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა | 9.7 | 6.7 | 8.6 | 12.4 | 24.3 | 6.7 | 4.7 | 10.2 | 5.4 | 4.8 | 10.7 | 9.5 |
| აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია | 0.2 | 1.5 | 0 | 0.3 | 0 | 0.4 | 0 | 0 | 0 | 0.6 | 0 | 0.3 |
| სხვადასხვა ქრონიკული დაავადების (სიმსივნე, თირკმლის უკმარისობა, ლეიკემია და სხვ.) მქონე ადამიანთა დახმარება | 2.8 | 2.8 | 0.9 | 4.1 | 0.3 | 0.6 | 0.6 | 2.6 | 5.2 | 0.6 | 2.1 | 2.1 |
| ძვირადღირებული კვლევის დაფინანსება | 2.3 | 0.8 | 0.9 | 1.1 | 2.9 | 1.7 | 1 | 5 | 2.9 | 0 | 4.1 | 2.1 |
| სხვა | 0.6 | 0.3 | 1.2 | 0.3 | 0 | 0.3 | 0.3 | 0.9 | 0.3 | 0 | 0.3 | 0.4 |

როგორც **თბილისში, ისე სხვა ქალაქებსა და სოფლებში** გამოკითხული პირების დიდი უმრავლესობა არცერთი მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებით არ სარგებლობს: თბილისი - 84.3%; ქალაქი - 87.3%; სოფელი - 84.3%. სხვადასხვა მომსახურებით მოსარგებლეთა შორის კი უფასო მედიკამენტების მიმღები პირები ჭარბობენ: თბილისი - 9.7%; ქალაქი - 8.7%; სოფელი - 10.2%. როგორც ჩანს, ამ პროგრამით უფრო ხშირად სოფლის მოსახლეობა სარგებლობს. სხვა მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებების მიღების მაჩვენებელი 3%-საც კი ვერ უტოლდება (იხ. ცხრილი #32).

**ცხრილი #32 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარება ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| % | | | | |
|---|---|---|---|---|
| **გთხოვთ, მითხრათ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ იღებთ ჩამოთვლილი მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებებიდან რომელიმეს?** | **თბილისი** | **ქალაქი** | **სოფელი** | **საქართველო** |
| არა, არცერთი | 84.3 | 87.3 | 84.3 | 85.6 |
| უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა | 9.7 | 8.7 | 10.2 | 9.5 |
| აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია | 0.2 | 0.6 | 0 | 0.3 |
| სხვადასხვა ქრონიკული დაავადების (სიმსივნე, თირკმლის უკმარისობა, ლეიკემია და სხვ.) მქონე ადამიანთა დახმარება | 2.8 | 1.9 | 2.1 | 2.1 |
| ძვირადღირებული კვლევის დაფინანსება | 2.3 | 1.2 | 2.9 | 2.1 |
| სხვა | 0.6 | 0.3 | 0.5 | 0.4 |

ზოგადი შეფასებები შენარჩუნებულია საკითხის **მაღალმთიანი და სხვა ტიპის დასახლებების** ჭრილში განხილვის შემთხვევაშიც. რესპონდენტების უმრავლესობა არცერთი მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისით არ სარგებლობს: მაღალმთიანი - 80.9%; სხვა ტიპის დასახლება - 86.7%. აქვე აღსანიშნავია, რომ მაღალმთიან დასახლებებში უფრო ხშირია მუნიციპალიტეტის მიერ მაცხოვრებლების უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა: მაღალმთიანი - 15.6%; სხვა ტიპის დასახლება - 8.1%.

განსაკუთრებით დაბალია **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების** ან მათი ოჯახის წევრების მიერ ნებისმიერი მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის გამოცდილება - 94.1%-ს არცერთი დახმარება არ მიუღია, 4.4%-ს კი უფასო მედიკამენტების პროგრამით უსარგებლია.

ზოგადი ტენდენცია შენარჩუნებულია ყოველი **ასაკობრივი ჯგუფის** შემთხვევაში. 18-24 წლისა (92.6%) და 25-34 წლის (94.9%) რესპონდენტებში განსაკუთრებით მაღალია მათი წილი, ვისაც არცერთი დახმარება არ მიუღია. შემდგომ ასაკობრივ ჯგუფებში ხვდებიან პირები, რომლებიც უფასო მედიკამენტებით სარგებლობენ, აგრეთვე აქვთ მუნიციპალიტეტის მიერ ძვირადღირებული კვლევების დაფინანსებისა თუ სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანთა დახმარების მიღების გამოცდილება. წარმოდგენილი შედეგი ლოგიკურია, რამდენადაც რესპონდენტების ასაკის მატებას უმეტესწილად თან ახლავს ჯანმრთელობის პრობლემები; ამდენად, მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისების სარგებლობის მაჩვენებელი მზარდია (იხ. ცხრილი #33).

**ცხრილი #33 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარება ასაკის ჭრილში**

| % | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გთხოვთ, მითხრათ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი თუ იღებთ ჩამოთვლილი მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებებიდან რომელიმეს?** | **18-24 წლის** | **25-34 წლის** | **35-44 წლის** | **45-54 წლის** | **55-64 წლის** | **65 წლის ან მეტის** | **საქართველო** |
| არა, არცერთი | 92.6 | 94 | 87.2 | 88 | 81.7 | 72.4 | 85.6 |
| უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა | 3.6 | 3.5 | 7.5 | 7 | 12.5 | 21 | 9.5 |
| აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია | 0 | 0.2 | 0.8 | 0.3 | 0.2 | 0.1 | 0.3 |
| სხვადასხვა ქრონიკული დაავადების (სიმსივნე, თირკმლის უკმარისობა, ლეიკემია და სხვ.) მქონე ადამიანთა დახმარება | 2 | 1.1 | 1.8 | 1.7 | 2.4 | 3.4 | 2.1 |
| ძვირადღირებული კვლევის დაფინანსება | 1 | 1.1 | 2.2 | 2.6 | 2.9 | 2.4 | 2.1 |
| სხვა | 0.7 | 0.2 | 0.5 | 0.3 | 0.3 | 0.6 | 0.4 |

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ იმ პირების უმრავლესობას, რომლებსაც მუნიციპალური ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის გამოცდილება აქვთ, აღნიშნული დახმარება დროულად მიუღია/იღებს. მხოლოდ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამით სარგებლობისას აღინიშნა, რომ რესპონდენტების მეოთხედს (24.3%) დროულად არ მიუღია მსგავსი ტიპის დახმარება, თუმცა ამ შემთხვევაშიც დადებითი პასუხის კატეგორიაა დომინანტური - 66.4%-ს პოზიტიური გამოცდილება აქვს (იხ. დიაგრამა #23).

**დიაგრამა #23 - რესპონდენტის ან მისი ოჯახის წევრის მიერ მუნიციპალური ჯანდაცვის დახმარებით სარგებლობა**



სხვადასხვა ჯანდაცვის სერვისით სარგებლობის გამოცდილების მქონე პირების უმრავლესობა მიუთითებს, რომ არსებული დახმარების მისაღებად დარეგისტრირება იოლად მოახერხა. რეგისტრაციის პროცედურების შეფასებისას რესპონდენტების ძირითადი თავმოყრა შემდეგ კატეგორიებშია - „მარტივი“ და „ძალიან მარტივი“ (უმრავლეს შემთხვევაში მაჩვენებელი 75-90% შუალედშია თავმოყრილი). აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის შემთხვევაში განსხვავებული გამოცდილება დაფიქსირდა - გამოკითხულთა 42.1%-მა აღნიშნა, რომ რეგისტრაცია რთული იყო, მეხუთედმა კი (19.8%) პროცესი ძალიან რთულად შეაფასა.

რესპონდენტებმა მუნიციპალიტეტის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების განხორციელება, ძირითადად, დადებითად შეაფასეს (4 და 5 ქულები 5 ქულიან სკალაზე). მეორე მხრივ, როგორც ჩანს, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის სერვისით სარგებლობის გამოცდილების მქონე პირები მუნიციპალიტეტის მუშაობის მიმართ ნეგატიურად არიან განწყობილნი - მათი თითქმის ნახევარი (48%) ცუდად ან ძალიან ცუდად აფასებს გაწეულ საქმიანობას. რეგისტრაციის პროცედურების შეფასების მხრივაც იკვეთება, რომ ამ დახმარების მიწოდების მიმართულებით გარკვეული ხარვეზები არსებობს, რაც რესპონდენტების მუნიციპალიტეტისადმი დამოკიდებულებაზე უარყოფითად აისახება (იხ. ცხრილი #34).

**ცხრილი #34 - მუნიციპალური ჯანდაცვის მომსახურებების მისაღებად რეგისტრაციის პროცედურების შეფასება და დახმარების გაცემის მხრივ მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასება**

| % | | უფასო მედიკამენტებით უზრუნველყოფა | აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია | სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანთა დახმარება | ძვირადღირებული კვლევის დაფინანსება |
|---|---|---|---|---|---|
| იოლად მოახერხეთ თუ არა რეგისტრირება არსებული დახმარების მისაღებად/რამდენად მარტივი იყო რეგისტრაციის პროცედურები? | ძალიან რთული | 3.5 | 19.8 | 2.6 | 5.1 |
| | რთული | 8.8 | 22.3 | 14.2 | 9.8 |
| | მარტივი | 74.8 | 57.9 | 50.8 | 55.6 |
| | ძალიან მარტივი | 12.6 | 0 | 25.9 | 26.1 |
| | არ შეეხო რეგისტრაციის პროცედურები | 0.3 | 0 | 6.6 | 3.4 |
| რამდენად კარგად ახორციელებს მუნიციპალიტეტი შემდეგ საქმიანობებს? | ძალიან ცუდად | 1.7 | 8.3 | 0 | 2.7 |
| | ცუდად | 1.8 | 39.6 | 2.5 | 1.2 |
| | მეტ-ნაკლებად | 33.5 | 41.6 | 21.6 | 16.8 |
| | კარგად | 45.7 | 10.4 | 39 | 40 |
| | ძალიან კარგად | 16.5 | 0 | 28.8 | 37 |
| | არ ვიცი | 0.8 | 0 | 8.1 | 2.2 |

## პირუტყვის/შინაური ცხოველების აცრები

გამოკითხვის ხუთივე ტალღაში რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო პროგრამით შინაური ცხოველისთვის/ფრინველისთვის პროფილაქტიკური აცრები ტარდება. მართალია, დადებითი პასუხის მაჩვენებელი დომინანტურია, წლების განმავლობაში ზიგზაგისებურად იცვლება, რაც გამოკითხვის რაუნდების მიხედვით შემდეგნაირადაა გადანაწილებული (პასუხის კატეგორია „დიახ“): 2021 – 54%; 2019 – 67.7%; 2017 – 60.8%; 2015 – 67%; 2013 – 48.5%.

2021 წელს გამოკითხულთა უმრავლესობამ (52.4%) აღნიშნა, რომ ბოლო 1 წლის განმავლობაში ცხოველისთვის/ფრინველისთვის სწორედ ზემოთ ნახსენები სახელმწიფო პროგრამით გაუკეთებია აცრა. 2013-2019 წლებში უარყოფითი პასუხის მაჩვენებელი უფრო მზარდია და 2017 წელს, სხვა ტალღებთან შედარებით, ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს (პასუხის კატეგორია „არა“): 2017 – 58.6%.

გამოკითხვის ხუთივე ტალღაში იმ რესპონდენტების დიდი უმრავლესობა, ვისაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში შინაური ცხოველის/ფრინველის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცრის გამოცდილება აქვს, აღნიშნავს, რომ გაწეულ მომსახურებაში არაფერი გადაუხდია, რაც 85-94% შუალედში მერყეობს; შედარებით დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება 2013 წელს - 85.1%, ხოლო ყველაზე მაღალი - 2021 წელს, 93.8% (იხ. დიაგრამა #24).

**დიაგრამა #24 - სახელმწიფო პროგრამით შინაური ცხოველებისთვის/ფრინველებისთვის პროფილაქტიკური აცრების ჩატარების პრაქტიკა, გამოცდილება, საფასური**



რესპონდენტების ის მცირე რაოდენობა, რომელმაც აცრის მომსახურებაში რამე საფასური გადაიხადა, მიუთითებს, რომ პირუტყვის პროფილაქტიკური აცრისთვის გადახდილი ოდენობა მისაღებია. აღნიშნული შეფასებაა დომინანტური გამოკითხვის ხუთივე ტალღაში, შემდგომ პოზიციას კი კატეგორია „იაფია“ იკავებს. თუმცა, თუკი 2015-2019 წლებში რესპონდენტების 18-33% აფიქსირებდა მსგავს შეხედულებას, 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 5.9%-მდეა შემცირებული და ძირითადი დატვირთვა შემდეგ კატეგორიაზე მოდის - „მისაღები ფასია“ (72.3%).

გამოკითხვის ხუთივე ტალღის რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია გაწეული მომსახურებით (3 და 4 ქულები 4 ქულიან სკალაზე): 2021 – 97.7%; 2019 – 97.9%; 2017 – 92.9%; 2015 – 96.7%; 2013 – 91.2%.

გამოკითხვის ბოლო ორ ტალღაში დამატებით შეფასდა სახელმწიფო პროგრამით მიწოდებული ცხოველების აცრების სერვისისადმი ნდობა. 2019-2021 წლებში რესპონდენტების თითქმის თანაბარმა ოდენობამ დააფიქსირა, რომ ენდობა აღნიშნულ სერვისს: 2021 – 79.6%; 2019 – 79.3% (იხ. დიაგრამა #25).

**დიაგრამა #25 - სახელმწიფო პროგრამით მიწოდებული ცხოველების აცრების სერვისისადმი ნდობა**



# რეკრეაცია/დასვენება/კულტურა

გამოკითხვის ხუთივე ტალღაში რესპონდენტების ყველაზე დიდმა ნაწილმა მათ დასახლებაში/ქალაქში **სპორტული მოედნების** არსებობაზე მიუთითა: 2021 – 18%; 2019 – 18%; 2017 – 22.8%; 2015 – 21.3%; 2013 – 21.5%. თუმცა, 2021 წლის გამოკითხვის მონაცემებით, 2019 წლის მსგავსად, 2013-2017 წლებთან შედარებით, აღსანიშნავია ამ ობიექტების რაოდენობის კლება. როგორც აღმოჩნდა, წინა რაუნდების გათვალისწინებითაც, ყველაზე იშვიათად დასახლებაში **თეატრისა და კულტურის სახლის/სოფლის კლუბის** არსებობაზე მიუთითებენ.

რესპონდენტებმა მათ მიერ დასახელებულ გასართობ/დასასვენებელ ადგილსა და საკუთარ სახლს შორის მანძილი შეაფასეს. აღნიშნული შეკითხვა მხოლოდ 2019 და 2021 წლების გამოკითხვის ტალღებში დაისვა. გამოკითხვის ორივე რაუნდში თითოეული გასართობი/დასასვენებელი ადგილის შემთხვევაში რესპონდენტების უმრავლესობამ (50%-ზე მეტმა) სახლიდან მანძილად 0-3 კმ განსაზღვრა. ყველაზე ხშირად ამ მანძილის არეალში სპორტული მოედანი (2021 – 86.6%; 2019 – 92.3%), სკვერი (2021 – 85.4%; 2019 – 90.3%), კულტურის სახლი/სოფლის კლუბი (2021 – 80.4%; 2019 – 75.4%) მოექცა (იხ. ცხრილი #35).

**ცხრილი #35 - დასახელებული გასართობი/დასასვენებელი ადგილების მდებარეობა**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **რა მანძილზეა თქვენ მიერ დასახელებული გასართობი/დასასვენებელი ადგილები თქვენი სახლიდან?** | **0-3 კმ-ში** | **4-6 კმ-ში** | **7-10 კმ-ში** | **უფრო შორს** |
| 2021 | თეატრი (N=1003) | 65.4 | 23.6 | 8.5 | 2.5 |
| | მუზეუმი (N=1423) | 74.9 | 17 | 6.1 | 1.9 |
| | ბიბლიოთეკა (N=1850) | 80.8 | 14.3 | 3.5 | 1.4 |
| | საჯარო პარკი (N=1560) | 74.6 | 19.4 | 5.5 | 0.5 |
| | სპორტული მოედანი (N=2368) | 86.6 | 10.6 | 2.6 | 0.2 |
| | სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა (N=795) | 78.3 | 15.8 | 4.4 | 1.5 |
| | კულტურის სახლი/სოფლის კლუბი (N=1039) | 80.4 | 14 | 3.3 | 2.4 |
| | ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (N=761) | 73.4 | 18.6 | 5 | 3 |
| | სკვერი (N=1436) | 85.4 | 10.7 | 3.5 | 0.5 |
| | კინოთეატრი (N=543) | 63.1 | 20.8 | 10.2 | 5.9 |
| 2019 | თეატრი (N=1100) | 50.4 | 24.7 | 17.3 | 7.6 |
| | მუზეუმი (N=1193) | 50.7 | 22 | 17.6 | 9.7 |
| | ბიბლიოთეკა (N=1736) | 72.2 | 16 | 7.9 | 3.9 |
| | საჯარო პარკი (N=1579) | 79.5 | 11.9 | 6 | 2.7 |
| | სპორტული მოედანი (N=2233) | 92.3 | 5.6 | 0.9 | 1.2 |
| | სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა (N=810) | 78.8 | 13.7 | 4.7 | 2.7 |
| | კულტურის სახლი/სოფლის კლუბი (N=813) | 75.4 | 17 | 6 | 1.6 |
| | ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (N=959) | 63.2 | 19.1 | 10.6 | 7 |
| | სკვერი (N=1455) | 90.3 | 3.6 | 3 | 3.1 |
| | სხვა (N=10) | 92.4 | 0 | 0 | 7.6 |

გამოკითხვის ყველა ეტაპზე რესპონდენტებისთვის განსაკუთრებით პრიორიტეტული სპორტული მოედნისა და საჯარო პარკის გამართული ფუნქციონირებაა. მსგავსი ტენდენცია 2021 წლის ტალღაშიც შენარჩუნებულია. 2013-2019 წლებში, რესპონდენტების მიერ ოთხ ყველაზე პრიორიტეტულ ობიექტად შემდეგი კატეგორიები სახელდებოდა:

- ბიბლიოთეკა
- საჯარო პარკი
- სპორტული მოედანი
- კულტურის სახლი / სოფლის კლუბი.

2021 წლის მონაცემებით, კულტურის სახლის / სოფლის კლუბის მაგივრად, პრიორიტეტულად სხვა სპორტული ინფრასტრუქტურის (13.2%) გამართული ფუნქციონირება განისაზღვრა. აღნიშნული კატეგორია მხოლოდ 2021 და 2019 წლების გამოკითხვის ტალღებში იყო მოცემული.

მოქმედი დასასვენებელი/გასართობი ადგილების არსებობისა და პრიორიტეტულობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში #36.

**ცხრილი #36 - დასახლებაში/ქალაქში მოქმედი გასართობი/დასასვენებელი ადგილების არსებობა და მათი პრიორიტეტულობა**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არის თუ არა თქვენს დასახლებაში/ქალაქში მოქმედი შემდეგი გასართობი/დასასვენებელი ადგილები? 2) თქვენი აზრით, ჩამოთვლილი გასართობი/დასასვენებელი ადგილებიდან რომლის გამართული ფუნქციონირებაა პრიორიტეტული თქვენი დასახლების მცხოვრებთათვის?** | | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| თეატრი | არსებული | 7.6 | 8.8 | 14.3 | 14.3 | 14.1 |
| | პრიორიტეტული | 5.9 | 8.8 | 11.8 | 12.8 | 13.1 |
| მუზეუმი | არსებული | 10.8 | 9.6 | 14.5 | 13.9 | 14.6 |
| | პრიორიტეტული | 4.9 | 4.5 | 4.7 | 7 | 6.2 |
| ბიბლიოთეკა | არსებული | 14 | 14 | 17.4 | 16.5 | 17.9 |
| | პრიორიტეტული | 12.6 | 15.4 | 14.6 | 15.5 | 17.1 |
| საჯარო პარკი | არსებული | 11.8 | 12.7 | 17.2 | 15.6 | 14.9 |
| | პრიორიტეტული | 13.7 | 14.1 | 23.7 | 20.3 | 21.6 |
| სპორტული მოედანი | არსებული | 18 | 18 | 22.8 | 21.2 | 21.5 |
| | პრიორიტეტული | 18.8 | 21.5 | 28 | 26 | 23.3 |
| კულტურის სახლი / სოფლის კლუბი | არსებული | 7.9 | 6.5 | 8.4 | 12.6 | 12.1 |
| | პრიორიტეტული | 7.5 | 7.9 | 13.8 | 17 | 16.4 |
| სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა | არსებული | 6 | 6.5 | | | |
| | პრიორიტეტული | 13.2 | 7.9 | | | |
| ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები | არსებული | 5.8 | 7.7 | | | |
| | პრიორიტეტული | 3 | 2.2 | | | |
| სკვერი | არსებული | 10.9 | 11.7 | | | |
| | პრიორიტეტული | 10.3 | 13.5 | | | |
| კინოთეატრი | არსებული | 4.1 | | | | |
| | პრიორიტეტული | 7 | | | | |
| სხვა | არსებული | 0.01 | 0.1 | | | |
| | პრიორიტეტული | 0.4 | 1.1 | | | |
| არცერთი | არსებული | 3.1 | 4.4 | 5.4 | 6 | 4.9 |
| | პრიორიტეტული | 2.4 | 2.5 | 1.1 | 0.9 | 0.9 |

კვლევის ხუთივე რაუნდში **დედაქალაქში** გამოკითხულმა პირებმა მათ დასახლებაში საჯარო პარკის და სპორტული მოედნის არსებობაზე მიუთითეს. მსგავსი შედეგი დაფიქსირდა **სხვა საქალაქო და სასოფლო ტიპის** დასახლებებშიც. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რურალურ სივრცეებში რესპონდენტები ხშირად გასართობი/დასასვენებელი ადგილების არარსებობაზე მიუთითებენ. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია 2013-2017 წლებში - საშუალოდ გამოკითხულთა მეხუთედს უტოლდება. საინტერესოა, რომ პრიორიტეტული ადგილების განხილვისას, რესპონდენტებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას კვლავ ფიზიკური აქტივობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება იძენს, თუმცა, დამატებით, თავს იჩენს ბიბლიოთეკების გამართულობის საკითხი, რაც ვლინდება, როგორც თბილისში, ისე სხვა საქალაქო თუ სასოფლო ტიპის დასახლებებში. 2021 წელს პრიორიტეტულ ადგილებად ბიბლიოთეკა, საჯარო პარკი და სპორტული მოედანი განისაზღვრა, რაც, დასახლებების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა:

- თბილისი: ბიბლიოთეკა - 13.6%; საჯარო პარკი - 20.6%; სპორტული მოედანი - 18.7%
- სხვა ქალაქები: ბიბლიოთეკა: 12.3%; საჯარო პარკი - 13.1%; სპორტული მოედანი - 16.1%
- სოფელი: ბიბლიოთეკა: 12.7%; საჯარო პარკი - 12.7%; სპორტული მოედანი - 21.7%

თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის წინა ტალღებში რურალური ტიპის დასახლებებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ გასართობ/დასასვენებელ ადგილად კულტურის სახლს / სოფლის კლუბს მიიჩნევდნენ: 2019 – 13.8%; 2017 – 26.4%; 2015 – 26.7%; 2013 – 27.1%. 2021 წელს კი მსგავსი ადგილის ფუნქციონირების პრიორიტეტულობაზე სოფლებში გამოკითხულთა მხოლოდ მეათედმა (10.1%) მიუთითა (იხ. ცხრილი #37).

**ცხრილი #37 - გასართობი/დასასვენებელი ადგილების პრიორიტეტულობა ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| | | % | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **თქვენი აზრით, ჩამოთვლილი გასართობი/ დასასვენებელი ადგილებიდან რომლის გამართული ფუნქციონირებაა პრიორიტეტული თქვენი დასახლების მცხოვრებთათვის?** | | **თბილისი** | **ქალაქი** | **სოფელი** | **საქართველო** |
| თეატრი | 2021 | 6.6 | 9.3 | 1.9 | 5.9 |
| | 2019 | 9.5 | 13.8 | 4.7 | 8.8 |
| | 2017 | 17.4 | 17.9 | 3.1 | 11.8 |
| | 2015 | 20.7 | 20.3 | 3.9 | 12.8 |
| | 2013 | 20 | 17.7 | 6.3 | 13.1 |
| მუზეუმი | 2021 | 3.5 | 7.5 | 2.3 | 4.9 |
| | 2019 | 4.5 | 5.8 | 3.6 | 4.5 |
| | 2017 | 6.4 | 5.8 | 2.5 | 4.7 |
| | 2015 | 4.7 | 12.4 | 4.8 | 7 |
| | 2013 | 6.7 | 11.1 | 2.9 | 6.2 |
| ბიბლიოთეკა | 2021 | 13.6 | 12.3 | 12.7 | 12.6 |
| | 2019 | 15.6 | 13.7 | 16.5 | 15.4 |
| | 2017 | 12.1 | 12.9 | 17.8 | 14.6 |
| | 2015 | 10.9 | 15.5 | 17.9 | 15.5 |
| | 2013 | 14.6 | 18 | 17.9 | 17.1 |
| საჯარო პარკი | 2021 | 20.6 | 13.1 | 12.7 | 13.7 |
| | 2019 | 18.2 | 14.6 | 10.7 | 14.1 |
| | 2017 | 31.2 | 25.9 | 16.3 | 23.7 |
| | 2015 | 31.8 | 18.3 | 15.6 | 20.3 |
| | 2013 | 29.2 | 19.1 | 19 | 21.6 |

(გაგრძელება)

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **თქვენი აზრით, ჩამოთვლილი გასართობი/ დასასვენებელი ადგილებიდან რომლის გამართული ფუნქციონირებაა პრიორიტეტული თქვენი დასახლების მცხოვრებთათვის?** | | **თბილისი** | **ქალაქი** | **სოფელი** | **საქართველო** |
| სპორტული მოედანი | 2021 | 18.7 | 16.1 | 21.7 | 18.8 |
| | 2019 | 21.1 | 18.2 | 24.3 | 21.5 |
| | 2017 | 28.9 | 24.8 | 29.4 | 28 |
| | 2015 | 28.2 | 19.1 | 29.3 | 26 |
| | 2013 | 24.6 | 20.1 | 24.4 | 23.3 |
| კულტურის სახლი / სოფლის კლუბი | 2021 | 0.5 | 6.7 | 10.1 | 7.5 |
| | 2019 | 1.1 | 6.3 | 13.8 | 7.9 |
| | 2017 | 1.8 | 8.9 | 26.4 | 13.8 |
| | 2015 | 2.7 | 13.5 | 26.7 | 17 |
| | 2013 | 3.2 | 11 | 27.1 | 16.4 |
| სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა | 2021 | 12.8 | 12.4 | 14.2 | 13.2 |
| | 2019 | 7.9 | 7.2 | 8.3 | 7.9 |
| ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები | 2021 | 4 | 3.2 | 2.4 | 3 |
| | 2019 | 2.5 | 2.9 | 1.3 | 2.2 |
| სკვერი | 2021 | 12.4 | 8.2 | 12.2 | 10.3 |
| | 2019 | 18.2 | 11.6 | 11.3 | 13.5 |
| კინოთეატრი | 2021 | 2.9 | 9.4 | 5.4 | 7 |
| სხვა | 2021 | 0.2 | 0.5 | 0.4 | 0.4 |
| | 2019 | 0.7 | 1.7 | 0.8 | 1.1 |
| არცერთი | 2021 | 3.9 | 1 | 3.6 | 2.4 |
| | 2019 | 0.5 | 3.5 | 3.4 | 2.5 |
| | 2017 | 0.3 | 1.4 | 1.4 | 1.1 |
| | 2015 | 1 | 0.6 | 1 | 0.9 |
| | 2013 | 0.9 | 0.2 | 1.3 | 0.9 |

საკითხის **ასაკობრივი ჯგუფების** მიხედვით განხილვისას აღმოჩნდა, რომ გამოკითხვის ყოველ ტალღაში აქტუალობას არ კარგავს სპორტული მოედნის, საჯარო პარკის, სკვერის გამართულად ფუნქციონირება. თუმცა, საინტერესოა, რომ ზედა ასაკობრივი ჯგუფის (45-54 წლის, 55-64 წლის, 65 წლის ან მეტის) წარმომადგენლები უფრო ხშირად მიუთითებენ ბიბლიოთეკების გამართული ფუნქციონირების პრიორიტეტულობაზე. 2013-2015 წლებში ამ ასაკობრივ ჯგუფებში მნიშვნელოვან დატვირთვას იძენდა კულტურის სახლის/სოფლის კლუბის ფუნქციონირება. 2021 წლის გამოკითხვაში ოთხი ასაკობრივი ჯგუფისთვის იდენტური გასართობი/დასასვენებელი ადგილების გამართულობაა პრიორიტეტული: საჯარო პარკი, სპორტული მოედანი, სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა. მათ შორის წამყვან ადგილს სპორტული მოედანი იკავებს: 18-24 – 18.7%; 25-34 – 17.9%; 35-44 – 19.2%; 45-54 წლის - 18.3%. ხოლო ბოლო ორ ასაკობრივ ჯგუფში „სხვა სპორტულ ინფრასტრუქტურას“ „ბიბლიოთეკა“ ანაცვლებს: 55-64 წლის - 13.2%; 65 წლის ან მეტის - 14.4% (იხ. ცხრილი #38).

**ცხრილი #38 - გასართობი/დასასვენებელი ადგილების პრიორიტეტულობა ასაკის ჭრილში**

| % | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **თქვენი აზრით, ჩამოთვლილი გასართობი/ დასასვენებელი ადგილებიდან რომლის გამართული ფუნქციონირებაა პრიორიტეტული თქვენი დასახლების მცხოვრებთათვის?** | | **18-24 წლის** | **25-34 წლის** | **35-44 წლის** | **45-54 წლის** | **55-64 წლის** | **65 წლის ან მეტის** | **საქართველო** |
| თეატრი | 2021 | 3.9 | 5.9 | 6.5 | 6.2 | 6.6 | 5.6 | 5.9 |
| | 2019 | 8.1 | 9.4 | 9.2 | 7.9 | 9.2 | 8.8 | 8.8 |
| | 2017 | 15.6 | 11.4 | 12.9 | 9.6 | 11.7 | 10.9 | 11.8 |
| | 2015 | 15.6 | 12.4 | 14.1 | 12.9 | 11 | 11.2 | 12.8 |
| | 2013 | 14.6 | 14 | 13.6 | 12.6 | 11.8 | 11.7 | 13.1 |
| მუზეუმი | 2021 | 3.9 | 4.2 | 4.1 | 5.6 | 5.7 | 5.7 | 4.9 |
| | 2019 | 6 | 4.4 | 4.5 | 4.2 | 4.4 | 3.9 | 4.5 |
| | 2017 | 6 | 4.5 | 5 | 4.6 | 3.7 | 4.7 | 4.7 |
| | 2015 | 7.7 | 6 | 7.7 | 7.5 | 7.1 | 6.6 | 7 |
| | 2013 | 6.7 | 5.7 | 5.9 | 6.3 | 6.2 | 6.6 | 6.2 |
| ბიბლიოთეკა | 2021 | 10.6 | 11.9 | 12.4 | 12.8 | 13.2 | 14.4 | 12.6 |
| | 2019 | 19.2 | 14.9 | 15.8 | 15.1 | 13.3 | 15 | 15.4 |
| | 2017 | 12.7 | 13.4 | 14.4 | 14.6 | 15.8 | 16.4 | 14.6 |
| | 2015 | 14.5 | 15.5 | 15.9 | 14.9 | 16.8 | 15.4 | 15.5 |
| | 2013 | 16.2 | 15.7 | 18.3 | 16.5 | 17.1 | 19.1 | 17.1 |
| საჯარო პარკი | 2021 | 17.5 | 13 | 13.8 | 13 | 13.5 | 12.5 | 13.7 |
| | 2019 | 14.7 | 15.8 | 13.8 | 13.6 | 12.8 | 13.9 | 14.1 |
| | 2017 | 25.7 | 27.4 | 23.1 | 24.2 | 21.3 | 20.5 | 23.7 |
| | 2015 | 25 | 21.4 | 19.3 | 20 | 18.9 | 18.7 | 20.3 |
| | 2013 | 22.6 | 24.1 | 21.6 | 21 | 19.8 | 20.1 | 21.6 |
| სპორტული მოედანი | 2021 | 18.7 | 17.9 | 19.2 | 18.3 | 20.1 | 18.9 | 18.8 |
| | 2019 | 18.8 | 20 | 21 | 24 | 23.3 | 21.7 | 21.5 |
| | 2017 | 27.4 | 29 | 29.2 | 29.1 | 27.5 | 24.9 | 28 |
| | 2015 | 24.7 | 27.7 | 24.6 | 26.2 | 26 | 25.9 | 26 |
| | 2013 | 23.1 | 22.5 | 23.8 | 24.2 | 24.2 | 21.9 | 23.3 |
| კულტურის სახლი / სოფლის კლუბი | 2021 | 4.6 | 8 | 8.3 | 8.1 | 7.8 | 7.5 | 7.5 |
| | 2019 | 5.1 | 6.2 | 6.7 | 8.5 | 10 | 9.6 | 7.9 |
| | 2017 | 10.9 | 12 | 12.7 | 14.1 | 15.6 | 16.6 | 13.8 |
| | 2015 | 11.4 | 15.8 | 17.6 | 16.9 | 18.9 | 20.2 | 17 |
| | 2013 | 15.1 | 15.7 | 14.9 | 17.3 | 18.1 | 17.5 | 16.4 |
| სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა | 2021 | 16.5 | 13.8 | 13 | 13.5 | 11.1 | 11.8 | 13.2 |
| | 2019 | 7.1 | 6.8 | 9.9 | 10.9 | 7.6 | 5.1 | 7.9 |
| ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები | 2021 | 2.2 | 3.3 | 3 | 3.6 | 2.8 | 2.6 | 3 |
| | 2019 | 2.5 | 1.4 | 1.3 | 2.8 | 2.8 | 2.4 | 2.2 |
| სკვერი | 2021 | 9.5 | 11.1 | 10.1 | 9.8 | 9.9 | 11.3 | 10.3 |
| | 2019 | 15.6 | 16.5 | 14.5 | 10.5 | 11.8 | 12.6 | 13.5 |
| კინოთეატრი | 2021 | 9.3 | 8.3 | 6.7 | 6.7 | 5.8 | 5.5 | 7 |
| სხვა | 2021 | 0.3 | 0.7 | 0.3 | 0.5 | 0.3 | 0.3 | 0.4 |
| | 2019 | 0.6 | 1.5 | 1 | 0.5 | 0.9 | 1.5 | 1.1 |
| არცერთი | 2021 | 2.8 | 1.9 | 2.2 | 1.8 | 2.7 | 3.3 | 2.4 |
| | 2019 | 1.3 | 2.6 | 1.7 | 1.6 | 3.3 | 4.2 | 2.5 |
| | 2017 | 0.8 | 0.7 | 1 | 1.7 | 0.8 | 1.2 | 1.1 |
| | 2015 | 1 | 0.7 | 0.4 | 1.2 | 0.6 | 1.3 | 0.9 |
| | 2013 | 0.6 | 0.7 | 0.7 | 0.7 | 1.1 | 1.7 | 0.9 |

თვისებრივი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც ქონება, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს და შეიძლება რეკრეაციული დანიშნულებით იყოს გამოყენებული, ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებას წარმოადგენს და ვერ ხდება მისი განკარგვა.

*„დაგვჭირდა ბავშვებისთვის მოედნის გაკეთება, აღმოჩნდა რომ ეს ტერიტორია ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნოდა. მთელი ძალისხმევა დაგვჭირდა რომ ეკონომიკის სამინისტროს გამოეყო ჩვენთვის“ (ქალი 62 წლის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, გურია)*

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა დასახელებული გასართობი/დასასვენებელი ადგილების მდგომარეობა შეაფასეს. როგორც აღმოჩნდა, წინა წლებთან შედარებით, ამ ობიექტების **მდგომარეობა გაუმჯობესებულია.** თუკი 2013 წელს რესპონდენტები, ძირითადად, საშუალო დონეზე აფასებდნენ, შემდეგ წლებში დადებითი შეფასებები მზარდია და 2021 წელს ყოველი დასახელებული გასართობი/დასასვენებელი ადგილის მდგომარეობა ფასდება, როგორც „კარგი“ (იხ. ცხრილი #39).

**ცხრილი #39 - დასახლებაში არსებული გასართობი/დასასვენებელი ადგილების მდგომარეობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რა მდგომარეობაში იმყოფება თქვენს დასახლებაში არსებული ობიექტები?** | | **ცუდი** | **საშუალო** | **კარგი** | **არ ვიცი/ მიჭირს პასუხი** |
| თეატრი | 2021 (N=1003) | 5.2 | 26 | 63.3 | 5.4 |
| | 2019 (N=1100) | 7.9 | 48.4 | 43.6 | 0 |
| | 2017 (N=1559) | 4.4 | 43.9 | 51.6 | 0 |
| | 2015 (N=1645) | 4.7 | 38.2 | 56.5 | 0.6 |
| | 2013 (N=1585) | 5.6 | 38.8 | 45.6 | 10 |
| მუზეუმი | 2021 (N=1422) | 4.5 | 31.5 | 58.5 | 5.5 |
| | 2019 (N=1193) | 4.3 | 46.2 | 49.5 | 0 |
| | 2017 (N=1579) | 3.8 | 48.4 | 47.7 | 0 |
| | 2015 (N=1601) | 2.9 | 42.2 | 54.7 | 0.2 |
| | 2013 (N=1636) | 5.3 | 41.2 | 42 | 11.5 |
| ბიბლიოთეკა | 2021 (N=1849) | 4.8 | 39 | 49.7 | 6.6 |
| | 2019 (N=1736) | 6.6 | 51.5 | 41.9 | 0 |
| | 2017 (N=1891) | 5.2 | 53.9 | 40.8 | 0 |
| | 2015 (N=1902) | 5.6 | 51.3 | 43 | 0.1 |
| | 2013 (N=2017) | 8.8 | 49.7 | 31.3 | 10.1 |
| საჯარო პარკი | 2021 (N=1560) | 5.7 | 33.3 | 59 | 1.9 |
| | 2019 (N=1579) | 5.6 | 41.2 | 53.1 | 0 |
| | 2017 (N=1873) | 6.4 | 48.7 | 44.9 | 0 |
| | 2015 (N=1796) | 6.2 | 42.9 | 50.7 | 0.2 |
| | 2013 (N=1679) | 6.6 | 47.1 | 42.9 | 3.4 |
| სპორტული მოედანი | 2021 (N=2366) | 8.3 | 37.9 | 51.5 | 2.2 |
| | 2019 (N=2233) | 9.3 | 40.5 | 50.2 | 0 |
| | 2017 (N=2487) | 7.3 | 53 | 39.7 | 0 |
| | 2015 (N=2442) | 8.7 | 49.3 | 41.4 | 0.6 |
| | 2013 (N=2421) | 10.7 | 48.1 | 39.3 | 1.9 |

(გაგრძელება)

| რა მდგომარეობაში იმყოფება თქვენს დასახლებაში არსებული ობიექტები? | | ცუდი | საშუალო | კარგი | არ ვიცი/ მიჭირს პასუხი |
|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | |
| სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა | 2021 (N=795) | 6.2 | 22.7 | 67.3 | 3.9 |
| | 2019 (N=810) | 5.5 | 48 | 46.5 | 0 |
| კულტურის სახლი / სოფლის კლუბი | 2021 (N=1039) | 11 | 30.6 | 52.6 | 5.8 |
| | 2019 (N=813) | 12.6 | 48.2 | 39.2 | 0 |
| | 2017 (N=918) | 8.9 | 55.7 | 35.5 | 0 |
| | 2015 (N=1447) | 11.5 | 54.3 | 32.7 | 1.5 |
| | 2013 (N=1356) | 17.6 | 47.3 | 25.3 | 9.7 |
| ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები | 2021 (N=760) | 11.5 | 21.1 | 63.7 | 3.7 |
| | 2019 (N=959) | 14.2 | 49.7 | 36.1 | 0 |
| სკვერი | 2021 (N=1435) | 3.6 | 28.6 | 67 | 0.8 |
| | 2019 (N=1455) | 13.5 | 40.2 | 46.2 | 0 |
| კინოთეატრი | 2021 (N=543) | 8.4 | 23.1 | 62.7 | 5.8 |
| სხვა | 2021 (N=2) | 0 | 0 | 100 | 0 |
| | 2019 (N=10) | 0 | 28.4 | 71.6 | 0 |

## წყალმომარაგება

რესპონდენტებს დაესვათ კითხვები მათ საცხოვრებელ ადგილზე კომუნალური ინფრასტრუქტურის შეფასებაზე. როგორც აღმოჩნდა, კვლევის ხუთივე ეტაპზე ცენტრალური (ონკანის) წყალმომარაგება რესპონდენტთა უმეტესობას ჰქონდა (2021 – 78.6%; 2019 – 75.2%; 2017 – 72.2%; 2015 – 69.4%; 2013 – 67.9%). აქვე აღსანიშნავია, რომ 2013 (67.9%) წლის შემდგომ იმ რესპონდენტთა წილი, რომელთაც ცენტრალური წყალმომარაგება აქვთ, ყოველ წელს იზრდება და 2021 წლისათვის 78.6%-ს შეადგენს (იხ. ცხრილი #40).

**ცხრილი #40 - ცენტრალურ წყალმომარაგებაზე ხელმისაწვდომობა**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **გაქვთ თუ არა ცენტრალური წყალმომარაგება?** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| დიახ | 78.6 | 75.2 | 72.2 | 69.4 | 67.9 |
| არა | 21.2 | 24.7 | 27.7 | 30.6 | 31.8 |
| უარი პასუხზე /არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0.2 | 0.1 | 0.1 | 0 | 0.3 |

იმ რესპონდენტებს, ვინც დაასახელა, რომ მას მიეწოდება ცენტრალური წყალმომარაგება, დაესვათ კითხვა, სასმელად ვარგისია თუ არა მიწოდებული წყალი. ხუთივე წლის შემთხვევაში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა ასახელებს, რომ ცენტრალური წყალმომარაგება, რომელიც მიეწოდება, არის სასმელად ვარგისი. საინტერესოა, რომ ყველაზე დიდი წილი, ვინც ამას ადასტურებს იკვეთება 2017 წელს (87.9%), ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი შედარებით იკლებს და 80.4%-ს უტოლდება. 2021 წლისათვის მაჩვენებლები კვლავ მზარდია და 84.4%-მდე აღწევს (იხ. ცხრილი #41).

**ცხრილი #41 - ცენტრალიზებულად მოწოდებული წყლის სასმელად ვარგისიანობა**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სასმელად ვარგისია თუ არა ცენტრალიზებულად მოწოდებული წყალი?** | **2021 (N=2672)** | **2019 (N=2558)** | **2017 (N=2455)** | **2015 (N=2359)** | **2013 (N=2310)** |
| დიახ | 84.4 | 80.4 | 87.9 | 79.3 | 76.5 |
| ნაწილობრივ | 10.9 | 8.2 | 7.6 | 11.3 | 9.9 |
| არა | 4.2 | 9.6 | 4 | 9 | 12.8 |
| უარი პასუხზე /არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0.5 | 1.8 | 0.5 | 0.4 | 0.8 |

ხუთივე ტალღის გამოკითხვის ფარგლებში, როგორც **ქალაქის** (2021 – 87.5%; 2019 – 78.9%; 2017 – 79.2%; 2015 – 74.8%; 2013 – 67.1%;) , ასევე **სოფლის** (2021 – 73.2%; 2019 – 67.6%; 2017 – 86.8%; 2015 – 66.9%; 2013 – 64.7%;) მოსახლეობის უმეტესი წილი ასახელებს, რომ მათთვის ცენტრალიზებულად მიწოდებული წყალი სასმელად ვარგისია. როგორც აღმოჩნდა, ქალაქის ტიპის დასახლებებში მაცხოვრებელი რესპონდენტები შედარებით ხშირად მიუთითებენ, რომ მათთვის მიწოდებული წყალი არის

სასმელად ვარგისი. გამონაკლისს წარმოადგენს 2019 წლის გამოკითხვა, სადაც სოფლის ტიპის დასახლების წარმომადგენლები მეტად მიუთითებენ წლის სასმელად ვარგისიანობაზე. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ უშუალოდ თბილისში (2021 – 96.2%; 2019 - 91%; 2017 – 95.8%; 2015 - 93%; 2013 – 94.1%) მცხოვრები რესპონდენტების მიერ წყლის სასმელად ვარგისიანობის მაჩვენებელი აღემატება როგორც სოფლის, ასევე ქალაქის ზოგად მაჩვენებლებს (იხ. ცხრილი #42).

**ცხრილი #42 - ცენტრალიზებულად მოწოდებული წყლის სასმელად ვარგისიანობა ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სასმელად ვარგისია თუ არა ცენტრალიზებულად მოწოდებული წყალი?** | | **დიახ** | **ნაწილობრივ** | **არა** | **უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი** |
| 2021 (N=2672) | თბილისი | 96.2 | 3.8 | 0 | 0 |
| | ქალაქი | 87.5 | 9.3 | 3.1 | 0.1 |
| | სოფელი | 73.2 | 17.3 | 8.2 | 1.3 |
| | საქართველო | 84.4 | 10.9 | 4.2 | 0.5 |
| 2019 (N=2558) | თბილისი | 91 | 5.8 | 1.9 | 1.3 |
| | ქალაქი | 78.9 | 11.7 | 7.4 | 1.9 |
| | სოფელი | 67.7 | 12.5 | 17.5 | 2.3 |
| | საქართველო | 80.4 | 9.6 | 8.2 | 1.8 |
| 2017 (N=2455) | თბილისი | 95.8 | 2.4 | 1.2 | 0.6 |
| | ქალაქი | 79.2 | 14.6 | 6.1 | 0.1 |
| | სოფელი | 86.8 | 6.6 | 5.9 | 0.7 |
| | საქართველო | 87.9 | 7.6 | 4 | 0.5 |
| 2015 (N=2359) | თბილისი | 93 | 3.5 | 3 | 0.6 |
| | ქალაქი | 74.8 | 14.6 | 10.6 | 0 |
| | სოფელი | 66.9 | 17.6 | 14.9 | 0.6 |
| | საქართველო | 79.3 | 11.3 | 9 | 0.4 |
| 2013 (N=2310) | თბილისი | 94.1 | 0.9 | 4.1 | 0.9 |
| | ქალაქი | 67.1 | 19 | 13 | 0.9 |
| | სოფელი | 64.7 | 20.9 | 13.8 | 0.6 |
| | საქართველო | 76.5 | 12.8 | 9.9 | 0.8 |

რაც შეეხება მაღალმთიან და სხვა ტიპის დასახლებებს 2019-2021 წლებს შორის დადებითი დინამიკა იკვეთება. კონკრეტულად, 2019 წლის შემდეგ, 2021 წლისათვის, რესპონდენტთა წილი, ვინც **მაღალმთიან რეგიონში** ასახელებს, რომ მათთვის მიწოდებული წყალი სასმელად ვარგისია, 73%-იდან 81.6%-მდე იზრდება. ხოლო **სხვა ტიპის დასახლებებისათვის,** 2019 წელს დაფიქსირებული 80.9% 2021 წლისათვის 85.1%-მდე გაზრდილი (იხ. ცხრილი #43).

**ცხრილი #43 - ცენტრალიზებულად მოწოდებული წყლის სასმელად ვარგისიანობა მაღალმთიანი/ სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| | % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 (N=2672) | | | 2019 (N=2558) | | |
| სასმელად ვარგისია თუ არა ცენტრალიზებულად მოწოდებული წყალი? | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო |
| დიახ | 81.6 | 85.1 | 84.4 | 73 | 80.9 | 80.4 |
| ნაწილობრივ | 10.1 | 11.1 | 10.9 | 14.8 | 7.8 | 9.6 |
| არა | 8.4 | 3.2 | 4.2 | 11.3 | 9.5 | 8.2 |
| უარი პასუხზე /არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0 | 0.6 | 0.5 | 0.9 | 1.8 | 1.8 |

კვლევის მონაწილეებს, რომელთაც ცენტრალურ წყალზე ხელმისაწვდომობა აქვთ, წყლის მიწოდების სიხშირეზე დაესვათ კითხვა. გამოკითხვის ყოველი ეტაპისთვის რესპონდენტთა უმეტესობა ასახელებს, რომ წყალი თითქმის უწყვეტად მიეწოდება (2021 – 72.3%; 2019 – 71.8%; 2017 – 78.6%; 2015 – 66.7%; 2013 – 64.7%). მიწოდების რეგულარობის მიხედვით, 2017 წელს (78.6%), სხვა წლებთან შედარებით, მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება თითქმის უწყვეტად მიწოდების ჭრილში. ამავე კატეგორიაში შედარებით დაბალი მაჩვენებლები იკვეთება 2013 (64.7%) და 2015 (66.7%) წლებში. რაც შეეხება 2021 წლის გამოკითხვას, წყლის თითქმის უწყვეტი მიწოდების მაჩვენებელი (72.3%), 2017 წლის გარდა, წინა რაუნდების გამოკითხვის მაჩვენებლებს აღემატება (იხ. ცხრილი #44).

**ცხრილი #44 - ცენტრალური წყალმომარაგების მოწოდების გრაფიკი**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რა რეგულარობით მოდის ცენტრალური (ონკანის) წყალი თქვენთან? | 2021 (N=2672) | 2019 (N=2558) | 2017 (N=2455) | 2015 (N=2359) | 2013 (N=2310) |
| თითქმის უწყვეტად | 72.3 | 71.8 | 78.6 | 66.7 | 64.7 |
| ყოველდღე გარკვეული დროით | 21.1 | 19.5 | 16.7 | 24.3 | 23.5 |
| კვირაში რამდენიმეჯერ | 5.1 | 6.4 | 3.2 | 7.4 | 10.8 |
| კვირაში ერთხელ | 0.8 | 0.8 | 0.8 | 1.3 | 0.5 |
| ორ კვირაში ერთხელ | 0.2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| თვეში ერთხელ | 0.3 | 0.5 | 0.1 | 0.2 | 0.2 |
| უფრო იშვიათად, ვიდრე თვეში ერთხელ | 0.1 | 0.6 | 0.5 | 0 | 0.2 |
| უარი პასუხზე | 0 | 0.3 | 0.1 | 0 | 0 |

რესპონდენტთა ამავე ჯგუფის შეფასებით, გამოკითხვის ხუთივე წლისათვის წყალმომარაგების გრაფიკი თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია (2021 – 71.6%; 2019 – 74.9%; 2017 – 80%; 2015 – 72%; 2013 – 68.1%). კვლევის მონაწილეთა კმაყოფილება 2017 წლისათვის (80%) ყველაზე მაღალია, თუმცა 2019 (74.9%) და 2021 (71.6%) წლებისათვის კლებადი დინამიკა შეიმჩნევა (იხ. ცხრილი #45).

**ცხრილი #45 - ცენტრალური წყალმომარაგების მოწოდების გრაფიკის დამაკმაყოფილებლობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **არის თუ არა წყალმომარაგება (გრაფიკი) დამაკმაყოფილებელი?** | **2021 (N=2672)** | **2019 (N=2558)** | **2017 (N=2455)** | **2015 (N=2359)** | **2013 (N=2310)** |
| წყალმომარაგება თითქმის ყოველთვის არადამაკმაყოფილებელია | 10.4 | 12.8 | 7.1 | 10.1 | 13.1 |
| წყალმომარაგება ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია | 18 | 12.3 | 12.9 | 17.9 | 18.9 |
| თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია | 71.6 | 74.9 | 80 | 72 | 68.1 |

2021 წლისათვის რესპონდენტთა წილი, ვინც **თბილისის** (84%) ან **ქალაქის** (80.9%) ჭრილში ამბობს, რომ წყალმომარაგების გრაფიკი თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია, საგრძნობლად აღემატება ასეთივე შეფასების წილს **სოფლის ტიპის დასახლებებში** (48.9%). აქვე აღსანიშნავია, რომ სოფლის ტიპი დასახლებებისათვის 2021 წლის მონაცემი, სხვა წლებთან მიმართებით, ყველაზე დაბალია (2019 – 61.3%; 2017 – 62.8%; 2015 – 53.2%; 2013 – 57.5%). წყალმომარაგების გრაფიკის შეფასების მხრივ, 2013-2021 წლების გამოკითხვის ტალღებს შორის ქალაქის ჭრილში დადებითი დინამიკა შეინიშნება: 2021 – 80.9%; 2017 – 75.2%; 2015 – 65.1%; 2013 – 62.7%). ამ კუთხით გამონაკლისს წარმოადგენს 2019 წლის ქალაქის ჭრილის მონაცემი (68.3%) (იხ. ცხრილი #46).

**ცხრილი #46 - ცენტრალური წყალმომარაგების მოწოდების გრაფიკის დამაკმაყოფილებლობა ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| | | % | | |
|---|---|---|---|---|
| **არის თუ არა წყალმომარაგება (გრაფიკი) დამაკმაყოფილებელი?** | | **წყალმომარაგება თითქმის ყოველთვის არადამაკმაყოფი-ლებელია** | **წყალმომარაგება ზოგჯერ არადამაკმაყოფი-ლებელია** | **თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია** |
| 2021 (N=2672) | თბილისი | 5.6 | 10.4 | 84 |
| | ქალაქი | 6 | 13.2 | 80.9 |
| | სოფელი | 20.8 | 30.3 | 48.9 |
| | საქართველო | 10.4 | 18 | 71.6 |
| 2019 (N=2558) | თბილისი | 5 | 4.7 | 90.3 |
| | ქალაქი | 19.1 | 12.6 | 68.3 |
| | სოფელი | 16.5 | 22.2 | 61.3 |
| | საქართველო | 12.8 | 12.3 | 74.9 |
| 2017 (N=2455) | თბილისი | 3.1 | 2.5 | 94.4 |
| | ქალაქი | 12.1 | 12.7 | 75.2 |
| | სოფელი | 6.7 | 30.4 | 62.8 |
| | საქართველო | 7.1 | 12.9 | 80 |
| 2015 (N=2359) | თბილისი | 3.9 | 4.3 | 91.8 |
| | ქალაქი | 9.8 | 24.7 | 65.1 |
| | სოფელი | 18.6 | 27.3 | 53.7 |
| | საქართველო | 10.1 | 17.9 | 71.7 |

(გაგრძელება)

| % | | | | |
|---|---|---|---|---|
| **არის თუ არა წყალმომარაგება (გრაფიკი) დამაკმაყოფილებელი?** | | **წყალმომარაგება თითქმის ყოველთვის არადამაკმაყოფი-ლებელია** | **წყალმომარაგება ზოგჯერ არადამაკმაყოფი-ლებელია** | **თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია** |
| 2013 (N=2310) | თბილისი | 8.2 | 10.7 | 81.1 |
| | ქალაქი | 12.4 | 24.9 | 62.7 |
| | სოფელი | 20.2 | 22.2 | 57.5 |
| | საქართველო | 13 | 18.8 | 68.1 |

საინტერესოა, რომ იმ რესპონდენტთა წილი, ვინც 2019 წლისათვის **მაღალმთიანი რეგიონების** ჭრილში წყალმომარაგების გრაფიკს აფასებს, როგორც თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელს (68.2%), 2021 წლისათვის 74.1%-მდე იზრდება. **სხვა ტიპის დასახლებების** შემთხვევაში დინამიკა კლებადია, კონკრეტულად, 2019 წელს დაფიქსირებული მაჩვენებელი, 75.3%, 2021 წლისათვის 70.9%-მდე მცირდება (იხ. ცხრილი #47).

**ცხრილი #47 - ცენტრალური წყალმომარაგების მოწოდების გრაფიკის დამაკმაყოფილებლობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არის თუ არა წყალმომარაგება (გრაფიკი) დამაკმაყოფილებელი?** | **2021 (N=2672)** | | | **2019 (N=2558)** | | |
| | **მაღალმთიანი** | **სხვა ტიპის დასახლება** | **საქართველო** | **მაღალმთიანი** | **სხვა ტიპის დასახლება** | **საქართველო** |
| წყალმომარაგება თითქმის ყოველთვის არადამაკმაყოფილებელია | 5.1 | 11.7 | 10.4 | 14.1 | 12.7 | 12.8 |
| წყალმომარაგება ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია | 20.8 | 17.3 | 18 | 17.7 | 12 | 12.3 |
| თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია | 74.1 | 70.9 | 71.6 | 68.2 | 75.3 | 74.9 |

**რეგიონების ჭრილში** 2021 წლისათვის რესპონდენტთა წილი ვინც აფიქსირებს, რომ წყალმომარაგების გრაფიკი თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით მაღალია იმერეთის (90%), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის (84.7%), თბილისის (84%), სამეგრელო-ზემო სვანეთის (82.5%), აჭარის (82.2%) რეგიონებისათვის. ხოლო შესამჩნევად დაბალია ქვემო ქართლისა (47.2%) და სამცხე-ჯავახეთის (55.4%) რეგიონებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სხვა წლების ფარგლებში თბილისში გამოკითხული რესპონდენტების ასევე დიდი წილი აფიქსირებს წყალმომარაგების გრაფიკით კმაყოფილებას (2021- 84%; 2019 – 90.3%; 2017 – 94.4%; 2015 – 91.8%; 2013 – 81.1%). კმაყოფილების წილი 2021 წელს მეტია მხოლოდ 2013 წელთან შედარებით.

საინტერესოა, რომ იმერეთის რეგიონში წინა წლებში კმაყოფილების ხარისხის შედარებით დაბალი მაჩვენებლების შემდეგ (2019 – 47.3%; 2017 – 52.3%; 2015 – 36.5%; 2013 – 43.6%) 2021 წლისათვის ეს მონაცემი, სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე მაღალია (90%).

რაც შეეხება ქვემო ქართლის რეგიონს, ხაზგასასმელია, რომ გამოკითხვის რაუნდებს შორის კმაყოფილების შეფასება ზიგზაგისებურია (2019 – 59.4%; 2017 – 72.8%; 2015 – 70.7%; 2013 – 56.4%) და 2021 წლისათვის ყველაზე დაბალია (47.2%) (იხ. ცხრილი #48).

**ცხრილი #48 - ცენტრალური წყალმომარაგების მოწოდების გრაფიკის დამაკმაყოფილებლობა რეგიონის ჭრილში**

| | % | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **არის თუ არა წყალმომარაგება (გრაფიკი) დამაკმაყოფილებელი?** | | თბილისი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | გურია | აჭარა | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამცხე-ჯავახეთი | შიდა ქართლი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | კახეთი | საქართველო |
| 2021 | წყალმომარაგება თითქმის ყოველთვის არადამაკმაყოფილებელია | 5.6 | 6 | 9.2 | 5.2 | 4.4 | 1.7 | 18 | 11.7 | 16.2 | 19.5 | 14.6 | 10.4 |
| | წყალმომარაგება ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია | 10.4 | 11.5 | 10.8 | 12.6 | 10.9 | 8.3 | 26.6 | 19.6 | 27.3 | 33.3 | 20.5 | 18 |
| | თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია | 84 | 82.5 | 80 | 82.2 | 84.7 | 90 | 55.4 | 68.7 | 56.5 | 47.2 | 64.9 | 71.6 |
| 2019 | წყალმომარაგება თითქმის ყოველთვის არადამაკმაყოფილებელია | 5 | 0.7 | 13.3 | 6.8 | 11.1 | 35.2 | 19.8 | 16.5 | 9.9 | 16.1 | 23.6 | 12.8 |
| | წყალმომარაგება ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია | 4.8 | 9 | 21.7 | 7.3 | 16.7 | 17.4 | 15.7 | 12.4 | 22.5 | 24.5 | 20.9 | 12.3 |
| | თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია | 90.3 | 90.3 | 65 | 85.9 | 72.2 | 47.3 | 64.5 | 71.2 | 67.6 | 59.4 | 55.6 | 74.9 |
| 2017 | წყალმომარაგება თითქმის ყოველთვის არადამაკმაყოფილებელია | 3.1 | 0.6 | 3.4 | 3 | 0 | 34.9 | 6 | 5.7 | 14.9 | 4.2 | 7 | 7.1 |
| | წყალმომარაგება ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია | 2.5 | 11.5 | 6.9 | 8.5 | 7.1 | 12.9 | 8.4 | 45.3 | 17.9 | 23 | 28.5 | 12.9 |
| | თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია | 94.4 | 87.9 | 89.7 | 88.4 | 92.9 | 52.3 | 85.5 | 49.1 | 67.2 | 72.8 | 64.5 | 80 |
| 2015 | წყალმომარაგება თითქმის ყოველთვის არადამაკმაყოფილებელია | 3.9 | 16 | 2.9 | 9.9 | 0 | 13.1 | 8.2 | 6.3 | 23 | 12 | 22.9 | 10.1 |
| | წყალმომარაგება ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია | 4.3 | 21.1 | 29.4 | 9.4 | 0 | 50.4 | 18 | 20.9 | 11.5 | 16.5 | 33.6 | 17.9 |
| | თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია | 91.8 | 60.3 | 66.7 | 80.7 | 100 | 36.5 | 73.8 | 72.8 | 65.5 | 70.7 | 43.5 | 71.7 |
| | უარი პასუხზე | 0 | 2.6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.8 | 0 | 0 |
| 2013 | წყალმომარაგება თითქმის ყოველთვის არადამაკმაყოფილებელია | 8.2 | 5 | 18.9 | 7.3 | 8.3 | 26.8 | 5.8 | 15.5 | 25 | 19.1 | 10 | 13 |
| | წყალმომარაგება ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელია | 10.7 | 5 | 40.5 | 17.4 | 16.7 | 29.6 | 20.3 | 22.6 | 16.7 | 24.5 | 30.5 | 18.8 |
| | თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებელია | 81.1 | 90 | 40.5 | 75.3 | 75 | 43.6 | 73.9 | 61.9 | 58.3 | 56.4 | 59.5 | 68.1 |

ხუთი წლის გამოკითხვის შედეგებით ის რესპონდენტები, ვისაც ცენტრალური წყალმომარაგება მიეწოდება, საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის წყლის რაოდენობას ძირითადად აფასებენ როგორც, საკმარისს (2021 - 79.4%; 2019 – 85.1%; 2017 – 86.5%; 2015 – 79.2%; 2013 – 77.7%). რესპონდენტების წილი, ვინც წყლის რაოდენობას 2021 წლისათვის აფასებს როგორც საკმარისს, ჩამორჩება 2017 და 2019 წლის ამავე მაჩვენებელს (იხ. ცხრილი #49).

**ცხრილი #49 - მოწოდებული წყლის რაოდენობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **საკმარისია თუ არა წყლის რაოდენობა თქვენი საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის?** | **2021 (N=2672)** | **2019 (N=2558)** | **2017 (N=2455)** | **2015 (N=2359)** | **2013 (N=2310)** |
| სრულიად არ არის საკმარისი | 4.2 | 3.6 | 3.3 | 5.3 | 8.1 |
| არასაკმარისია | 15.8 | 11 | 10 | 14.7 | 13.8 |
| საკმარისია | 51.5 | 45 | 44.6 | 48.4 | 44.8 |
| სრულიად საკმარისია | 27.9 | 40.1 | 41.9 | 30.9 | 32.9 |
| უარი პასუხზე | 0.7 | 0.3 | 0.1 | 0.8 | 0.3 |

გამოკითხვის ხუთივე წლისათვის რესპონდენტთა უმეტესობა მიუთითებს, რომ წყლის საფასური, რომელიც მას ერიცხება, ითვლება სულადობის (2021 – 35.6%; 2019 – 40.3%; 2017 – 47.5%; 2015 – 49.7%; 2013 – 60.9%) ან მრიცხველის (2021 – 45.6%; 2019 – 38.5%; 2017 – 37%; 2015 – 31.5%; 2013 – 22.8%) მიხედვით. 2019 წლის ჩათვლით, რესპონდენტთა პასუხები მეტად იხრება საფასურის სულადობის მიხედვით დარიცხვისაკენ, ხოლო 2021 წლისათვის კვლევის მონაწილეები შედარებით ხშირად ასახელებენ, რომ საფასური ითვლება მრიცხველის მიხედვით (იხ. ცხრილი #50).

**ცხრილი #50 - წყლის საფასური**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **თუ იცით, რის მიხედვით ითვლება წყლის საფასური, რომელიც თქვენ გერიცხებათ?** | **2021 (N=2672)** | **2019 (N=2558)** | **2017 (N=2455)** | **2015 (N=2359)** | **2013 (N=2310)** |
| სულადობის / ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით | 35.6 | 40.3 | 47.5 | 49.7 | 60.9 |
| მრიცხველის მიხედვით | 45.6 | 38.5 | 37 | 31.5 | 22.8 |

რაც შეეხება წყლის საფასურის ხელმისაწვდომობას, ხუთი გამოკითხვის ეტაპის შემთხვევაში პასუხთა ნახევარზე მეტი აფიქსირებდა, რომ წყლის საფასური მისთვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა (2021 – 66.3%; 2019 – 50.6%; 2017 – 65.5%; 2015 – 57.7%; 2013 – 50.2%). 2021 წლის გამოკითხვის პერიოდში პასუხთა ძირითადი წილი ნაწილდება კატეგორიებს შორის „უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა“ (32.2%) და „სრულიად ხელმისაწვდომია“ (34.1%). ხაზგასასმელია, რომ 2021 წლისათვის, რესპონდენტთა წილი, ვინც წყლის საფასურს სრულიად ხელმისაწვდომად აფასებს, გამოკითხვის წინა ტალღებთან შედარებით, საგრძნობლად გაზრდილია (იხ. ცხრილი #51).

**ცხრილი #51 - ცენტრალური წყალმომარაგების საფასურის ხელმისაწვდომობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის არსებული წყლის საფასური?** | **2021 (N=2672)** | **2019 (N=2558)** | **2017 (N=2455)** | **2015 (N=2359)** | **2013 (N=2310)** |
| საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი | 3.9 | 3.1 | 2.5 | 7.1 | 8 |
| უფრო არ არის ხელმისაწვდომი, ვიდრე კი | 11 | 14.3 | 16.1 | 16.9 | 24.4 |
| უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა | 32.2 | 56.1 | 64.9 | 57.7 | 50.2 |
| სრულიად ხელმისაწვდომია | 34.1 | 9.4 | 6.1 | 3.8 | 6 |
| არ მეხება/არ ვიხდი გადასახადს | 16 | 14.3 | 0 | 0 | 0 |
| უარი პასუხზე | 2.7 | 2.8 | 4.8 | 11.4 | 9 |

2019 წლისათვის მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები რესპონდენტების თითქმის ნახევარი (47.9%) ამბობს, რომ წყლის საფასურს არ იხდის, ხოლო მნიშვნელოვანი წილისათვის (35.4%) წყლის საფასური უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა. 2021 წლისათვის **მაღალმთიანი დასახლების** ჭრილში წყლის საფასურის ხელმისაწვდომობა შედარებით დადებითად ფასდება, რამდენადაც 40.3% აფიქსირებს, რომ მისთვის არსებული წყლის საფასური სრულიად ხელმისაწვდომია. რაც შეეხება სხვა ტიპის დასახლებების ჭრილს, 2019 წლისათვის რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (57.4%) საფასურს უფრო ხელმისაწვდომად აფასებს, ვიდრე - არა. ხოლო 2021 წლისათვის, რესპონდენტთა პასუხები თითქმის თანაბრად ნაწილდება პასუხებს შორის „უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა" (35.4%) და „სრულიად ხელმისაწვდომია" (32.6%) (იხ. ცხრილი #52).

**ცხრილი #52 - ცენტრალური წყალმომარაგების საფასურის ხელმისაწვდომობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 (N=2672) | | | 2019 (N=2558) | | |
| **ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის არსებული წყლის საფასური?** | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო |
| საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი | 3.4 | 4 | 3.9 | 1 | 3.2 | 3.1 |
| უფრო არ არის ხელმისაწვდომი, ვიდრე კი | 1.3 | 13.4 | 11 | 2.9 | 15 | 14.3 |
| უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა | 19.4 | 35.4 | 32.2 | 35.4 | 57.4 | 56.1 |
| სრულიად ხელმისაწვდომია | 40.3 | 32.6 | 34.1 | 7.7 | 9.5 | 9.4 |
| არ მეხება/არ ვიხდი გადასახადს | 31.7 | 12.2 | 16 | 47.9 | 12.2 | 14.3 |
| უარი პასუხზე | 3.8 | 2.3 | 2.7 | 5.1 | 2.7 | 2.8 |

2021 წლისათვის **რეგიონის ჭრილში** რესპონდენტთა წილი, ვინც აფიქსირებს, რომ არსებული წყლის საფასური ხელმისაწვდომია, შედარებით მაღალია გურიის (89.2%), იმერეთის (81.6%), ქვემო ქართლის (80.9%), შიდა ქართლის (76.2%) სამეგრელო-ზემო სვანეთის (74.5%) რეგიონებისათვის. როგორც აღმოჩნდა, ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია თბილისის (57.1%) და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისთვის (49.8%).

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის სხვადასხვა ტალღას შორის თბილისში რესპონდენტთა წილი, ვისთვისაც წყლის საფასური ხელმისაწვდომია, 2013-2019 წლების შუალედში ეტაპობრივად იზრდება, ხოლო 2021 წლისათვის შესამჩნევად იკლებს (2021 – 57.1%; 2019 – 70.3%; 2017 – 63.3%; 2015 – 59.5%; 2013 – 46.6%).

რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონს, როგორც აღმოჩნდა 2013-2015 წლებისათვის წყლის საფასური რესპონდენტების მიერ შედარებით მეტად ფასდება, როგორც ხელმისაწვდომი. ხოლო ასეთი შეფასების წილი 2017-2021 წლებისათვის იკლებს (2021 – 49.8%; 2019 – 47.4%; 2017 – 57.1%; 2015 – 87.5%; 2013 – 63.6%).

გურიისა (2021 – 89.1%; 2019 – 64.5%; 2017 – 72.4%; 2015 – 56.9%; 2013 – 77.8%) და იმერეთის (2021 – 81.6%; 2019 – 67.9%; 2017 – 77.6%; 2015 – 74.5%; 2013 – 59.6%) რეგიონებისათვის 2021 წელს ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, კვლევის წინა რაუნდებთან შედარებით, ყველაზე მაღალია (იხ. ცხრილი #53).

## ცხრილი #53 - ცენტრალური წყალმომარაგების საფასურის ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში

| | ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის არსებული წყლის საფასური | თბილისი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | გურია | აჭარა | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამცხე-ჯავახეთი | შიდა ქართლი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | კახეთი | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | | | | | | | | |
| 2021 | საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი | 10.4 | 0 | 2.3 | 0 | 6.6 | 0.6 | 9.7 | 0.6 | 1.1 | 1.1 | 4.5 | 3.9 |
| | უფრო არ არის ხელმისაწვდომი, ვიდრე კი | 25 | 16.7 | 5.4 | 4.1 | 0.4 | 8.4 | 3.7 | 3 | 10 | 16.7 | 13.4 | 11 |
| | უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა | 38.4 | 50.5 | 54.3 | 15.6 | 0.9 | 33.5 | 27.7 | 27.4 | 30 | 50.7 | 30.2 | 32.2 |
| | სრულიად ხელმისაწვდომია | 18.7 | 24.1 | 34.9 | 45.6 | 48.9 | 48 | 33.3 | 48.8 | 30.7 | 30.1 | 31 | 34.1 |
| | არ მეხება/არ ვიხდი გადასახადს | 1.3 | 7.9 | 1.6 | 33 | 35.4 | 9.5 | 23.2 | 19.5 | 25.2 | 0.7 | 19.4 | 16 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0 | 0.8 | 0 | 1.3 | 0 | 0.4 | 0 | 0 | 0 | 0.4 | 2.7 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 6.3 | 0.9 | 0.8 | 1.9 | 6.6 | 0 | 1.9 | 0.6 | 3 | 0.7 | 1.1 | 0 |
| 2019 | საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი | 5.4 | 0.8 | 4.8 | 1.1 | 0 | 3 | 2.5 | 0.6 | 0 | 1.9 | 1.3 | 3.1 |
| | უფრო არ არის ხელმისაწვდომი, ვიდრე კი | 20.7 | 7.6 | 4.8 | 7.3 | 0 | 15.8 | 6.7 | 7.6 | 9.9 | 14.2 | 8 | 14.3 |
| | უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა | 58 | 64.4 | 50 | 48 | 21.1 | 63.8 | 41.7 | 64.7 | 23.9 | 58.1 | 53.1 | 56.1 |
| | სრულიად ხელმისაწვდომია | 12.3 | 6.8 | 14.5 | 10.2 | 26.3 | 4.2 | 9.2 | 11.2 | 5.6 | 5.8 | 5.8 | 9.4 |
| | არ მეხება/არ ვიხდი გადასახადს | 1.7 | 18.9 | 21 | 28.8 | 52.6 | 10.2 | 35.8 | 12.9 | 59.2 | 15.8 | 29.2 | 14.3 |
| | უარი პასუხზე | 0.2 | 0 | 1.6 | 0.6 | 0 | 0 | 1.7 | 0 | 0 | 1.3 | 0 | 2.8 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 1.8 | 1.5 | 3.2 | 4 | 0 | 3 | 2.5 | 2.9 | 1.4 | 2.9 | 2.7 | 0 |
| 2017 | საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი | 4.5 | 0.6 | 3.4 | 0 | 0 | 1.7 | 4.8 | 1.3 | 1.5 | 1.2 | 0 | 2.5 |
| | უფრო არ არის ხელმისაწვდომი, ვიდრე კი | 29.2 | 8.2 | 13.8 | 4.9 | 0 | 13.3 | 10.8 | 0.6 | 4.5 | 8.7 | 1.5 | 16.1 |
| | უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა | 61.1 | 76.6 | 72.4 | 67.7 | 42.9 | 66.4 | 59 | 68.6 | 31.3 | 75.2 | 63.5 | 64.9 |
| | სრულიად ხელმისაწვდომია | 2.2 | 3.2 | 0 | 10.4 | 14.3 | 11.2 | 6 | 20.1 | 6 | 6.9 | 7 | 6.1 |
| | არ მეხება/არ ვიხდი გადასახადს | 0 | 7.6 | 3.4 | 6.1 | 28.6 | 6.6 | 8.4 | 3.8 | 38.8 | 3.6 | 9 | 0 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0 | 0 | 0.6 | 0 | 0 | 0 | 0 | 4.5 | 0 | 0.5 | 4.8 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 3 | 3.8 | 6.9 | 10.4 | 14.3 | 0.8 | 10.8 | 5.7 | 13.4 | 4.5 | 18.5 | 0 |
| 2015 | საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი | 13.7 | 3.1 | 5.9 | 0.6 | 0 | 3.5 | 3.3 | 5.7 | 1.1 | 4.5 | 2.3 | 7.1 |
| | უფრო არ არის ხელმისაწვდომი, ვიდრე კი | 25.5 | 12.9 | 5.9 | 9.9 | 12.5 | 10.3 | 8.3 | 19.5 | 11.5 | 18 | 3.8 | 16.9 |
| | უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა | 57.7 | 61.3 | 51 | 41.5 | 62.5 | 69.5 | 71.7 | 51.6 | 16.1 | 51.5 | 78.9 | 57.7 |
| | სრულიად ხელმისაწვდომია | 1.8 | 4.1 | 5.9 | 9.4 | 25 | 5 | 0 | 3.1 | 3.4 | 5.3 | 3.3 | 3.8 |
| | არ მეხება/არ ვიხდი გადასახადს | 0 | 7.2 | 29.4 | 33.3 | 0 | 6.4 | 16.7 | 19.5 | 67.8 | 13.9 | 10.8 | 0 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0.5 | 0 | 0.6 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.8 | 0 | 11.4 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 1.3 | 10.8 | 2 | 4.7 | 0 | 5.3 | 0 | 0.6 | 0 | 6 | 0.9 | 0 |

(გაგრძელება)

| ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის არსებული წყლის საფასური | | თბილისი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | გურია | აჭარა | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამცხე-ჯავახეთი | შიდა ქართლი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | კახეთი | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | | | | | | | | |
| 2013 | საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი | 10.6 | 10.2 | 13.9 | 7.9 | 0 | 9.6 | 5.8 | 1.9 | - | 5.7 | 4.1 | 8 |
| | უფრო არ არის ხელმისაწვდომი, ვიდრე კი | 38.8 | 10.2 | 8.3 | 27.5 | 0 | 15.6 | 15.9 | 12.2 | 20.8 | 17.2 | 11 | 24.4 |
| | უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე არა | 41.2 | 53.4 | 72.2 | 33.1 | 45.5 | 56.7 | 49.3 | 67.9 | 54.2 | 53.5 | 68 | 50.2 |
| | სრულიად ხელმისაწვდომია | 5.5 | 4.2 | 5.6 | 9 | 18.2 | 2.9 | 4.3 | 7.1 | 4.2 | 7.4 | 8.7 | 6 |
| | არ მეხება/არ ვიხდი გადასახადს | 0 | 22 | 0 | 19.1 | 27.3 | 14.3 | 23.2 | 7.7 | 14.6 | 12.8 | 7.8 | 0 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0 | 0 | 1.7 | 0 | 0 | 0 | 0 | 2.1 | 1.3 | 0 | 9 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 4 | 0 | 0 | 1.7 | 9.1 | 1 | 1.4 | 3.2 | 4.2 | 2 | 0.5 | 0 |

2019-2021 წლების გამოკითხვის პერიოდისათვის რესპონდენტთა უმეტესი წილი (2021 – 72.1%; 2019 – 76.9%) ამბობს, რომ ენდობა ცენტრალური წყალმომარაგების მომსახურებას თავიანთ დასახლებაში. საინტერესოა, რომ 2021 წლისათვის ნდობის მაჩვენებელი, 2019 წელთან შედარებით, იკლებს (იხ. ცხრილი #54).

**ცხრილი #54 - ცენტრალური წყალმომარაგების მომსახურებისადმი ნდობა**

| რამდენად ენდობით ცენტრალური წყალმომარაგების მომსახურებას თქვენს დასახლებაში? | 2021 (N=2672) | 2019 (N=2558) |
|---|---|---|
| | % | |
| სრულიად არ ვენდობი | 1.5 | 2.1 |
| არ ვენდობი | 5.6 | 6.3 |
| არც არ ვენდობი და არც ვენდობი | 19.1 | 12.9 |
| ვენდობი | 63.4 | 71.3 |
| სრულიად ვენდობი | 8.7 | 5.6 |
| უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 1.8 | 1.8 |

ქვემო ქართლის რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებში ითქვა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის წლების განმავლობაში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა **სასმელი წყლის** მიწოდება. ბოლო ორი წლის განმავლობაში სწრაფი ტემპით გაგრძელდა სასმელი წყლის რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის, მაღალმთიან და ცენტრისგან დაშორებულ სოფლებში.

> *„ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ალგეთის მიმართულებით 8 სოფლის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია არის, რომელიც დაჯდა დაახლოებით 3 500 000 ლარი და შევიდა ექსპლუატაციაში შარშან“ (ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, ქვემო ქართლი).*

## ადგილობრივი მნიშვნელობის საირიგაციო სისტემა

გამოკითხვის ხუთივე ტალღაში რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა აფიქსირებს, რომ არ აქვს ცენტრალური საირიგაციო (სარწყავი) სისტემა დასახლებაში. ამ მხრივ გამოკითხვის სხვადასხვა წლის ფარგლებში მონაცემებს შორის მხოლოდ მცირე სხვაობაა: 2021 - 63%; 2019 – 66.1%; 2017 – 63.6%; 2015 – 61.6%; 2013 – 63.9% (იხ. ცხრილი #55).

**ცხრილი #55 - ცენტრალიზებულ საირიგაციო სისტემაზე ხელმისაწვდომობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **გაქვთ თუ არა ცენტრალიზებული საირიგაციო (სარწყავი) სისტემა დასახლებაში?** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| დიახ | 8.3 | 10.3 | 6.9 | 10.3 | 7.8 |
| არა | 63 | 66.1 | 63.6 | 61.6 | 63.9 |
| არ სჭირდება/არ ეხება | 24.3 | 17.9 | 25.7 | 25.6 | 23 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 4.3 | 5.7 | 4 | 2.5 | 5.3 |

**მაღალმთიან დასახლებებში,** როგორც 2019, ასევე 2021 წლისათვის რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ ცენტრალური საირიგაციო სისტემა არ აქვთ. მეორე მხრივ, საინტერესოა, რომ მაღალმთიანი რეგიონის იმ მაცხოვრებელთა წილი, რომელთაც სარწყავი სისტემა აქვთ, 2021 წლისათვის, 2019 წელთან შედარებით, მცირდება (2021 – 1.8%; 2019 – 10.6%). რაც შეეხება სხვა ტიპის დასახლებებს, 2021 წლისათვის მცირედი კლება შეინიშნება მათ შორის, ვისაც საირიგაციო სისტემა არ აქვს (2021 – 64.6%; 2019 – 58.3%). ამავე წლებში თითქმის უცვლელია (2021 – 9.7%; 2019 – 10.3%) რესპონდენტთა წილი, ვისაც სარწყავი სისტემა აქვს (იხ. ცხრილი #56).

**ცხრილი #56 - ცენტრალიზებულ საირიგაციო სისტემაზე ხელმისაწვდომობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **2021 (N=3400)** | | | **2019 (N=3400)** | | |
| **გაქვთ თუ არა ცენტრალიზებული საირიგაციო (სარწყავი) სისტემა დასახლებაში?** | **მაღალმთიანი** | **სხვა ტიპის დასახლება** | **საქართველო** | **მაღალმთიანი** | **სხვა ტიპის დასახლება** | **საქართველო** |
| დიახ | 1.8 | 9.7 | 8.3 | 10.6 | 10.3 | 10.3 |
| არა | 84.4 | 58.3 | 63 | 83.2 | 64.6 | 66.1 |
| არ სჭირდება/არ ეხება | 6.2 | 28.4 | 24.3 | 3.1 | 19.3 | 17.9 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 7.6 | 3.6 | 4.3 | 3.1 | 5.9 | 5.7 |

როგორც აღმოჩნდა, გამოკითხვის წინა წლებში რესპონდენტები, რომელთაც საირიგაციო სისტემა აქვთ დასახლებაში, მას მეტად გამართულად აფასებენ, ვიდრე 2021 წელს. 2013-2019 წლებში რესპონდენტთა წილი ვინც ამბობს, რომ საირიგაციო სისტემას გამართულია ან აბსოლუტურად

გამართულია 66.5%-74.3%-ებს შორის მერყეობს. ამის საპირისპიროდ, 2021 წლისათვის ეს მონაცემი 45.6%-ია, რაც თითქმის თანაბარია იმ რესპონდენტთა წილის, ვინც ამავე წელს სისტემას აფასებს, როგორც გაუმართავს (44.5%) (იხ. ცხრილი #57).

**ცხრილი #57 - ცენტრალიზებული საირიგაციო სისტემის გამართულობა**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რამდენად გამართულია არსებული სისტემა? | 2021 (N=281) | 2019 (N=352) | 2017 (N=236) | 2015 (N=352) | 2013 (N=265) |
| აბსოლუტურად გაუმართავია | 5.3 | 2.4 | 0.4 | 5.1 | 2.3 |
| გაუმართავია | 39.2 | 16.7 | 16.9 | 26.7 | 26.5 |
| გამართულია | 42 | 61.5 | 70.2 | 59.1 | 60.9 |
| აბსოლუტურად გამართულია | 3.6 | 12 | 4.1 | 7 | 5.6 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 9.9 | 7.3 | 8.4 | 2.2 | 4.7 |

რესპონდენტებმა, რომელთა დასახლებაშიც არის საირიგაციო სისტემა, შეაფასეს თუ რამდენად მისაღებია სარგებლობის საფასური. გამოკითხვის ხუთივე წლისათვის რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ საირიგაციო სისტემის საფასური არის მისაღები ან იაფი (2021 – 53.4%; 2019 – 56.2%; 2017 – 72.2%; 2015 – 54.6%; 2013 – 57.9%). 2021 წლისათვის ეს მონაცემი არის 53,4%, რაც სხვა წლის შეფასებებთან შედარებით დაბალია. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, წინმსწრებ გამოკითხვებთან შედარებით, რესპონდენტთა ყველაზე მაღალი წილი იკავებს თავს შეფასებისაგან (35.2%) (იხ. ცხრილი #58).

**ცხრილი #58 - საირიგაციო სისტემით სარგებლობის საფასური**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მისაღებია თუ არა თქვენთვის არსებული საირიგაციო სისტემით სარგებლობის საფასური? | 2021 (N=281) | 2019 (N=352) | 2017 (N=236) | 2015 (N=349) | 2013 (N=265) |
| ძალიან ძვირია | 1 | 2 | 0.3 | 8 | 1.9 |
| ძვირია | 10.5 | 12.6 | 6.6 | 20 | 13 |
| მისაღები ფასია | 45.6 | 47 | 65.6 | 40.6 | 47.9 |
| იაფია | 7.8 | 9.1 | 6.6 | 13.9 | 10.1 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი / მიჭირს პასუხი | 35.2 | 29.2 | 20.9 | 17.4 | 27.2 |

რესპონდენტებმა დამატებით შეაფასეს, რამდენად ენდობიან თავიანთ დასახლებაში არსებულ საირიგაციო სისტემას. 2019 წლისათვის რესპონდენტთა უმეტესობა (70.8%) ამბობს, რომ საირიგაციო სისტემას ენდობა. 2021 წლისათვის ეს მონაცემი შესამჩნევად იკლებს და 43.5%-ს უტოლდება (იხ. ცხრილი #59).

**ცხრილი #59 - საირიგაციო სისტემის მომსახურებისადმი ნდობა**

| % | | |
|---|---|---|
| **ზოგადად, რამდენად ენდობით საირიგაციო სისტემის მომსახურებას თქვენს დასახლებაში?** | **2021 (N=281)** | **2019 (N=352)** |
| სრულიად არ ვენდობი | 2 | 0.9 |
| არ ვენდობი | 16.7 | 7.5 |
| არც არ ვენდობი და არც ვენდობი | 24.9 | 10.2 |
| ვენდობი | 39.5 | 64.6 |
| სრულიად ვენდობი | 3.9 | 6.2 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 12.9 | 10.6 |

იმის გათვალისწინებით, რომ ქვემო ქართლი აგრარულ რეგიონს წარმოადგენს, მნიშვნელოვანი პრობლემა სოფლებში სარწყავი წყლით უზრუნველყოფაა. ბოლნისთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბოლნისში საირიგაციო სისტემა გაიყიდა და კერძო პირი აქირავებს, რამაც წარმოშვა ხელმისაწვდომობის პრობლემა. მეორე მხრივ კი, როგორც მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი აღნიშნავს, მაგისტრალური სარწყავი წყლის მოგვარების საკითხი ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივას წარმოადგენს.

*„რაც შეეხება პრობლემას, რომელიც პრობლემად რჩება და ეს არ გახლავთ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის პრეროგატივა, ეს გახლავთ სარწყავი წყალი [მაგისტრალური]. გაერთიანებული წყალ მომარაგების კომპანია სამუშაოებს აწარმოებს, მაგრამ, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი“ (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).*

მარნეულის მუნიციპალიტეტში, როგორც ქალაქში ისე ქალაქის მიმდებარედ არსებულ რამდენიმე სოფელში საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, წყალმომარაგების ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და არ მოახდინა წყლის სისტემის სრული რეაბილიტაცია. კომპანიასთან კონტრაქტი შეწყდა და ამ ეტაპზე ახალი ტენდერი მზადდება. პროექტის განხორციელების შეჩერება უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში.

## საკანალიზაციო სისტემა

2021 წლის გამოკითხვის პერიოდისათვის, წინა წლებთან შედარებით მაღალია რესპონდენტთა წილი, ვინც აფიქსირებს, რომ მის დასახლებაში გაყვანილია ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო 2013 (49,6%) წელს (იხ. ცხრილი #60).

**ცხრილი #60 - ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე ხელმისაწვდომობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **თქვენს დასახლებაში გამოყვანილია თუ არა ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა?** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| დიახ | 55.1 | 53 | 51.2 | 52.3 | 49.6 |
| არა | 44.6 | 46.5 | 47.7 | 47.7 | 50.4 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა | 0.3 | 0.4 | 1 | 0 | 0 |

ხუთივე რაუნდის გამოკითხვისათვის, იმ რესპონდენტებს შორის, ვინც აფიქსირებს, რომ მის დასახლებაში ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა არსებობს, სრული უმრავლესობა (90%-96.8%) აფიქსირებს, რომ მისი სახლი მიერთებულია ამ სისტემაზე. 2021 წლის (95%) შემთხვევაში მათი პროცენტული წილი, ვინც ადასტურებს, რომ მისი სახლი მიერთებულია საკანალიზაციო სისტემაზე, აღემატება 2013 (90%) წლის მონაცემს, თუმცა უმნიშვნელოდ ჩამორჩება დანარჩენი წლების მაჩვენებლებს (2015 - 95,5%, 2017 - 96,8%, 2019 - 96,6%) (იხ. ცხრილი #61).

**ცხრილი #61 - სახლის დაკავშირება ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **არის თუ არა თქვენი სახლი მიერთებული ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე?** | **2021 (N=1871)** | **2019 (N=1804)** | **2017 (N=1658)** | **2015 (N=1779)** | **2013 (N=1685)** |
| დიახ | 95 | 96.6 | 96.8 | 95.5 | 90 |
| არა | 4.5 | 3.2 | 3 | 4.4 | 10 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა | 0.5 | 0.2 | 0.2 | 0 | 0 |

არსებულ საკანალიზაციო სისტემას გამოკითხვის ხუთივე ტალღაში რესპონდენტები მეტწილად აფასებენ, როგორც აბსოლუტურად გამართულს (58.3%-79.3%). აღსანიშნავია, რომ ეს შეფასება ყველაზე მაღალია 2017 წელს (79.3%), რაც 2019 წელს იკლებს (65.3%), თუმცა მცირედით იზრდება 2021 წლისათვის (67.1%) (იხ. ცხრილი #62).

**ცხრილი #62 - ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის გამართულობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რამდენად გამართულია არსებული სისტემა?** | **2021 (N=1767)** | **2019 (1742)** | **2017 (N=1686)** | **2015 (N=1700)** | **2013 (N=1561)** |
| აბსოლუტურად გაუმართავია | 3.6 | 7.8 | 2.7 | 6.3 | 4.4 |
| ნაწილობრივ გამართულია | 27.9 | 25.7 | 17.6 | 19.6 | 20.4 |
| აბსოლუტურად გამართულია | 67.1 | 65.3 | 79.3 | 73.1 | 75.1 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა | 1.4 | 1.2 | 0.4 | 1 | 0.2 |

2019-2021 წლების გამოკითხვაში, რესპონდენტებმა დამატებით შეაფასეს რამდენად ენდობიან თავიანთ დასახლებაში არსებულ ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემას. რესპონდენტთა უმრავლესობა (2021 – 73.7%; 2019 – 76.1%;) აფიქსირებს, რომ არსებულ სისტემას ენდობა (იხ. ცხრილი #63).

**ცხრილი #63 - ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის მომსახურებისადმი ნდობა**

| % | | |
|---|---|---|
| **რამდენად ენდობით ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის მომსახურებას თქვენს დასახლებაში?** | **2021 (N=1767)** | **2019 (N=1742)** |
| სრულიად არ ვენდობი | 0 | 1 |
| არ ვენდობი | 3.6 | 8 |
| არც არ ვენდობი და არც ვენდობი | 20.4 | 11.4 |
| ვენდობი | 63.8 | 68.3 |
| სრულიად ვენდობი | 9.9 | 7.8 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 2.2 | 3.6 |

## ელექტროენერგია

გარდა წყალმომარაგებისა, რესპონდენტებს დაესვათ კითხვები მათ საცხოვრებელ ადგილზე ელექტროენერგიის სისტემის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ხუთივე რაუნდის გამოკითხვის პერიოდისათვის კვლევის მონაწილეთა სრული უმრავლესობა (94.3%-98.2%) აფიქსირებს, რომ ბოლო სამი თვის განმავლობაში ელექტროენერგია ფაქტობრივად 24 საათის განმავლობაში მიეწოდებოდა. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი სხვა წლებთან შედარებით მაღალია 2021 წელს (98.2%) (იხ. ცხრილი #64).

**ცხრილი #64 - ბოლო სამი თვის განმავლობაში ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკი**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ბოლო სამი თვის განმავლობაში, ძირითადად, როგორ მოგეწოდებათ ელექტროენერგია?** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| ფაქტობრივად 24 საათის განმავლობაში | 98.2 | 94.7 | 97.9 | 93.8 | 94.3 |
| უგრაფიკოდ – ხშირად წყდება | 1.4 | 4.5 | 1.6 | 5 | 5.3 |
| გრაფიკით – დღე-ღამეში რამდენიმე საათი მოგვეწოდება | 0.2 | 0.1 | 0 | 0.8 | 0.3 |
| გრაფიკით – კვირაში რამდენიმეჯერ მოგვეწოდება | 0.1 | 0 | 0.1 | 0.4 | 0 |
| გრაფიკით – თვეში რამდენიმეჯერ მოგვეწოდება | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 0 | 0.1 | 0.3 | 0 | 0.1 |

ზამთრის სეზონზე მიწოდებული ელექტროენერგიის ხარისხით კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია გამოკითხვის ყველა ეტაპის რესპონდენტთა უმრავლესობა (2021 – 95.9%; 2019 – 89.3%; 2017 – 96.7%; 2015 – 92.9%; 2013 – 92%). 2021 წლის შეფასება ჩამორჩება მხოლოდ 2017 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს.

ძირითადი ტენდენცია ნარჩუნდება დანარჩენი სეზონების შემთხვევაშიც, რამდენადაც გამოკითხვის ყველა ეტაპისათვის კვლევის მონაწილეთა სრული უმრავლესობა მიწოდებული ელექტროენერგიით კმაყოფილი, ან ძალიან კმაყოფილია (2021 – 95.2%; 2019 – 93.7%; 2017 – 98.4%; 2015 – 95.9%; 2013 – 94.5%). ამ შემთხვევაში 2021 წლის შეფასება ჩამორჩება მხოლოდ 2017 წლის მონაცემს.

რაც შეეხება ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებულ მომსახურებით კმაყოფილებას, გამოკითხვის ყველა რაუნდის ფარგლებში რესპონდენტთა უმეტესობა აფიქსირებს, რომ არის კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილი (2021 – 94.2%; 2019 – 90.9%; 2017 – 92.6%; 2015 – 87.8%; 2013 – 87.2%). აღსანიშნავია, რომ 2021 წლისათვის კმაყოფილების პროცენტული წილი წინა რაუნდების მაჩვენებლებზე მაღალია (იხ. ცხრილი #65).

**ცხრილი #65 - ელექტროენერგიის ხარისხითა (ძაბვა) და ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კმაყოფილება**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რამდენად კმაყოფილი ხართ მოწოდებული ელექტროენერგიის ხარისხით (ძაბვა)? ზამთრის სეზონზე** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| ძალიან უკმაყოფილო | 0.6 | 1.3 | 0.3 | 0.3 | 1.9 |
| უკმაყოფილო | 3.2 | 8 | 2.9 | 6.5 | 5.9 |
| კმაყოფილი | 71.6 | 75 | 75.8 | 73.2 | 74 |

(გაგრძელება)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ძალიან კმაყოფილი | 24.2 | 14.3 | 20.9 | 19.7 | 18 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 0.3 | 1.4 | 0.2 | 0.3 | 0.1 |
| **რამდენად კმაყოფილი ხართ მოწოდებული ელექტროენერგიის ხარისხით (ძაბვა)? დანარჩენ სეზონებზე** | **2021 (N=3395)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3395)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| ძალიან უკმაყოფილო | 0.6 | 1.1 | 0.1 | 0.4 | 1.9 |
| უკმაყოფილო | 3.5 | 4.4 | 1.4 | 3.5 | 3.4 |
| კმაყოფილი | 69.2 | 78.2 | 74.5 | 72.7 | 74.4 |
| ძალიან კმაყოფილი | 26.2 | 15.5 | 23.9 | 23.2 | 20.1 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 0.4 | 0.8 | 0.2 | 0.3 | 0.2 |
| **რამდენად კმაყოფილი ხართ ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით?** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| ძალიან უკმაყოფილო | 0.3 | 0.3 | 0.1 | 0.6 | 2.4 |
| უკმაყოფილო | 2.8 | 4.9 | 2.4 | 7 | 4.9 |
| კმაყოფილი | 78.5 | 80.1 | 75.7 | 69 | 72.2 |
| ძალიან კმაყოფილი | 15.7 | 10.8 | 16.9 | 18.8 | 15 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 2.7 | 3.9 | 4.9 | 4.5 | 5.6 |

2019-2021 წლებისათვის, რესპონდენტთა უმრავლესობა (2021 - 88%; 2019 - 89.3%) ამბობს, რომ ენდობა ან სრულიად ენდობა ელექტროენერგიასთან დაკავშირებულ მომსახურებას. 2021 წლის ნდობის მაჩვენებელი მცირედით ჩამორჩება 2019 წლის მონაცემს (იხ. ცხრილი #66).

**ცხრილი #66 - ელექტროენერგიასთან დაკავშირებული მომსახურებისადმი ნდობა**

| % | | |
|---|---|---|
| **ზოგადად, რამდენად ენდობით ელექტროენერგიასთან დაკავშირებულ მომსახურებას?** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** |
| სრულიად არ ვენდობი | 0.1 | 0.5 |
| არ ვენდობი | 1.2 | 2.6 |
| არც არ ვენდობი და არც ვენდობი | 9.3 | 5.6 |
| ვენდობი | 77.2 | 81.1 |
| სრულიად ვენდობი | 10.8 | 8.2 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 1.5 | 2 |

## გაზმომარაგების ცენტრალური სისტემა

ყველა გამოკითხვის რაუნდისათვის რესპონდენტთა უმრავლესობა აფიქსირებს, რომ მათ დასახლებაში შეყვანილია ცენტრალური გაზსადენი (70.1%-88.8%). ხაზგასასმელია, რომ 2021 წლისათვის (88.8%) რესპონდენტთა წილი, ვინც ამას ადასტურებს, აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს (2019 – 86.2%; 2017 - 81%; 2015 – 70.1%; 2013 – 69.4%).

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტთა სტატისტიკური წილი (96.2%), ვის ოჯახსაც გაზი მიეწოდება ცენტრალიზებული სისტემიდან, აღემატება დანარჩენი წლების მონაცემებს (2019 – 95.5%; 2017 – 93.5%; 2015 – 92%; 2013 – 75.3%). 2013-2021 წლების შუალედში ეს მაჩვენებელი ეტაპობრივად იზრდება.

გამოკითხვის ყველა ეტაპის ფარგლებში, რესპონდენტთა უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვამს მიწოდებული გაზის ხარისხთან დაკავშირებით. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კმაყოფილების წილი სხვა წლებთან შედარებით მაღალია 2021 წელს (2021 – 96.5%; 2019 – 84.8%; 2017 – 87.3%; 2015 – 95%; 2013 – 93.2%).

რაც შეეხება გაზმომარაგებასთან დაკავშირებულ მომსახურებას, ტენდენცია მსგავსია, რაც ნიშნავს, რომ ხუთივე გამოკითხვის ტალღისათვის მომსახურება მეტწილად დადებითად ფასდება. ამასთანავე, 2021 წელს კმაყოფილი რესპონდენტების წილი შედარებით მაღალია წინა წლების წილზე (2021 – 94.4%; 2019 – 86.8%; 2017 – 90.4%; 2015 – 90.8%; 2013 – 86%) (იხ. ცხრილი #67).

**ცხრილი #67 - მოწოდებული გაზის ხარისხითა და გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კმაყოფილება**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რამდენად კმაყოფილი ხართ მოწოდებული გაზის ხარისხით (წნევა)?** | **2021 (N=2905)** | **2019 (N=2800)** | **2017 (N=2574)** | **2015 (N=2195)** | **2013 (N=1780)** |
| ძალიან უკმაყოფილო | 0.8 | 1.8 | 1.4 | 0.5 | 1.8 |
| უკმაყოფილო | 2.1 | 12.6 | 10.3 | 4.1 | 4.7 |
| კმაყოფილი | 75.9 | 73.5 | 71.9 | 79.1 | 76.6 |
| ძალიან კმაყოფილი | 20.6 | 11.3 | 15.5 | 15.9 | 16.6 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 0.5 | 0.8 | 0.9 | 0.5 | 0.3 |
| **რამდენად კმაყოფილი ხართ გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით** | **2021 (N=2905)** | **2019 (N=2800)** | **2017 (N=2574)** | **2015 (N=2195)** | **2013 (N=1780)** |
| ძალიან უკმაყოფილო | 0.4 | 0.9 | 0.4 | 0.1 | 1.3 |
| უკმაყოფილო | 1.5 | 4.6 | 2.8 | 1.9 | 3 |
| კმაყოფილი | 77.8 | 75.9 | 76.1 | 76.9 | 71.8 |
| ძალიან კმაყოფილი | 16.6 | 10.9 | 14.3 | 13.9 | 14.3 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 3.7 | 7.7 | 6.4 | 7.2 | 9.6 |

2021 წლისათვის, როგორც **მაღალმთიან** (97%), ასევე **სხვა ტიპის დასახლებებში** გამოკითხულთა (96.5%) დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ მიწოდებული გაზის ხარისხით (წნევით) კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია. საინტერესოა, რომ კმაყოფილების დონე 2019 წელთან შედარებით მაღალმთიან (94.8%) რეგიონში თითქმის უცვლელია, ხოლო სხვა ტიპის დასახლებებისათვის (84.5%) მნიშვნელოვნად იზრდება (იხ. ცხრილი #68).

**ცხრილი #68 - მოწოდებული გაზის ხარისხითა და გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კმაყოფილება მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რამდენად კმაყოფილი ხართ მოწოდებული გაზის ხარისხით (წნევა)? | 2021 (N=2905) | | | 2019 (N=2800) | | |
| | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო |
| ძალიან უკმაყოფილო | 1.7 | 0.7 | 0.8 | 0.5 | 1.8 | 1.8 |
| უკმაყოფილო | 1.4 | 2.2 | 2.1 | 4 | 12.9 | 12.6 |
| კმაყოფილი | 88.7 | 74.1 | 75.9 | 89.5 | 72.9 | 73.5 |
| ძალიან კმაყოფილი | 8.3 | 22.4 | 20.6 | 5.3 | 11.6 | 11.3 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 0 | 0.6 | 0.5 | 0.8 | 0.8 | 0.8 |

2019-2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტთა სრული უმრავლესობა (2021 – 88.8%;; 2019 – 87.1%) აფიქსირებს, რომ გაზმომარაგებასთან დაკავშირებულ მომსახურებას ენდობა. როგორც აღმოჩნდა, გაზმომარაგებასთან დაკავშირებული სერვისების ნდობა 2021 წლისათვის მცირედით იზრდება (იხ. ცხრილი #69).

**ცხრილი #69 - გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებისადმი ნდობა**

| % | | |
|---|---|---|
| ზოგადად, რამდენად ენდობით გაზმომარაგებასთან დაკავშირებულ მომსახურებას? | 2021 (N=2904) | 2019 (N-2800) |
| სრულიად არ ვენდობი | 0,1 | 0.7 |
| არ ვენდობი | 0.7 | 3.5 |
| არც არ ვენდობი და არც ვენდობი | 8.6 | 6.6 |
| ვენდობი | 75.2 | 78.6 |
| სრულიად ვენდობი | 13.6 | 8.5 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 1.8 | 2.1 |

## ნარჩენების გატანა

კვლევის მონაწილეებს დაესვათ კითხვები მათი დასახლებიდან ნარჩენების გატანის მომსახურებასთან დაკავშირებით. გამოკითხვის ყველა ტალღისათვის რესპონდენტთა უმეტესი წილი აფიქსირებს, რომ მათი დასახლებიდან/უბნიდან ნარჩენების გატანა რეგულარულად ხდება. აღსანიშნავია, რომ წლებს შორის დადებითი პასუხის წილი 2021 წლისათვის 59% იდან 90.9%-მდე იზრდება (2021 – 90.9%; 2019 – 89.6%; 2017 – 78.7%; 2015 – 73.5%; 2013 – 59%).

რაც შეეხება დასახლებიდან/უბნიდან ნარჩენების გატანის სიხშირეს, კვლევის ხუთივე ეტაპის ფარგლებში რესპონდენტები მნიშვნელოვანწილად აფიქსირებენ, რომ ეს მომსახურება ყოველდღიურად ხორციელდება. საინტერესოა, რომ 2013-2017 წლებში (2017 – 57.5%; 2015 – 51.1%; 2013 – 57.3%) რესპონდენტები ნარჩენების გატანის ყოველდღიურობაზე მეტად მიუთითებენ, ვიდრე 2019-2021

წლებში (2021 – 49.7%; 2019 – 49.7%). აღსანიშნავია, რომ ამ წლებში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი მიუთითებს ნარჩენების ყოველ მეორე დღეს გატანაზე (2021 – 25.4%; 2019 – 25.6%).

გამოკითხვის ყველა ტალღაში რესპონდენტები უმეტესწილად კმაყოფილებას გამოთქვამენ ნარჩენების გატანის მომსახურების მიმართ. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2021 წლისათვის კმაყოფილების პროცენტული წილი ჩამორჩება სხვა წლებში გაკეთებულ შეფასებებს (2021 – 83.5%; 2019 – 90.7%; 2017 – 89.2%; 2015 – 87.8%; 2013 – 85.8%) (იხ. ცხრილი #70).

**ცხრილი #70 - ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის პრაქტიკა, სიხშირე და მომსახურებით კმაყოფილება**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ხდება თუ არა ცენტრალიზებულად თქვენი დასახლებიდან/უბნიდან ნარჩენების გატანა?** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| დიახ | 90.9 | 88.6 | 78.7 | 73.5 | 59 |
| არა | 5.5 | 10.9 | 21 | 26.5 | 40.4 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 2.5 | 0.5 | 0.3 | 0 | 0.6 |
| **რა სიხშირით გააქვთ ნარჩენები თქვენი დასახლებიდან/უბნიდან?** | **2021 (N=3092)** | **2019 (N=3045)** | **2017 (N=2675)** | **2015 (N=2499)** | **2013 (N=2005)** |
| ყოველდღე | 49.7 | 49.7 | 57.5 | 51.2 | 57.3 |
| ყოველ მეორე დღეს | 25.4 | 21 | 13.1 | 11.9 | 11.5 |
| კვირაში ერთხელ | 18.8 | 20.3 | 22.8 | 31 | 24.5 |
| ორ კვირაში ერთხელ | 0.9 | 1.2 | 1.3 | 1.3 | 0.8 |
| თვეში ერთხელ | 0.3 | 0.4 | 0.7 | 0.3 | 0.6 |
| უფრო იშვიათად ვიდრე თვეში ერთხელ | 0.1 | 0 | 0.1 | 0 | 0.3 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 4.8 | 7.3 | 4.4 | 4.1 | 5 |
| **რამდენად კმაყოფილი ხართ ნარჩენების გატანის მომსახურებით?** | **2021 (N=3092)** | **2019 (N=3045)** | **2017 (N=2675)** | **2015 (N=2499)** | **2013 (N=2005)** |
| ძალიან უკმაყოფილო | 1.3 | 0.4 | 0.3 | 0.7 | 1.8 |
| უკმაყოფილო | 4.4 | 3.2 | 2.2 | 2.7 | 4.3 |
| არც უკმაყოფილო და არც კმაყოფილი | 10.9 | 5.1 | 7.6 | 7.4 | 7.6 |
| კმაყოფილი | 71.7 | 77.1 | 72.1 | 70.6 | 64.7 |
| ძალიან კმაყოფილი | 11.8 | 13.6 | 17.1 | 17.2 | 21.1 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 0 | 0.6 | 0.7 | 1.4 | 0 |

2019 წელთან შედარებით (84.5%), 2021 წლისათვის (95.4%) მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში 10.9%-ით არის გაზრდილი რესპოდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ მათი დასახლებიდან ხდება ცენტრალიზებულად ნარჩენების გატანა. სხვა ტიპის დასახლებებისათვის 2019-2021 წლებს შორის თითქმის თანაბარი მაჩვენებელი ფიქსირდება (2021 წ - 90%; 2019 წ - 89.9%).

საინტერესოა, რომ 2019 წელთან შედარებით, 2021 წელს მაღალმთიანის გარდა სხვა ტიპის დასახლებებისათვის (2021 – 80.9%; 2019 – 92.3%) ნარჩენების გატანის მომსახურებით კმაყოფილება იკლებს. კლების მცირე ტენდენცია ასევე შეიმჩნევა მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში (2021 – 88.9%; 2019 – 92.2%) (იხ. ცხრილი #71).

**ცხრილი #71 - ნარჩენების გატანის მომსახურებით კმაყოფილება მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რამდენად კმაყოფილი ხართ ნარჩენების გატანის მომსახურებით?** | **2021 (N=3092)** | | | **2019 (N=3045)** | | |
| | **მაღალმთიანი** | **სხვა ტიპის დასახლება** | **საქართველო** | **მაღალმთიანი** | **სხვა ტიპის დასახლება** | **საქართველო** |
| ძალიან უკმაყოფილო | 1.2 | 1.3 | 1.3 | 1.1 | 0.4 | 0.4 |
| უკმაყოფილო | 2.6 | 4.7 | 4.4 | 2.4 | 3.2 | 3.2 |
| არც უკმაყოფილო და არც კმაყოფილი | 7 | 11.7 | 10.9 | 4.2 | 5.1 | 5.1 |
| კმაყოფილი | 85.7 | 67.3 | 71.7 | 80.8 | 76.8 | 77.1 |
| ძალიან კმაყოფილი | 3.2 | 13.6 | 11.8 | 11.4 | 13.8 | 13.6 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 0.3 | 1.5 | 1.3 | 0.1 | 0.6 | 0.6 |

ნარჩენების გატანის მომსახურებასთან მიმართებით უკმაყოფილება სხვადასხვა წლის გამოკითხვის ფარგლებში ძირითადად ნაწილდება სამ ძირითად მიზეზს შორის, ესენია: რეგულარობა (2021 -37.9%; 2019 – 39.9%; 2017 – 66.6%; 2015 – 45.6%; 2013 – 41.4%), ხარისხი (2021 – 25.5%; 2019 – 27.2%; 2017 – 16.8%; 2015 – 20.2%; 2013 – 14.6%) და ჰიგიენური ნორმების დაცვა (2021 – 27.3%; 2019 – 17.6%; 2017 – 7.3%; 2015 – 15.1%; 2013 – 20.6%). 2021 წლისათვის, წინა წლებთან შედარებით, გარდა 2019 წლისა, მაღალია რესპონდენტთა წილი (25.5%), ვინც ხარისხით უკმაყოფილებას გამოთქვამს.

მაშინ, როდესაც **თბილისისა და სხვა ქალაქების ჭრილში** ნარჩენების გატანის მომსახურებით უკმაყოფილების მთავარ მიზეზებად თითქმის თანაბრად სახელდება რეგულარობა (თბილისი - 30.2%, ქალაქი - 30.1%), ხარისხი (თბილისი - 31.5%, ქალაქი - 31.1%) და ჰიგიენური ნორმები (თბილისი - 32.5%, ქალაქი - 30.6%), სოფლის ჭრილში გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (52.6%) პრობლემად რეგულარობას ასახელებს. საინტერესოა, რომ ნარჩენების გატანის რეგულარობის პრობლემა 2017-2019 წლებში სოფლის ტიპის დასახლებებთან (2019 – 33.7; 2017 - 48%) შედარებით, მწვავედ იდგა თბილისისა (2019 - 40.9%; 2017 - 66.7%) და სხვა ქალაქების (2019 - 47.4%; 2017 - 80.6%) ჭრილში. 2015-2013 წლებისათვის თბილისის მაცხოვრებლები შედარებით პრობლემურად მიიჩნევდნენ ნარჩენების გატანის ხარისხს (2015 - 44.8%; 2013 – 32.4%). 2013 წელს სოფლისა და თბილისის ჭრილში ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ნარჩენების გატანის საფასური (სოფელი - 16%; თბილისი - 21.9%), რაც 2021 წლისათვის სოფლის ჭრილში სრულიად (0%), ხოლო თბილისის ჭრილში მნიშვნელოვნად არის შემცირებული (4.3%) (იხ. ცხრილი #72).

**ცხრილი #72 - ნარჩენების გატანის მომსახურებასთან მიმართებით უკმაყოფილების მიზეზები ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| რითი ხართ უკმაყოფილო ნარჩენების გატანის მომსახურებასთან მიმართებით? | | რეგულარობით | ხარისხით | ჰიგიენური ნორმებით | საფასურით | მხოლოდ ცენტრალურ ქუჩებზე ბუნკერები/ შორსაა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | |
| 2021 (N=3092) | თბილისი | 30.2 | 31.5 | 32.5 | 4.3 | 1.5 |
| | ქალაქი | 30.1 | 31.1 | 30.6 | 3.7 | 0 |
| | სოფელი | 52.6 | 14.6 | 19.9 | 0 | 6.6 |
| | საქართველო | 37.9 | 25.5 | 27.3 | 2.5 | 2.6 |
| 2019 (N=3045) | თბილისი | 40.9 | 31.3 | 13.7 | 10.4 | 3.7 |
| | ქალაქი | 47.4 | 22.2 | 22 | 0 | 2.2 |
| | სოფელი | 33.7 | 26.1 | 18.8 | 0 | 5.4 |
| | საქართველო | 39.9 | 27.2 | 17.6 | 4.1 | 4 |
| 2017 (N=2675) | თბილისი | 66.7 | 0 | 16.1 | 0 | 0 |
| | ქალაქი | 80.6 | 11.5 | 4.5 | 0 | 0 |
| | სოფელი | 48 | 29.9 | 7.8 | 0.3 | 2.6 |
| | საქართველო | 66.6 | 16.8 | 7.3 | 0.1 | 0.9 |
| 2015 (N=2499) | თბილისი | 27.3 | 44.8 | 14.9 | 4.9 | 0 |
| | ქალაქი | 61.4 | 8.3 | 30.3 | 0 | 0 |
| | სოფელი | 51.6 | 6.8 | 6.5 | 0 | 6.4 |
| | საქართველო | 45.6 | 20.2 | 15.1 | 1.7 | 2.7 |
| 2013 (N=2005 | თბილისი | 20.8 | 32.4 | 7.3 | 21.9 | 17.6 |
| | ქალაქი | 53.7 | 10 | 25.5 | 3 | 2.8 |
| | სოფელი | 32.3 | 6.2 | 22.9 | 16 | 10 |
| | საქართველო | 41.4 | 14.6 | 20.6 | 10.2 | 7.9 |

კვლევის ყველა ტალღისათვის რესპონდენტთა უმრავლესობა ასახელებს, რომ ნარჩენების გატანის საფასური მეტ-ნაკლებად ან აბსოლუტურად ხელმისაწვდომია (2021 – 69.8%; 2019 – 62.3%; 2017 – 70.4%; 2015 – 68.5%; 2013 წ. – 69.3%). რესპონდენტთა წილი, ვინც 2021 წელს ნარჩენების გატანის საფასურს აფასებს, როგორც ხელმისაწვდომს, დანარჩენი რაუნდების ამავე კომპონენტის შეფასებებს აღემატება (იხ. ცხრილი #73).

**ცხრილი #73 - ნარჩენების გატანის საფასურის ხელმისაწვდომობა**

| ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის ნარჩენების გატანის საფასური? | 2021 (N=3071) | 2019 (N=3045) | 2017 (N=2675) | 2015 (N=2499) | 2013 (N=2005) |
|---|---|---|---|---|---|
| | % | | | | |
| საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი | 1.6 | 1.4 | 2.2 | 5.7 | 11.3 |
| მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია | 24.6 | 19 | 32.2 | 26.2 | 40.2 |
| აბსოლუტურად ხელმისაწვდომია | 45.2 | 43.3 | 38.2 | 42.3 | 29.1 |
| არ ეხება | 22.8 | 31.2 | 23.6 | 20.4 | 14.6 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 5.4 | 5 | 3.6 | 5.3 | 4.4 |

2019-2021 წლის გამოკითხვის მონაწილეთა სრული უმრავლესობა (2021 – 81.2%; 2019 – 91.6%) ამბობს, რომ ენდობა ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანასთან დაკავშირებულ მომსახურებას. აღსანიშნავია, რომ, 2019 წელთან შედარებით, 2021 წლისათვის ნდობის წილი მცირედით იკლებს (იხ. ცხრილი #74).

**ცხრილი #74 - ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის მომსახურებისადმი ნდობა**

| % | | |
|---|---|---|
| **რამდენად ენდობით ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანასთან დაკავშირებულ მომსახურებას?** | **2021 (N=3092)** | **2019 (N=3045)** |
| სრულიად არ ვენდობი | 0.8 | 0.3 |
| არ ვენდობი | 2.5 | 0.9 |
| არც არ ვენდობი და არც ვენდობი | 13.1 | 5.5 |
| ვენდობი | 72.2 | 81.3 |
| სრულიად ვენდობი | 9 | 10.3 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 2.4 | 1.8 |

2019-2021 წლის კვლევების ფარგლებში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი (2021 – 40.8%; 2019 – 39.6%) აფიქსირებს, რომ მის მუნიციპალიტეტში არსებობს ნაგავსაყრელი. მცირედით ჩამორჩება რესპონდენტთა წილი, ვინც ამ წლებში მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტში ნაგავსაყრელი არ არის (2021 – 33.2%; 2019 – 37.5%). საინტერესოა, რომ ორივე შემთხვევაში საკმაოდ მაღალია კვლევის მონაწილეთა წილი, ვინც ამბობს, რომ არ იცის ან უარს აცხადებს პასუხზე (2021 - 25.9%; 2019 – 22.5%).

თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ექსპერტების შეფასებით, თვითმმართველობებში არ არსებობს სტანდარტი, რომლითაც შესაძლებელი იქნება მუნიციპალური ორგანოების მიერ მოქალაქეთათვის ამ სერვისის მიწოდების შეფასება. თუმცა არის სფეროები, სადაც სტანდარტები არსებობს. მაგალითად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ყველა მუნიციპალიტეტი ვალდებულია, რომ შეიმუშაოს ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც წლებისა და პერიოდების მიხედვითაა გაწერილი. გეგმაში კონკრეტული აქტივობებია გაწერილი (მაგალითად, კონტეინერების დადგმა, ნაგავმზიდის შეძენა და ა.შ). პრობლემა ისაა, რომ გეგმით გაწერილი საქმიანობები სრულყოფილად არ სრულდება, რადგან სტანდარტების შესრულებამ შესაძლოა გაზარდოს სერვისის ღირებულება და გაართულოს ადმინისტრირება. მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მიხედვით, დაგროვილი ნარჩენები არ თავსდება ნაგავსაყრელზე, რაც იწვევს **გარემოს დაბინძურებას.**

## დასუფთავება

კვლევის ყველა ტალღის ფარგლებში რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა აფიქსირებს, რომ ქუჩებს ყოველდღიურად ასუფთავებენ (2021 – 71.2%; 2019 – 73.4%; 2017 – 78.5%; 2015 – 80.1%; 2013 – 79.1%). აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მონაცემებით, რესპონდენტთა წილი ვინც ამ პასუხს აფიქსირებს, ჩამორჩება ზოგიერთი წინა წლის მაჩვენებლებს.

დასუფთავების სამსახურის მომსახურებით კმაყოფილია კვლევის ყველა რაუნდის რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (2021 – 81.1%; 2019 – 89%; 2017 – 91.8%; 2015 – 86%; 2013 – 82.9%). ხაზგასასმელია, რომ 2021 წლის გამოკითხვის პერიოდში დასუფთავების სამსახურის მომსახურებით კმაყოფილი რესპონდენტების წილი, სხვა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, დაბალია (იხ. ცხრილი #75).

**ცხრილი #75 - ქუჩების დასუფთავების სიხშირე და დასუფთავების სამსახურის მომსახურებით კმაყოფილება**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რა სიხშირით ასუფთავებენ ქუჩებს?** | **2021 (N=1763)** | **2019 (N=1788)** | **2017 (N=1780)** | **2015 (N=1605)** | **2013 (N=1360)** |
| ყოველდღე | 71.2 | 73.4 | 78.5 | 80.1 | 79.1 |
| ყოველ მეორე დღეს | 12.6 | 6.4 | 5.5 | 6.5 | 5.7 |
| კვირაში ერთხელ | 5.3 | 7.2 | 8.1 | 6.4 | 5.4 |
| ორ კვირაში ერთხელ | 1.6 | 1.9 | 0.5 | 0.8 | 1.5 |
| თვეში ერთხელ | 1 | 2.5 | 0.8 | 1.3 | 1.1 |
| უფრო იშვიათად, ვიდრე თვეში ერთხელ | 0.9 | 3.2 | 1.1 | 0.9 | 0.9 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 7.4 | 5.5 | 5.5 | 4.1 | 6.4 |
| **ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ დასუფთავების სამსახურის მომსახურებით?** | **2021 (N=1763)** | **2019 (N=1788)** | **2017 (N=1780)** | **2015 (N=1605)** | **2013 (N=1360)** |
| ძალიან უკმაყოფილო | 0.5 | 0.5 | 0.4 | 0.5 | 1.7 |
| უკმაყოფილო | 4.5 | 2 | 1 | 2.3 | 2.4 |
| არც უკმაყოფილო და არც კმაყოფილი | 13.9 | 8.3 | 6.5 | 9.7 | 12.3 |
| კმაყოფილი | 68.3 | 76.2 | 75.9 | 68.1 | 57.2 |
| ძალიან კმაყოფილი | 12.8 | 12.8 | 15.9 | 17.9 | 25.7 |

დასუფთავების სამსახურის მომსახურით უკმაყოფილება კვლევის ყველა ეტაპისათვის დაკავშირებულია სამ ძირითად საკითხთან, ესენია: ხარისხი (2021 – 45.1%; 2019 – 31.6%; 2017 – 30.2%; 2015 – 35.4%; 2013 – 37.4%), რეგულარობა (2021 – 21.2%; 2019 – 31.6%; 2017 – 41.7%; 2015 – 22.7%; 2013 – 28.5%;) და ჰიგიენური ნორმების დაცვა (2021 – 20.1%; 2019 – 15.9%; 2017 – 19%; 2015 – 21.4%; 2013 – 20%;). აღსანიშნავია, რომ ხარისხითა და ჰიგიენური ნორმების დაცვით უკმაყოფილების მხრივ, 2021 წლის მონაცემები ჭარბობს დანარჩენი წლების შედეგებს. რაც შეეხება მომსახურების რეგულარობით უკმაყოფილებას, ამ შემთხვევაში 2021 წლის მონაცემი ჩამორჩება სხვა წლების შედეგებს.

2019-2021 წლების გამოკითხვის თანახმად, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა (2021 – 78.6%; 2019 - 88,8%) ნდობას გამოთქვამს ქუჩის დასუფთავებასთან დაკავშირებული მომსახურების მიმართ. როგორც ჩანს, მომსახურების მიმართ ნდობის მაჩვენებელი 10%-ითაა შემცირებული (იხ. ცხრილი #76).

**ცხრილი #76 - ქუჩის დასუფთავების მომსახურებისადმი ნდობა**

| % | | |
|---|---|---|
| **რამდენად ენდობით ქუჩის დასუფთავებასთან დაკავშირებულ მომსახურებას?** | **2021 (N=1763)** | **2019 (N=1788)** |
| სრულიად არ ვენდობი | 0.1 | 0.2 |
| არ ვენდობი | 1.5 | 1.5 |
| არც არ ვენდობი და არც ვენდობი | 16.5 | 8.2 |
| ვენდობი | 67.6 | 77.1 |
| სრულიად ვენდობი | 11 | 11.7 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 3.2 | 1.3 |

# გზები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი

რესპონდენტებმა გზების ინფრასტრუქტურა შეაფასეს 4 საფეხურიან სკალაზე. როგორც აღმოჩნდა, დასახლების/უბნის შიგნით გადასაადგილებელი გზები სხვადსხვა წელს გამოკითხულ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი დადებითად აფასებს (2021 – 63.2%; 2019 – 63.9%; 2017 – 56.5%; 2015 – 53.5%; 2013 – 46.5%). აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ 2019-2021 წლის მაჩვენებელი აღემატება წინა წლების ამავე მონაცემებს.

რაც შეეხება დასახლებასთან/დაბასთან/ქალაქთან მისასვლელ გზებს, გამოკითხვის ყველა ტალღისათვის ისინი დადებითად ფასდება (2021 – 83.5%; 2019 – 84.4%; 2017 – 76.8%; 2015 – 80.1%; 2013 – 72.4%). 2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში დასახლებასთან/დაბასთან/ქალაქთან მისასვლელ გზებთან მიმართებით დადებითი შეფასების მაჩვენებელი მცირედით ჩამორჩება მხოლოდ 2019 წლის ამავე მონაცემს.

კვლევის სხვადასხვა რაუნდის დროს რესპონდენტებმა ასევე შეაფასეს უახლოესი ავტომაგისტრალის ინფრასტრუქტურა. კვლევის მონაწილეთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა უახლოეს ავტომაგისტრალს დადებითად აფასებს (2021 – 87.6%; 2019 – 88.4%; 2017 – 89.3%; 2015 – 92%; 2013 – 88.2%). საინტერესოა, რომ 2021 წელს დადებითი შეფასების წილი მცირედით ჩამორჩება სხვა წლების ამავე მონაცემს (იხ. ცხრილი #77).

**ცხრილი #77 - გზების ინფრასტრუქტურა**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გთხოვთ შეაფასოთ გზების (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოძრაობის რეგულაცია, ქუჩის განათება) ინფრასტრუქტურა** | | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| თქვენი დასახლების შიგნით გადასაადგილებელი გზები / ქალაქის შემთხვევაში თქვენს უბანში გადასაადგილებელი გზები | ძალიან ცუდი | 10.1 | 12.3 | 7.8 | 12.7 | 15.6 |
| | ცუდი | 26.6 | 23.8 | 35.6 | 33.4 | 37.7 |
| | კარგი | 56.5 | 49.8 | 54.2 | 49.2 | 43.9 |
| | ძალიან კარგი | 6.7 | 14.1 | 2.3 | 4.3 | 2.6 |
| | საერთოდ არ არის | 0.1 | 0 | 0.1 | 0.4 | 0.2 |
| თქვენს დასახლებასთან / დაბასთან / ქალაქთან მისასვლელი გზები | ძალიან ცუდი | 3.9 | 3.8 | 4.1 | 3.6 | 5.9 |
| | ცუდი | 12.5 | 11.8 | 19.1 | 15.8 | 21.6 |
| | კარგი | 71.4 | 63.8 | 73.1 | 69.5 | 65.1 |
| | ძალიან კარგი | 12.1 | 20.7 | 3.8 | 10.6 | 7.4 |
| | საერთოდ არ არის | 0.1 | 0 | 0.1 | 0.4 | 0.1 |
| უახლოესი ავტომაგისტრალი | ძალიან ცუდი | 1.3 | 1 | 1.2 | 1.1 | 1.5 |
| | ცუდი | 6.6 | 5.6 | 8.3 | 5.1 | 6.1 |
| | კარგი | 68.4 | 61.6 | 80.3 | 72.5 | 75.8 |
| | ძალიან კარგი | 19.2 | 26.8 | 9 | 19.4 | 12.5 |
| | საერთოდ არ არის | 4.5 | 5 | 1.2 | 1.9 | 42 |

აღმოჩნდა, რომ 2013-2021 წლებისათვის, დასახლების შიგნით გადასაადგილებელი გზები **სოფლის ჭრილში** ცუდად ფასდებოდა (2021 – 56.1%; 2017 – 73.5%; 2015 – 65.9%; 2013 – 65.2%). გამონაკლისს წარმოადგენს 2019 წლის გამოკითხვა, როდესაც სოფელში გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (52.4%) დასახლების შიგნით გადასაადგილებელ გზებს დადებითად აფასებს. რაც შეეხება **თბილისისა და სხვა ქალაქების ჭრილებს,** 2013-2021 წლებში შიდა გზები ტენდენციურად დადებითად ფასდება:

- თბილისი: 2021 – 79.5%; 2019 – 71.2%; 2017 - 81%; 2015 – 73.4%; 2013 – 75.2%
- სხვა ქალაქები: 2021 – 77.3%; 2019 - 74%; 2017 – 63.8%; 2015 – 68.2%; 2013 – 54.7% (იხ. ცხრილი #78).

**ცხრილი #78 - დასახლების/ქალაქის შიგნით გადასაადგილებელი გზების მდგომარეობა**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თქვენი დასახლების შიგნით გადასაადგილებელი გზები / ქალაქის შემთხვევაში თქვენს უბანში გადასაადგილებელი გზები | | ძალიან ცუდი | ცუდი | კარგი | ძალიან კარგი | საერთოდ არ არის |
| 2021 (N=3400) | თბილისი | 2 | 17.8 | 70.7 | 8.8 | 0.8 |
| | ქალაქი | 5.3 | 17.3 | 67.7 | 9.7 | 0 |
| | სოფელი | 17.4 | 38.7 | 40.9 | 3 | 0 |
| | საქართველო | 10.1 | 26.6 | 56.5 | 6.7 | 0.1 |
| 2019 (N=3400) | თბილისი | 6.5 | 22.4 | 56.3 | 14.9 | 0 |
| | ქალაქი | 7 | 19 | 56.5 | 17.5 | 0 |
| | სოფელი | 19.9 | 27.8 | 41 | 11.4 | 0 |
| | საქართველო | 12.3 | 23.8 | 49.8 | 14.1 | 0 |
| 2017 (N=3400) | თბილისი | 1.4 | 17.7 | 76.9 | 4.1 | 0 |
| | ქალაქი | 5.3 | 30.8 | 62.7 | 1.1 | 0.1 |
| | სოფელი | 13.9 | 51.3 | 32.7 | 1.9 | 0.2 |
| | საქართველო | 7.8 | 35.6 | 54.2 | 2.3 | 0.1 |
| 2015 (N=3400) | თბილისი | 5.1 | 21.5 | 68.7 | 4.7 | 0 |
| | ქალაქი | 4.8 | 25.6 | 61 | 7.2 | 1.4 |
| | სოფელი | 21.5 | 44.4 | 31.7 | 2.4 | 0 |
| | საქართველო | 12.7 | 33.4 | 49.2 | 4.3 | 0.4 |
| 2013 (N=3400) | თბილისი | 3.8 | 21 | 71.4 | 3.8 | 0 |
| | ქალაქი | 14.9 | 30.1 | 50.7 | 4 | 0.3 |
| | სოფელი | 22.3 | 51.2 | 25 | 1.3 | 0.3 |
| | საქართველო | 15.6 | 37.7 | 43.9 | 2.6 | 0.2 |

გამოკითხვის ყველა ეტაპისთვის რესპონდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირეს მათ დასახლებაში/უბანში (2021 – 64.7%; 2019 – 71.2%; 2017 – 80.6%; 2015 – 82%; 2013 – 72.9%). აღსანიშნავია, რომ დადებითი შეფასების წილი 2021 წელს ჩამორჩება სხვა წლების ამავე მაჩვენებელს.

კვლევის სხვადასხვა რაუნდის ფარგლებში რესპონდენტები მათთვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფასს მეტწილად დადებითად აფასებენ (2021 – 75.6%; 2019 – 72.2%; 2017 – 81.3%; 2015 – 79.1%; 2013 – 66.2%). როგორც აღმოჩნდა, დადებითი შეფასების მხრივ, 2021 წლის მონაცემი აღემატება 2013 და 2019 წლების ამავე მაჩვენებელს, თუმცა ჩამორჩება 2015-2017 წლების მონაცემს.

კვლევის სხვადასხვა რაუნდის პირობებში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი წილი დადებითად აფასებს საგზაო ნიშნების რაოდენობას მათ დასახლებაში/ქუჩაზე/დასახლების შესასვლელთან (2021 – 59%; 2019 – 63.5%; 2017 – 58.1%; 2015 – 64.4%; 2013 – 53%). 2021 წელს დაფიქსირებული დადებითი მაჩვენებელი მცირედით აღემატება წინა წლების ამავე მონაცემს, გარდა 2015 და 2019 წლისა (იხ. ცხრილი #79).

**ცხრილი #79 - საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე, ფასი და საგზაო ნიშნების რაოდენობა**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გთხოვთ შეაფასოთ გზების (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოძრაობის რეგულაცია, ქუჩის განათება) ინფრასტრუქტურა** | | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე თქვენს დასახლებაში/ ქალაქის შემთხვევაში თქვენს უბანში | ძალიან ცუდი | 3.1 | 7.2 | 2.6 | 1.7 | 5 |
| | ცუდი | 16.8 | 13 | 12.8 | 10.2 | 16.5 |
| | კარგი | 54.9 | 53.4 | 73.9 | 70.3 | 66 |
| | ძალიან კარგი | 9.8 | 17.8 | 6.7 | 11.7 | 6.9 |
| | საერთოდ არ არის | 15.4 | 8.6 | 4 | 6.1 | 5.6 |
| თქვენთვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფასი | ძალიან ცუდი | 2.8 | 2.8 | 1.2 | 2 | 5 |
| | ცუდი | 20.9 | 15.5 | 16.5 | 18.3 | 27 |
| | კარგი | 66.9 | 62 | 79.7 | 72.7 | 63 |
| | ძალიან კარგი | 8.8 | 10.2 | 1.5 | 6.3 | 3.1 |
| | საერთოდ არ არის | 0.7 | 9.6 | 1 | 0.6 | 1.7 |
| საგზაო ნიშნების საკმარისი რაოდენობა თქვენს დასახლებაში / ქუჩაზე / დასახლების შესასვლელთან | ძალიან ცუდი | 3.3 | 3 | 1 | 1.7 | 2 |
| | ცუდი | 20.5 | 11.4 | 16 | 16 | 11.8 |
| | კარგი | 51.9 | 51.4 | 56.9 | 58.1 | 48.7 |
| | ძალიან კარგი | 7 | 12.1 | 1.1 | 6.3 | 4.3 |
| | საერთოდ არ არის | 17.3 | 22.1 | 25 | 17.9 | 33.2 |

კვლევის სხვადასხვა ეტაპზე რესპონდენტებმა ასევე შეაფასეს შუქნიშნების რაოდენობა მათ ქუჩაზე/ დასახლებაში/ დასახლების შესასვლელთან. მნიშვნელოვანი წილი დადებით შეფასებას აფიქსირებს (2021 – 39.7%; 2019 – 39.4%; 2017 – 45.8%; 2015 – 40.8%; 2013 – 39%). 2021 წელს დაფიქსირებული დადებითი შეფასების წილი ერთ-ერთი დაბალია სხვა წლების მაჩვენებლებს შორის. აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის ყველა ტალღის პირობებში მაღალია რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ შუქნიშანი საერთოდ არ არის მათ ქუჩაზე/ დასახლებაში/ დასახლების შესასვლელთან (2021 – 35.7%; 2019 – 47.2%; 2017 – 42.5%; 2015 – 48.3%; 2013 – 49.8%). ამავდროულად, 2021 წელს რესპონდენტთა შედარებით დაბალი მაჩვენებელი აფიქსირებს, რომ შუქნიშანი საერთოდ არ არის მის ქუჩაზე/ დასახლებაში/ დასახლების შესასვლელთან, რაც, სხვა წლების მონაცემებთან შედარებით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ქუჩების/დასახლების განათება გამოკითხვის სხვადასხვა რაუნდის ფარგლებში დადებითად ფასდება რესპონდენტთა მიერ (2021 – 76.9%; 2019 – 78.5%; 2017 – 75.8%; 2015 – 66.3%; 2013 – 61.5%). აღსანიშნავია, რომ 2021 წლისათვის ქუჩების/დასახლების განათება წინა წლებთან შედარებით

მცირედით უფრო დადებითად ფასდება, გარდა 2019 წლისა. ასევე ხაზგასასმელია, რომ 2021 წელს მნიშვნელოვნად დაბალია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ განათება საერთოდ არ არის (2021 – 3.7%; 2019 – 7.8%; 2017 – 15%; 2015 – 22.4%; 2013 – 26.3%).

ქუჩაზე სახლების ნუმერაცია რესპონდენტთა მიერ მნიშვნელოვანწილად დადებითად ფასდება (2021 – 50.7%; 2019 – 48.3%; 2017 – 49.4%; 2015 – 46%; 2013 – 41.5%). ამ კომპონენტის ჭრილში 2021 წლის დადებითი შეფასების მონაცემი მცირედით აღემატება წინა წლების ამავე მაჩვენებელს. აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილეთა მნიშვნელოვანი წილის თანახმად მათ ქუჩაზე ნუმერაცია საერთოდ არ არის (2021 – 22.3%; 2019 – 35.8%; 2017 – 37.8%; 2015 – 39.9%; 2013 – 38.8%). ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია 2021 წლის მონაცემებში (იხ. ცხრილი #80).

**ცხრილი #80 - შუქნიშნების რაოდენობა, ქუჩების/დასახლების განათება და ქუჩაზე სახლების ნუმერაცია**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გთხოვთ შეაფასოთ გზების (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოძრაობის რეგულაცია, ქუჩის განათება) ინფრასტრუქტურა** | | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| შუქნიშნების საჭირო რაოდენობა ქუჩებზე / დასახლებაში / დასახლების შესასვლელთან | ძალიან ცუდი | 6.4 | 3.5 | 0.8 | 1.8 | 2.1 |
| | ცუდი | 18.2 | 9.8 | 11 | 9.1 | 9.2 |
| | კარგი | 33.3 | 31.1 | 43.8 | 36.8 | 34.4 |
| | ძალიან კარგი | 6.4 | 8.3 | 2 | 4 | 4.6 |
| | საერთოდ არ არის | 35.7 | 47.2 | 42.5 | 48.3 | 49.8 |
| ქუჩების/დასახლების განათება | ძალიან ცუდი | 3.1 | 3.2 | 0.8 | 2.6 | 2 |
| | ცუდი | 16.3 | 10.4 | 8.4 | 8.6 | 10.2 |
| | კარგი | 63.1 | 57 | 68.3 | 57.4 | 50.6 |
| | ძალიან კარგი | 13.8 | 21.5 | 7.5 | 8.9 | 10.9 |
| | საერთოდ არ არის | 3.7 | 7.8 | 15 | 22.4 | 26.3 |
| ქუჩაზე სახლების ნუმერაცია | ძალიან ცუდი | 7.7 | 4.1 | 3 | 2.8 | 5.7 |
| | ცუდი | 19.4 | 11.8 | 9.8 | 11.3 | 14 |
| | კარგი | 42 | 38 | 45.3 | 39.8 | 36.7 |
| | ძალიან კარგი | 8.7 | 10.3 | 4.1 | 6.2 | 4.8 |
| | საერთოდ არ არის | 22.3 | 35.8 | 37.8 | 39.9 | 38.8 |

2019-2021 წლებისათვის **მაღალმთიან რეგიონებში** მცხოვრები რესპონდენტები თითქმის თანაბრად კარგად აფასებენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირეს მათ დასახლებაში (2021 - 69%; 2019 – 72.7%). **სხვა ტიპის დასახლებებისათვის** 2021 წელს (45%) საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირის დადებით ველში შეფასება 2019 წელთან შედარებით (54.4%) მცირდება.

საინტერესოა, რომ 2019 წლისათვის მაღალმთიან რეგიონში მაცხოვრებელ რესპონდენტთა 27% ამბობს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის საფასური საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. მეორე მხრივ, 43.9% მათთვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფასს დადებითად აფასებს. 2021 წლისათვის მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები რესპონდენტების დიდი უმრავლესობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის საფასურს დადებითად აფასებს (81.4%).

2019 წლისათვის მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები რესპონდენტების 13.5% ამბობს, რომ ქუჩების/დასახლების განათება საერთოდ არ არის მის საცხოვრებელ ადგილზე. ეს მონაცემი 2021 წლისათვის 5.9%-მდე მცირდება. აღნიშნულის საპირისპიროდ, 2021 წლისათვის, 2019 წელთან შედარებით, იზრდება რესპონდენტთა წილი, ვინც ქუჩების/დასახლების განათებას დადებითად აფასებს (2021 - 75%; 2019 – 63.4%). რაც შეეხება სხვა ტიპის დასახლებებს, ქუჩების/დასახლების განათება 2019-2021 წლებში თითქმის თანაბრად ფასდება დადებით ველში (2021 – 77.3%; 2019 – 79.9%) (იხ. ცხრილი #81).

**ცხრილი #81 - საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე, ფასი და ქუჩების/დასახლების განათება მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გთხოვთ შეაფასოთ გზების (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოძრაობის რეგულაცია, ქუჩის განათება) ინფრასტრუქტურა მაღალმთიანი | | 2021 (N=3400) | | | 2019 (N=3400) | | |
| | | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო | |
| საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე თქვენს დასახლებაში/ ქალაქის შემთხვევაში თქვენს უბანში | ძალიან ცუდი | 2.7 | 4.7 | 3.1 | 7.2 | 6.9 | 7.2 |
| | ცუდი | 15.5 | 23.1 | 16.8 | 13.1 | 12.8 | 13 |
| | კარგი | 57.8 | 41.6 | 54.9 | 54.6 | 40.2 | 53.4 |
| | ძალიან კარგი | 11.2 | 3.4 | 9.8 | 18.1 | 14.2 | 17.8 |
| | საერთოდ არ არის | 12.7 | 27.2 | 15.4 | 7 | 25.9 | 8.6 |
| თქვენთვის ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფასი | ძალიან ცუდი | 1.4 | 3 | 2.8 | 5.4 | 2.5 | 2.8 |
| | ცუდი | 15.3 | 21.9 | 20.9 | 21.6 | 14.9 | 15.5 |
| | კარგი | 77.8 | 64.9 | 66.9 | 36.3 | 64.3 | 62 |
| | ძალიან კარგი | 3.6 | 9.6 | 8.8 | 7.6 | 10.4 | 10.2 |
| | საერთოდ არ არის | 1.9 | 0.5 | 0.7 | 29.1 | 7.8 | 9.6 |
| ქუჩების/დასახლების განათება | ძალიან ცუდი | 2.3 | 3.2 | 3.1 | 5.4 | 3 | 3.2 |
| | ცუდი | 16.9 | 16.2 | 16.3 | 17.7 | 9.8 | 10.4 |
| | კარგი | 66.7 | 62.3 | 63.1 | 45.8 | 58 | 57 |
| | ძალიან კარგი | 8.3 | 15 | 13.8 | 17.6 | 21.9 | 21.5 |
| | საერთოდ არ არის | 5.9 | 3.3 | 3.7 | 13.5 | 7.3 | 7.8 |

2021 წლისათვის რესპონდენტთა მიერ შედარებით დადებითად ფასდება ტურისტებისათვის ინფორმაციული ფირნიშები ქუჩებში (47.4%), სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების რაოდენობა (56.4%), ტროტუარების მდგომარეობა (50.2%) და ქვეითთა გადასასვლელების მდგომარეობა (48.3%). მეორე მხრივ, გამოკითხულა მნიშვნელოვანი წილი მიუთითებს, რომ ზემოჩამოთვლილი ინფრასტრუქტურა საერთოდ არ არის მოწყობილი (იხ. ცხრილი #82).

**ცხრილი #82 - ინფორმაციული ფირნიშები, სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები, ტროტუარებისა და ქვეითთა გადასასვლელების მდგომარეობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **გთხოვთ შეაფასოთ გზების (ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მოძრაობის რეგულაცია, ქუჩის განათება) ინფრასტრუქტურა (2021)** | **ძალიან ცუდი** | **ცუდი** | **კარგი** | **ძალიან კარგი** | **საერთოდ არ არის** |
| ტურისტებისათვის ინფორმაციული ფირნიშები ქუჩებში | 5.9 | 20.4 | 41 | 6.4 | 26.3 |
| სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების („მწოლიარე პოლიციელები“) რაოდენობა | 4.5 | 22.7 | 49.3 | 7.1 | 16.4 |
| ტროტუარების მდგომარეობა | 7.6 | 25.7 | 44.1 | 6.1 | 16.5 |
| ქვეითთა გადასასვლელების მდგომარეობა | 6.4 | 26.2 | 42 | 6.3 | 19.2 |

2019-2021 წლების გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებმა დაასახელეს, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით რა საჭიროებს გამოსწორებას. პირველი რიგის საჭიროებებს შორის სახელდება გზების ხარისხის გამოსწორება (2021 – 30.5%; 2019 – 37.6%), ასევე ქვეითთა გადასასვლელების მოწყობა (2021 – 10.8%; 2019 – 11.3%). მეორე რიგის საჭიროებებს შორის შედარებით ხშირად სახელდება სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები (2021 – 13.8%; 2019 – 13.7%), ასევე ქვეითთა გადასასვლელები (2021 – 10.2%; 2019 – 16.3%). 2021 წლისათვის ასევე აქტუალური იყო საგზაო მონიშვნები (11.6%) და გამაფრთხილებელი/საგზაო ნიშნები (10%). 2019 წელს დაფიქსირებულ მეორე რიგის საჭიროებებს შორის ასევე ხაზგასასმელია ქვეითთა/ველოსიპედის ბილიკები/ტროტუარები (11.8%). მესამე რიგის საჭიროებს შორის შედარებით ხშირად იკვეთება გამაფრთხილებელი/საგზაო ნიშნები (2021 – 19.3%; 2019 – 13.5%), ქვეითთა/ველოსიპედის ბილიკები/ტროტუარები (2021 – 10.2%; 2019 – 12.5%) და სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები (2021 – 11.7%; 2019 – 20%) (იხ. ცხრილი #83).

**ცხრილი #83 - საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რომელი მათგანი საჭიროებს გამოსწორებას თქვენს მუნიციპალიტეტში? (2021-2019)** | **2021 (N=3400)** | | | **2019 (N=3400)** | | |
| | **I რიგში** | **II რიგში** | **III რიგში** | **I რიგში** | **II რიგში** | **III რიგში** |
| გზების ხარისხი | 30.5 | 8.3 | 4.4 | 37.6 | 12.5 | 7 |
| გზების ხელმისაწვდომობა წლის განმავლობაში | 8.3 | 7.1 | 3.2 | 2.1 | 6.8 | 5 |
| ქვეითთა გადასასვლელები | 10.8 | 10.2 | 5.7 | 11.3 | 16.3 | 11 |
| ქვეითთა / ველოსიპედის ბილიკები / ტროტუარები | 8.4 | 9.6 | 10.2 | 9.7 | 11.8 | 12.3 |
| მგზავრებისათვის მოსაცდელი ნაგებობები ტრანსპორტის გაჩერების ადგილებზე | 5.6 | 9.7 | 7.2 | 4.3 | 8.7 | 12.5 |
| საგზაო მონიშვნები (მაგ. დახაზვა, ფეხით გადასასვლელები, ა.შ.) | 4.6 | 11.6 | 9 | 2.5 | 6.5 | 7.7 |
| სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები („მწოლიარე პოლიციელები“) | 7 | 13.8 | 11.7 | 9.2 | 13.7 | 20 |
| გამაფრთხილებელი / საგზაო ნიშნები | 3.6 | 10 | 19.3 | 5.9 | 9.6 | 13.5 |
| გარე განათება | 3.1 | 8.1 | 8.6 | 6.5 | 12.8 | 10 |
| უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 18 | 11.7 | 20.6 | 9.2 | 0 | 0 |

როგორც 2019, ასევე 2021 წლისათვის **თბილისის ჭრილში** მუნიციპალიტეტის პირველად პრობლემას წარმოადგენს გზების ხარისხი (2021 – 17.5%; 2019 – 26.9%), ქვეითთა გადასასვლელები (2021 - 17%; 2019 – 16.4%) და ქვეითთა/ველოსიპედის ბილიკები/ტროტუარები (2021 - 15.8%; 2019 - 10.6%). როგორც 2019, ასევე 2021 წლის გამოკითხვისათვის **სხვა ქალაქების ჭრილში** მუნიციპალიტეტის პირველად პრობლემებს ასევე გზების ხარისხი (2021 წ - 25.7%; 2019 წ - 32,1%) და ქვეითთა გადასასვლელები (2021 – 11.9%; 2019 – 15.1%) წარმოადგენს. **სოფლის ჭრილში** გზების ხარისხი (2021 - 39.1%; 2019 - 48.5%) თბილისსა და სხვა ქალაქებთან შედარებით მძაფრ პრობლემას წარმოადგენს (იხ. ცხრილი #84).

**ცხრილი #84 - საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პირველი რიგის პრობლემური საკითხები ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| | % | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რომელი მათგანი საჭიროებს გამოსწორებას თქვენს მუნიციპალიტეტში I რიგში? (2021-2019)** | **2021 (N=3400)** | | | | **2019 (N=3400)** | | | |
| | **თბილისი** | **ქალაქი** | **სოფელი** | **საქართველო** | **თბილისი** | **ქალაქი** | **სოფელი** | **საქართველო** |
| გზების ხარისხი | 17.5 | 25.7 | 39.1 | 30.5 | 26.9 | 32.1 | 48.5 | 37.6 |
| გზების ხელმისაწვდომობა წლის განმავლობაში | 9.5 | 5.7 | 10.7 | 8.3 | 2 | 1.2 | 2.9 | 2.1 |
| ქვეითთა გადასასვლელები | 17 | 11.9 | 8 | 10.8 | 16.4 | 15.1 | 5.2 | 11.3 |
| ქვეითთა / ველოსიპედის ბილიკები / ტროტუარები | 15.8 | 9 | 5.8 | 8.4 | 15.7 | 10.6 | 5 | 9.7 |
| მგზავრებისათვის მოსაცდელი ნაგებობები ტრანსპორტის გაჩერების ადგილებზე | 5.3 | 6.4 | 4.9 | 5.6 | 3.7 | 4.7 | 4.4 | 4.3 |
| საგზაო მონიშვნები (მაგ. დახაზვა, ფეხით გადასასვლელები, ა.შ.) | 4.3 | 4.6 | 4.7 | 4.6 | 3 | 3.8 | 1.2 | 2.5 |
| სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები („მწოლიარე პოლიციელები“) | 3.5 | 8.3 | 6.5 | 7 | 8.4 | 8.6 | 10.1 | 9.2 |
| გამაფრთხილებელი / საგზაო ნიშნები | 2 | 4.2 | 3.5 | 3.6 | 8.6 | 6.6 | 3.6 | 5.9 |
| გარე განათება | 1.5 | 1.4 | 5.4 | 3.1 | 4.7 | 2.3 | 10.6 | 6.5 |
| უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 23.8 | 22.9 | 11.4 | 18 | 8.6 | 12.4 | 7.5 | 9.2 |

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოიყო, რომ თბილისის მერიამ, ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავა სატრანსპორტო პოლიტიკა.[34] ქუჩების რეაბილიტაციის მხრივ აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის გამზირის რეაბილიტაცია. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, უბნის ინფრასტრუქტურა პირველ რიგში ქვეითს მოერგო, შემდეგ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, შემდეგ ეკოლოგიურ ტრანსპორტს და ბოლოს კერძო ავტომობილს. საერთაშორისო ორგანიზაცია „სისტრასთან“ ერთად შეიქმნა ქალაქის სატრანსპორტო „მასტერპლანი“, რომლის მიზანია ამორტიზირებული ტრანსპორტის ახლით ჩანაცვლება.[35]

34. წყარო: თბილისის მერია: თბილისში 24 ოქტომბრიდან პირველი სწრაფი სატრანზიტო დერეფანი ამოქმედდება, https://tbilisi.gov.ge/news/10757?fbclid=IwAR1hgToarIb3C_p6QymL4HpRcUHFLS85rMEjhNggqKrkCpyO3QuuZeQHQGY
35. წყარო: თბილისის მერია: ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია და მგზავრობის ავტომატიზირებული გადახდის ინტეგრირებული სისტემის დანერგვა, https://tbilisi.gov.ge/news/10411?fbclid=IwAR0yBk_JtW-_3DVW_pLKxOs56Uq-iAEvLgaoa1jni-SkaaCCnekS7LeFMoYA

თბილისის საკრებულოს წევრთან ჩატარებულ ინტერვიუში ითქვა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია სწავლობს მოქალაქეთა მოსაზრებებს სერვისების შესახებ. საკრებულოს წარმომადგენლის თანახმად, მაგალითად, თბილისში ზონალური პარკინგის შემოღებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პარკირება. საწყის ეტაპზე შემუშავდა აპლიკაცია, რომლითაც მოქალაქეს შეუძლია პარკირების გადასახადის გადახდა. მუნიციპალური განვითარების ფონდმა ჩაატარა გამოკითხვა და შეისწავლა თბილისელების ზონალური პარკინგით სარგებლობის კმაყოფილების დონე. გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი პრობლემები მერიამ გაითვალისწინა და აპლიკაცია უფრო მეტად დახვეწა.

2019-2021 წლებისათვის რესპონდენტებმა მუნიციპალურ საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით პრობლემური საკითხები პრიორიტეტების მიხედვით დაალაგეს. **პირველ რიგში** შედარებით ხშირად დასახელდა ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი (2021 - 16.1%; 2019 – 19.6%). დამატებით, 2019 წლისათვის გამოიყო ტრანსპორტის არასათანადო მდგომარეობა (13.8%), ხოლო 2021 წლისათვის ასევე პრობლემურად ჩაითვალა ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა როგორც ცენტრალურ, ასევე გარეუბნებში (17.1%), ტრანსპორტის არასათანადო მდგომარეობა (11.6%). რესპონდენტთა მოსაზრებით 2019 წლისათვის **მეორე რიგის** პრობლემას მეტწილად წარმოადგენს ტრანსპორტის გაუმართაობა (17.5%) და მგზავრობაზე დახარჯული დრო (17%). 2021 წლისათვის კი, მეორე რიგის პრობლემებს შორის აქტუალურია ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი (19.1%), ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა როგორც ცენტრალურ, ასევე გარეუბნებში (13.9%) და ტრანსპორტის არასათანადო მდგომარეობა (11.8%). როგორც 2019, ასევე 2021 წლისათვის **მესამე რიგის** პრობლემურ საკითხებში აქტუალურია მგზავრობაზე დახარჯული დრო (2021 – 13%; 2019 – 19.8%), ტრანსპორტის გაუმართაობა (2021 – 9.5%; 2019 – 18.1%), მგზავრობის მაღალი საფასური (2021 – 9%; 2019 - 14.4%) და ტრანსპორტის არასათანადო მდგომარეობა (2021 – 13.8%; 2019 – 15.5%). აღსანიშნავია, რომ მოცემული მესამე რიგის პრობლემური საკითხები ნაკლებად მძაფრია 2021 წლისათვის (იხ. ცხრილი #85).

**ცხრილი #85 - საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემური ფაქტორი (2021)** | **2021 (N=3400)** | | | **2019 (N=3400)** | | |
| | **I რიგში** | **II რიგში** | **III რიგში** | **I რიგში** | **II რიგში** | **III რიგში** |
| ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი | 16.2 | 19.1 | 7.8 | 19.6 | 15.5 | 11.9 |
| ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა როგორც ცენტრალურ, ასევე გარეუბნებში | 17.1 | 13.9 | 6.5 | 11 | 14.3 | 9.1 |
| ტრანსპორტის არასათანადო მდგომარეობა (კონდიცირების სისტემის გაუმართაობა, მოძველებული სავარძლები და ა.შ) | 11.6 | 11.8 | 13.8 | 13.8 | 14.7 | 15.5 |
| ტრანსპორტის გაუმართაობა (ტექნიკური პრობლემები) | 4.3 | 10.7 | 9.5 | 6.4 | 17.5 | 18.1 |
| მძღოლების არაპროფესიონალიზმი | 3.1 | 5 | 7 | 5.2 | 9.3 | 11.1 |
| მგზავრობის მაღალი საფასური | 8.3 | 10.6 | 9 | 11 | 11.6 | 14.4 |
| მგზავრობაზე დახარჯული დრო | 3.4 | 5.4 | 13 | 7.4 | 17 | 19.8 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 36 | 23.5 | 33.4 | 16.6 | 0 | 0 |

როგორც 2019, ასევე 2021 წლისათვის **თბილისის ჭრილში** საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემურ ფაქტორს პირველ რიგში ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი წარმოადგენს (2021 - 16%; 2019 – 20.8%). **სხვა ქალაქების ჭრილში** პირველ რიგში პრობლემურია ტრანსპორტის არასათანადო მდგომარეობა (2021 – 14.3%; 2019 – 13.9%). რაც შეეხება **სოფელს,** 2019 წლისათვის პირველი რიგის პრობლემად იკვეთება ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი (19.5%), ხოლო 2021 წლისათვის მეტად აქტუალურია ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა როგორც ცენტრალურ, ასევე გარეუბნებში (22.1%) (იხ. ცხრილი #86).

**ცხრილი #86 - საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებული პირველი რიგის პრობლემური საკითხები ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემური ფაქტორი I რიგში? (2021-2019) | % 2021 (N=3400) თბილისი | ქალაქი | სოფელი | საქართველო | 2019 (N=3400) თბილისი | ქალაქი | სოფელი | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტრანსპორტის მოძრაობის განრიგი | 16 | 13.9 | 18.7 | 16.2 | 20.8 | 18.4 | 19.5 | 19.6 |
| ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა როგორც ცენტრალურ, ასევე გარეუბნებში | 10.3 | 14 | 22.1 | 17 | 11.3 | 10.3 | 11.2 | 11 |
| ტრანსპორტის არასათანადო მდგომარეობა (კონდიცირების სისტემის გაუმართაობა, მოძველებული სავარძლები და ა.შ) | 7.8 | 14.3 | 9.7 | 11.6 | 23.4 | 13.9 | 7.1 | 13.8 |
| ტრანსპორტის გაუმართაობა (ტექნიკური პრობლემები) | 6.5 | 4.2 | 3.8 | 4.3 | 8.6 | 6.8 | 4.6 | 6.4 |
| მძღოლების არაპროფესიონალიზმი | 8 | 3.6 | 1.4 | 3.1 | 6.7 | 7.3 | 2.8 | 5.2 |
| მგზავრობის მაღალი საფასური | 1.3 | 8.9 | 9.5 | 8.3 | 6.8 | 9.9 | 14.8 | 11 |
| მგზავრობაზე დახარჯული დრო | 9.5 | 2.9 | 2.3 | 3.4 | 12.7 | 6.2 | 4.5 | 7.4 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 40.6 | 38.2 | 32.5 | 36 | 7.8 | 19.7 | 20.8 | 16.6 |

კვლევის თვისებრივი კომპონენტის თანახმად, მუნიციპალიტეტებში მუნიციპალური ტრანსპორ-ტის არარსებობა განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობაში ქმნის გადაადგილების პრობლემას - *„მოსახლეობას როდესაც სურს, სხვადასხვა სოფელში კონკრეტული მიმართულებით დაემატოს, ან შეიცვალოს რეისები, ამ დროს, მუნიციპალური ტრანსპორტის არქონის გამო, ეს გარკვეულ შეფერხებებს იწვევს, ვინაიდან კერძო კომპანიების ხელშია ტრანსპორტი და მათი ინტერესებია წამყვანი“ (გურიის რეგიონის რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელი).* როგორც რეს-პონდენტებმა აღნიშნეს, მართალია სოფლებში ტრანსპორტი მოძრაობს, მაგრამ, იმის გათვა-ლისწინებით, რომ მოსახლეობაში არსებობს უფრო ხშირი სატრანსპორტო კავშირის საჭიროება სოფლებსა და ცენტრს შორის, ამიტომ, აუცილებელია მუნიციპალური ტრანსპორტის არსებობა. მუნიციპალური ტრანსპორტის უპირატესობა ისაა, რომ მერიას აქვს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუ-ფებისთვის გარკვეული შეღავათების დაწესების შესაძლებლობა.

# სხვადასხვა მომსახურება

კვლევაში მონაწილე პირებმა (კვლევის 5-ვე ეტაპზე) შეაფასეს სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი მომსახურებით კმაყოფილება და ასევე, გამოყვეს მათი უკმაყოფილების ძირითადი მიზეზები.

თავდაპირველად, რესპონდენტებმა შეაფასეს  მათი კმაყოფილების დონე ისეთ სფეროებთან მიმართებით, როგორებიცაა: დასახლების / ქალაქის ურბანული დაგეგმარება (გამწვანება, შენობების განლაგება/მათ შორის მანძილის დაცვა, ქუჩების სიფართოვე), მშენებლობის რეგულაციები (ლოჯიების მიშენება, დამატებითი სართულების დაშენება, ავტოფარეხების / ახალი ნაგებობების აშენება), დასახლების / ქალაქის კეთილმოწყობა (სკვერების, პარკების, გზების კეთილმოწყობა) და შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემო.

კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები ცხადყოფს, რომ 2021 წელს გამოკითხული რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი დასახლების / ქალაქის ურბანული დაგეგმარებითა (72.1%) და კეთილმოწყობით (74.2%) არის კმაყოფილი (სრულიად კმაყოფილი და კმაყოფილი). იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ამ ორი სერვისის მიმართ კმაყოფილებას შეფასების უარყოფით ველში აქცევს თითოეულ შემთხვევაში გამოკითხულთა მეხუთედს არ აღემატება. 2013 წლის მონაცემების მიხედვით რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (54.4%), ასევე, ურბანული დაგეგმარების  მიმართ გამოხატავს კმაყოფილებას. 2015  (58.8%), 2017 (57.8%) და 2019 წლებში (65%) რესპონდენტების ყველაზე მეტი წილი ქალაქის კეთილმოწყობით არის კმაყოფილი. შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა აღმოჩნდა სწორედ ის საკითხი, რომლითაც კვლევის ბოლო რაუნდში გამოკითხული ყოველი მესამე რესპონდენტი უკმაყოფილოა (34.1% - უკმაყოფილო და სრულიად უკმაყოფილო). ამ მომსახურებით კმაყოფილი რესპონდენტების რაოდენობა 39.7%-ია. რაც შეეხება მშენებლობის რეგულაციებს, ამ საკითხთან დაკავშირებით მინიმუმ ყოველი მეორე რესპონდენტი  სრულიად კმაყოფილი ან კმაყოფილია.

2021 წელს გამოკითხულმა რესპონდენტებმა თითოეული მომსახურებით უკმაყოფილების მიზეზები დაასახელეს. დასახლების/ქალაქის ურბანულ დაგეგმარებასთან მიმართებით უკმაყოფილების ძირითად მიზეზებს შორის გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი მწვანე ადგილების დეფიციტს ასახელებს (24.1%), რესპონდენტთა 18.2% კი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი პრობლემა ქუჩებში არსებული ვიწრო საფეხმავლო გზებია (ე.წ. ტროტუარი); გამოკითხულთა ნაწილი (17%), ასევე, დასასვენებელი ადგილების/სკვერების ნაკლებობაზე მიუთითებს. იმ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც უკმაყოფილების მიზეზებად კორპუსებს შორის არასაკმარისი დისტანცია, ვიწრო ქუჩები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ადგილების სიმცირე დაასახელეს 15.3%-ს არ აღემატება (თითოეულ შემთხვევაში).

დასახლების ურბანულ დაგეგმარებასთან მიმართებით უკმაყოფილების ძირითად მიზეზებად როგორც **მაღალმთიან, ასევე, სხვა ტიპის დასახლებაში**  გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი მთავარ პრობლემად მწვანე ადგილების დეფიციტს ასახელებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემაზე უფრო მეტად მაღალმთიან დასახლებებში გამოკითხულები მიუთითებენ (29.3%). ამ უკანასკნელთათვის მეორე რიგის პრობლემა დასასვენებელი ადგილების/სკვერების ნაკლებობა აღმოჩნდა (25.5%), გამოკითხულთა მეხუთედზე მცირედით მეტი კი სპორტული/გამაჯანსაღებელი ადგილების ნაკლებობას უჩივის. სხვა ტიპის ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლების 19.2% აცხადებს, რომ დასახლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის ვიწრო საფეხმავლო გზები (იხ. დიაგრამა #26).

**დიაგრამა #26 - დასახლების/ქალაქის ურბანული დაგეგმარებით უკმაყოფილების მიზეზები მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**




დასახლებაში/ქალაქში მშენებლობის რეგულაციებით უკმაყოფილო რესპონდენტები მათ უარყოფით განწყობას შემდეგი მიზეზებით ხსნიან: ახალი მრავალსართულიანი კორპუსების აშენება - 23.4%; დამატებითი სართულების დაშენება - 20.5%; ლოჯიების მოშენება - 16.6%. გარდა ხსენებული ფაქტორებისა, რესპონდენტების გარკვეული ნაწილი მიუთითებს ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა ავტოფარეხების მშენებლობა და ისტორიული შენობების/კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ხელყოფა.

მაღალმთიან დასახლებებში გამოკითხულ იმ რესპონდენტებს შორის, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მშენებლობის რეგულაციებით არიან უკმაყოფილო, ამის ძირითად მიზეზად 21%-მა ისტორიული შენობების/კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ხელყოფა დაასახელა, მაშინ როდესაც ამ თვალსაზრისით სხვა ტიპის დასახლებებში გამოკითხულთა თითქმის მეოთხედ ნაწილს (24%) ახალი მრავალსართულიანი კორპუსების აშენება უქმნის დისკომფორტს, 21.4%-ს კი დამატებითი სართულების დაშენება (იხ. დიაგრამა #27).

**დიაგრამა #27 - დასახლებაში მშენებლობის რეგულაციებით უკმაყოფილების მიზეზები მაღალ-მთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**




თვისებრივი კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფების რესპონდენტებმა დაასახელეს მშენებლობის რეგულაციებთან დაკავშირებული ის კონკრეტული საკითხები, რომლებიც მუნიციპალიტეტებში ამ დრომდე მოუგვარებელია. მათ შორის განაშენიანების გეგმის არარსებობა:

> *„[გომის მთის] გენერალური გეგმა ჯერჯერობით არ არის და მართლა საშინელებაა, სახლები ერთიმეორეზეა აშენებული“ (62 წლის ქალი, ოზურგეთი, გურია)*

დასახლების/ქალაქის კეთილმოწყობით უკმაყოფილო რესპონდენტების დიდი ნაწილის (30.5%) უარყოფით განწყობას კეთილმოუწყობელი სკვერები/პარკები განაპირობებს, 26.5% კი ასეთ მიზეზად კეთილმოუწყობელ/დანგრეულ ტროტუარებს ასახელებს. გამოკითხულთა მეხუთედს მცირედით აღემატება მათი წილი, რომლებიც კეთილმოუწყობელი/დანგრეული გზებით არიან უკმაყოფილო. შუქნიშნების ნაკლებობაზე მხოლოდ 14.9% საუბრობს.

დასახლების კეთილმოწყობით უკმაყოფილო რესპონდენტებისთვის, როგორც მაღალმთიან, ისე სხვა ტიპის დასახლებებში ძირითად სამ პრობლემად კეთილმოუწყობელი/დანგრეული გზები, დანგრეული ტროტუარები და კეთილმოუწყობელი სკვერები/პარკები სახელდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ სამი ძირითადი პრობლემის რიგითობა იცვლება მაღალმთიანი და სხვა ტიპის დასახლებების შემთხვევაში. კერძოდ, მაღალმთიანი ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობას უფრო მეტად დანგრეული გზები (29.6%) და ტროტუარები (23.3%) აწუხებს, ვიდრე კეთილმოუწყობელი სკვერები (22.5%). სხვა ტიპის დასახლებებში გამოკითხულთაგან ყველაზე დიდი ნაწილისთვის კი სწორედ სკვერების კეთილმოწყობა აღმოჩნდა მთავარი პრობლემა (32.8%) (იხ. დიაგრამა #28).

**დიაგრამა #28 - დასახლების/ქალაქის კეთილმოწყობით უკმაყოფილების მიზეზები მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**




ქვემო ქართლში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში არსებული მისასვლელი გზები გაყვანილია, ან რეაბილიტირებულია. მომდევნო, 2022 წელს დაგეგმილია შიდა გზების მოწესრიგება. მარნეულის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტის მეშვეობით ხორციელდება გარე განათების პროექტი.

თბილისში ჩატარებული ფოკუს ჯგუფის რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება თბილისის გარე უბნების ინფრასტრუქტურას ექცევა, რასაც მონაწილეები დადებითად აფასებენ.

კვლევამ ცხადყო, რომ შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს საკითხთან მიმართებით ყველაზე მეტი რესპონდენტი გამოთქვამს უკმაყოფილებას. ასეთი განწყობის განმაპირობებელ მნიშვნელოვან ფაქტორად კი ეტლით მოსარგებლეთათვის პანდუსების არარსებობა სახელდება (44.6%). ის რესპონდენტები კი, რომელთა დასახლებაში/ქალაქში პანდუსებია, მათ უხარისხობაზე საუბრობენ (13%). ამასთან, უკმაყოფილების გამომწვევ მიზეზად სახელდება არაადაპტირებული ავტობუსები, ლიფტები და ტუალეტები. აღსანიშნავია, რომ როგორც მაღალმთიანი, ასევე, სხვა ტიპის დასახლებებში გამოკითხულ რესპონდენტთა დიდი ნაწილი, სწორედ პანდუსების არარსებობას მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად (იხ. დიაგრამა #29).

**დიაგრამა #29 - შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოთი უკმაყოფილების მიზეზები მაღალ-მთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**




თვისებრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შესაქმნელად. მაგალითად: რუსთავსა და თბილისში არსებული მუნიციპალური სატრანსპორტო ავტობუსები ახლით ჩანაცვლდა, რომლებიც ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში მოეწყო ბავშვთა ოთახი, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის და დასაქმებულები არიან გადამზადებული კადრები, მათ შორის ფსიქოლოგები. არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის საფუძველზე სენაკის მუნიციპალიტეტს დაემატა შინ მოვლის პროგრამა იმ შშმ პირებისთვის, რომელთაც არ ჰყავთ ნათესავები.

# ტურიზმი

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, კვლევაში (2021, 2019) მონაწილე პირებმა მათი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ჭრილში ტურიზმის მნიშვნელოვნება შეაფასეს. 2019 წელთან შედარებით, კვლევის მე-5 ტალღაში უფრო მაღალია იმ რესპონდენტთა წილი (81.1%), რომლებიც ტურიზმის მნიშვნელოვნებას შეფასების დადებით ველში ათავსებენ (2019 – 78.3%), რაც შეეხება მათ წილს, რომლებიც თვლიან, რომ ტურიზმი ***არ არის მნიშვნელოვანი ან საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი*** 2021 წლის მონაცემების მიხედვით 9.7%-ია, წინა ტალღის მონაცემების თანახმად კი 13.6%. ტურიზმის მნიშვნელოვნების შეფასების ანალიზი **მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების** ჭრილში ცხადყოფს, რომ როგორც 2021, ასევე, 2019 წელს მაღალმთიან დასახლებებში გამოკითხულთა უფრო დიდი ნაწილი აცხადებდა, რომ მათი რეგიონისთვის ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ტიპის დასახლების წარმომადგენლები (2021: მაღალმთიანი - 87.9%; სხვა ტიპის დასახლება - 85.1%; 2019: მაღალმთიანი - 77.7%; სხვა ტიპის დასახლება 84.5%) (იხ. ცხრილი #87).

**ცხრილი #87 - ტურიზმის მნიშვნელოვნება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის ტურიზმი? | | % საერთოდ არ არის მნიშვნე-ლოვანი | არ არის მნიშვნე-ლოვანი | მნიშვნე-ლოვანია | ძალიან მნიშვნე-ლოვანია | უარი პასუხზე | არ ვიცი/მიჭირს პასუხი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2021 N=3400 | მაღალმთიანი | 0.2 | 3.1 | 60.4 | 27.5 | 0.7 | 8.1 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 2 | 9.1 | 59.4 | 20.2 | 0.3 | 9.1 |
| | საქართველო | 1.7 | 8 | 59.6 | 21.5 | 0.3 | 8.9 |
| 2019 N=3400 | მაღალმთიანი | 2.1 | 5 | 56.7 | 28.4 | 1.8 | 6 |
| | სხვა ტიპის დასახლება | 3.4 | 10.8 | 49.3 | 28.4 | 0.2 | 7.9 |
| | საქართველო | 3.3 | 10.3 | 49.9 | 28.4 | 0.3 | 7.7 |

თვისებრივი კვლევის ფარგლებში მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ეკონომიკური აქტივობების წახალისება ძირითადად ორი მიმართულებით უნდა განხორციელდეს. ესენია სოფლის მეურნეობა და ტურიზმი.

2021 წელს გამოკითხულთა 49.6%-მა მიუთითა ტურიზმის აქტუალურობაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტურიზმის აქტუალურობის/განვითარებულობის აღქმა, 2017 წლის ჩათვლით, ზრდის ტენდენციას უჩვენებდა (2013 - 29%, 2015 - 38%, 2017 – 49%). კვლევის მეოთხე რაუნდში კი (2019), წინა რაუნდთან შედარებით, ტენდენცია მცირედით შეიცვალა (იხ. ცხრილი #88).

**ცხრილი #88 - ტურიზმის განვითარების/აქტუალობის ხარისხი მუნიციპალიტეტში**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **არის თუ არა ტურიზმი განვითარებული/აქტუალური თქვენს მუნიციპალიტეტში?** | **2021 N=3400** | **2019 N=3400** | **2017 N=3400** | **2015 N=3400** | **2013 N=3400** |
| დიახ | | 46.5 | 49 | 37.8 | 28.5 |
| არა | 38.8 | 43.3 | 39 | 50.9 | 61.3 |
| უარი პასუხზე | 0.4 | 0.3 | 0.9 | 0.7 | 0 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 11.3 | 9.9 | 11 | 10.6 | 10.2 |

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტების რაოდენობის შეფასებას, კვლევის 5-ვე რაუნდში გამოკითხული რესპონდენტების ის ნაწილი, რომელთაც აღნიშნეს, რომ მათ მუნიციპალიტეტებში ტურიზმი განვითარებულია/აქტუალურია, ასევე, აცხადებენ, რომ მათ დასახლებებს ბევრი (ძალიან ბევრი, ბევრი და საკმაოდ) ტურისტი სტუმრობს (77.4%). წინა რაუნდებთან შედარება აჩვენებს, რომ კვლევის პირველი სამი ტალღის განმავლობაში მზარდი ტენდენცია ფიქსირდება, მეოთხე და მეხუთე რაუნდისთვის კი, რეალობა მცირედით იცვლება, და ნეგატიურ დინამიკას უჩვენებს (2021 – 77.4%; 2019 – 83.8%; 2017 – 88.8%; 2015 – 78.1%; 2013 – 76.1%). თვისებრივი კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, პანდემიით გამოწვეულმა შემცირებულმა ტურისტულმა ნაკადებმა, მუნიციპალიტეტებში ტურიზმის სექტორის განვითარება  შეაყოვნა.

> *„არის შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო მეტად იყოს განვითარებული ტურისტული პოტენციალი სვანეთში. პანდემია რომ არა, უფრო კარგი შედეგები იქნებოდა ტურიზმის სექტორში" (30 წლის, კაცი, ზემო სვანეთის მაცხოვრებელი)*

გამოკითხულთა იმ ნაწილმა, რომელთაც აღნიშნეს, რომ მათ მუნიციპალიტეტში ტურიზმი განვითარებულია, შეაფასა, რამდენად გამართულია ტურისტული ინფრასტრუქტურა და ასევე, დაასახელა წელიწადის ის სეზონი, როდესაც უმეტესად ჩამოდიან ტურისტები. ხუთივე რაუნდის ფარგლებში, ასეთ რესპონდენტთა დიდი ნაწილი თავს იკავებს უკიდურესად დადებითი ან უკიდურესად უარყოფითი შეფასებებისგან და ნეიტრალური შეფასებით შემოიფარგლება (სხვადასხვა რაუნდის შემთხვევაში 50.8%-70% შორის ვარირებს). დადებითი განწყობების მქონე რესპონდენტთა წილი ყოველი ტალღის შემთხვევაში მცირედით იცვლება. პოზიტიური ტენდენცია 2013-2017 წლებში នარჩუნდებოდა, მე-4 და მე-5 რაუნდში კი ასეთ რესპონდენტთა წილი მცირდება (2021 – 26.1%; 2019 – 28%; 2017 – 30.3%; 2015 – 24.5%; 2013 – 20.3%;).

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა,  კვლევის ხუთივე ეტაპზე, ტურისტთა ჩამოსვლის ძირითად სეზონად ზაფხულს ასახელებს. ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ტურისტების ნაკადი ყველა სეზონზე თანაბარია, განსაკუთრებით მაღალი იყო 2017 წელს - 22.4%. (იხ. დიაგრამა #30)

**დიაგრამა #30 - ტურისტთა ჩამოსვლის ძირითადი სეზონი**




ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე პირების შეფასებით, საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება და კულტურა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან პოტენციალს ტურიზმის სფეროს გასავითარებლად. ბოლო წლებში რეგიონებში მნიშვნელოვნად უმჯობესდება ტურისტული ინფრასტრუქტურა. ტურიზმის პოტენციალზე ფოკუს ჯგუფის ყველა სამიზნე რეგიონში ისაუბრეს, როგორს სოფლის, ისე ქალაქის მაცხოვრებლებმა.

**თბილისში** ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში აღინიშნა, რომ ტურიზმის განვითარების მხრივ ერთ-ერთ მთავარ საკითხს უსაფრთხოება წარმოადგენს.

> *„ყველაზე აქტუალურია ამ ეტაპზე უსაფრთხოება. თბილისი არ არის უსაფრთხო ქალაქი, არა მარტო ტურისტისთვის, არამედ ჩემთვისაც, როგორც აქ მაცხოვრებელი ადამიანისთვის" (20 წლის ქალი, სტუდენტი; თბილისი)*

რესპონდენტებმა, აგრეთვე, აღნიშნეს, რომ თბილისში ტურისტული ატრაქციების უმეტესი ნაწილი კონცენტრირებულია ქალაქის ძველ უბნებში. საჭიროა, რომ ტურისტულად მიმზიდველი და საინტერესო თბილისის გარე უბნებიც გახდეს.

თბილისის საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ 2019 წლიდან მერია აქტიურად თანამშრომლობს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციასთან მდგრადი ტურიზმის განვითარებისა და ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის მიზნით, რომელიც უშუალოდ ტურიზმის მიმართულებით იმუშავებს. რესპონდენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა თბილისში ტურისტული ატრაქციებს გამრავალფეროვნება, რაზეც თბილისის მერია საკრებულოსთან ერთად მუშაობს.

**რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში** იმის მიუხედავად, რომ COVID-19-ის ინფექციამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ტურიზმის ინდუსტრიას, რესპონდენტები ამბობენ, რომ შიდა ტურიზმი ვითარდება და მოსახლეობას უფრო მეტად გაუჩნდა საქართველოში, მათ შორის რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში მოგზაურობის სურვილი. შიდა ტურიზმის განვითარებასთან ერთად თავს იჩენს სხვადასხვა პრობლემები. მათ შორის პროდუქციის სიმწირე, სამუშაო ძალის არარსებობა, რადგან ახალგაზრდებისგან დაცლილია რეგიონი. შესაბამისად, პრობლემურია კვალიფიციური კადრების პოვნა. მათ შორის, არ არიან გიდები. დამატებით მოსაწყობია ტურისტული ინფრასტრუქტურა, კერძოდ, ბილიკებთან ასაშენებელი სველი წერტილები. რეგიონში კვების ობიექტი არასაკმარისი რაოდენობისაა ონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2021 წელს ონის მუნიციპალიტეტში წინა წლებთან შედარებით 20-30%-ით მეტი ვიზიტორი სტუმრობდა და არსებული განთავსების ობიექტები ტურისტების მისაღებად არ აღმოჩნდა საკმარისი:

*„წელს იყო პირველი შემთხვევა რომ ონის სასტუმროების და საოჯახო სასტუმროების ტურისტების რაოდენობას ვერ გაუძლო. ტურისტი იყო 20-30%-ით მეტი ვიდრე არსებული ადგილები. შესაბამისად, ძალიან დიდ რაოდენობას ტურისტებისას მოუწია ღამის გათენება კარავში“ (ონის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).*

**რუსთაველებთან** ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში გამოიკვეთა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, რუსთავს, როგორც საბჭოთა პერიოდში დაარსებულ ქალაქს, აქვს ტურისტული პოტენციალი. რუსთავის ისტორია საინტერესო და უნიკალურია, რადგან მისი დაარსება დაკავშირებულია მძიმე მრეწველობის განვითარებასთან. ამდენად, შესაძლებელია ისეთი ტურისტული მარშრუტის შემუშავება, სადაც საინტერესოდ იქნება მოწოდებული ინფორმაცია რუსთავის ისტორიისა და განვითარების შესახებ. მათ შორის საინტერესოა რუსთავის პოსტსაბჭოთა კულტურა და ისტორია. „მძიმე მრეწველობის ქარხნები 40-მდეა რუსთავში. საბჭოთა კავშირის დროს 55-მდე იყო, ტურისტული კუთხით უნდა განვითარდეს, დიდი ისტორია გააჩნია ჩვენს ქალაქს“ (47 წლის კაცი, ქ. რუსთავი, ქვემო ქართლი).

**სამეგრელო-ზემო სვანეთის** რეგიონში, ბოლო წლებში, ტურიზმის სექტორის განვითარების კვალდაკვალ ბევრი საცხოვრებელი სახლი გადაკეთდა საოჯახო სასტუმროდ, ხოლო ოჯახის წევრები სხვადასხვა საქმიანობით (მძღოლი, მზარეული, გიდი და ა.შ) დაკავდნენ. სვანეთში ტურიზმის განვითარებამ მოსახლეობისთვის ნაკლებად პრიორიტეტული გახადა მიავიწყა სოფლის მეურნეობა.

**გურიის** რეგიონის რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელი აცხადებს, რომ რეგიონში ტურისტული პოტენციალი ბოლო წლებში გაიზარდა. კერძოდ, დასახელდა კონკრეტული ობიექტები, რომლებსაც ტურისტები სტუმრობენ. მათ შორისაა „ბლექ სი არენა“, შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი და ატრაქციონების პარკი - „ციცინათელა“. ასევე, ბოლო წლებში ვითარდება სეზონური კურორტები - ბახმარო და გომის მთა. კულტურული ტურის კუთხით არსებობს ე.წ. „გურული კრიმანჭულის“ გზა. ტურისტს შესაძლებლობა აქვს ფოლკლორულ ცენტრში და ავთენტურ გარემოში გაეცნოს ადგილობრივ ტრადიციას. მაგალითად, როგორ იქმნებოდა შრომის სიმღერები, როგორ იქმნებოდა იავნანა ეთნო გარემოში და ა.შ. ისე როგორც სხვა რეგიონებში, გურიაშიც, მუნიციპალურ ორგანოებს შეუძლია ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს აქვს როგორც საზღვაო, ისე მთის კურორტები. ორივეგან ინფრასტრუქტურა მოსაწესრიგებელია. იმის გამო, რომ არ არსებობს გენერალური განაშენიანების რეგულირების გეგმა, კურორტები ქაოტურად ვითარდება. გურიის რეგიონის რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ტურიზმის მიმართულებით რეგიონებს უნდა გააჩნდეთ საკომუნიკაციო მარკეტინგის სტრატეგიის დოკუმენტი. როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, უნდა განხორციელდეს პოპულარიზაცია. აუცილებელია, რეგიონების გაციფრულება, რომ მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან დაინტერესებულმა პირმა მიიღოს ინფორმაცია რეგიონის შესახებ - „უნდა გვქონდეს კარგი ვებ-გვერდი, ინტერნეტ სივრცეში უნდა ვიყოთ კარგად წარმოდგენილი თავისი მხარდამჭერებით“ *(გურიის რეგიონის რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელი).*

ქვემო ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში აღინიშნა, რომ ქვემო ქართლის რეგიონში საჭიროა ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. მართალია რეგიონში არსებობს ტურისტული ბილიკები, მაგრამ დამატებითი სამუშაოებია ჩასატარებელი. ქვემო ქართლში გამოკითხულმა ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ **ქვემო ქართლის** რეგიონის თბილისთან სიახლოვე, ერთი მხრივ, უპირატესობაა, თუმცა, მეორე მხრივ, ნაკლს წარმოადგენს. შესაძლებელია ერთიანი ტურების დაგეგმვა და მოკლე დროში რეგიონის ღირშესანიშნაობების მონახულება. თუმცა, თბილისთან სიახლოვის გამო, სტუმარ-მასპინძლობის სექტორი ნელი ტემპით ვითარდება, რადგან თბილისიდან ჩამოსული უცხოელი ვიზიტორები ერთი დღით ამჯობინებენ რეგიონის სტუმრობას. ამიტომ, სასურველია, რომ ქვემო ქართლში ტურისტული ინფრასტრუქტურა იმგვარად განვითარდეს, რომ რეგიონში ხანგრძლივი დროით დასვენებას შეეწყოს ხელი.

# გარე ვაჭრობა/ბაზრები/ბაზრობები

კვლევის მე-5 რაუნდში გამოკითხულმა პირებმა შეაფასეს მათ მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობისა და ბაზრების/ბაზრობების ორგანიზების საკითხი.

გარე ვაჭრობის ორგანიზების მიმართ დადებითი განწყობების მქონე რესპონდენტთა წილი კვლევაში 69.5%-ია. რაც შეეხება უარყოფით შეფასებებს, გამოკითხულთა მეხუთედი ამ საკითხით უკმაყოფილო (17.6%) ან ძალიან უკმაყოფილოა (2.6%). გარე ვაჭრობის ორგანიზებით უკმაყოფილო რესპონდენტების ყველაზე დიდი ნაწილი (29.7%) აღნიშნავს, რომ არ არის სისუფთავე/დარღვეულია სანიტარიული სტანდარტები. ამასთან, 22.9%-მა მიუთითა კეთილმოწყობის პრობლემაზე. გამოკითხულთა მეხუთედზე მცირედით მეტის უარყოფითი განწყობის მიზეზი კი გარე ვაჭრობით ქალაქის იერსახის დამახინჯებაა. შედარებით მცირეა ისეთთა წილი, რომლებიც ამბობენ, რომ გარე ვაჭრობა ქაოსურად არის ორგანიზებული ან ნებართვების გაცემა უკანონოდ ან ნაცნობობით ხორციელდება (იხ. დიაგრამა #31).

**დიაგრამა #31 - დასახლებაში / ქალაქში გარე ვაჭრობის ორგანიზებით კმაყოფილება**




გარე ვაჭრობების ორგანიზების საკითხთან შედარებით მცირედით მაღალია იმ რესპონდენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც კმაყოფილებას გამოხატავენ ბაზრების/ბაზრობების ორგანიზების საკითხთან დაკავშირებით (73.8%). უკმაყოფილო რესპონდენტების წილი 16.9%-ია. ამ უკანასკნელთა 28.2% მათ განწყობას სისუფთავის/სანიტარული სტანდარტების დარღვევით ხსნის, მათი მეოთხედი კი აღნიშნავს, რომ ბაზრები/ბაზრობები არ არის კეთილმოწყობილი. 13.3%-ს არ აღემატება მათი წილი, რომლებიც მსგავსი სავაჭრო ობიექტების ქაოსურობაზე მიუთითებენ. (იხ. დიაგრამა #32)

**დიაგრამა #32 - დასახლებაში / ქალაქში ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით კმაყოფილება**



გამოკითხვის ხუთივე ტალღაში რესპონდენტების უმრავლესობის შეფასებით, მათი მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულია. თუმცა, საინტერესოა, რომ 2013 წელს მსგავს პოზიციას გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (94.3%) აფიქსირებდა; მომდევნო წლებში მაჩვენებელი საშუალოდ 60%-მდეა შემცირებული; 2021 წელს კი 66.9%-ს უტოლდება, რაც, 2019 წლის მონაცემთან შედარებით (67.4%), მცირედით შემცირებულია.

2013 წლის მონაცემებით, გამოკითხულთა 80.8%-ს მიაჩნდა, რომ მათ მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მცირე და საშუალო ფერმერების მეურნეობის განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ხელშეწყობა არსებობდა. მსგავსი დამოკიდებულება წლების განმავლობაში შემცირებულია: 2021 – 23.2%; 2019 – 20.8%; 2017 – 25.9%; 2015 – 38.1%. მეტიც, 2019 და 2021 წლებში რესპონდენტების შედარებით დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ მსგავსი ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის მეხუთე ტალღაში, წინა რაუნდთან შედარებით, მონაცემი თითქმის 20%-ითაა შემცირებული: 2021 – 28.8%; 2019 – 46.5% (იხ. დიაგრამა #33).

**დიაგრამა #33 - სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა მეურნეობების განვითარებისთვის სათანადო ხელშეწყობის პრაქტიკა და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა**




მონაცემების **რეგიონის ჭრილში** გაანალიზების შედეგად გამოვლინდა, რომ თითოეული რეგიონისთვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად ფასდება. მსგავსი ტენდენციაა შენარჩუნებული გამოკითხვის ხუთივე ტალღაში, თუმცა, განსხვავება ის არის, რომ, 2013 წლის მო-

ნაცემებთან შედარებით, შემდგომ რაუნდებში დადებითი პასუხის კატეგორიის მაჩვენებელი შემცირებულია - თუკი 2013 წელს სოფლის მეურნეობას თითოეული რეგიონისთვის პრიორიტეტულად 90%-ზე[36] მეტი მიიჩნევდა, 2021 წლისთვის ეს მაჩვენებელი საშუალოდ 69%-ს უტოლდება. მეხუთე რაუნდში ქვემო ქართლში გამოკითხულთა 45.7% მიიჩნევს სოფლის მეურნეობას პრიორიტეტულად მაშინ, როდესაც წინა ტალღებში აღნიშნული მაჩვენებელი საშუალოდ 77%-ს უტოლდებოდა (იხ. ცხრილი #89).

**ცხრილი #89 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა რეგიონის ჭრილში**

| | % | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თქვენი აზრით, პრიორიტეტულია თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მეურნეობა? | | თბილისი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | გურია | აჭარა | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამცხე-ჯავახეთი | შიდა ქართლი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | კახეთი | საქართველო |
| 2021 | დიახ | 1 | 73 | 77 | 74.7 | 86.6 | 69.1 | 73.7 | 88 | 75.3 | 45.7 | 93.3 | 66.9 |
| | არა | 14.3 | 9.7 | 6 | 8 | 5.4 | 7 | 8.3 | 1.3 | 8.4 | 4 | 2.7 | 7 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0 | 0 | 0.3 | 1.7 | 0 | 0.3 | 0 | 0.3 | 6.3 | 0 | 0.8 |
| | არ ეხება | 81.3 | 10.3 | 14.7 | 14.7 | 0 | 23.3 | 12 | 2.7 | 10.4 | 28.3 | 0.7 | 19.8 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 3.5 | 7 | 2.3 | 2.3 | 6.4 | 0.7 | 5.7 | 8 | 5.7 | 15.7 | 3.3 | 5.5 |
| 2019 | დიახ | 53.5 | 77.2 | 90.7 | 61.7 | 84.4 | 66.4 | 75 | 76.8 | 75.9 | 70.7 | 83.4 | 67.4 |
| | არა | 15.5 | 8.7 | 4.7 | 23.3 | 9.4 | 15.1 | 6.3 | 9.5 | 9.2 | 11.7 | 9.2 | 13.2 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.4 | 0.7 | 0 | 0 | 0 | 0.3 | 0.1 |
| | არ ეხება | 23 | 1 | 0 | 1.7 | 0 | 9.9 | 6.9 | 1.7 | 0 | 6.9 | 0.3 | 9.7 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 8 | 13.2 | 4.7 | 13.3 | 6.3 | 8.2 | 11.1 | 12 | 14.9 | 10.7 | 6.8 | 9.6 |
| 2017 | დიახ | 9.9 | 74.1 | 77.8 | 54.7 | 87.5 | 75.5 | 72 | 84.6 | 69.3 | 68.4 | 92.2 | 55.1 |
| | არა | 23.7 | 12.9 | 15.7 | 17 | 9.4 | 16.3 | 9.1 | 4.1 | 14.8 | 14.7 | 5.1 | 15.8 |
| | უარი პასუხზე | 54.1 | 2.9 | 0.9 | 15 | 0 | 5.8 | 6.3 | 2.1 | 0 | 8.6 | 1.7 | 20.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 12.4 | 10 | 5.6 | 13.3 | 3.1 | 2.4 | 12.6 | 9.1 | 15.9 | 8.3 | 1 | 8.9 |
| 2015 | დიახ | 13.3 | 77 | 89.5 | 55 | 79.1 | 66.9 | 85.7 | 89.3 | 85.8 | 78.6 | 93.1 | 61 |
| | არა | 28.8 | 15.7 | 3.5 | 26.1 | 16.3 | 30.2 | 9.1 | 7.8 | 13.1 | 11.8 | 1.9 | 19.2 |
| | უარი პასუხზე | 0.2 | 0.3 | 0 | 1.1 | 0 | 0.2 | 0 | 0 | 0 | 1.1 | 0 | 0.3 |
| | არ ეხება | 53.2 | 0.3 | 0 | 11.1 | 2.3 | 0.4 | 0 | 0 | 0 | 4.4 | 0.6 | 15.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 4.5 | 6.8 | 7 | 6.8 | 2.3 | 2.4 | 5.2 | 2.9 | 2 | 4.1 | 4.4 | 4.5 |
| 2013 | დიახ | | 95.5 | 92.9 | 86.8 | 88.6 | 96 | 96.1 | 92.3 | 91.9 | 93.3 | 98.8 | 94.3 |
| | არა | | 2.7 | 6 | 11.3 | 5.7 | 2.7 | 1.9 | 6.4 | 4.1 | 4.5 | 1.2 | 4.1 |
| | უარი პასუხზე | | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | | 1.8 | 1.2 | 2 | 5.7 | 1.3 | 1 | 1.3 | 4.1 | 2.2 | 0 | 1.5 |

36. 2013 წლის კვლევაში სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა თბილისში გამოკითხულ რესპონდენტებს არ შეუფასებიათ; შესაბამისად, აღნიშნული მაჩვენებელი თბილისის მონაცემს არ მოიცავს.

მეორე მხრივ, თუკი 2013 წლის მონაცემებით, თითოეულ **რეგიონში** გამოკითხული პირების უმრავლესობა მიუთითებდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან არსებობს ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ინდივიდების მეურნეობების განვითარებისთვის, მომდევნო ტალღებში მდგომარეობა შეცვლილია. 2015 წელს აჭარაში (37.6%), მცხეთა-მთიანეთსა (45%) და ქვემო ქართლში (39.2%) უარყოფითი კატეგორიის მაჩვენებელია დომინანტური. 2017 წელს მხოლოდ 4 რეგიონი გამოიყო, სადაც რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის არსებობას: სამეგრელო-ზემო სვანეთი (44.5%), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი (53.1%), იმერეთი (48.1%), შიდა ქართლი (55.2%). 2019 წელს უკვე თითოეული რეგიონის შემთხვევაში ფიქსირდება უარყოფითი პასუხების სიჭარბე. 2021 წელს კი მეტი პოზიტიური შეფასებები გამოვლინდა აჭარის (29.3%), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის (38.9%), შიდა ქართლის (38.5%), მცხეთა-მთიანეთისა (27%) და კახეთის (30%) შემთხვევაში. სხვა რეგიონებში კვლავ ნეგატიური ტენდენცია შენარჩუნდა (იხ. ცხრილი #90).

**ცხრილი #90 - სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა მეურნეობების განვითარებისთვის სათანადო ხელშეწყობის პრაქტიკა რეგიონის ჭრილში**

| % | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **არის თუ არა სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მცირე და საშუალო ფერმერების მეურნეობების განვითარებისათვის თქვენს მუნიციპალიტეტში?** | | **თბილისი** | **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | **გურია** | **აჭარა** | **რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი** | **იმერეთი** | **სამცხე-ჯავახეთი** | **შიდა ქართლი** | **მცხეთა-მთიანეთი** | **ქვემო ქართლი** | **კახეთი** | **საქართველო** |
| 2021 | დიახ | 1 | 31 | 21.7 | 29.3 | 38.9 | 17.7 | 17.7 | 38.5 | 27 | 10 | 30 | 23.2 |
| | არა | 12 | 31.3 | 45.5 | 23.7 | 23.9 | 52 | 41.3 | 21.3 | 26 | 16.3 | 28.3 | 28.8 |
| | უარი პასუხზე | 0.5 | 1 | 0.7 | 0.7 | 2 | 0 | 0 | 0.7 | 0.7 | 5.6 | 1.7 | 1.2 |
| | არ ეხება | 81.5 | 11 | 14 | 15.3 | 0 | 21 | 15.3 | 2.3 | 10 | 27.2 | 1 | 19.9 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 5 | 25.7 | 18.1 | 31 | 35.2 | 9.3 | 25.7 | 37.2 | 36.3 | 40.9 | 39 | 26.9 |
| 2019 | დიახ | 13.8 | 36.3 | 24.3 | 23.9 | 33.3 | 14.3 | 24.8 | 29.2 | 23.6 | 15.2 | 30.5 | 20.8 |
| | არა | 39.1 | 43.1 | 50.5 | 52.8 | 48.5 | 56.3 | 44.1 | 50.8 | 48.3 | 47.9 | 45.8 | 46.5 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0.6 | 0 | 0 | 3 | 0.8 | 0.7 | 0 | 0 | 0 | 1.4 | 0.4 |
| | არ ეხება | 23.1 | 0.3 | 0.9 | 1.7 | 3 | 10.1 | 6.9 | 0.4 | 1.1 | 11 | 0.3 | 10.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 23.9 | 19.6 | 24.3 | 21.6 | 12.1 | 18.5 | 23.4 | 19.6 | 27 | 25.9 | 22 | 22.2 |
| 2017 | დიახ | 7.2 | 44.5 | 33.6 | 18.3 | 53.1 | 48.1 | 31.3 | 55.2 | 26.1 | 13.9 | 22.8 | 25.9 |
| | არა | 19.6 | 16.8 | 48.6 | 40.7 | 37.5 | 30.4 | 43.1 | 9.5 | 52.3 | 33.2 | 56.5 | 29.6 |
| | უარი პასუხზე | 55.3 | 9 | 0 | 22 | 3.1 | 6.6 | 6.9 | 6.6 | 1.1 | 20.3 | 2.7 | 23.5 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 17.9 | 29.7 | 17.8 | 19 | 6.3 | 14.9 | 18.8 | 28.6 | 20.5 | 32.6 | 18 | 21 |
| 2015 | დიახ | 5.9 | 65.6 | 57 | 29 | 46.5 | 47.6 | 56.9 | 59.8 | 43 | 37.5 | 50.9 | 38.1 |
| | არა | 26.6 | 21.7 | 27.2 | 37.6 | 44.2 | 45.6 | 36.6 | 27 | 45 | 39.2 | 18.9 | 32 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0.3 | 0 | 1.1 | 2.3 | 0.2 | 0 | 0 | 1 | 1.6 | 4.4 | 0.8 |
| | არ ეხება | 57.2 | 1.9 | 0 | 13.3 | 2.3 | 0.4 | 0 | 0 | 1 | 7.7 | 0.6 | 16.9 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 10.3 | 10.6 | 15.8 | 19 | 4.7 | 6.2 | 6.5 | 13.1 | 10 | 14 | 25.2 | 12.3 |

(გაგრძელება)

| | | % | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **არის თუ არა სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მცირე და საშუალო ფერმერების მეურნეობების განვითარებისათვის თქვენს მუნიციპალიტეტში?** | | **თბილისი** | **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | **გურია** | **აჭარა** | **რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი** | **იმერეთი** | **სამცხე-ჯავახეთი** | **შიდა ქართლი** | **მცხეთა-მთიანეთი** | **ქვემო ქართლი** | **კახეთი** | **საქართველო** |
| 2013 | დიახ | | 94.4 | 78.2 | 71.8 | 67.7 | 81.1 | 88.9 | 88.2 | 56.5 | 61 | 91.9 | 80.8 |
| | არა | | 4.7 | 11.5 | 20.6 | 25.8 | 18.2 | 9.1 | 11.1 | 39.1 | 31 | 5.6 | 15.6 |
| | უარი პასუხზე | | 0 | 1.3 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | | 0.9 | 9 | 7.6 | 6.5 | 0.7 | 1 | 0.7 | 4.3 | 8.1 | 2.4 | 3.5 |

გამოკითხვის ტალღებში, როგორც მ**აღალმთიანი, ისე სხვა ტიპის დასახლებების** მაცხოვრებლების შეფასებით, სოფლის მეურნეობა მათი მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული დარგია:

- 2021 წელი: მაღალმთიანი - 89.6%; სხვა ტიპის დასახლება - 61.9%
- 2019 წელი: მაღალმთიანი - 83.7%; სხვა ტიპის დასახლება - 65.9%
- 2015 წელი: მაღალმთიანი - 90.4%; სხვა ტიპის დასახლება - 58.7%

მეორე მხრივ კი, განსხვავებული შეფასებები დაფიქსირდა სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ხელშეწყობის არსებობის მიმართულებით. 2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში მაღალმთიანი დასახლებების რესპონდენტების მესამედზე მეტის (36.3%) აზრით, მსგავსი ხელშეწყობა არსებობს, თუმცა, ამ შეხედულებას სხვა ტიპის დასახლებების მაცხოვრებელთა მხოლოდ მეხუთედი (20.3%) იზიარებს. აქვე საგულისხმოა, რომ რესპონდენტების დიდ ნაწილს უჭირს საკითხის შეფასება ან შესაბამის ინფორმაციას არ ფლობს. გამოკითხვის წინა ტალღებში რესპონდენტები განსხვავებულად აფასებდნენ საკითხს. 2019 წელს, როგორც მაღალმთიანი, ისე სხვა ტიპის დასახლებების მაცხოვრებლების თითქმის ნახევარს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ხელშეწყობა არ არსებობდა; 2015 წელს კი პირიქით, რესპონდენტების მხრიდან საკითხი პოზიტიურად ფასდებოდა - მაღალმთიანი დასახლებების მაცხოვრებლები მეტად მიუთითებდნენ, რომ სახელმწიფო მათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების მიმართულებით სათანადოდ უწყობდა ხელს (57.1%) (იხ. ცხრილები #91, #92).

**ცხრილი #91 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | | |
|---|---|---|---|---|
| თქვენი აზრით, პრიორიტეტულია თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მეურნეობა? | | მაღალ-მთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართ-ველო |
| 2021 | დიახ | 89.6 | 61.9 | 66.9 |
| | არა | 4.6 | 7.5 | 7 |
| | უარი პასუხზე | 0.8 | 0.8 | 0.8 |
| | არ ეხება | 1 | 24 | 19.8 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 4.1 | 5.8 | 5.5 |
| 2019 | დიახ | 83.7 | 65.9 | 67.4 |
| | არა | 6.7 | 13.8 | 13.2 |
| | უარი პასუხზე | 0.3 | 0.1 | 0.1 |
| | არ ეხება | 3.1 | 10.3 | 9.7 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 6.2 | 9.9 | 9.6 |
| 2015 | დიახ | 90.4 | 58.7 | 61 |
| | არა | 7.9 | 20 | 19.2 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0.3 | 0.3 |
| | არ ეხება | 0 | 16.2 | 15.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 1.7 | 4.7 | 4.5 |

**ცხრილი #92 - სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა მეურნეობების განვითარებისთვის სათანადო ხელშეწყობის პრაქტიკა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | | |
|---|---|---|---|---|
| არის თუ არა სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მცირე და საშუალო ფერმერების მეურნეობების განვითარებისათვის თქვენს მუნიციპალიტეტში? | | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო |
| 2021 | დიახ | 36.3 | 20.3 | 23.2 |
| | არა | 24.6 | 29.7 | 28.8 |
| | უარი პასუხზე | 1.1 | 1.2 | 1.2 |
| | არ ეხება | 2.4 | 23.8 | 19.9 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 35.6 | 25 | 26.9 |
| 2019 | დიახ | 31.1 | 19.9 | 20.8 |
| | არა | 48.9 | 46.3 | 46.5 |
| | უარი პასუხზე | 0.6 | 0.3 | 0.4 |
| | არ ეხება | 3.1 | 10.8 | 10.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 16.3 | 22.8 | 22.2 |
| 2015 | დიახ | 57.1 | 36.6 | 38.1 |
| | არა | 37 | 31.6 | 32 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0.9 | 0.8 |
| | არ ეხება | 1.3 | 18.1 | 16.9 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 4.6 | 12.8 | 12.3 |

გამოკითხვის ხუთივე ტალღაში ყოველი **ასაკობრივი ჯგუფის** რესპონდენტების შეფასებით, მათი მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგია. მიუხედავად პოზიტიური შეფასებისა, საგულისხმოა, რომ 2013 წლის მონაცემებთან შედარებით, მაჩვენებლები მკვეთრად შემცირებულია. გამოკითხვის პირველ რაუნდში ყოველი ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების 90%-ზე მეტს მიაჩნდა სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულად, ხოლო 2021 წელს 18-24 წლის ინდივიდთა შორის მაჩვენებელი 55.1%-მდე მცირდება. 2013 წლიდან სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობას კლებადი ტენდენცია აქვს, რაც ყველაზე დაბალ მაჩვენებლებს 2017 წლის გამოკითხვის ფარგლებში აღწევს - 18-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის 41% აფიქსირებდა დადებით პასუხს. შემდგომ რაუნდებში მონაცემები უფრო მზარდია. 2021 წლის შემთხვევაში სოფლის მეურნეობას ყველაზე მეტად პრიორიტეტულად 55-64 წლის ასაკობრივი ჯგუფის (70.1%) რესპონდენტები მიიჩნევენ; შემდგომ პოზიციას კი 65 წლის ან მეტი ასაკის პირები იკავებენ - 68.7% (იხ. ცხრილი #93).

**ცხრილი #93 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა ასაკის ჭრილში**

| | | % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თქვენი აზრით, პრიორიტეტულია თუ არა თქვენი მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მეურნეობა? | | 18-24 წლის | 25-34 წლის | 35-44 წლის | 45-54 წლის | 55-64 წლის | 65 წლის ან მეტის | საქართველო |
| 2021 | დიახ | 55.1 | 65.9 | 70.1 | 68 | 70.1 | 68.7 | 66.9 |
| | არა | 9.3 | 5.2 | 5.3 | 7 | 7.9 | 8.1 | 7 |
| | უარი პასუხზე | 1.2 | 0.9 | 1.4 | 0.2 | 1.1 | 0.3 | 0.8 |
| | არ ეხება | 27.4 | 22 | 18.9 | 19.4 | 14.8 | 18 | 19.8 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 6.9 | 6 | 4.3 | 5.5 | 6 | 4.8 | 5.5 |
| 2019 | დიახ | 67.7 | 69.2 | 65.7 | 68.4 | 73.7 | 61.5 | 67.4 |
| | არა | 16.2 | 11.4 | 13.2 | 13.9 | 11.4 | 13.7 | 13.2 |
| | უარი პასუხზე | 0 | 0 | 0.1 | 0.1 | 0.2 | 0.2 | 0.1 |
| | არ ეხება | 9.5 | 8.8 | 11.2 | 6.8 | 7 | 14 | 9.7 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 6.6 | 10.6 | 9.8 | 10.9 | 7.6 | 10.7 | 9.6 |
| 2017 | დიახ | 41 | 51.8 | 50.5 | 57.2 | 61.1 | 64.6 | 55.1 |
| | არა | 27.2 | 17.1 | 14.5 | 13.5 | 12.7 | 13.6 | 15.8 |
| | უარი პასუხზე | 21 | 19.5 | 24.8 | 20.4 | 19.6 | 15.8 | 20.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 10.8 | 11.5 | 10.1 | 8.9 | 6.6 | 6 | 8.9 |
| 2015 | დიახ | 50.6 | 60.4 | 58.8 | 60 | 63.7 | 68.7 | 61 |
| | არა | 25.3 | 17.8 | 21.5 | 21 | 18.7 | 13.5 | 19.2 |
| | უარი პასუხზე | 0.6 | 0.5 | 0.3 | 0 | 0.2 | 0.4 | 0.3 |
| | არ ეხება | 19.4 | 15.5 | 16.1 | 14.7 | 11.4 | 14.4 | 15.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 4.1 | 5.8 | 3.2 | 4.4 | 6 | 3 | 4.5 |
| 2013 | დიახ | 95.4 | 90.7 | 95.9 | 97.3 | 94.8 | 92.6 | 94.3 |
| | არა | 3.2 | 8.3 | 2.7 | 2.1 | 3.4 | 4.4 | 4.1 |
| | უარი პასუხზე | 0.5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0.9 | 1 | 1.4 | 0.6 | 1.7 | 3 | 1.5 |

2021 წელს გამოკითხულთა თითქმის მეოთხედის (23.3%) შეფასებით, მათი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა მცირე ნაწილია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული, ხოლო 29.8%-ის აზრით - მნიშვნელოვანი ნაწილი. 2019 წელს ჩატარებული კვლევისას რესპონდენტების 28.8% სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად მცირე ნაწილს მიიჩნევდა და მხოლოდ 13.9% უთითებდა, რომ მსგავს საქმიანობას მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეწევა.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი 2019 წელს გამოკითხული რესპონდენტების 81.1% აფასებდა სოფლის მეურნეობას მათი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვნად, 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 73.8%-მდეა შემცირებული, თუმცა, კვლავ დომინანტურ პოზიციას იკავებს (3 და 4 ქულები 4 ქულიან სკალაზე) (იხ. დიაგრამა #34).

**დიაგრამა #34 - სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვნება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის**




სოფლის მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში დომინირებდა მოსაზრება, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებით შესაძლებელია უმუშევრობის დონის შემცირება. რესპოდენტთა აზრით დასავლეთ საქართველოს რეგიონებში (გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი) პოპულარული ხდება მოცვის კულტურის გაშენება და ლოკოკინის ფერმის მოწყობა. ტრადიციულ მეურნეობად უკვე თხილის მოყვანა ითვლება. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რესპონდენტებმა დაასახელეს ვენახის გაშენება. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც აღნიშნეს, რომ ღვინის ტურიზმს განსაკუთრებული პოტენციალი გააჩნია რეგიონში.

> *„3 უნიკალური ჯიშის ყურძენია რეგიონში - ცოლიკაური, უსახელაური და ოჯალეში. ღვინის ტურიზმის პოპულარულობამ განაპირობა კერძო სექტორის გააქტიურება და საოჯახო მარნების მომრავლება. ამაში ხელი შეუწყო სახელმწიფო პროგრამებმა, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში" და ა.შ" (ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).*

გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტებს სოფლის მეურნეობის მიმართულებით არსებული სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო დახმარება წარედგინათ. როგორც აღმოჩნდა, 2015-2021 წლების გამოკითხვაში რესპონდენტების დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ მათთვის არცერთი დახმარება არ არის ხელმისაწვდომი. 2021 წელს მსგავს პასუხს რესპონდენტების 66.5% აფიქსირებს. განსხვავებული მდგომარეობაა 2013 წელს - გამოკითხულთა 40.8%-ის შეფასებით, მიწის დამუშავებაზე/ტექნიკაზე ვაუჩერები ხელმისაწვდომია, რაც დომინანტურ პოზიციას წარმოადგენს. გამოკითხვის სხვა ტალღებშიც დასახელებულ კატეგორიებს შორის ვაუჩერები, სასუქი, პესტიციდები და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება ჭარბობს. თუმცა, 2021 წელს ამ და სხვა დახმარებების პროცენტული მაჩვენებელი 10%-საც ვერ უტოლდება (იხ. ცხრილი #94).

**ცხრილი #94 - სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო დახმარებების ხელმისაწვდომობა**

| ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის სახელმწიფო დახმარებები სოფლის მეურნეობის შემდეგ მიმართულებებში? (%) | 2021 | 2019 | 2017 | 2015 | 2013 |
|---|---|---|---|---|---|
| აგრონომის მომსახურება | 3.3 | 3.8 | 0.7 | 4.1 | 5.5 |
| სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება | 7.9 | 8.5 | 5.7 | 10.2 | 14.1 |
| სათესლე-სანერგე პროდუქცია | 5.1 | 3.9 | 1.4 | 5.9 | 8.5 |
| სასუქი, პესტიციდები | 6 | 9.6 | 9.1 | 18.5 | 25.2 |
| ვაუჩერები მიწის დამუშავებაზე/ტექნიკაზე | 8.6 | 4.2 | 19.7 | 26.1 | 40.8 |
| კონსულტაციები სოფლის და სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ. | 1.9 | 2.5 | | | |
| სხვა | 0.7 | 0.1 | 0.02 | 0.1 | 0.5 |
| არცერთი | 66.5 | 64.1 | 63.4 | 35.1 | 5.4 |

აღსანიშნავია, რომ 2021 და 2019 წლის გამოკითხვის ტალღებში, როგორც **მაღალმთიანი, ისე სხვა ტიპის დასახლებების** მაცხოვრებლების უმრავლესობის შეფასებით, მათთვის სახელმწიფო დახმარებები სოფლის მეურნეობის არცერთი მიმართულებით არ არის ხელმისაწვდომი:

- 2021 წელი: მაღალმთიანი - 61.6%; სხვა ტიპის დასახლება - 67.6%
- 2019 წელი: მაღალმთიანი - 62.7%; სხვა ტიპის დასახლება - 64.2%

2015 წელს კი, განსხვავებული ვითარება ფიქსირდებოდა - მაღალმთიანი დასახლებების მაცხოვრებლები მიწის დამუშავებაზე/ტექნიკაზე ვაუჩერებისა (37.8%) და სასუქი, პესტიციდების (27.8%) მიმართულებით არსებულ ხელშეწყობაზე მიუთითებდნენ (იხ. ცხრილი #95).

**ცხრილი #95 - სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო დახმარებების ხელმისაწვდომობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის სახელმწიფო დახმარებები სოფლის მეურნეობის შემდეგ მიმართულებებში? (%) | | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო |
|---|---|---|---|---|
| აგრონომის მომსახურება | 2021 | 4.8 | 3 | 3.3 |
| | 2019 | 3.9 | 3.8 | 3.8 |
| | 2015 | 4.6 | 4 | 4.1 |
| სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება | 2021 | 11.3 | 7.1 | 7.9 |
| | 2019 | 12.6 | 8.2 | 8.5 |
| | 2015 | 11.9 | 10 | 10.2 |
| სათესლე-სანერგე პროდუქცია | 2021 | 3.9 | 5.4 | 5.1 |
| | 2019 | 3.9 | 3.9 | 3.9 |
| | 2015 | 6.6 | 5.9 | 5.9 |
| სასუქი, პესტიციდები | 2021 | 5 | 6.2 | 6 |
| | 2019 | 5.4 | 10 | 9.6 |
| | 2015 | 27.8 | 17.7 | 18.5 |

(გაგრძელება)

| ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის სახელმწიფო დახმარებები სოფლის მეურნეობის შემდეგ მიმართულებებში? | % | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო |
|---|---|---|---|---|
| ვაუჩერები მიწის დამუშავებაზე/ტექნიკაზე | 2021 | 10 | 8.3 | 8.6 |
| | 2019 | 4.6 | 4.1 | 4.2 |
| | 2015 | 37.8 | 25.1 | 26.1 |
| კონსულტაციები სოფლის და სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ. | 2021 | 1.6 | 1.9 | 1.9 |
| | 2019 | 4.7 | 2.3 | 2.5 |
| | 2015 | | | |
| სხვა | 2021 | 1.8 | 0.5 | 0.7 |
| | 2019 | 2.3 | 3.6 | 0.1 |
| | 2015 | 0.3 | 0.1 | 0.1 |
| არცერთი | 2021 | 61.6 | 67.6 | 66.5 |
| | 2019 | 62.7 | 64.2 | 64.1 |
| | 2015 | 11.1 | 37.2 | 35.1 |

იმ რესპონდენტების უმრავლესობა, რომელთაც სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო დახმარებების ხელმისაწვდომობაზე მიუთითეს, აღნიშნული სერვისებით კმაყოფილია (საშუალოდ, 65% - 3 და 4 ქულები 4 ქულიან სკალაზე). მიუხედავად ამისა, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა რესპონდენტების წილი, რომლებიც ამ დახმარებებით უკმაყოფილონი არიან (1-20%-ის ფარგლებში). მსგავსი დამოკიდებულება ვლინდებოდა გამოკითხვის წინა ტალღებშიც, რაც დეტალურად წარმოდგენილია ცხრილში #9.

**ცხრილი #96 - სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო დახმარებებით კმაყოფილება**

| რამდენად კმაყოფილი ხართ თითოეული დახმარებით? | % | ძალიან უკმაყოფილო | უკმაყოფილო | კმაყოფილი | ძალიან კმაყოფილი | მიჭირს პასუხი |
|---|---|---|---|---|---|---|
| აგრონომის მომსახურება | 2021 (N=133) | 1.9 | 13 | 57.5 | 4.4 | 23.2 |
| | 2019 (N=154) | 0.2 | 12 | 57 | 5.4 | 25.4 |
| | 2017 (N=26) | 0 | 5.8 | 78.8 | 3.1 | 12.4 |
| | 2015 (N=212) | 2.5 | 22.8 | 40.7 | 4.5 | 29.4 |
| | 2013 (N=165) | 3.2 | 38.3 | 46.8 | 5.6 | 6 |
| სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება | 2021 (N=314) | 2.7 | 14.7 | 63.1 | 4.1 | 15.5 |
| | 2019 (N=345) | 1.8 | 18.5 | 59.4 | 5.4 | 14.9 |
| | 2017 (N=222) | 0 | 5.7 | 83.7 | 2.5 | 8 |
| | 2015 (N=528) | 1.3 | 14.6 | 64.6 | 4.6 | 14.9 |
| | 2013 (N=419) | 3.8 | 14.6 | 72.8 | 6.6 | 2.2 |
| სათესლე-სანერგე პროდუქცია | 2021 (N=204) | 2.2 | 18 | 60.1 | 5 | 14.7 |
| | 2019 (N=156) | 2.9 | 7.2 | 60.9 | 6.3 | 22.6 |
| | 2017 (N=54) | 0 | 4.6 | 74.7 | 9.1 | 11.5 |
| | 2015 (N=307) | 1.4 | 32.5 | 41 | 5.6 | 19.5 |
| | 2013 (N=252) | 3.3 | 22.2 | 60.9 | 7.9 | 5.7 |
| სასუქი, პესტიციდები | 2021 (N=239) | 2.9 | 12.7 | 67.9 | 4.4 | 12.1 |
| | 2019 (N=390) | 2.8 | 20.3 | 63.3 | 3.7 | 9.9 |
| | 2017 (N=354) | 0.2 | 1.9 | 84.7 | 8 | 5.2 |
| | 2015 (N=963) | 1.2 | 10.2 | 66.7 | 14.1 | 7.9 |
| | 2013 (N=751) | 1.8 | 4.2 | 78.4 | 14.9 | 0.7 |

(გაგრძელება)

| რამდენად კმაყოფილი ხართ თითოეული დახმარებით? | | ძალიან უკმაყოფილო | უკმაყოფილო | კმაყოფილი | ძალიან კმაყოფილი | მიჭირს პასუხი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | |
| ვაუჩერები მიწის დამუშავებაზე/ტექნიკაზე | 2021 (N=343) | 4 | 16.3 | 62.2 | 6.1 | 11.4 |
| | 2019 (N=169) | 4.3 | 8.9 | 67 | 2.8 | 17.1 |
| | 2017 (N=765) | 0.1 | 3.9 | 83.7 | 7.3 | 4.9 |
| | 2015 (N=1356) | 0.9 | 7.9 | 70.8 | 12.2 | 8.2 |
| | 2013 (N=1215) | 2.8 | 7.3 | 71.4 | 14.8 | 3.6 |
| კონსულტაციები სოფლის და სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტების შესახებ | 2021 (N=75) | 5 | 23.4 | 50.2 | 3.9 | 17.6 |
| | 2019 (N=100) | 5.9 | 21.2 | 51.5 | 3 | 18.5 |

თვისებრივი კვლევის ფარგლებში იმ რესპონდენტების შეფასებით, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით არიან დაკავებულები, საუბრობენ სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარის მხარდაჭერაზე. თანადაფინანსების წილი, რასაც სახელმწიფო უზრუნველყოფს, საკმარისი არ არის სოფლის მეურნეობის გასავითარებლად. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პროდუქციის რეალიზაციის საკითხი. მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფში გამოითქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტში უნდა არსებობდეს სამსახური, ან თანამშრომელი, რომელიც მოსახლეობას კონსულტაციას გაუწევს მოყვანილი პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კონსულტაცია უნდა შეეხოს ფასის განსაზღვრასაც.

ქვემო ქართლის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ფერმერების ნაწილი თავს იკავებს სოფლის მეურნეობაში არსებული სადაზღვეო სერვისის სარგებლობისგან. ამის მიზეზი ისაა, რომ ფერმერებს არ სურთ დამატებითი თანხების გაღება, რითაც შეცდომას უშვებენ:

> *„სტიქიური უბედურების დროს დაზღვეული უნდა იყოს მიწა, მით უფრო, როცა 100 და 200 ჰექტარი გაქვს. ფულის გადახდა ფერმერს არ სურს. იმედი აქვთ, რომ არაფერი მოუვათ და მიიღებენ მოსავალს“ (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).*

სოფლის მეურნეობის სექტორში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მცირე მიწიანი ინდივიდუალური მეურნეობების არსებობა. აგრეთვე, ჯერ კიდევ ნაკლები ინვესტიციები სოფლის მეურნეობის სექტორში, რომლის დაძლევის ერთადერთ გზა გამსხვილებაა ინდივიდუალურ კერძო მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების გზით:

> *„ერთ ჰექტარზე შეუძლებელია განავითარო ისეთი მეურნეობა, რომ ოჯახიც არჩინო და სახელმწიფოსაც რაღაც სარგებელი მისცე. შეუძლებელია მცირე მიწაზე მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენება, შეუძლებელია ტექნიკის სრულფასოვანი გამოყენება და ა.შ“ (ქვემო ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელი).*

ქვემო ქართლში ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სამაცივრე მეურნეობის რაოდენობა იზრდება მუნიციპალიტეტში, რითაც ფერმერებს აქვთ საშუალება, წარმოებული პროდუქცია გარკვეული ვადით შეინახონ და მოახდინონ მათი რეალიზება. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გადამამუშავებელი მრეწველობა ქვემო ქართლში განვითარებულია. მარნეულში არის საკონსერვო ქარხანა, რომელიც გადამუშავებას ეწევა. დმანისში ძალიან მძლავრი კოოპერატივია შექმნილი და უცხოურ ინვესტორებთან პარტნიორობით სახელმწიფოს ძალისხმევით პროფესიული სასწავლებელი დაარსდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მოსამზადებლად. თუმცა, რესპონდენტები ყველაზე დიდ პრობლემას თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდების არცოდნაში ხედავენ.

კვლევის სხვადასხვა ტალღის ფარგლებში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა თვლის, რომ მათ დასახლებაში/ქალაქში/დაბაში მოსახლეობის უსაფრთხოება დაცულია (2021 წ – 80.7%; 2019 – 64.8%; 2017 – 72.8%; 2015 – 83.2%; 2013 – 85.4%). თვალსაჩინოა, რომ 2021 წლისათვის რესპონდენტთა წილი, ვინც მოსახლეობის უსაფრთხოებას დაცულად აფასებს, ჩამორჩება 2013-2015 წლების ამავე მონაცემს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2019 წლის შედეგთან შედარებით, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (იხ. ცხრილი #97).

**ცხრილი #97 - მოსახლეობის უსაფრთხოების დაცულობა**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რამდენად დაცულია მოსახლეობის უსაფრთხოება თქვენს დასახლებაში / ქალაქში / დაბაში?** | **2021 (N=3092)** | **2019 (N=3045)** | **2017 (N=2675)** | **2015 (N=2499)** | **2013 (N=2005)** |
| სრულიად დაუცველია | 1.5 | 3.6 | 2.5 | 2.7 | 1.9 |
| დაუცველია | 14.2 | 24.9 | 20,1 | 11.5 | 10.1 |
| დაცულია | 70.2 | 60.3 | 63.4 | 65.9 | 68.1 |
| სრულიად დაცულია | 10.5 | 4.5 | 9.4 | 17.3 | 17.3 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 3.6 | 6.7 | 4.7 | 2.7 | 2.6 |

2013-2021 წლების გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა აფიქსირებს, რომ ძარცვა/ყაჩაღობა მათ დასახლებაში არ არის გავრცელებული, ან იშვიათია (2021 – 87.5%; 2019 – 83.5%; 2017 – 85.3%; 2015 – 91.5%; 2013 – 94.4%). 2021 წლის ფარგლებში გაკეთებული შეფასებები ამ მხრივ ჩამორჩება 2013-2015 წლების ამავე მონაცემებს.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა გაიხსენეს ბანკის ძარცვა ზუგდიდში: *„ზუგდიდში ბანკი რომ გაიძარცვა. ეს ყველას ახსოვს. ყველაზე ცუდად დამამახსოვრდა (18 წლის კაცი, სტუდენტი; ქ. ზუგდიდის მაცხოვრებელი, სამეგრელო-ზემო სვანეთი).*

კვლევის ხუთი ეტაპის პერიოდში რესპონდენტთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ დასახლებაში ნარკოტიკების მოხმარება არ არის გავრცელებული, ან იშვიათია (2021 – 69.5%;  2019 – 57%; 2017 – 74.9%; 2015 – 81.6%; 2013 – 85.6%). აღსანიშნავია, რომ 2019-2021 წლისათვის რესპონდენტთა წილი, ვინც აღნიშნულ შეფასებებს აკეთებს, ჩამორჩება წინა წლების ამავე მონაცემებს.

გამოკითხვის სხვადასხვა რაუნდის ფარგლებში რესპონდენტების უმეტესობის თანახმად, მათ დასახლებაში არ არის გავრცელებული, ან იშვიათია ალკოჰოლის მოხმარება  (2021 – 59%; 2019 – 50.7%; 2017 –  65.9%; 2015 – 72%; 2013 – 72%). ამ ჭრილში, 2019-2021 წლის მონაცემები ჩამორჩება სხვა წლების ამავე მაჩვენებლებს (იხ. ცხრილი #98).

**ცხრილი #98 - დასახლებაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გავრცელებული პრობლემები**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რამდენად გავრცელებულია თითოეული პრობლემა თქვენს დასახლებაში?** | | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| ძარცვა / ყაჩაღობა | არ არის გავრცელებული | 60.6 | 54.7 | 57.1 | 73 | 75.9 |
| | იშვიათია | 26.9 | 28.8 | 28.1 | 18.4 | 18.2 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 6.6 | 9.9 | 8.4 | 4 | 2.9 |
| | ძალიან გავრცელებულია | 2.8 | 0.8 | 0.6 | 0.2 | 0.1 |
| | არ ვიცი | 3 | 5.8 | 5.7 | 4.3 | 2.9 |
| ნარკოტიკების მოხმარება | არ არის გავრცელებული | 45.1 | 42.5 | 54.6 | 69.5 | 71.4 |
| | იშვიათია | 24.4 | 14.5 | 20.3 | 12.1 | 14.2 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 14.3 | 18.8 | 11.5 | 5.9 | 5.5 |
| | ძალიან გავრცელებულია | 5.7 | 6 | 1.8 | 0.6 | 0.5 |
| | არ ვიცი | 10.5 | 18.2 | 11.8 | 11.8 | 8.4 |
| ალკოჰოლის მოხმარება | არ არის გავრცელებული | 22 | 22.8 | 30 | 45.5 | 39.2 |
| | იშვიათია | 37 | 27.9 | 35.9 | 26.4 | 32.8 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 30.1 | 34.4 | 24.7 | 19.6 | 20.2 |
| | ძალიან გავრცელებულია | 7.4 | 7.2 | 4.8 | 3.9 | 3.6 |
| | არ ვიცი | 3.6 | 7.6 | 4.6 | 4.6 | 4.2 |

კვლევის მეხუთე რაუნდის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების მიერ მათ დასახლებაში გავრცელებული პრობლემების შეფასების ანალიზი რეგიონულ ჭრილში აჩვენებს, რომ ძარცვა-ყაჩაღობა ყველაზე ნაკლებად მცხეთა-მთიანეთის (84.9%), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა (81.7%) და კახეთის (82.7%) რეგიონებშია გავრცელებული. მათ შორის, რომელთაც აღნიშნეს, რომ გავრცელებულია, ყველაზე მაღალია სამცხე-ჯავახეთში (18%), აჭარასა (14%) და თბილისში (12%) გამოკითხული რესპონდენტების წილი. 5-ვე ტალღის მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ 2013-2021 წლებში გურიაში, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში ცალსახად იკლებს ისეთ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ამბობენ, რომ მათ დასახლებაში არ არის გავრცელებული ძარცვა-ყაჩაღობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ მაშინ როდესაც, თბილისში კვლევის მესამე რაუნდისთვის 2-ჯერ იყო გაზრდილი ძარცვის-ყაჩაღობის საფრთხის მაჩვენებელი (2015 – 11%; 2017 – 22.3%), 2021 წელს ისევ შემცირდა და 12%-მდე ჩამოვიდა (იხ. ცხრილი #99).

**ცხრილი #99 - ძარცვა-ყაჩაღობის გავრცელებულობა რეგიონის მიხედვით**

| % | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რამდენად არის გავრცელებული თქვენს რეგიონში ძარცვა-ყაჩაღობა? (%)** | | **თბილისი** | **აჭარა** | **გურია** | **იმერეთი** | **კახეთი** | **მცხეთა-მთიანეთი** | **ქვემო ქართლი** | **რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი** | **სამცხე-ჯავახეთი** | **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | **შიდა ქართლი** | **საქართველო** |
| 2021 | არ არის გავრცელებული | 49 | 63 | 65 | 63.5 | 82.7 | 84.9 | 39.8 | 81.7 | 36.7 | 49.3 | 54.8 | 60.6 |
| | იშვიათია | 34.8 | 22 | 32 | 32.8 | 12 | 8 | 18.1 | 16.7 | 38.3 | 49 | 29.6 | 26.9 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 10.5 | 11.3 | 1.3 | 3 | 2.3 | 2.7 | 2.7 | 0.3 | 8.3 | 1.3 | 10.6 | 6.6 |
| | ძალიან გავრცელებულია | 1.5 | 2.7 | 0 | 0 | 0 | 0.3 | 0.3 | 0 | 9.7 | 0 | 0.7 | 2.8 |
| | არ ვიცი | 4.3 | 1 | 1.7 | 0.7 | 3 | 4 | 4 | 1.3 | 7 | 0.3 | 4.3 | 3 |

(გაგრძელება)

| რამდენად არის გავრცელებული თქვენს რეგიონში ძარცვა-ყაჩაღობა? (%) | | თბილისი | აჭარა | გურია | იმერეთი | კახეთი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | შიდა ქართლი | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | | | | | | | | |
| 2019 | არ არის გავრცელებული | 31.3 | 41.3 | 79.4 | 69 | 66.4 | 76.1 | 62.6 | 93.5 | 62.2 | 78.3 | 56.4 | 54.7 |
| | იშვიათია | 39.7 | 37 | 15 | 21.5 | 24.7 | 18.2 | 23.5 | 6.5 | 25.2 | 17.5 | 30.3 | 28.8 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 19.8 | 8.7 | 2.8 | 4.4 | 4.4 | 1.1 | 7.5 | 0 | 7 | 2.9 | 8.7 | 9.9 |
| | ძალიან გავრცელებულია | 0.9 | 1.7 | 0 | 1.6 | 0 | 0 | 0.5 | 0 | 0.7 | 0.3 | 0.8 | 0.8 |
| | არ ვიცი | 8.3 | 11.3 | 2.8 | 3.4 | 4.4 | 4.5 | 5.9 | 0 | 4.9 | 1 | 3.7 | 5.8 |
| 2017 | არ არის გავრცელებული | 15.5 | 83 | 86.9 | 72 | 77.2 | 78.9 | 61.9 | 93.8 | 83.2 | 77.4 | 68.6 | 57.1 |
| | იშვიათია | 48.7 | 15 | 9.3 | 22.7 | 17.3 | 14.4 | 25.9 | 6.3 | 13.3 | 17.4 | 24.8 | 28.1 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 20.4 | 1.7 | 1.9 | 3.4 | 3.4 | 2.2 | 6.1 | 0 | 1.4 | 2.3 | 2.9 | 8.4 |
| | ძალიან გავრცელებულია | 1.9 | 0 | 0 | 0.4 | 0.4 | 0 | 0.3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.6 |
| | არ ვიცი | 13.6 | 0.3 | 1.9 | 1.9 | 1.4 | 4.4 | 5.9 | 0 | 2.1 | 2.9 | 3.7 | 5.7 |
| 2015 | არ არის გავრცელებული | 38.4 | 78.9 | 87.6 | 92 | 79 | 92.9 | 78.1 | 97.6 | 87.7 | 82.9 | 87.7 | 73 |
| | იშვიათია | 38.2 | 16.8 | 8.8 | 7.8 | 12.9 | 6.1 | 17.5 | 2.4 | 9.7 | 13.8 | 7.8 | 18.4 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 10.1 | 3.2 | 2.7 | 0.2 | 2.8 | 1 | 1.9 | 0 | 0.6 | 3 | 2.5 | 4 |
| | ძალიან გავრცელებულია | 0.9 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.2 |
| | არ ვიცი | 12.3 | 1.1 | 0.9 | 0 | 5.3 | 0 | 2.5 | 0 | 1.9 | 0.3 | 2.1 | 4.3 |
| 2013 | არ არის გავრცელებული | 50.7 | 87.5 | 88.6 | 91.1 | 72.6 | 85.9 | 85.8 | 95.2 | 94.2 | 90.8 | 61.2 | 75.9 |
| | იშვიათია | 31.2 | 9.3 | 10.5 | 8 | 24.5 | 8.1 | 12.9 | 4.8 | 3.9 | 8.7 | 38 | 18.2 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 8.3 | 2.5 | 0 | 0 | 2.5 | 3 | 1.1 | 0 | 0.6 | 0.3 | 0.8 | 2.9 |
| | ძალიან გავრცელებულია | 0.1 | 0.7 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.1 |
| | არ ვიცი | 9.7 | 0 | 0.9 | 0.9 | 0.3 | 3 | 0.3 | 0 | 1.3 | 0.3 | 0 | 2.9 |

ნარკოტიკების მოხმარება 2021 წლის კვლევის მონაცემების თანახმად ყველაზე მეტად თბილისში (45.8%), ქვემო ქართლსა (38%) და აჭარაშია (29.9%) გავრცელებული, ყველაზე ნაკლებად კი მცხეთა -მთიანეთისა (5.3%) და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის (2.3%) **რეგიონში.** წლების მიხედვით ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების გავრცელების დინამიკა აჩვენებს, რომ 2013-2021 წლებში იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათ დასახლებაში არ არის გავრცელებული ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება, მნიშვნელოვნად შემცირდა იმერეთის (2021 – 58.7%; 2013 – 90.7%), ქვემო ქართლის (2021 – 20%; 2013 – 83.8%), სამცხე-ჯავახეთისა (2021 – 49.8%; 2013 – 94.8%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (2021 – 26.8%; 2013 – 88%) მაცხოვრებლების წილი. იმ რეგიონებს, სადაც მეტ-ნაკლებად პოზიტიური დინამიკა შეინიშნება და ნარკოტიკების მოხმარების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მზარდი არ არის, წარმოადგენს მცხეთა-მთიანეთი და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი (იხ. ცხრილი #100).

**ცხრილი #100 - ნარკოტიკების მოხმარების გავრცელებულობა რეგიონის მიხედვით**

| | | % | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რამდენად არის გავრცელებული ნარკოტიკების მოხმარება თქვენს დასახლებაში? (%) | | თბილისი | აჭარა | გურია | იმერეთი | კახეთი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | შიდა ქართლი | საქართველო |
| 2021 | არ არის გავრცელებული | 24.3 | 41.9 | 26.3 | 58.7 | 62.9 | 77 | 20 | 72 | 49.8 | 26.8 | 43 | 45.1 |
| | იშვიათია | 24.5 | 19.3 | 50.3 | 22 | 15.1 | 8.7 | 15.3 | 24 | 17.1 | 52.8 | 19.3 | 24.4 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 33.8 | 21.9 | 9.7 | 11 | 10.7 | 4.3 | 21 | 2.3 | 9.7 | 7 | 19.7 | 14.3 |
| | ძალიან გავრცელებულია | 12 | 8 | 1.3 | 1.3 | 0.3 | 1 | 17 | 0 | 7.4 | 4.7 | 6.7 | 5.7 |
| | არ ვიცი | 5.5 | 9 | 12.3 | 7 | 11 | 9 | 26.7 | 1.7 | 16.1 | 8.7 | 11.3 | 10.5 |
| 2019 | არ არის გავრცელებული | 17 | 35.3 | 57 | 56.7 | 53.2 | 53.4 | 55.3 | 68.8 | 60 | 61.4 | 46.1 | 42.5 |
| | იშვიათია | 14.6 | 19 | 14 | 11.5 | 14.6 | 13.6 | 8.6 | 12.5 | 15.2 | 15.8 | 21.2 | 14.5 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 38.1 | 18.7 | 9.3 | 9.3 | 9.2 | 9.1 | 7.8 | 6.3 | 8.3 | 11.6 | 12.9 | 18.8 |
| | ძალიან გავრცელებულია | 13.4 | 4 | 2.8 | 4.8 | 1 | 3.4 | 3.5 | 0 | 2.1 | 2.3 | 1.2 | 6 |
| | არ ვიცი | 16.9 | 23 | 16.8 | 17.7 | 22 | 20.5 | 24.9 | 12.5 | 14.5 | 9 | 18.7 | 18.2 |
| 2017 | არ არის გავრცელებული | 12.3 | 79.7 | 83.2 | 76.6 | 72.4 | 77.3 | 58.3 | 96.9 | 79.2 | 71.1 | 66 | 54.6 |
| | იშვიათია | 32.5 | 13.3 | 8.4 | 11.5 | 16.7 | 6.8 | 23.3 | 3.1 | 6.9 | 20.3 | 15.8 | 20.3 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 30.7 | 1.3 | 0 | 4 | 4.1 | 2.3 | 8.6 | 0 | 1.4 | 1.9 | 0.8 | 11.5 |
| | ძალიან გავრცელებულია | 5.3 | 0 | 0 | 1.2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.6 | 0 | 1.8 |
| | არ ვიცი | 19.2 | 5.7 | 8.4 | 6.7 | 6.8 | 13.6 | 9.9 | 0 | 12.5 | 6.1 | 17.4 | 11.8 |
| 2015 | არ არის გავრცელებული | 27.7 | 79.2 | 79.1 | 89.4 | 70.8 | 88.8 | 80.3 | 97.7 | 94.1 | 85.3 | 88.1 | 69.5 |
| | იშვიათია | 21.6 | 14 | 13 | 6.7 | 13.2 | 6.1 | 10.7 | 2.3 | 3.3 | 7.9 | 4.9 | 12.1 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 19.5 | 1.4 | 2.6 | 0.9 | 3.1 | 2 | 1.6 | 0 | 0 | 1.1 | 0.4 | 5.9 |
| | ძალიან გავრცელებულია | 2.1 | 0 | 0 | 0 | 0.3 | 0 | 0.3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.6 |
| | არ ვიცი | 29.2 | 5.4 | 5.2 | 2.9 | 12.5 | 3.1 | 7.1 | 0 | 2.6 | 5.7 | 6.6 | 11.8 |
| 2013 | არ არის გავრცელებული | 36.7 | 82.4 | 87.7 | 90.7 | 74.3 | 77.3 | 83.8 | 90.5 | 94.8 | 88.0 | 65.4 | 71.4 |
| | იშვიათია | 22.7 | 9.7 | 7.9 | 6.2 | 18.2 | 6.2 | 8.8 | 7.1 | 26 | 9.8 | 31.3 | 14.2 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 17.2 | 2.9 | 0.9 | 0.5 | 2.2 | 3.1 | 3 | 0 | 0 | 0.8 | 0.4 | 5.5 |
| | ძალიან გავრცელებულია | 1.4 | 0.4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.5 |
| | არ ვიცი | 22 | 4.7 | 3.5 | 2.6 | 5.3 | 13.4 | 3.8 | 2.4 | 2.6 | 1.4 | 2.9 | 8.4 |

გამოკითხვის სხვადასხვა რაუნდის ფარგლებში კვლევის მონაწილეთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა აფიქსირებს, რომ მათ დასახლებაში არ არის გავრცელებული, ან იშვიათია წვრილმანი ხულიგნობა (2021 – 81.4%; 2019 – 72.8%; 2017 – 78.4%; 2015 – 87%; 2013 – 89.5%). რესპონდენტთა წილი, ვინც 2021 წელს ამ შეფასებას აკეთებს, ჩამორჩება 2013-2015 წლების ამავე მონაცემებს.

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის თანახმად გამოკითხვის პერიოდებისათვის მათ დასახლებაში არ არის გავრცელებული, ან იშვიათია ოჯახში ძალადობა (2021 – 71.6%; 2019 – 69.2%; 2017 – 66.6%; 2015 - 79%; 2013 – 83.4%). აღსანიშნავია, რომ 2021 წლის გამოკითხვის პერიოდისათვის,

რესპონდენტთა წილი, ვინც ასეთ შეფასებას აკეთებს, ჩამორჩება 2013-2015 წლების ამავე მონაცემებს, თუმცა აღემატება 2017-2019 წლების მაჩვენებლებს.

რაც შეეხება დასახლებაში განქორწინების გავრცელებას, სხვადასხვა წლის გამოკითხვის ფარგლებში, რესპონდენტთა უმრავლესობის თანახმად, არ არის გავრცელებული ან იშვიათია განქორწინება (2021 – 70.6%; 2019 – 60.7%; 2017 – 62.5%; 2015 – 74.3%; 2013 – 78.1%). 2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში გაკეთებული შეფასებების განქორწინების ნაკლებად გავრცელებასთან დაკავშირებით ჩამორჩება 2013-2015 წლების ამავე მონაცემებს (იხ. ცხრილი #101).

**ცხრილი #101 - წვრილმანი ხულიგნობის, ოჯახში ძალადობის, განქორწინების გავრცელებულობა**

| რამდენად გავრცელებულია თითოეული პრობლემა თქვენს დასახლებაში? | | 2021 (N=3400) % | 2019 (N=3400) % | 2017 (N=3400) % | 2015 (N=3400) % | 2013 (N=3400) % |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვრილმანი ხულიგნობა | არ არის გავრცელებული | 48.8 | 50.7 | 46.7 | 65 | 68.8 |
| | იშვიათია | 32.6 | 22.1 | 31.7 | 22 | 20.7 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 9 | 12.8 | 11.6 | 6.3 | 4.6 |
| | ძალიან გავრცელებულია | 3.9 | 2.6 | 1.5 | 0.6 | 0.3 |
| | არ ვიცი | 5.7 | 11.8 | 8.5 | 6.1 | 5.6 |
| ძალადობა ოჯახში | არ არის გავრცელებული | 46.4 | 54.1 | 45.6 | 66.2 | 70.8 |
| | იშვიათია | 25.2 | 15.1 | 21 | 12.8 | 12.6 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 9.1 | 7.6 | 8.5 | 5 | 2.6 |
| | ძალიან გავრცელებულია | 2.2 | 1.5 | 1.2 | 1 | 0.5 |
| | არ ვიცი | 17.1 | 21.7 | 23.7 | 15 | 13.5 |
| განქორწინება | არ არის გავრცელებული | 35.3 | 42.2 | 33.2 | 56.8 | 60.1 |
| | იშვიათია | 35.3 | 18.5 | 29.3 | 17.5 | 18 |
| | საკმაოდ გავრცელებულია | 10.6 | 13.2 | 12.7 | 9.8 | 5.3 |
| | ძალიან გავრცელებულია | 2.4 | 3.6 | 3.5 | 1.8 | 1.7 |
| | არ ვიცი | 16.3 | 22.6 | 21.2 | 14 | 14.9 |

2021 წლისათვის კვლევის წინა წლებთან შედარებით მაღალია **ეთნიკური უმცირესობის** წარმომადგენელთა მიერ თავიანთ დასახლებაში ოჯახში ძალადობის გავრცელების დადასტურების მაჩვენებელი (2021 - 22.8%; 2019 – 7.3%; 2017 - 4%; 2015 – 6.3%; 2013 – 3.3%). 2013-2021 წლების კვლევის ტალღების ფარგლებში მხოლოდ მცირედით ცვალებადია ეთნიკურად ქართველი რესპონდენტების მიერ ოჯახში ძალადობის გავრცელების დადასტურების მაჩვენებელი (2021 – 9.3%; 2019 – 9.3%; 2017 – 10.4%; 2015 – 2.5%; 2013 – 2.5%) (იხ. ცხრილი #102).

**ცხრილი #102 - ოჯახში ძალადობის გავრცელებულობის შეფასება ეთნიკურობის ჭრილში**

| რამდენად გავრცელებულია ძალადობა ოჯახში თქვენს დასახლებაში? | | არ არის გავრცელებული % | იშვიათია % | საკმაოდ გავრცელებულია % | ძალიან გავრცელებულია % | არ ვიცი % |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2021 | ეთნიკურად ქართველი | 49.9 | 23.7 | 7.7 | 1.6 | 17 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 26.2 | 33.4 | 17.4 | 5.4 | 17.6 |
| | საქართველო | 46.4 | 25.1 | 9.1 | 2.2 | 17.1 |
| 2019 | ეთნიკურად ქართველი | 53.3 | 15.2 | 7.8 | 1.5 | 22.2 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 62.1 | 14.6 | 5.9 | 1.4 | 16 |
| | საქართველო | 54.1 | 15.1 | 7.6 | 1.5 | 21.7 |
| 2017 | ეთნიკურად ქართველი | 44.3 | 21.9 | 9.1 | 1.3 | 23.5 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 57 | 14 | 2.9 | 1.1 | 25.1 |
| | საქართველო | 45.7 | 21 | 8.4 | 1.3 | 23.6 |

(გაგრძელება)

| | რამდენად გავრცელებულია ძალადობა ოჯახში თქვენს დასახლებაში? | არ არის გავრცელებული | იშვიათია | საკმაოდ გავრცელებულია | ძალიან გავრცელებულია | არ ვიცი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | % | | | | |
| 2015 | ეთნიკურად ქართველი | 73.5 | 9.8 | 2.5 | 0 | 14.2 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 65.3 | 13.2 | 5.2 | 1.1 | 15.1 |
| | საქართველო | 66.2 | 12.8 | 4,9 | 1 | 15 |
| 2013 | ეთნიკურად ქართველი | 74 | 12 | 2 | 0.5 | 11.5 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 70.4 | 12.6 | 2.7 | 0.6 | 13.7 |
| | საქართველო | 70.8 | 12.6 | 2.6 | 0.6 | 13.5 |

2021 გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა თვლის, რომ მათ დასახლებაში ადრეული ქორწინება არ არის გავრცელებული ან იშვიათია (74.4%). **ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ** რესპონდენტთა მიერ, შედარებით ხშირად სახელდება, რომ მათ დასახლებაში გავრცელებულია ადრეული ქორწინება, ვიდრე ეთნიკურად ქართველთა მიერ (ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 22.6%; ეთნიკურად ქართველი - 7.2%) (იხ. ცხრილი #103).

**ცხრილი #103 - ნაადრევი ქორწინების პრაქტიკა ეთნიკურობის ჭრილში**

| რამდენად გავრცელებულია ნაადრევი ქორწინება თქვენს დასახლებაში? | არ არის გავრცელებული | იშვიათია | საკმაოდ გავრცელებულია | ძალიან გავრცელებულია | არ ვიცი |
|---|---|---|---|---|---|
| | % | | | | |
| ეთნიკურად ქართველი | 51.3 | 25.6 | 6.2 | 1 | 15.8 |
| ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 27.3 | 35.3 | 16.8 | 5.8 | 14.8 |
| საქართველო | 47.8 | 27 | 7.8 | 1.7 | 15.7 |

თვისებრივი კვლევის შედეგების თანახმად, ქვემო ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლის შეფასებით, რეგიონში არსებული სოციო-კულტურული ნორმების გათვალისწინებით, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს ნაადრევი ქორწინება, რაც ახალგაზრდა ქალებისთვის ქმნის სხვადასხვა სახის პრობლემებს, როგორიცაა განათლების ხელმისაწვდომობის სირთულე, სოციალური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და ა.შ. მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული ქალთა ოთახები მნიშვნელოვან სამუშაოს ეწევა ქალების განათლების, მათი ინტეგრაციის და დასაქმების მხრივ. ამის გარდა, ქალთა საბჭოებია შექმნილი, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ მთელი ქვემო ქართლის რეგიონის ტერიტორიაზე. არსებობს წამახალისებელი პროექტები, როგორიცაა მაგალითად, „მე ავირჩიე სწავლა", სადაც გოგონები საუბრობენ საკუთარ გამოცდილებაზე, თუ როგორ უპირებდნენ ოჯახის წევრები დაქორწინებას 15 წლის ასაკში, მაგრამ გამოიჩინეს მტკიცე ნება და შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა.

> *„ნაადრევი ქორწინების თავიდან აცილება არ არის მხოლოდ ფიზიოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული, ეს არის ქალის განათლების მიღებასთან, საზოგადოებაში ინტეგრაციასთან, ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული" (ქვემო ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელი)*

# ელექტრონული სერვისები

2021 წლისათვის რესპონდენტებს შორის, წინა წლების გამოკითხვებთან შედარებით, გაზრდილია როგორც სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ ცოდნა (2021 – 52.5%; 2019 – 37.8%; 2017 – 39.3%; 2015 – 33.6%; 2013 – 32%). ასევე გაზრდილია ამ სერვისებით სარგებლობის მაჩვენებელი. 2019 წელთან შედარებით, 2021 წლისთვის მონაცემი 20%-ითაა გაზრდილი: 2021 – 45.7%; 2019 – 26.5% (2017 – 17.9%; 2015 – 19.3%; 2013 – 22.9%). როგორც აღმოჩნდა, გამოკითხვის ხუთივე ტალღაში რესპონდენტების უმრავლესობა სახელმწიფო ელექტრონული სერვისებით კმაყოფილია (3 და 4 ქულები 4 ქულიან სკალაზე): 2021 - 93.5%, 2019 - 93.9%, 2017 - 97.5%, 2015 – 95.7%, 2013 – 97.5% (იხ. ცხრილი #104).

**ცხრილი #104 - სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა, სარგებლობის გამოცდილება და კმაყოფილება**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **გსმენიათ თუ არა სახ. ელექტრონული სერვისების შესახებ?** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| დიახ | 52.5 | 37.8 | 39.3 | 33.6 | 32 |
| არა | 43 | 55 | 44.2 | 56 | 52.1 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 4.5 | 7.3 | 16.5 | 10.3 | 15.9 |
| **ოდესმე გისარგებლიათ თუ არა სახ. ელექტრონული სერვისებით?** | **2021 (N=1784)** | **2019 (N=1285)** | **2017 (N=1336)** | **2015 (N=1144)** | **2013 (N=1088)** |
| დიახ | 45.7 | 26.5 | 17.9 | 19.3 | 22.9 |
| არა | 53.3 | 72.8 | 80.8 | 80.5 | 77.1 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 1 | 0.7 | 1.4 | 0.2 | 0 |
| **ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ სახ. ელექტრონული სერვისებით?** | **2021 (N=815)** | **2019 (N=340)** | **2017 (N=239)** | **2015 (N=221)** | **2013 (N=249)** |
| ძალიან უკმაყოფილო | 0.6 | 0 | 0.9 | 0 | 1.3 |
| უკმაყოფილო | 3.2 | 5.5 | 1.5 | 4 | 0.9 |
| კმაყოფილი | 84 | 80.5 | 84.6 | 88.3 | 77 |
| ძალიან კმაყოფილი | 9.5 | 13.4 | 12.9 | 7.4 | 20.5 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 2.8 | 0.6 | 0 | 0.3 | 0.3 |

საინტერესოა, რომ 2021 წელს, 2019 წელთან შედარებით, **მაღალმთიან დასახლებებში** სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ ცნობადობა მნიშვნელოვნად იზრდება (2021 – 46.5%; 2019 -25.7%). რაც შეეხება **სხვა ტიპის დასახლებებს**, 2019-2021 წლებს შორის სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ ცნობადობა თითქმის უცვლელია (2021 – 41.4%; 2019 – 40.9%) (იხ. ცხრილი #105).

**ცხრილი #105 - სახელმწიფო ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გსმენიათ თუ არა სახ. ელექტრონული სერვისების შესახებ? | 2021 (N=3400) | | | 2019 (N=3400) | | |
| | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო | მაღალმთიანი | სხვა ტიპის დასახლება | საქართველო |
| დიახ | 46.5 | 41.4 | 52.5 | 25.7 | 40.9 | 37.8 |
| არა | 38.2 | 53.3 | 43 | 64.3 | 52.5 | 55 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 15.3 | 5.3 | 4.5 | 10 | 6.7 | 7.3 |

2019-2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში სახელმწიფო ელექტრონული სერვისებისადმი ნდობას რესპონდენტთა უმეტესობა გამოთქვამს (2021 – 70.2%; 2019 – 70.2%). აღსანიშნავია, რომ მოცემული წლებისათვის ნდობის მაჩვენებელი თანაბარია (იხ. ცხრილი #106).

**ცხრილი #106 - მუნიციპალური ელექტრონული სერვისებისადმი ნდობა**

| % | | |
|---|---|---|
| ზოგადად, რამდენად ენდობით მუნიციპალურ ელექტრონულ სერვისებს? | 2021 (N=1781) | 2019 (N=1285) |
| სრულიად არ ვენდობი | 0.4 | 1.3 |
| არ ვენდობი | 1.1 | 2.7 |
| არც არ ვენდობი და არც ვენდობი | 17.9 | 13.7 |
| ვენდობი | 65 | 63.9 |
| სრულიად ვენდობი | 5.2 | 6.3 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 10.5 | 12.2 |

2019-2021 წლების მონაცმებით, რესპონდენტთა დაახლოებით ნახევარს (2021 – 50.6%; 2019 – 53.4%) არ სმენია მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ. მათ შორის, ვისაც მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ სმენია, მცირეა რესპონდენტთა წილი, ვისაც ამ სერვისებით ბოლო 1 წლის განმავლობაში უსარგებლია (2021 – 12.1%; 2019 - 13.5%).

კონკრეტულ მუნიციპალურ ელექტრონულ სერვისებზე საუბრისას ორივე ტალღის ფარგლებში დომინანტური პოზიცია, ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტის მერიის (2021 – 61.3%; 2019 – 55.7%), ხოლო, მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს (2021 – 25.7%; 2019 – 15.8%) ვებ-გვერდმა დაიკავა.

ზოგადად, მუნიციპალური ელექტრონული სერვისებით კმაყოფილებას 2019-2021 წლებში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა გამოთქვამს (2021 – 91.2%; 2019 – 73.7%). 2021 წელს კმაყოფილების მაჩვენებელი, 2019 წლის მონაცემთან შედარებით, თითქმის 20%-ითაა გაზრდილი. რაც შეეხება ნდობის საკითხს, 2019 წლისათვის კვლევის მონაწილეთა 62.2% აფიქსირებს, რომ ენდობა მუნიციპალურ ელექტრონულ სერვისებს, ხოლო 2021 წლისათვის ეს მაჩვენებელი 70.8%-მდეა გაზრდილი (იხ. ცხრილი #107).

**ცხრილი #107 - მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა, სარგებლობის გამოცდილება, კმაყოფილება და ნდობა**

| % | | |
|---|---|---|
| **გსმენიათ თუ არა მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ?** | **2021 (N-3400)** | **2019 (N-3400)** |
| დიახ | 42.3 | 39.6 |
| არა | 50.6 | 53.4 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 7.1 | 6.9 |
| **ბოლო 1 წლის განმავლობაში გისარგებლიათ თუ არა მუნიციპალური ელექტრონული სერვისებით?** | **2021 (N=1440)** | **2019 (N=1347)** |
| დიახ | 12.1 | 13.5 |
| არა | 86.4 | 85.9 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 1.4 | 0.6 |
| **ზოგადად, რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალური ელექტრონული სერვისებით?** | **2021 (N=175)** | **2019 (N=182)** |
| ძალიან უკმაყოფილო | 0 | 1.1 |
| უკმაყოფილო | 4.2 | 18.4 |
| კმაყოფილი | 83.2 | 64.2 |
| ძალიან კმაყოფილი | 8 | 9.5 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 4.6 | 6.9 |
| **ზოგადად, რამდენად ენდობით მუნიციპალურ ელექტრონულ სერვისებს?** | **2021 (N=1440)** | **2019 (N=1347)** |
| სრულიად არ ვენდობი | 0.4 | 1.2 |
| არ ვენდობი | 1.1 | 4.5 |
| არც არ ვენდობი და არც ვენდობი | 17.9 | 13.5 |
| ვენდობი | 65 | 57.4 |
| სრულიად ვენდობი | 5.2 | 4.8 |
| უარი პასუხზე/ არ ვიცი/ მიჭირს პასუხის გაცემა | 10.5 | 18.5 |

2021 წელს, 2019 წელთან შედარებით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა მიერ მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ ცნობადობა მნიშვნელოვნად იზრდება (2021 – 31.2%; 2019 – 13.3%). რაც შეეხება ეთნიკურად ქართველ რესპონდენტებს, 2019-2021 წლებს შორის მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ ცნობადობა თითქმის უცვლელია (2021 – 44.3%; 2019 – 42.3%) (იხ. ცხრილი #108).

**ცხრილი #108 - მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა ეთნიკურობის ჭრილში**

| % | | | | |
|---|---|---|---|---|
| **გსმენიათ თუ არა მუნიციპალური ელექტრონული სერვისების შესახებ?** | | **დიახ** | **არა** | **არ ვიცი/ უარი პასუხზე** |
| 2021 (3400) | ეთნიკურად ქართველი | 44.3 | 49.4 | 6.2 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 31.2 | 57 | 11.8 |
| | საქართველო | 42.4 | 50.5 | 7.1 |
| 2019 (3400) | ეთნიკურად ქართველი | 42.3 | 51.5 | 6.1 |
| | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 13.3 | 72.1 | 14.6 |
| | საქართველო | 39.6 | 53.4 | 6.9 |

ქვემო ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლის შეფასებით, რეგიონში ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში მუნიციპალურ სერვისებზე წვდომა გაცილებით მარტივია, ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში განსაკუთრებით უფროსი თაობის მოსახლეობამ არ იცის სახელმწიფო ენა და შესაბამისად უჭირს სერვისებით სარგებლობა. თუმცა აღინიშნა ისიც, რომ წლიდან წლამდე იზრდება ეთნიკური უმცირესობების მიერ სერვისებით სარგებლობის მაჩვენებელი. მუნიციპალური ორგანოები მაქსიმალურად ცდილობენ რომ ეთნიკურ უმცირესობებს სასურველ ენაზე მიაწოდონ ინფორმაცია. ენის ბარიერი ქმნის სოციალური ინტეგრაციის პრობლემას სხვადასხვა თვალსაზრისით - ინფორმაციის ნაკლებობის, დასაქმების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის და ა.შ. მხრივ. ქვემო ქართლის ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მდგომარება მართალია ნელა, მაგრამ უკეთესობისკენ იცვლება.

> *„წინსვლა არის, იმიტომ, რომ ძალიან ბევრი ითხოვს ქართული ენის შესწავლას. ჟვანიას სკოლა მუშაობს ამ მხრივ აქტიურად, არასამთავრობო სექტორი, დონორი ორგანიზაციები, კარგად მუშაობს პროგრამა 2+1-იც" (რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელი).*

როგორც ონის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტები გადავიდნენ საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე, რაც ითვალისწინებს მოქალაქეთათვის დისტანციურად მომსახურების გაწევას. ერთი მხრივ, დისტანციური კომუნიკაცია მოსახერხებელია, რადგან მოქალაქე ზოგავს დროს და რესურსებს, თუმცა, მეორე მხრივ, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს განსაკუთრებით მაღალმთიან სოფლებში. აგრეთვე, პრობლემურია კომპიუტერული უნარ-ჩვევების ფლობა მოსახლეობაში. აღნიშული ბარიერები აფერხებს სერვისების მიღებას.

> *„როდესაც ადამიანს ეუბნები, რომ მას სოფელში, სახლიდან გაუსვლელად შეუძლია აიდის [პირადობის მოწმობის] წამკითხველი ჩართოს კომპიუტერში და განაცხადი დაარეგისტრიროს, მართლა კარგი არის ეს და ის კატეგორია, რომლებსაც ამაზე წვდომა აქვს იყენებს ამას. მაგრამ ეს არის 100-დან 2-3 განმცხადებელი. დანარჩენს, ვისაც უწევს ონში ჩამოსვლა, რეალურად მისთვის უფრო გართულდა სერვისის მიღება, იმიტომ, რომ თუ აქამდე მას მარტივად შეეძლო განცხადების ქაღალდზე დაეწერა და დაეტოვებინა მერიაში, ამ შემთხვევაში ეგ უკვე ჭირს, იმიტომ, რომ განცხადება ელექტრონული უნდა იყოს" (ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი).*

ინტერნეტის ხელმისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას მაღალმთიან სოფლებში.

> *„მუნიციპალიტეტს კი აქვს საშუალება მიიღოს ელექტრონულად მოსახლეობის როგორც საჩივარი/განცხადება, ასევე წინადადება, მაგრამ მოქალაქეს არ აქვს საშუალება ელექტრონულად აწარმოოს ეს მიმოწერა. ინტერნეტის პრობლემასთან მივდივართ მაღალმთიან სოფლებში და ელემენტარულ უნარ-ჩვევებზე, რაც კომპიუტერული ტექნიკის მოხმარებასთან არის დაკავშირებული" (რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელი).*

როგორც მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების - ცაგერისა და ონის მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მართალია არსებობს ინტერნეტიზაციის სამთავრობო პროგრამა, რომელიც მუნიციპალიტეტების ინტერნეტით უზრუნველყოფას ითვალისწინებს, თუმცა, პრობლემა ისაა, რომ ინტერნეტის მომწოდებელი კომპანიებისთვის, განსაკუთრებით მცირერიცხოვან დასახელებებში, ნაკლებად არსებობს ინტერნეტის მიწოდების ინტერესი. ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შეყვანა კომპანიისთვის რენტაბელური უნდა იყოს, ინტერნეტიზაციის პრობლემა რომ მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში.

## ჰაერის, წყლისა და ბუნებრივი რეზერვუარების დაბინძურება

**ჰაერის დაბინძურებასთან** დაკავშირებით, მონაცემები აჩვენებს, რომ 2021 წლის კვლევაში რესპონდენტთა ყველაზე ნაკლები რაოდენობა ამბობს, რომ ჰაერი „ძალიან დაბინძურებულია" (2021 – 6.5%; 2019 – 21.3%; 2017 – 21.4%; 2015 – 15.9%; 2013 – 11.5%). თუმცა, მეორე მხრივ, 2021 წლის კვლევაში (წინა რაუნდებთან შედარებით) უფრო მეტი რაოდენობა ამბობს, რომ ჰაერი „საშუალოდ დაბინძურებულია" (19.1%).

შეფასებისთვის გამოყენებული იყო 5 ქულიანი სკალა, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ გამოვკვეთოთ ცენტრალური ტენდენციები. კერძოდ, თუ საშუალო მაჩვენებლებს (Mean) შევადარებთ, ასეთი დინამიკა იკვეთება: ჰაერის დაბინძურების მიმართ ყველაზე სკეპტიკურად იყვნენ რესპონდენტები განწყობილები 2013 წელს, მომდევნო ეტაპებზე ჰაერის დაბინძურების აღქმამ იკლო და მონაცემები შეფასების დადებით ველში (საშუალო მაჩვენებლები > 3-ზე) მოექცა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ საშუალო მაჩვენებლები ახლოსაა შუალედურ პუნქტთან (ქულა 3), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ რესპონდენტთა დადებითი განწყობები მძაფრად გამოხატული არ არის (იხ. დიაგრამა #35).

**დიაგრამა #35 - დასახლებაში ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება**




**ქალაქი/სოფლის** ჭრილში, კვლევის ხუთივე რაუნდში მიღებული შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ, თბილისში მცხოვრები რესპონდენტების უმრავლესობა (66-89%-ის ფარგლებში) მიუთითებს მათ ქალაქში ჰაერის დაბინძურებაზე, მაშინ როდესაც დანარჩენი ქალაქების მოსახლეობაში ასეთთა წილი გაცილებით დაბალია. როგორც მოსალოდნელი იყო, სოფლად მაცხოვრებელი რესპონდენტების მხოლოდ მცირე ნაწილმა (11-18%-ის ფარგლებში) აღნიშნა, რომ ჰაერი ძალიან დაბინძურებული, ან დაბინძურებულია. საინტერესოა ერთი განსხვავება 2021 წლის მონაცემებსა და გამოკითხვების სხვა რაუნდებს შორის: თბილისში, წინა გამოკითხვებთან შედარებით, შემცირებულია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ამბობს, რომ ჰაერი „დაბინძურებულია" და გაზრდილია მათი რაოდენობა, ვინც ამბობს, რომ „საშუალოდ დაბინძურებულია" (იხ. ცხრილი #109).

### ცხრილი #109 - ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება ქალაქი/სოფლის ჭრილში

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არის თუ არა ჰაერი დაბინძურებული თქვენს დასახლებაში/დაბაში/ქალაქში? | | თბილისი | ქალაქი | სოფელი | საქართველო |
| 2021 | დაბინძურებულია | 66 | 25.1 | 11.3 | 24 |
| | საშუალოდ დაბინძურებული | 22.3 | 22 | 16.2 | 19.5 |
| | ნაკლებად/არ არის დაბინძურებული | 11.8 | 49 | 69.9 | 53.6 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0 | 3.9 | 2.7 | 2.9 |
| 2019 | დაბინძურებულია | 75.3 | 49.1 | 17.6 | 43.5 |
| | საშუალოდ დაბინძურებული | 10.7 | 11.3 | 15 | 12.7 |
| | ნაკლებად/არ არის დაბინძურებული | 12.8 | 33.1 | 63.4 | 40 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 1.3 | 6.4 | 4 | 3.9 |
| 2017 | დაბინძურებულია | 88.5 | 45.2 | 11.5 | 43.8 |
| | საშუალოდ დაბინძურებული | 6.8 | 23.2 | 15.1 | 14.9 |
| | ნაკლებად/არ არის დაბინძურებული | 4.2 | 26 | 70.4 | 38.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0.6 | 5.6 | 3 | 3 |
| 2015 | დაბინძურებულია | 77.1 | 40.7 | 10.6 | 35.8 |
| | საშუალოდ დაბინძურებული | 11.6 | 16 | 10.6 | 12.4 |
| | ნაკლებად/არ არის დაბინძურებული | 10.8 | 38.2 | 77.3 | 49.6 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0.5 | 5.1 | 1.4 | 2.2 |
| 2013 | დაბინძურებულია | 47.4 | 36.1 | 18.3 | 30.6 |
| | საშუალოდ დაბინძურებული | 7.5 | 11.9 | 13.9 | 11.7 |
| | ნაკლებად/არ არის დაბინძურებული | 17.9 | 36.5 | 58.6 | 42.1 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 5.7 | 2.1 | 4.4 | 4.1 |

საკითხის **რეგიონულ ჭრილში** გაანალიზების შემთხვევაში იკვეთება, რომ თბილისის გარდა, ჰაერის დაბინძურება, სხვადასხვა წლებში, მეტ-ნაკლებად საყურადღებოა ქვემო ქართლის, იმერეთისა და აჭარის რეგიონების მოსახლეობისთვის. ჰაერი ყველაზე ნაკლებად ან არ არის დაბინძურებული რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების მოსახლეობის თვალთახედვით (იხილეთ ცხრილი #110).

### ცხრილი #110 - ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება რეგიონის ჭრილში

| | | % | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არის თუ არა ჰაერი დაბინძურებული თქვენს დასახლებაში / დაბაში / ქალაქში? | | თბილისი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | გურია | აჭარა | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამცხე-ჯავახეთი | შიდა ქართლი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | კახეთი | საქართველო |
| 2021 | დაბინძურებულია | 66 | 22.6 | 12.3 | 31.3 | 19 | 16.3 | 15.9 | 18.7 | 3 | 34.7 | 9.7 | 24 |
| | საშუალოდ დაბინძურებული | 22.3 | 23.6 | 16.7 | 28.7 | 4.7 | 28.6 | 18.3 | 39.5 | 6 | 9.3 | 16.7 | 19.5 |
| | ნაკლებად/არ არის დაბინძურებული | 11.8 | 50.8 | 70.3 | 40 | 76.3 | 48.8 | 55.8 | 39.1 | 90.3 | 53.7 | 66.7 | 53.6 |
| | უარი პასუხზე/ არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0 | 3 | 0.7 | 0 | 0 | 6.3 | 10 | 2.7 | 0.7 | 2.3 | 7 | 2.9 |
| 2019 | დაბინძურებულია | 75.3 | 30.3 | 22.4 | 35.3 | 5.1 | 41.1 | 8.2 | 28.3 | 14.7 | 37.4 | 18.1 | 43.5 |
| | საშუალოდ დაბინძურებული | 10.7 | 12.4 | 19.3 | 9 | 11.7 | 15.9 | 8.6 | 11.4 | 12.3 | 14.3 | 17.2 | 12.7 |
| | ნაკლებად/არ არის დაბინძურებული | 12.8 | 55.3 | 53.6 | 45 | 80.5 | 39.6 | 79.1 | 56.9 | 69.7 | 44.4 | 55.8 | 40 |
| | უარი პასუხზე/ არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 1.3 | 2 | 4.6 | 10.6 | 2.7 | 3.4 | 4.1 | 3.4 | 3.2 | 3.9 | 8.9 | 3.9 |
| 2017 | დაბინძურებულია | 88.5 | 23 | 15.7 | 30.4 | 1.5 | 39.9 | 12.5 | 24.6 | 14.6 | 15.1 | 22.9 | 43.8 |
| | საშუალოდ დაბინძურებული | 6.8 | 14.2 | 21.9 | 15.1 | 6.6 | 17.8 | 8.8 | 14.6 | 13 | 24.5 | 27.9 | 14.9 |
| | ნაკლებად/არ არის დაბინძურებული | 4.2 | 54.5 | 58.6 | 51.1 | 91.4 | 42.1 | 77.1 | 55.7 | 68.7 | 56 | 42.1 | 38.4 |
| | უარი პასუხზე/ არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0.6 | 8.2 | 3.8 | 3.3 | 0.5 | 0.2 | 1.5 | 5.1 | 3.7 | 4.4 | 7.2 | 3 |
| 2015 | დაბინძურებულია | 77.1 | 8.9 | 11.2 | 30.5 | 6.7 | 29.6 | 7.9 | 25.7 | 4.8 | 32.1 | 17.6 | 35.8 |
| | საშუალოდ დაბინძურებული | 11.6 | 14.5 | 18.2 | 8.9 | 9.6 | 13.1 | 16.8 | 12.8 | 7.2 | 6.3 | 18.2 | 12.4 |
| | ნაკლებად/არ არის დაბინძურებული | 10.8 | 68 | 66 | 57.2 | 83.1 | 55.2 | 75.1 | 59.9 | 87.6 | 61.2 | 62.3 | 49.6 |
| | უარი პასუხზე/ არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0.5 | 8.6 | 4.7 | 3.4 | 0.7 | 2.2 | 0.2 | 1.6 | 0.4 | 0.4 | 2.0 | 2.2 |
| 2013 | დაბინძურებულია | 54.9 | 14.8 | 17.4 | 16.4 | 2.5 | 32.6 | 3.8 | 6.7 | 6.3 | 24.6 | 16.5 | 27.9 |
| | საშუალოდ დაბინძურებული | 14 | 11.4 | 13.2 | 17.8 | 0.9 | 11.4 | 6.4 | 17.7 | 10.2 | 15.9 | 22.2 | 14.2 |
| | ნაკლებად/არ არის დაბინძურებული | 25.4 | 70.9 | 66.6 | 62.4 | 95.7 | 52.3 | 87.4 | 64.1 | 81.5 | 58.6 | 58.3 | 53.8 |
| | უარი პასუხზე/ არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 5.7 | 3 | 2.8 | 3.4 | 0.8 | 3.7 | 2.5 | 11.4 | 2 | 0.9 | 3 | 4.1 |

მოსახლეობაში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ფარგლებში გამოიყო ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც ადგილობრივი მნიშვნელობისაა და მოგვარებას საჭიროებს. მათ შორის ჰაერის დაბინძურება რუსთავში - *„საკმაოდ დიდი დაბინძურების პროცენტულობაა რუსთავში, თუ არ ვცდები ევროპაშიც კი პირველ ადგილს ვიკავებ ამ კუთხით" (კაცი, 25 წლის, ქ. რუსთავი, ქვემო ქართლი)*

რესპონდენტები შედარებით კრიტიკულად **ნიადაგის დაბინძურებას** 2013 წლის კვლევაში აფასებენ; მომდევნო წლებში დადებითი შეფასების მქონეთა წილი მატულობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დადებითი შეფასებების მატება ზიგზაგისებურია - ყველაზე დადებითად ნიადაგის დაბინძურებასთან დაკავშირებულ ვითარებას რესპონდენტები 2017 წელს გამოთქვამდნენ (MEAN = 4.05). ჰაერის დაბინძურების აღქმისგან ერთი არსებითი განსხვავებაა: ნიადაგის დაბინძურება კვლევის არცერთ ეტაპზე არ მოხვედრილა უარყოფითი შეფასების ველში (საშუალო მაჩვენებლების მიხედვით) (იხ. დიაგრამა #36).

**დიაგრამა #36 - ნიადაგის დაბინძურების დონის შეფასება**




**ბუნებრივი წყლის რეზერვუარების** მდგომარეობის შეფასება მსგავსია ნიადაგის დაბინძურების შეფასებისა: რესპონდენტები, გამოკითხვის ყველა ეტაპზე, დადებითად აფასებენ (საშუალო მაჩვენებლების მიხედვით) ბუნებრივი წყლის რეზერვუარების მდგომარეობას, თუმცა, დადებითი შეფასების ხარისხი ყველაზე დაბალია 2013 წელს, ხოლო მომდევნო წლებში ზიგზაგისებურად იზრდება (იხ. დიაგრამა #37).

**დიაგრამა #37 - ბუნებრივი წყლის რეზერვუარების დაბინძურების შეფასება**



იმ რესპონდენტთა ხვედრითი წილის ანალიზით, რომლებიც მიიჩნევენ, რომ როგორც ჰაერი, ისე ნიადაგი და ბუნებრივი წყლის რეზერვუარები „ძალიან დაბინძურებულია“ ან „დაბინძურებულია“, ვლინდება, რომ ეკოლოგიური მდგომარეობის მიმართ ნეგატიურად განწყობილი მოსახლეობის ნაწილი ყველაზე მეტად ჰაერის დაბინძურებას უჩივის (2013 წლიდან მოყოლებული ასეთთა რაოდენობა მერყეობს 25-44%-ის ფარგლებში); ისინი, ვინც ნიადაგის დაბინძურებაზე მიუთითებენ, 11-37%-ის ფარგლებშია, ხოლო ბუნებრივი წყლით რეზერვუარების დაბინძურებას რესპონდენტთა 21 – 34% გამოკვეთს (იხ. დიაგრამა #38).

**დიაგრამა #38 - ჰაერის, ნიადაგისა და ბუნებრივი წყლის რეზერვუარების დაბინძურებულად შეფასება**




## სახელმწიფოს მიერ გატარებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები

შეკითხვაზე - *„ახორციელებს თუ არა სახელმწიფო რაიმე ღონისძიებებს (მათ შორის პროფილაქტიკურსაც) დაბინძურებული გარემოს დასასუფთავებლად?“* - გამოკითხვის ყველა ტალღაში გამოკვეთილია ორი პასუხი *„არ ვიცი“* და *„არ ახორციელებს“*. იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც დადებით პასუხს სცემენ, მერყეობს 8-24%-ის ფარგლებში (იხ, დიაგრამა #39).

**დიაგრამა #39 - სახელმწიფოს მიერ გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების პრაქტიკა**



იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტები ახორციელებენ გარკვეულ ღონისძიებებს დაბინძურებული გარემოს დასასუფთავებლად, გამოკითხვის ყველა ეტაპზე, ორი ძირითადი ღონისძიება გამოყვეს:

- გარემოს დროული/ეფექტიანი დასუფთავება
- ტყეში ხეების ჭრაზე შეზღუდვები და კონტროლი

დეტალურად მონაცემები მოცემულია ცხრილში #111:

**ცხრილი #111 - დაბინძურებული გარემოს გასაუმჯობესებლად მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რა ღონისძიებებს ახორციელებს მთავრობა დაბინძურებული გარემოს გასაუმჯობესებლად თქვენს დასახლებაში / დაბაში / ქალაქში?** | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| კონტროლის გამკაცრება საწარმოო ნარჩენების უტილიზაციაზე (ნარჩენების გადამუშავებაზე) | 11.7 | 9.2 | 10.7 | 15 | 8.9 |
| გარემოს დროული/ეფექტიანი დასუფთავება | 30.3 | 26.8 | 20.8 | 17 | 23.3 |
| გარემოს დაბინძურების მუდმივი მონიტორინგი | 8.9 | 11 | 13.3 | 10.3 | 10.1 |
| გარკვეული შეზღუდვების დაწესება ტრანსპორტის მოძრაობაზე ან გამართულობაზე | 6 | 5.6 | 1.7 | 2.4 | 1.4 |
| ტყეში ხეების ჭრაზე შეზღუდვები და კონტროლი | 22.4 | 18.8 | 24.8 | 34.3 | 24.4 |
| ნერგების დარგვა /ტყეების გაშენება | 15.2 | 15.1 | 18.4 | 16.1 | 19.7 |
| ჰაერის დაბინძურების კონტროლი | 3.1 | 6.7 | 4 | 2.4 | 7.6 |
| ნიადაგის დაბინძურების (ხარისხის) კონტროლი | 1.1 | 3.6 | 1.8 | 1.7 | 3.6 |

*შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ დაესახელებინათ ერთზე მეტი ღონისძიება.*

იმ რესპონდენტების დიდი უმრავლესობა (საშუალოდ 80%), რომლებმაც მთავრობის მიერ გატარებულ ამა თუ იმ ღონისძიებაზე მიუთითეს, კმაყოფილია განხორციელებული ღონისძიებით; ხოლო რესპონდენტთა ნაწილი (ძირითადად 10%-ის ფარგლებში) – „ძალიან კმაყოფილი". ამის მიუხედავად, რესპონდენტთა განსაზღვრული რაოდენობა (1-20%-ის ფარგლებში) უკმაყოფილებას გამოთქვამს სახელმწიფოს მიერ დაბინძურებული გარემოს გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯების მიმართ.

რესპონდენტთა კმაყოფილების ხარისხს თითოეული დასახელებული ღონისძიების შესახებ კარგად ასახავს საშუალო მაჩვენებლები (Mean) 4 ქულიან სკალაზე: სკალის ნეიტრალური პუნქტია 2.5; მონაცემები, რომლებიც მეტია 2.5-ზე დადებითი შეფასების ველს აჩვენებს, ხოლო 2.5-ზე ნაკლები მონაცემები - უარყოფითი შეფასების ველს. 2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში რესპონდენტები ყველაზე მეტად კმაყოფილნი ნიადაგის დაბინძურების კონტროლის (3.2) მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებით არიან, ხოლო ყველაზე ნაკლებად - გარემოს დაბინძურების მუდმივი მონიტორინგით (2.9), თუმცა, ეს შეფასება, კვლავ პოზიტიურ ველში ხვდება, რადგან ნეიტრალურ პუნქტს აღემატება (იხ. ცხრილი #112).

**ცხრილი #112 - დაბინძურებული გარემოს გასაუმჯობესებლად მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებებით კმაყოფილება**

| საშუალო მაჩვენებლები (Mean ) 4 ქულიან სკალაზე, რომელზეც ქულა 1 აღნიშნავს „ძალიან უკმაყოფილოს“, ხოლო ქულა 4 – „ძალიან კმაყოფილს“ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რამდენად კმაყოფილი ხართ განხორციელებული ღონისძიებებით? | 2021 | 2019 | 2017 | 2015 | 2013 |
| კონტროლის გამკაცრება საწარმოო ნარჩენების უტილიზაციაზე (ნარჩენების გადამუშავებაზე) | 3 | 3 | 2.9 | 3.2 | 2.8 |
| გარემოს დროული/ეფექტიანი დასუფთავება | 3.1 | 2.9 | 3 | 3 | 3 |
| გარემოს დაბინძურების მუდმივი მონიტორინგი | 2.9 | 2.9 | 2.9 | 3.2 | 2.9 |
| გარკვეული შეზღუდვების დაწესება ტრანსპორტის მოძრაობაზე ან გამართულობაზე | 3.1 | 2.9 | 3 | 2.9 | 2.5 |
| ტყეში ხეების ჭრაზე შეზღუდვები და კონტროლი | 2.9 | 2.9 | 3 | 3.2 | 3 |
| ნერგების დარგვა /ტყეების გაშენება | 3.1 | 3 | 3.2 | 3.1 | 2.9 |
| ჰაერის დაბინძურების კონტროლი | 3 | 3.1 | 2.9 | 3 | 2.6 |
| ნიადაგის დაბინძურების (ხარისხის) კონტროლი | 3.2 | 3.1 | 3.1 | 3 | 2.6 |

**ქალაქი/სოფლის ჭრილში** მონაცემების განხილვა საინტერესო განსხვავებებს აჩვენებს.2021 წელს თბილისში გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 14%-მდე ამბობს, რომ სახელმწიფო ახორციელებს ღონისძიებებს დაბინძურებული ჰაერის გასასუფთავებლად. ეს მონაცემები მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2019 და 2017 წლების გამოკითხვების ანალოგიურ მაჩვენებლებს და ახლოსაა 2015 და 2013 წლების შედეგებთან. თბილისის გარდა, სხვა ქალაქების მოსახლეობის საშუალოდ მეოთხედი 2021 და 2019 წლებში სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე მიუთითებს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2017, 2015 და 2013 წლების გამოკითხვების მონაცემებს. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობისთვის დაბინძურებული ჰაერი ნაკლებად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, მათთვის სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე მითითება რელევანტური არ არის (იხ. ცხრილი #113).

**ცხრილი #113 - დაბინძურებული ჰაერის გასასუფთავებლად სახელმწიფოს მიერ ღონისძიებების განხორციელების პრაქტიკა ქალაქი/სოფლის ჭრილში**

| | | % | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახორციელებს თუ არა სახელმწიფო რაიმე ღონისძიებებს დაბინძურებული ჰაერის გასასუფთავებლად? | | თბილისი | ქალაქი | სოფელი | საქართველო |
| 2021 | დიახ | 13.8 | 23.8 | 14.7 | 18.7 |
| | არა | 43.8 | 22.7 | 38.2 | 31.9 |
| | უარი/არ ეხება/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 42.5 | 53.4 | 47.1 | 49.4 |
| 2019 | დიახ | 32.8 | 27.6 | 23.8 | 27.5 |
| | არა | 33.8 | 36.3 | 45.2 | 39.4 |
| | უარი/არ ეხება/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 33.4 | 36.1 | 30.9 | 33.1 |
| 2017 | დიახ | 21.4 | 14.1 | 14 | 16.2 |
| | არა | 39.3 | 31 | 28.5 | 32.4 |
| | უარი/არ ეხება/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 39.3 | 54.9 | 57.5 | 51.3 |

(გაგრძელება)

| | | % | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ახორციელებს თუ არა სახელმწიფო რაიმე ღონისძიებებს დაბინძურებული ჰაერის გასასუფთავებლად?** | | **თბილისი** | **ქალაქი** | **სოფელი** | **საქართველო** |
| 2015 | დიახ | 14.6 | 14.3 | 16.3 | 15.3 |
| | არა | 47.8 | 49.6 | 43.7 | 46.3 |
| | უარი/არ ეხება/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 37.6 | 36.1 | 40.1 | 38.4 |
| 2013 | დიახ | 10.4 | 10.2 | 5.4 | 8 |
| | არა | 44.6 | 51.4 | 54.5 | 51.1 |
| | უარი/არ ეხება/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 45 | 38.4 | 40 | 40.9 |

# ქალთა ოთახები[37]

რესპონდენტების უმრავლესობას არ სმენია მუნიციპალიტეტში არსებული ქალთა ოთახების შესახებ: 2021 – 78.9%; 2019 – 84.4%. იმ რესპონდენტების უმრავლესობა, ვისაც სმენია ამ სერვისის შესახებ, არ იცნობს არავის, ვისაც ქალთა ოთახის მომსახურებით უსარგებლია. განსაკუთრებით დაბალია იმ გამოკითხულთა წილი, ვისაც თავად გამოუყენებია მსგავსი სერვისი (კატეგორია „მე თავად მისარგებლია აღნიშნული სერვისით"): 2021 – 3.7%; 2019 – 5.6%. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 2021 წელს, როგორც ინფორმირებულობის, ისე სარგებლობის დონე გაზრდილია (იხ. დიაგრამა #40).

**დიაგრამა #40 - ქალთა ოთახის სერვისით მოსარგებლეთა ცნობადობა**




გამოკითხვის ორივე ტალღის ფარგლებში გამოვლინდა, რომ **არც მაღალმთიანი და არც სხვა ტიპის დასახლებების** მაცხოვრებლების უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას მათ მუნიციპალიტეტში ქალთა ოთახების არსებობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ მაღალმთიანი ტერიტორიების მაცხოვრებელთა შემთხვევაში, 2019 წელთან შედარებით, 2021 წელს ინფორმირებული რესპონდენტების წილი 10%-ითაა გაზრდილი (იხ. დიაგრამა #41).

**დიაგრამა #41 - ქალთა ოთახების შესახებ ინფორმირებულობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**




37. აღნიშნული საკითხი ჩართული იყო მხოლოდ 2019 და 2021 წლის ტალღაში.

### დიაგრამა #42 - ქალთა ოთახების შესახებ ინფორმირებულობა ეთნიკურობის ჭრილში




თუკი 2019 წელს არცერთი ეთნიკური **უმცირესობის წარმომადგენელს** არ ჰქონდა ქალთა ოთახებით სარგებლობის გამოცდილება და მხოლოდ 7.3% მიუთითებდა, რომ ამ სერვისით მოსარგებლე პირს იცნობდა, 2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში აღნიშნული მაჩვენებლები მკვეთრად შეცვლილია. ამჯერად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა 5.8%-ს თავად უსარგებლია ქალთა ოთახებით, ხოლო თითქმის მესამედი (30.2%) იცნობს სხვა ადამიანს, ვისაც აღნიშნული სერვისი გამოუყენებია. მიუხედავად მზარდი დინამიკისა, რესპონდენტების უმრავლესობა, არ იცნობს არავის, ვისაც უსარგებლია სერვისით:

- 2021 წელი: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 54.7%; ეთნიკურად ქართველი - 66.4%
- 2019 წელი: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 50.3%; ეთნიკურად ქართველი - 57% (იხ. დიაგრამა #43).

### დიაგრამა #43 - ქალთა ოთახის სერვისით მოსარგებლეთა ცნობადობა ეთნიკურობის ჭრილში



როგორც 2021 წლის, ისე 2019 წლის გამოკითხვის ფარგლებში ქალთა ოთახების შესახებ ინფორმირებულობისა და გამოყენების მიმართულებით **სქესის ჭრილში** განსხვავება არ გამოვლენილა. როგორც ქალი, ისე კაცი რესპონდენტების უმრავლესობას მუნიციპალიტეტში ქალთა ოთახების არსებობის შესახებ არ სმენია:

- 2021 წელი: ქალი - 76.8%; კაცი - 81.1%
- 2019 წელი: ქალი - 82.7%; კაცი - 86.3%

ინფორმირებულობის დონე მცირედით გაუმჯობესებულია, თუმცა, რესპონდენტების უმრავლესობა არ იცნობს არავის, ვისაც ამ სერვისით უსარგებლია. საინტერესოა, რომ 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, რესპონდენტების მიერ ქალთა ოთახებით სარგებლობის გამოცდილება შემცირებულია - თუკი 2019 წელს ქალების 6.1% და კაცების 4.8% სარგებლობდა ამ სერვისით, 2021 წლისთვის ქალების მაჩვენებელი 5.6%-ს, ხოლო კაცების 1.1%-ს უტოლდება. ამავდროულად გამოკითხვის მეხუთე ტალღაში გაზრდილია იმ რესპონდენტების წილი, ვინც ქალთა ოთახების მომსახურებით მოსარგებლე პირს იცნობს. მაჩვენებელი განსაკუთრებით მზარდია კაცების შემთხვევაში (იხ. დიაგრამა #44).

**დიაგრამა #44 - ქალთა ოთახის სერვისით მოსარგებლეთა ცნობადობა სქესის ჭრილში**




როგორც 2019 წლის, ისე 2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში, ქალთა ოთახების შესახებ ინფორმაციის მქონე პირების უმრავლესობას არავისთვის ურჩევია, რომ ოჯახში ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისები გამოეყენებინა. ნეგატიური პასუხი დომინანტურია ორივე რაუნდში, თუმცა, მსგავსი გამოცდილება, წლების მიხედვით, თითქმის, 10%-ითაა შემცირებული: 2021 – 68.7%; 2019 - 77.6%.

ტენდენცია ცვალებადია ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის შეფასებისას. თუკი 2019 წელს გამოკითხულთა უმრავლესობას (56.7%) მიაჩნდა, რომ მსგავსი სერვისები მათ მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომია, 2021 წლისთვის ეს მაჩვენებელი შემცირებულია

და 41.4%-ს უტოლდება. 2021 წლის რაუნდში გაზრდილია იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც არ ფლობენ ინფორმაციას ან პასუხზე უარს აცხადებენ (50.4%). გამოკითხვის მეხუთე ტალღაში ის რესპონდენტები არიან უმრავლესობაში, რომლებიც არ ფლობენ მსგავს ინფორმაციას ან პასუხის გაცემა უჭირთ (იხ. ცხრილი #114).

**ცხრილი #114 - ოჯახში ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებზე რეკომენდაციის გაცემის პრაქტიკა და ხელმისაწვდომობა**

| % | | | |
|---|---|---|---|
| | | **2021 (N=426)** | **2019 (N282)** |
| გთხოვთ მითხრათ, გირჩევიათ თუ არა ვინმესთვის, გამოეყენებინა ოჯახში ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისები? | დიახ, მირჩევია | 15.9 | 14.7 |
| | არა, არ მირჩევია | 68.7 | 77.6 |
| | უარი პასუხზე | 2.6 | 0.9 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 12.7 | 6.8 |
| თქვენი შეფასებით, ხელმისაწვდომია თუ არა ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისები თქვენს მუნიციპალიტეტში? | დიახ, ხელმისაწვდომია | 41.4 | 56.7 |
| | არა, არ არის ხელმისაწვდომი | 6.8 | 8.4 |
| | უარი პასუხზე | 1.4 | 0.1 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 50.4 | 34.7 |

2019 წლის გამოკითხვაში, როგორც **მაღალმთიანი, ისე სხვა ტიპის დასახლებების** მაცხოვრებლების დიდი ნაწილის შეფასებით, ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისები მათ მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი იყო: მაღალმთიანი - 45.2%; სხვა ტიპის დასახლება - 58.1%. 2021 წელს, ეს მაჩვენებელია შემცირებული, თუმცა, იმ რესპონდენტების წილია გაზრდილი, რომლებიც არ ფლობენ შესაბამის ინფორმაციას, ან საკითხის შეფასება უჭირთ. მსგავსი შეფასებები განსაკუთრებით გაზრდილია მაღალმთიანი დასახლებების მაცხოვრებელთა (58.9%) შორის (იხ. დიაგრამა #45).

**დიაგრამა #45 - ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**



თუკი 2019 წელს, როგორც **თბილისის, ისე სხვა საქალაქო თუ სასოფლო ტიპის დასახლებების** მაცხოვრებლების უმრავლესობას მიაჩნდა, რომ ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისები მათ მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი იყო, 2021 წელს მსგავსი დამოკიდებულების მქონე პირთა წილი შემცირებულია. ცვლილება განსაკუთრებით შეეხო თბილისს - გამოკითხვის მეხუთე რაუნდში მხოლოდ 29.3% მიუთითებს ხელმისაწვდომობაზე, როცა 2019 წელს მაჩვენებელი 53.5%-ს უტოლდებოდა. სხვა საქალაქო ტიპის დასახლებების შემთხვევაშიც მონაცემი 20%-ით შემცირებულია. 2021 წელს გაზრდილია იმ რესპონდენტების წილი, რომელთაც უჭირთ საკითხის შეფასება ან შესაბამის ინფორმაციას არ ფლობენ (იხ. დიაგრამა #46).

**დიაგრამა #46 - ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა ქალაქი/სოფლის ჭრილში**




როგორც ჩანს, 2019 წელს გამოკითხულ პირებს უფრო პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ მუნიციპალიტეტში არსებული ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისების მიმართ. გამოკითხულთა უმრავლესობა ენდობა მას (4 და 5 ქულები 5 ქულიან სკალაზე) – 54%. 2021 წლისთვის კი ეს მაჩვენებელი შემცირებულია და ნდობას რესპონდენტთა 49.5% გამოხატავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მონაცემის შემცირება უნდობლობის მაჩვენებლის ზრდის შედეგად არ მომხდარა - 2021 წლის გამოკითხვაში გაზრდილია იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც ნეიტრალურ პოზიციას აფიქსირებენ (3 ქულა) (იხ. დიაგრამა #47).

**დიაგრამა #47 - ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებისადმი ნდობა**



2019-2021 წლების გამოკითხვებში, როგორც **ქალი, ისე კაცი** რესპონდენტები ენდობიან მათ მუნიციპალიტეტში არსებულ ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებს. თუმცა, საგულისხმოა, რომ ნდობის მაჩვენებელი 2019 წელს უფრო მაღალი იყო. ცვლილება განსაკუთრებით მკაფიოა კაცი რესპონდენტების შემთხვევაში - თუკი 2019 წელს მათი 64.5% ენდობოდა აღნიშნულ სერვისებს, 2021 წელს მონაცემი 49.7%-მდეა შემცირებული. ქალთა ნდობის მაჩვენებელი საშუალოდ 48.5%-ს უტოლდება. აღსანიშნავია, რომ დინამიკაში გაზრდილია ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე რესპონდენტთა წილი - მონაცემებს შორის სხვაობა 10%-ს აჭარბებს (იხ. დიაგრამა #48).

**დიაგრამა #48 - ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებისადმი ნდობა სქესის ჭრილში**




საინტერესოა, რომ 2019 წელს **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები** მეტად ენდობოდნენ მათ მუნიციპალიტეტში არსებულ ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებს (63.6%), ვიდრე - ეთნიკურად ქართველები (53.1%). 2021 წელს კი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დიდი ნაწილი ნეიტრალურ პოზიციას იკავებს (44.8%) და მკვეთრადაა შემცირებული ნდობის მაჩვენებელი - 25.3% (იხ. დიაგრამა #49).

**დიაგრამა #49 - ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო სერვისებისადმი ნდობა ეთნიკურობის ჭრილში**




თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მოსაზრებით, კარგი იქნება, თუ ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მარტოხელა დედების ეკონომიკური გაძლიერებისთვის თვითმმართველობები გარკვეულ აქტივობებს დაგეგმავენ. ზოგადად, თვითმმართველობამ საჯარო უწყებათა საქმიანობაში ქალთა ჩართულობის პოპულარიზაციაზე აქტიურად უნდა იმუშაოს, რომ გადაწყვეტილების მიღების დონეზე მეტად იყოს მიღწეული გენდერული თანასწორობა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ონლაინ შეხვედრა გამართა ქალების პრობლემების შესახებ პანდემიის პერიოდში. მერიის მიზანი იყო გაერკვია რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ქალები პანდემიის დროს და რით შეეძლოთ მათთვის დახმარების გაწევა.

> *„ერთი საინტერესო შეხვედრა ონლაინ გავაკეთეთ, ეს იყო ქალების პრობლემები პანდემიის პერიოდში და იცით რამდენი პრობლემა გამოიკვეთა? ჩვენ ვცდილობთ რომ ამ პანდემიური მოცემულობებიდან ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში ჩავრთოთ პროგრამა, რომელიც კოვიდ პროცესში დაზარალებულ ქალებს დაეხმარებოდა“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი).*

ქვემო ქართლში ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ადგილებში რთულია ქალების გააქტიურება. ამის მიზეზი ენის ბარიერის გარდა, არსებული სოციო-კულტურული ნორმებია, რომლებიც არ ახალისებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების აქტიურობას.

> *„რამდენიმე შეხვედრა ჩავატარეთ ქალ მეწარმეებთან, ეს იყო მარნეულის რაიონულ ცენტრში სოფელ თამარისში, ჩართული იყო სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სააგენტოს უფროსები და სხვები. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ძალიან დაბალი ტემპით მიდის. ალბათ, იმიტომ, რომ ქალები ცოტა უფრო შეზღუდულები არიან მოქმედებაში გარკვეული მიზეზების გამო“ (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი).*

## საკრებულო/მერიისა და სოფლებში მერის წარმომადგენლების მუშაობით კმაყოფილება და ნდობა

შეკითხვაზე - *„ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მუშაობით?“* – ხუთივე ეტაპის კვლევაში წამყვანი პოზიციაა „კმაყოფილი ვარ“. ამ პოზიციას თითქმის ყოველი მეორე რესპონდენტი იზიარებს. უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი („ძალიან უკმაყოფილოს“ ჩათვლით) გამოკითხულთა დაახლოებით მეხუთედი ან მეოთხედია. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის გამოკითხვაში რამდენადმე მატულობს (წინა რაუნდებთან შედარებით) უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი და ის თითქმის მესამედს შეადგენს (იხ. დიაგრამა #50):

**დიაგრამა #50 - მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მუშაობით კმაყოფილება**

**ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მუშაობით? (%)**




მაღალია სოფლად მცხოვრებ რესპონდენტთა კმაყოფილება **მერის წარმომადგენლის მიმართ სოფლებში.** აქ კმაყოფილი რესპონდენტების წილი, გამოკითხვების უმეტესობაში, უმრავლესობასაც კი აღწევს. კვლავ განსხვავებულია 2021 წლის გამოკითხვა - აქ კმაყოფილი რესპონდენტების წილი სხვა ქვეჯგუფებზე უფრო მაღალია, თუმცა, გამოკითხვის წინა რაუნდებთან შედარებით შემცირებულია: „კმაყოფილი“ – 45.8%; „ძალიან კმაყოფილი“ – 1.4%. შესაბამისად, 2021 წელს გაზრდილია (წინა კვლევებთან შედარებით) უკმაყოფილო რესპონდენტთა წილი (35.5%) (იხ. დიაგრამა #51).

**დიაგრამა #51 - მერის წარმომადგენლის მუშაობით კმაყოფილება**




**რეგიონულ ჭრილში** გაანალიზებული შედეგები ცხადყოფს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობით ყველაზე მეტად კმაყოფილები საქართველოს 5 რეგიონში არიან. პასუხის ვარიანტები „ძალიან კმაყოფილი" და „კმაყოფილი" რესპონდენტების ნახევარზე მეტმა შემდეგ რეგიონებში დაასახელა: შიდა ქართლი - 57%, გურია - 56.9%, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - 56.7%, იმერეთი - 56.3%, და აჭარა 54.5%. დანარჩენ 6 რეგიონში მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები სცემს კმაყოფილების აღმნიშვნელ პასუხებს. ყველაზე მეტი „უკმაყოფილო" და „ძალიან უკმაყოფილო" რესპონდენტები შემდეგ რეგიონებში არიან: თბილისი - 38.7%, აჭარა - 39.1%, მცხეთა-მთიანეთი - 36.7%, ქვემო ქართლი - 34.4%. აღსანიშნავია, რომ, 2012 წლის შედეგებით, აჭარის რეგიონი გამოირჩევა როგორც კმაყოფილი, ისე უკმაყოფილო რესპონდენტების ჭარბი რაოდენობით (კმაყოფილი - 54.5%; უკმაყოფილო - 39.1%). ამის მიზეზი ისაა, რომ აჭარის რეგიონში გამოკითხული იმ რესპონდენტების წილი, რომელსაც კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, ან უარი თქვა - ყველაზე დაბალია (6.4%).

თუ 2021 მონაცემებს სხვა წლების გამოკითხვების მონაცემებს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ თბილისში ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილოთა წილი 2021 წელს, ყველა წინა წელთან შედარებით, რამდენადმე მომატებულია. თუმცა, მეორე მხრივ, კმაყოფილი რესპონდენტების რაოდენობაც გაზრდილია (ეს, ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ 2021 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვინც უარი თქვა ან ვერ შეაფასა თბილისის მუნიციპალური ხელისუფლების მუშაობა). 2021 წელს პრაქტიკულად ყველა რეგიონში იმატებს ადგილობრივი ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილოთა მაჩვენებლები, წინა წლების გამოკითხვებთან შედარებით (იხ. ცხრილი #115).

**ცხრილი #115 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება რეგიონის ჭრილში**[38]

| | % | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად კმაყოფილი ხართ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით?** | თბილისი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | გურია | აჭარა | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამცხე-ჯავახეთი | შიდა ქართლი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | კახეთი | საქართველო |
| 2021 | უკმაყოფილო | 38.7 | 30.8 | 32.8 | 39.1 | 27 | 33 | 27.6 | 25 | 36.7 | 34.4 | 30 | 32.5 |
| | კმაყოფილი | 42.4 | 45.2 | 56.9 | 54.5 | 56.7 | 56.3 | 47.8 | 57 | 42.7 | 44.1 | 48.7 | 50 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/ მიჭირს პასუხი | 19 | 24.1 | 10.4 | 6.4 | 16.3 | 10.7 | 24.6 | 18 | 20.7 | 21.4 | 21.3 | 17.6 |
| 2019 | უკმაყოფილო | 32.7 | 25.4 | 20.6 | 17.4 | 17.3 | 30.1 | 16.3 | 24.9 | 29.5 | 29.7 | 25.4 | 27.5 |
| | კმაყოფილი | 50.4 | 66.8 | 60.3 | 63.7 | 72.5 | 56.7 | 59.2 | 56.1 | 54.3 | 50.8 | 61.6 | 56.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/ მიჭირს პასუხი | 16.9 | 7.8 | 19.1 | 18.8 | 10.2 | 13.2 | 24.5 | 19.1 | 16.1 | 19.6 | 13 | 16.1 |
| 2017 | უკმაყოფილო | 29.1 | 18.8 | 19.1 | 20.4 | 12.5 | 18.6 | 16.6 | 15.5 | 25.2 | 21 | 23.5 | 22.4 |
| | კმაყოფილი | 32.5 | 55.5 | 64.9 | 56.3 | 74.9 | 62.3 | 62 | 35.5 | 51.3 | 46.8 | 56.5 | 48.1 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/ მიჭირს პასუხი | 38.5 | 25.6 | 16 | 23.3 | 12.6 | 19.1 | 21.5 | 49 | 23.4 | 32.1 | 20 | 29.5 |
| 2015 | უკმაყოფილო | 26.8 | 18.7 | 20.7 | 28.2 | 21.2 | 33.1 | 22.8 | 27.1 | 33.2 | 31.2 | 15.2 | 26.2 |
| | კმაყოფილი | 37.7 | 63.3 | 67.3 | 53.8 | 67.9 | 55 | 70.3 | 44.3 | 55.5 | 43.3 | 54.2 | 50.6 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/ მიჭირს პასუხი | 35.5 | 17.9 | 12 | 18 | 11 | 11.9 | 6.9 | 28.7 | 11.3 | 25.4 | 30.6 | 23.2 |
| 2013 | უკმაყოფილო | 28.4 | 13.7 | 13.2 | 19.9 | 13.6 | 25.4 | 18.5 | 8.8 | 21.4 | 26 | 15.1 | 21.4 |
| | კმაყოფილი | 32.4 | 62.6 | 60.6 | 61.4 | 71.3 | 57.7 | 62.6 | 51.9 | 51.9 | 53.2 | 56.4 | 51.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/ მიჭირს პასუხი | 39.2 | 23.7 | 26.3 | 18.7 | 15.1 | 16.8 | 18.9 | 39.4 | 26.7 | 20.7 | 28.4 | 27.2 |

**ასაკობრივ ჭრილში** მონაცემთა გაანალიზების შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მუშაობით, გამოკითხვების ხუთივე რაუნდში, ყველაზე უკმაყოფილონი არიან ახალგაზრდა (18-24 ასაკობრივი ჯგუფის) რესპონდენტები (უკმაყოფილოა ყოველი მესამე, ან ყოველი მეოთხე) კმაყოფილების ყველაზე სტაბილური დონით გამოირჩევიან 45-54 და 55-64 ასაკობრივი ჯგუფების რესპონდენტები (იხ. ცხრილი #116).

38. ცხრილში წარმოდგენილი კატეგორიები ასახავს 4 ქულიანი სკალის გაერთიანებულ ჯგუფებს. სკალის ქულა 1 აღწერს კატეგორიას „ძალიან უკმაყოფილო", ხოლო ქულა 4 კატეგორიას „ძალიან კმაყოფილი". ცხრილში მითითებული პასუხის კატეგორიები შემდეგნაირადაა გაერთიანებული: „უკმაყოფილო" შეესაბამება სკალის ქულა 1-ისა და 2-ის ჯამს, ხოლო „კმაყოფილი" - ქულა 3-ისა და 4-ის ჯამს.

**ცხრილი #116 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება ასაკის ჭრილში**

| | | % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად კმაყოფილი ხართ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით? | | 18-24 წლის | 25-34 წლის | 35-44 წლის | 45-54 წლის | 55-64 წლის | 65 წლის ან მეტის | საქართველო |
| 2021 | უკმაყოფილო | 31.1 | 31.7 | 35.7 | 29.4 | 34.8 | 32.1 | 32.5 |
| | კმაყოფილი | 45 | 50.2 | 48.9 | 54 | 49.5 | 50.7 | 50 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 23.9 | 18.2 | 15.4 | 16.6 | 15.6 | 17.2 | 17.6 |
| 2019 | უკმაყოფილო | 34.5 | 34 | 26.5 | 23.8 | 26.4 | 22.1 | 27.5 |
| | კმაყოფილი | 49.4 | 51.5 | 58.6 | 56.2 | 60.8 | 60.5 | 56.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 16.1 | 14.4 | 14.9 | 20 | 12.8 | 17.4 | 16.1 |
| 2017 | უკმაყოფილო | 24.5 | 26.3 | 17 | 25.9 | 21 | 20.2 | 22.4 |
| | კმაყოფილი | 40.8 | 44.8 | 51.5 | 48.2 | 52.5 | 48.3 | 48.1 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 34.7 | 28.9 | 31.5 | 25.8 | 26.5 | 31.6 | 29.5 |
| 2015 | უკმაყოფილო | 28.7 | 25.2 | 26.1 | 28.8 | 26.9 | 23 | 26.2 |
| | კმაყოფილი | 44.8 | 51.3 | 50.1 | 48.5 | 52.6 | 54 | 50.6 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 26.6 | 23.6 | 23.8 | 22.7 | 20.6 | 23 | 23.2 |
| 2013 | უკმაყოფილო | 20.6 | 20.5 | 22.9 | 24.1 | 20.9 | 18.6 | 21.4 |
| | კმაყოფილი | 47.8 | 50.9 | 50.4 | 54.8 | 53.8 | 49.9 | 51.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 31.6 | 28.6 | 26.6 | 21.1 | 25.3 | 31.4 | 27.2 |

**ეთნიკურობის ჭრილში,** ხუთივე რაუნდის კვლევა მსგავს ტენდენციას აჩვენებს. კერძოდ, ეთნიკურ ქართველებსა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილების მაჩვენებლები ერთმანეთისგან განსხვავდება: ეთნიკურ ქართველებში მუნიციპალური ორგანოების მიმართ კმაყოფილება უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფებში. პასუხის ვარიანტს „კმაყოფილი" პრაქტიკულად ყოველი მეორე ეთნიკურად ქართველი რესპონდენტი სცემს, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებში კმაყოფილების ხარისხი რამდენადმე ნაკლებია (იხ. ცხრილი #117).

**ცხრილი #117 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილება ეთნიკურობის ჭრილში**

| | % | | | |
|---|---|---|---|---|
| | **ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად კმაყოფილი ხართ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით?** | **ეთნიკურად ქართველი** | **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგე-ნელი** | **საქართველო** |
| 2021 | უკმაყოფილო | 32.4 | 33.2 | 32.5 |
| | კმაყოფილი | 51.3 | 41.8 | 49.9 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 16.3 | 25 | 17.6 |
| 2019 | უკმაყოფილო | 27.5 | 27.4 | 27.5 |
| | კმაყოფილი | 57.2 | 48.3 | 56.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 15.3 | 24.3 | 16.1 |
| 2017 | უკმაყოფილო | 23.1 | 16.5 | 22.4 |
| | კმაყოფილი | 48.5 | 45.8 | 48.1 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 28.4 | 37.6 | 29.5 |
| 2015 | უკმაყოფილო | 28.9 | 25.9 | 26.2 |
| | კმაყოფილი | 51.5 | 50.5 | 50.6 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 19.7 | 23.6 | 23.2 |
| 2013 | უკმაყოფილო | 17.5 | 21.9 | 21.4 |
| | კმაყოფილი | 54.8 | 51 | 51.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 27.7 | 27.1 | 27.2 |

2021 წლის კვლევაში, როგორც საკრებულო/მერიის, ისე სოფლად მერის წარმომადგენლის მუშაობით უკმაყოფილო რესპონდენტებმა დაასახელეს **ის მიზეზები, რომლებიც განაპირობებს მათ უკმაყოფილებას.** ორივე შემთხვევაში გამოიკვეთა ორი მიზეზი: ა) არ ხდება მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინება; ბ) არ აქვთ კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან (იხ. დიაგრამა #52):

**დიაგრამა #52 - ადგილობრივი ხელისუფლების მუშობის უკმაყოფილების მიზეზები**




მოსახლეობაში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა დაასახელეს ის მუნიციპალური სერვისები, რომლებითაც მოსახლეობა ყველაზე უფრო **კმაყოფილია.** ეს სერვისებია: დასუფთავება, სოციალური და ჯანდაცვის სერვისები, ინფრასტრუქტურა. აგრეთვე, თბილისელების მიერ დასახელდა გამწვანება.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ მუნიციპალური ხელისუფლების (როგორც მერია/საკრებულოს, ისე სოფლად მერის წარმომადგენლის) მუშაობით რესპონდენტთა კმაყოფილება კორელაციაშია მუნიციპალური ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობასთან: ხუთივე რაუნდის კვლევაში წამყვანი პოზიციაა „ვენდობი". ამასთან, სოფლებში მერის წარმომადგენლის მიმართ ნდობა ხშირად უფრო მაღალია, საკრებულოსთან/მერიასთან შედარებით. კვლავ იკვეთება, რომ 2021 წლის კვლევაში, წინა რაუნდებთან შედარებით, უფრო მაღალია უნდობლობის მაჩვენებელი (იხ. ცხრილები #118, #119).

**ცხრილი #118 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი (საკრებულო/მერია) ნდობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად ენდობით თქვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (საკრებულო/მერია)?** | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| სრულიად არ ვენდობი | 7.7 | 4.2 | 2.6 | 2.4 | 2.6 |
| არ ვენდობი | 24.6 | 22.4 | 18.9 | 23.4 | 18.4 |
| ვენდობი | 48.9 | 58.4 | 47.9 | 47.6 | 50.4 |
| სრულიად ვენდობი | 1.2 | 3.4 | 1.3 | 3.8 | 2.1 |
| უარი პასუხზე | 2.2 | 0.7 | 2.9 | 0.9 | 0.7 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 15.4 | 11 | 26.3 | 22 | 25.9 |

**ცხრილი #119 - მერის წარმომადგენლისადმი ნდობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად ენდობით თქვენი მერის წარმომადგენელს (სოფლად)?** | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| სრულიად არ ვენდობი | 7.2 | 2.8 | 2.7 | 1.9 | 1.9 |
| არ ვენდობი | 28.7 | 16 | 19.7 | 18.2 | 12 |
| ვენდობი | 45.2 | 64.7 | 48.5 | 58.2 | 63.6 |
| სრულიად ვენდობი | 1.8 | 3.9 | 1.4 | 9.2 | 4.9 |
| უარი პასუხზე | 2 | 0.8 | 2.8 | 0.8 | 0.6 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 15.1 | 11.7 | 24.8 | 11.8 | 17 |

**რეგიონულ ჭრილში** მონაცემების განხილვა შემდეგ სურათს აჩვენებს: 2021 წელს საქართველოს 5 რეგიონის მოსახლეობის ნახევარზე მეტი უცხადებს ნდობას მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში (58%), შიდა ქართლში (56.7%), იმერეთსა (56.1%) და აჭარაში (55.3%). რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ უნდობლობას, თითქმის ყველა რეგიონში ასეთი რესპონდენტების რაოდენობა, დაახლოებით მეოთხედია.

სხვა წლების გამოკითხვებს რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ ნდობით განწყობილი რესპონდენტები ყველაზე გამოკვეთილია მეოთხე რაუნდში (2019 წ.): ყველა რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა უცხადებდა ნდობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. რაც შეეხება 2013-15-17 წლებს, აქ იკვეთება ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ უნდობლად განწყობილ თბილისელთა შედარებით მაღალი რაოდენობა 2019 წელთან მიმართებით (თუმცა, უფრო ნაკლები, ვიდრე 2021 წელს); მეორე მხრივ, 2013-15-17 წლებში სხვა რეგიონების უმრავლესობა ნდობის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ქვემო ქართლი, სადაც ნდობით განწყობილ რესპონდენტთა რაოდენობა უმრავლესობას ვერ აღწევს (იხ. ცხრილი #120):

**ცხრილი #120 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი (საკრებულო/მერია) ნდობა რეგიონის ჭრილში**[39]

| **ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად ენდობით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (საკრებულო/მერია)?** | | **თბილისი** | **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | **გურია** | **აჭარა** | **რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი** | **იმერეთი** | **სამცხე-ჯავახეთი** | **შიდა ქართლი** | **მცხეთა-მთიანეთი** | **ქვემო ქართლი** | **კახეთი** | **საქართველო** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2021 | არ ვენდობი | 38.2 | 32 | 33.9 | 39 | 28.3 | 31.6 | 27 | 24.7 | 34.7 | 34.2 | 29.8 | 32.3 |
| | ვენდობი | 43.6 | 48.7 | 48.8 | 55.3 | 58 | 56.1 | 46.3 | 56.7 | 42 | 47.2 | 49.8 | 50 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 18.2 | 19.3 | 17.3 | 5.7 | 13.7 | 12.3 | 26.7 | 18.7 | 23.3 | 18.6 | 20.4 | 17.7 |

39. ცხრილში წარმოდგენილი კატეგორიები ასახავს 4 ქულიანი სკალის გაერთიანებულ ჯგუფებს. სკალის ქულა 1 აღწერს კატეგორიას „სრულიად არ ვენდობი", ხოლო ქულა 4 კატეგორიას „სრულიად ვენდობი". ცხრილში მითითებული პასუხის კატეგორიები შემდეგნაირადაა გაერთიანებული: „არ ვენდობი" შეესაბამება სკალის ქულა 1-ისა და 2-ის ჯამს, ხოლო „ვენდობი" - ქულა 3-ისა და 4-ის ჯამს.

(გაგრძელება)

| ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად ენდობით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (საკრებულო/მერია)? | | თბილისი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | გურია | აჭარა | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამცხე-ჯავახეთი | შიდა ქართლი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | კახეთი | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2019 | არ ვენდობი | 32.3 | 21 | 20.2 | 17.8 | 13.8 | 29 | 16.4 | 28.8 | 27.3 | 29.5 | 20.5 | 26.6 |
| | ვენდობი | 57 | 72.8 | 66.3 | 67.2 | 79.9 | 60.9 | 58.8 | 57.9 | 53.8 | 57.9 | 70.1 | 61.7 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 10.6 | 6.3 | 13.5 | 15 | 6.2 | 10.1 | 24.8 | 13.3 | 18.9 | 12.5 | 9.4 | 11.7 |
| 2017 | არ ვენდობი | 28.3 | 17.4 | 17.6 | 17 | 13.2 | 19.7 | 17.9 | 12.9 | 25.4 | 20.4 | 21.6 | 21.5 |
| | ვენდობი | 33.1 | 56.7 | 63.5 | 63.8 | 73.1 | 62.7 | 60.6 | 39.4 | 53.4 | 49.9 | 52.1 | 49.3 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 38.6 | 25.9 | 18.9 | 19.2 | 13.7 | 17.6 | 21.5 | 47.7 | 21.1 | 29.7 | 26.3 | 29.2 |
| 2015 | არ ვენდობი | 26.3 | 15.5 | 17.6 | 28.1 | 19 | 34.9 | 23.7 | 25.9 | 31.1 | 32.3 | 13.4 | 25.7 |
| | ვენდობი | 38.8 | 64.8 | 67.4 | 56.1 | 72.2 | 54.3 | 68.7 | 45.7 | 58 | 45.5 | 53.6 | 51.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 35 | 19.7 | 15 | 15.8 | 8.8 | 10.8 | 7.6 | 28.4 | 11 | 22.1 | 33 | 22.9 |
| 2013 | არ ვენდობი | 31.1 | 13.3 | 12.6 | 18 | 12 | 22.4 | 16 | 7.1 | 20.3 | 24.3 | 16 | 21 |
| | ვენდობი | 29.5 | 60.5 | 62.8 | 65 | 75.2 | 61.7 | 64.6 | 54 | 54 | 57.8 | 58 | 52.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 39.4 | 26.2 | 24.6 | 17.1 | 12.8 | 15.9 | 19.4 | 39 | 25.8 | 17.9 | 26 | 26.6 |

თუ ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ ნდობის მაჩვენებლებს **მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების** მაცხოვრებელთა ჭრილში განვიხილავთ, როგორც 2021, ისე 2019 და 2015 წლებში იკვეთება ერთი ტენდენცია: მაღალმთიანი დასახლების რესპონდენტები უფრო ენდობიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ვიდრე სხვა ტიპის დასახლების მაცხოვრებლები. (იხ. ცხრილი #121).

**ცხრილი #121 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი (საკრებულო/მერია) ნდობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| % | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად ენდობით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (საკრებულო/მერია)? | | სხვა ტიპის დასახლება | მაღალმთიანი დასახლება | საქართველო |
| 2021 | არ ვენდობი | 32.7 | 30.5 | 32.3 |
| | ვენდობი | 49.2 | 53.9 | 50.1 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 18.1 | 15.6 | 17.7 |
| 2019 | არ ვენდობი | 27.6 | 15.2 | 26.6 |
| | ვენდობი | 60.6 | 74.3 | 61.7 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 11.8 | 10.5 | 11.7 |
| 2015 | არ ვენდობი | 25.6 | 27.1 | 25.7 |
| | ვენდობი | 50.6 | 62.1 | 51.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 23.8 | 10.8 | 22.9 |

**ეთნიკურობის ჭრილში** მონაცემები აჩვენებს, რომ გამოკითხვის ხუთივე ტალღის ფარგლებში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა საკრებულოს/მერიას უფრო მეტად ენდობა, ვიდრე ეთნიკურად არაქართველები. მსგავსი დამოკიდებულება განსაკუთრებით დიდი სხვაობითაა წარმოდგენილი 2021 და 2013 წლებში. მეორე მხრივ, კი, ბოლო წლებთან შედარებით, 2021 წელს უნდობლობის მაჩვენებელი მზარდია რესპონდენტთა ორივე ჯგუფში. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ გამოკითხვის მეხუთე ტალღაში ფიქსირდება (კატეგორია „არ ვენდობი"): ეთნიკურად ქართველი - 32.2%, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 32.6%. (იხ. ცხრილი #122):

**ცხრილი #122 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი (საკრებულო/მერია) ნდობა ეთნიკურობის ჭრილში**

| | | % | | |
|---|---|---|---|---|
| ზოგადად, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად ენდობით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (საკრებულო/მერია)? | | ეთნიკურად ქართველი | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | საქართველო |
| 2021 | არ ვენდობი | 32.2 | 32.6 | 32.3 |
| | ვენდობი | 51.4 | 42.4 | 50.1 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 16.4 | 25 | 17.6 |
| 2019 | არ ვენდობი | 26.5 | 27.4 | 26.6 |
| | ვენდობი | 62.4 | 54.5 | 61.7 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 11 | 18.1 | 11.7 |
| 2017 | არ ვენდობი | 22.1 | 16.4 | 21.5 |
| | ვენდობი | 49.5 | 48.7 | 49.3 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 28.5 | 34.9 | 29.2 |
| 2015 | არ ვენდობი | 27.8 | 25.4 | 25.7 |
| | ვენდობი | 51.7 | 51.4 | 51.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 20.6 | 23.2 | 22.9 |
| 2013 | არ ვენდობი | 17.2 | 21.5 | 21 |
| | ვენდობი | 56.1 | 52 | 52.4 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 26.7 | 26.6 | 26.6 |

2021 წლის კვლევაში ყოველ **რეგიონში** გამოკითხული რესპონდენტების დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ პანდემიის პირობებში მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობით კმაყოფილია, მგავსი შეფასება განსაკუთრებით ხშირია აჭარაში (65.7%), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთსა (77.4%) და შიდა ქართლში (62.7%) („კმაყოფილი" და „ძალიან კმაყოფილი"); ყველაზე დაბალი კი დედაქალაქსა (41.3%) და ქვემო ქართლშია (39.7%). ამ რეგიონებში შედარებით მაღალია იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც საკრებულოს/მერიის მუშაობას უარყოფითად ან ძალიან უარყოფითად აფასებენ: თბილისი - 36.5%; ქვემო ქართლი - 34% (იხ. ცხრილი #123).

**ცხრილი #123 - კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მუშაობით კმაყოფილება რეგიონის ჭრილში**

| % | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/ მერია) მუშაობით კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პერიოდში?** | თბილისი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | გურია | აჭარა | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამცხე-ჯავახეთი | შიდა ქართლი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | კახეთი | საქართველო |
| ძალიან უკმაყოფილო | 2.3 | 2.3 | 2.3 | 4 | 2.3 | 1.7 | 3.7 | 0.7 | 1.3 | 2.7 | 1.7 | 2.3 |
| უკმაყოფილო | 34 | 12.3 | 20.7 | 25 | 9 | 19.6 | 13.7 | 19.3 | 18.7 | 31.3 | 15 | 20.3 |
| კმაყოფილი | 40.3 | 53.2 | 57.3 | 60.7 | 75.7 | 57.8 | 45.3 | 60 | 42.5 | 39 | 45.3 | 52.1 |
| ძალიან კმაყოფილი | 1 | 3 | 0.3 | 5 | 1.7 | 3.7 | 6.3 | 2.7 | 2.3 | 0.7 | 2.3 | 2.6 |
| უარი პასუხზე | 1.8 | 7.3 | 2.7 | 0 | 1 | 0.3 | 0.3 | 2 | 0.7 | 8.3 | 4.7 | 2.6 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 20.5 | 21.9 | 16.7 | 5.3 | 10.3 | 16.9 | 30.7 | 15.3 | 34.4 | 18 | 31 | 20.1 |

გამოკითხვის მეხუთე ტალღაში კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში, როგორც ეთნიკურად ქართველების, ისე **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების** მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობა პოზიტიურად ფასდება. რესპონდენტების უმრავლესობა შესრულებული საქმიანობით კმაყოფილია: ეთნიკურად ქართველი - 57%; ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 41.3%. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უკმაყოფილებას უმცირესობათა ჯგუფები უფრო გამოხატავენ (28.3%), ვინც საკრებულოს/მერიის მუშაობით უკმაყოფილოა (იხ. დიაგრამა #53).

**დიაგრამა #53 - კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის პირობებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მუშაობით კმაყოფილება ეთნიკურობის ჭრილში**



მოსახლეობაში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეების ერთ ნაწილს გაუჭირდა იმ საჯარო უწყებების დასახელება, რომლებსაც ყველაზე მეტად, ან ნაკლებად ენდობა. ამის მიზეზი ისაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილს არ აქვს ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო უწყების საქმიანობის შესახებ. მოსახლეობის ნაწილი ცენტრალურ დონეზე ყველაზე მეტად ჯანდაცვის სიტემას ენდობა. ასევე ენდობიან პოლიციას და იუსტიციის სახლს. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტების მაცხოვრებლებში ენდობიან სახალხო დამცველის აპარატს.

რაც შეეხება მუნიციპალური ორგანოების მიმართ ნდობას, რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ რეგიონებში არსებული მძიმე სოციო-ეკონომიკური ფონი ნეგატიურად განაწყობს ზოგადად ხელისუფლების და მათ შორის ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

> *„ძირითადად მაინც უკმაყოფილება არის მასაში. მშიერ კაცს ტროტუარზე სიარული საერთოდ არ აინტერესებს. ძირითადი პრობლემა არის უმუშევრობა და სიღარიბე“ (40 წლის კაცი, ოზურგეთი, გურია)*

ნეგატიური განწყობების მიუხედავად, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ყველაზე მეტად მაინც მუნიციპალიტეტის მერიას ენდობიან, რადგან ადგილობრივებს, განსაკუთრებით რეგიონებში, ყველაზე ხშირად მერიასთან აქვთ შეხება. მოქალაქეები მუნიციპალურ ორგანოებს ინფორმაციის მიღების მიზნითაც მიმართავენ, იმის მიუხედავად, საკითხის მოგვარება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციაში შედის თუ არა.

მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში განხილული იქნა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ერთი ნაწილში არსებული **უნდობლობის** საკითხი. როგორც კვლევის შედეგად გამოვლინდა, უნდობლობას რამდენიმე ძირითადი მიზეზი განაპირობებს. მათ შორის აღსანიშნავია:

- **გადაუჭრელი პრობლემები:** მოსახლეობის ნაწილი ადგილობრივ ხელისუფლებას იმის გამო არ ენდობა, რომ ხელისუფლება პასიურია და როგორც წესი, წინასაარჩევნო პერიოდში, რაც შეიძლება მეტი მხარდამჭერის მოპოვების მიზნით აქტიურობს. დაპირებები, რომლებიც წინასაარჩევნოდ გაიცემა, ნაწილობრივ სრულდება, ან საერთოდ არ სრულდება. პრობლემას ისიც წარმოადგენს, რომ წინასაარჩევნოდ ისეთი დაპირებებიც გაიცემა, რომლის მოგვარებაც თვითმართველობის ორგანოების უფლებამოსილებას და კომპეტენციას სცდება;
- **ანგარიშვალდებულების ნაკლებობა:** მოქალაქეები ხელისუფლების მხრიდან ნაკლებად ხედავენ ანგარიშვალდებულებას, რაც აღრმავებს ხელისუფლების მიმართ უნდობლობას;
- **მუნიციპალურ სერვისზე მიღებული უარი:** იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ამ თუ იმ სერვისის მიღებაზე უარი ეთქვათ, შესაძლოა გაუგებარი იყოს უარის მიზეზი. არის შემთხვევები, როდესაც მოქალაქეები ვერ ხვდებიან პროგრამის სამიზნე ჯგუფში, ვერ აკმაყოფილებენ პროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს. ამ შემთხვევაში თვითმმართველობის პასუხისმგელობა ისაა, რომ მოქალაქეს დეტალურად განუმარტოს სერვისზე უარის თქმის მიზეზები;
- **თანამდებობის პირის შეუსაბამო ქცევა:** მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში უნდობლობის კიდევ ერთ მიზეზად თანამდებობის პირის მხრიდან შეუსაბამო დამოკიდებულება დასახელდა - *„ციხის მშენებლობის საწინააღმდეგოდ პროტესტი რომ მიმდინარეობდა, მთავრობის ერთ-ერთი წარმომადგენელი მოვიდა და აქტივისტს უთხრა, ციხე რომ აშენდება დაგასაქმებთ. იმის ნაცვლად, მორიგებაზე რომ ესაუბრა (კაცი 47 წლის, ქ. რუსთავი, ქვემო ქართლი).* როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, რეგიონებში ზოგიერთი თანამდებობის პირი საკუთარ თავს მოსახლეობის ბატონად განიხილავს;
- **ნეპოტიზმი:** მოსახლეობის ნაწილის ინფორმაციით, საჯარო სექტორში დასაქმება მმართველი პარტიის წევრობის და ნათესაური კავშირების მიხედვით ხდება;
- **თანამშრომელთა არაკვალიფიციურობა:** არის შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას. მაგალითად, ასფალტის

დაგების შემდეგ გაჭყავთ, ან ცვლიან კომუნიკაციებს. მოსახლეობაში ასეთი მიდგომა კითხვებს ბადებს - *„ერთი და იგივე ქუჩაზე დაგებული ასფალტი გადაითხრება კომუნიკაციების გაყვანის გამო, გაუგებარია რატომ“ (57 წლის ქალი, ქ. ოზურგეთი, გურია).*

რესპონდენტთა ზომიერად პოზიტიური დამოკიდებულება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ აისახა იმ შეკითხვაზე პასუხებში, *თუ რამდენად პასუხობს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოქალაქეთა მოთხოვნებს.*[40] რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი, ორივე კვლევაში (2021 და 2019 წლების გამოკითხვა), ირჩევს პასუხს: „მეტ-ნაკლებად პასუხობს“. დაახლოებით ყოველი მეხუთე რესპონდენტი ორივე კვლევაში კატეგორიულად უარყოფით პოზიციას აფიქსირებს („საერთოდ არ პასუხობს“), ხოლო უფრო მცირე რაოდენობა - ერთმნიშვნელოვნად დადებით პოზიციას („სრულად პასუხობს“) (იხ. დიაგრამა #54).

**დიაგრამა #54 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისობა**




რესპონდენტთა უმრავლესობას ზომიერად დადებითი დამოკიდებულება გააჩნია არა მხოლოდ იმის მიმართ, თუ რამდენად პასუხობს გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოქალაქეთა მოთხოვნებს, არამედ იმის მიმართაც, თუ თავად უკვე მიღებული გადაწყვეტილებები რამდენად პასუხობს მოქალაქეთა მოთხოვნებს (იხ. დიაგრამა #55):

**დიაგრამა #55 - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისობა**




40. აღნიშნული ცვლადი მხოლოდ 2019 და 2021 წლების კვლევებში იყო ჩართული.

გამოკითხვის ხუთივე ეტაპზე რესპონდენტებმა დაასახელეს სამი რამ, რაც, მათი აზრით გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მოქალაქეთა საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას (იხ. ცხრილი #124)

**ცხრილი #124 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო/მერია) მიერ მოქალაქეების საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად განსახორციელებელი ცვლილებები**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **თქვენი აზრით, ზოგადად, ყველაზე უფრო მეტად, რა უნდა გააუმჯობესოს თქვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა (საკრებულო/მერია), რომ უკეთ დააკმაყოფილოს თქვენი საჭიროებები** | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| გადაწყვეტილებების მიღებისას უფრო მეტად გაითვალისწინონ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები | 24.5 | 25.1 | 26.5 | 30.6 | 28.7 |
| მეტი ბიუჯეტი გამოყონ მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად | 20.2 | 20.7 | 24.3 | 19.9 | 21 |
| უნდა აიმაღლონ პროფესიონალიზმი/კომპეტენცია | 6.9 | 7.4 | 7.6 | 8.2 | 6.4 |
| უფრო ხშირი შეხვედრები მოაწყონ მოსახლეობასთან | 18.4 | 19.9 | 21.6 | 19.6 | 19.8 |
| მოსახლეობის ინფორმირება მოახდინონ მიმდინარე პროცესებზე (რა კეთდება, რა იგეგმება ა.შ.) | 12.1 | 8.7 | 14.9 | 15.5 | 17.2 |
| ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა | 6.4 | 4 | | | |
| გადაწყვეტილების მიღებისას უფრო მეტად უნდა გაითვალისწინონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებები | 3.2 | 3.7 | | | |
| გადაწყვეტილების მიღებისას უფრო მეტად უნდა გაითვალისწინონ (ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური) უმცირესობების საჭიროებები | 1.8 | 0.8 | | | |
| გადაწყვეტილების მიღებისას უფრო მეტად უნდა გაითვალისწინონ გოგონებისა და ქალების საჭიროებები | 1.4 | 1.8 | | | |
| სხვა პასუხი | 0.6 | 4.1 | 1.1 | 1.4 | 2.7 |
| უარი პასუხზე | 1.5 | | | | 0.1 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 3.7 | 3.8 | 4 | 4.8 | 4.1 |

**რეგიონების ჭრილში** მონაცემების გაანალიზებით აღმოჩნდა, რომ, გამოკითხვის ყველა რაუნდში, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის მოქალაქეთა მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებაში გამოკვეთილია პოზიცია „მეტ-ნაკლებად პასუხობს". იმ რესპონდენტთა წილი, რომელთა შეფასებითაც, გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოქალაქეთა მოთხოვნებს სრულად პასუხობს გამოკვეთილია სამეგრელო-ზემო სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის გამოკითხვაში, თბილისელთა შორის მნიშვნელოვნად შემცირებულია ნეგატიურად განწყობილ რესპონდენტთა (პოზიცია: „საერთოდ არ პასუხობს") წილი (2021 წელი - 15.3%; 2019 წელი - 24.3%). ასევე, 2021 წლის გამოკითხვაში ყოველი მეხუთე რესპონდენტს უჭირს პასუხის გაცემა ან არ პასუხობს დასმულ შეკითხვას (2019 წელს ასეთთა წილი იყო 10%-მდე) (იხ. ცხრილი #125).

**ცხრილი #125 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისობა რეგიონის ჭრილში**

| | | % | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი პასუხობს თუ არა მოქალაქეთა მოთხოვნებს?** | | **თბილისი** | **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | **გურია** | **აჭარა** | **რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი** | **იმერეთი** | **სამცხე-ჯავახეთი** | **შიდა ქართლი** | **მცხეთა-მთიანეთი** | **ქვემო ქართლი** | **კახეთი** | **საქართველო** |
| 2021 | საერთოდ არ პასუხობს | 15.3 | 10.7 | 22.9 | 20.3 | 11 | 20 | 17.9 | 12.3 | 24 | 14.3 | 16 | 16.7 |
| | მეტ-ნაკლებად პასუხობს | 53.5 | 59.7 | 62.1 | 61 | 56.1 | 58 | 44.2 | 57.3 | 51.3 | 45.7 | 63 | 55.6 |
| | სრულად პასუხობს | 10.5 | 16 | 4.3 | 9.7 | 17.6 | 12.7 | 11.3 | 12.3 | 6.7 | 12.7 | 6.3 | 10.9 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 20.8 | 13.7 | 10.6 | 9 | 15.3 | 9.3 | 26.6 | 18 | 18 | 27.3 | 14.7 | 16.8 |
| 2019 | საერთოდ არ პასუხობს | 24.3 | 13.3 | 15.5 | 17.3 | 13 | 19.5 | 14.3 | 18.5 | 18.9 | 25.4 | 15.4 | 19.9 |
| | მეტ-ნაკლებად პასუხობს | 53.4 | 54.2 | 53.2 | 37.1 | 50.3 | 46.2 | 44.2 | 46.7 | 44.5 | 41.6 | 57.9 | 49 |
| | სრულად პასუხობს | 12.7 | 19.4 | 12.6 | 19.1 | 24.8 | 17.8 | 16.2 | 15.4 | 14.5 | 11.7 | 12.7 | 15 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 9.6 | 13 | 18.8 | 26.6 | 12 | 16.5 | 25.3 | 19.4 | 22.1 | 21.3 | 14 | 16.1 |

**მაღალმთიანი/სხვა ტიპი დასახლების** მაცხოვრებელთა ჭრილში მონაცემები აჩვენებს, რომ 2021 წლის გამოკითხვაში ორივე ჯგუფის რესპონდენტთა პოზიციები თანაბარია (უმრავლესობის პოზიციაა „მეტ-ნაკლებად" პასუხობს). თუმცა, მნიშვნელოვანი განსხვავებაა 2021 წლის და 2019 წლის შედეგებს შორის: 2019 წელს მაღალმთიანი დასახლების მაცხოვრებლები უფრო ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილები, სხვა ტიპის დასახლების მოსახლეობასთან შედარებით. კერძოდ, ყოველი მეოთხე (23.7%) აცხადებდა, რომ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი სრულად პასუხობს მოქალაქეთა მოთხოვნებს (სხვა ტიპის დასახლების მაცხოვრებელთა შორის ამ პოზიციას იზიარებდა მხოლოდ 14.2%). 2021 წელს პოზიციას „სრულად პასუხობს" იზიარებს უფრო ნაკლები რაოდენობა - 11.4% (იხ. ცხრილი #126):

**ცხრილი #126 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისობა მაღალმთიანი/სხვა ტიპის დასახლების ჭრილში**

| | | % | | |
|---|---|---|---|---|
| **ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი პასუხობს თუ არა მოქალაქეთა მოთხოვნებს?** | | **სხვა ტიპის დასახლება** | **მაღალმთიანი დასახლება** | **საქართველო** |
| 2021 | საერთოდ არ პასუხობს | 16.5 | 17.8 | 16.7 |
| | მეტ-ნაკლებად პასუხობს | 56 | 54.2 | 55.7 |
| | სრულად პასუხობს | 10.8 | 11.4 | 10.9 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 16.7 | 16.6 | 16.7 |
| 2019 | საერთოდ არ პასუხობს | 20.5 | 13.5 | 19.9 |
| | მეტ-ნაკლებად პასუხობს | 49.4 | 43.8 | 49 |
| | სრულად პასუხობს | 14.2 | 23.7 | 15 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 15.8 | 19 | 16.1 |

**ეთნიკურობის ჭრილში** მონაცემები აჩვენებს, რომ როგორც 2021, ისე 2019 წელს არაქართველ რესპონდენტებს, ეთნიკურად ქართველებთან შედარებით, გაცილებით უჭირთ ჩამოაყალიბონ მკაფიო პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პასუხობს მოქალაქეთა მოთხოვნებს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი მოქალაქეთა მოთხოვნებს (სულ მცირე, ყოველი მეოთხე ვერ/არ სცემს პასუხს). ორივე ჯგუფში წამყვანი პოზიციაა „მეტ-ნაკლებად პასუხობს", თუმცა, ეთნიკურად ქართველ რესპონდენტებში ასეთი პოზიციის მქონეთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ეთნიკურად არაქართველ რესპონდენტებში (იხ. ცხრილი #127):

**ცხრილი #127 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მოქალაქეთა მოთხოვნების შესაბამისობა ეთნიკურობის ჭრილში**

| | % | | | |
|---|---|---|---|---|
| | **ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი პასუხობს თუ არა მოქალაქეთა მოთხოვნებს?** | **ეთნიკურად ქართველი** | **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი** | **საქართველო** |
| 2021 | საერთოდ არ პასუხობს | 16.6 | 17.4 | 16.7 |
| | მეტ-ნაკლებად პასუხობს | 57.9 | 42.4 | 55.6 |
| | სრულად პასუხობს | 10.6 | 12.8 | 10.9 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 14.9 | 27.4 | 16.8 |
| 2019 | საერთოდ არ პასუხობს | 19.6 | 22.9 | 19.9 |
| | მეტ-ნაკლებად პასუხობს | 50.1 | 38.1 | 49 |
| | სრულად პასუხობს | 15.2 | 13.1 | 15 |
| | უარი პასუხზე/არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 15.1 | 25.9 | 16.1 |

## ურთიერთობა მოსახლეობასთან და მოქალაქეთა მიმართვიანობა ადგილობრივი თვითმმართველობისადმი

რესპონდენტთა ნახევარზე მეტი 2021, 2017 და 2015 წლების კვლევებში იზიარებს მოსაზრებას, რომ მათი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ეფექტიანად ურთიერთობს მოსახლეობასთან. 2013 და 2019 წლების კვლევებში ამ პოზიციას იზიარებდა რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი, თუმცა, არა უმრავლესობა (2013 წელს - 47.5%; 2019 წელს - 48.5%). 2021 წლის გამოკითხვაში, წინა წლებთან შედარებით, ყველაზე მაღალია იმ გამოკითხულთა წილი, ვინც თანამშრომლობას ეფექტიანად აფასებს (55.5%). აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა მესამედზე მეტი, ხუთივე კვლევაში, აცხადებდა, რომ მუნიციპალური ხელმძღვანელობის ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან არაეფექტიანია. უკიდურესად დადებით („ძალიან ეფექტიანად") და უკიდურესად უარყოფით („ძალიან არაეფექტიანად") პოზიციებს გამოკითხულთა შედარებით მცირე რაოდენობა აფიქსირებდა (იხ. ცხრილი #128).

**ცხრილი #128 - მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან ურთიერთობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **თქვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა რამდენად ეფექტიანად ურთიერთობს მოსახლეობასთან?** | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| ძალიან ეფექტიანად | 5.4 | 4.5 | 0.5 | 1.7 | 2 |
| ეფექტიანად | 55.5 | 48.5 | 52.6 | 54.6 | 47.5 |
| არაეფექტიანად | 35.3 | 39.3 | 42.4 | 34.5 | 39.9 |
| ძალიან არაეფექტიანად | 3.8 | 7.7 | 4.6 | 5.9 | 5.6 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 0 | 0 | 0 | 3.3 | 5 |

საკითხის **რეგიონების** ჭრილში გაანალიზების შედეგად გამოვლინდა, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან ურთიერთობას ეფექტია-ნად აფასებს. 2021 წელს განსაკუთრებით პოზიტიური შეფასება გურიის (65.5%), რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა (69%), იმერეთისა (62.1%) და შიდა ქართლის (68.6%) რეგიონებში დაფიქსირდა („ეფექტიანად" და „ძალიან ეფექტიანად").

წინა წლების გამოკითხვაშიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და მოსახლეობას შო-რის პოზიტიური ურთიერთობის გამოცდილება არსებობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კვლევის ამ ტალღებში დედაქალაქში არსებული მდგომარეობა არაეფექტიანადაა შეფასებული („არაეფექ-ტიანად" და „ძალიან არაეფექტიანად"): 2019 – 63%; 2017 – 64%; 2015 – 47.8%; 2013 – 62.2%. 2021 წლისთვის მდგომარეობა გაუმჯობესებულია. დედაქალაქში გამოკითხული პირების 60.6% ხელმძღვანელობის ხალხთან ურთიერთობას ეფექტიანად აფასებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2015 წელს შიდა ქართლში გამოკითხული პირების 50%-ის აზრით, მოსახ-ლეობასთან ურთიერთობა არაეფექტიანი იყო, ხოლო 2021 წელს დამოკიდებულება პოზიტიური პოლუსისკენაა გადახრილი - რესპონდენტთა 68.6% საკითხს დადებითად აფასებს (იხ. ცხრილი #129).

**ცხრილი #129 - მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან ურთიერთობა რეგიონის ჭრილში**

| **გთხოვთ მითხრათ, თქვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა რამდენად ეფექტიანად ურთიერთობს მოსახლეობასთან?** | | **თბილისი** | **სამეგრელო-ზემო სვანეთი** | **გურია** | **აჭარა** | **რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი** | **იმერეთი** | **სამცხე-ჯავახეთი** | **შიდა ქართლი** | **მცხეთა-მთიანეთი** | **ქვემო ქართლი** | **კახეთი** | **საქართველო** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2021 | ძალიან ეფექტიანად | 6.3 | 4.7 | 2.3 | 8 | 3.7 | 2 | 9.7 | 6.7 | 2 | 9.7 | 4 | 5.4 |
| | ეფექტიანად | 54.3 | 53 | 63.2 | 52.8 | 65.3 | 60.1 | 48.3 | 61.9 | 52 | 45.3 | 55.3 | 55.6 |
| | არაეფექტიანად | 35.5 | 40.3 | 31.4 | 34.4 | 25.3 | 33.9 | 36 | 29.8 | 42.7 | 42 | 36.7 | 35.3 |
| | ძალიან არაეფექტიანად | 4 | 2 | 3 | 4.7 | 5.7 | 4 | 6 | 1.7 | 3.3 | 3 | 4 | 3.8 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | | | | | | | | | | | | |

(გაგრძელება)

| გთხოვთ მითხრათ, თქვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა რამდენად ეფექტიანად ურთიერთობს მოსახლეობასთან? | | თბილისი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | გურია | აჭარა | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამცხე-ჯავახეთი | შიდა ქართლი | მცხეთა-მთიანეთი | ქვემო ქართლი | კახეთი | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2019 | ძალიან ეფექტიანად | 1.9 | 6.2 | 8.5 | 7.9 | 9.3 | 6.6 | 6.1 | 3.7 | 4.6 | 4.1 | 2.7 | 4.5 |
| | ეფექტიანად | 35.1 | 61.1 | 56.2 | 56.4 | 65.2 | 45.5 | 64 | 54.6 | 56.1 | 47.5 | 60.6 | 48.5 |
| | არაეფექტიანად | 51.9 | 25 | 28.8 | 32.2 | 20.5 | 39.3 | 27.2 | 37.8 | 32.9 | 39.4 | 33.5 | 39.3 |
| | ძალიან არაეფექტიანად | 11.1 | 7.7 | 6.5 | 3.6 | 5.1 | 8.6 | 2.6 | 3.9 | 6.4 | 9 | 3.2 | 7.7 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | | | | | | | | | | | | |
| 2017 | ძალიან ეფექტიანად | 0 | 0 | 0 | 0.3 | 0 | 0.2 | 2.1 | 0.4 | 3.4 | 0.8 | 1.4 | 0.5 |
| | ეფექტიანად | 36 | 61.3 | 70.1 | 55.1 | 75 | 60 | 68.8 | 53.5 | 55.1 | 55.9 | 62.9 | 52.6 |
| | არაეფექტიანად | 56.2 | 33.2 | 29.9 | 42.9 | 25 | 32 | 27.8 | 45.6 | 36 | 42 | 34.7 | 42.4 |
| | ძალიან არაეფექტიანად | 7.8 | 5.5 | 0 | 1.7 | 0 | 7.8 | 1.4 | 0.4 | 5.6 | 1.3 | 1 | 4.6 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | | | | | | | | | | | | |
| 2015 | ძალიან ეფექტიანად | 2.1 | 0.5 | 4.4 | 2.9 | 2.3 | 0.9 | 7.2 | 0 | 1 | 0.5 | 1.9 | 1.7 |
| | ეფექტიანად | 41.8 | 73.9 | 64 | 58.8 | 69.8 | 55.3 | 57.2 | 48.4 | 56.1 | 46.8 | 68.2 | 54.5 |
| | არაეფექტიანად | 40.7 | 22.8 | 26.3 | 31.9 | 25.6 | 29.5 | 32.9 | 49.6 | 37.8 | 45.5 | 22.3 | 34.5 |
| | ძალიან არაეფექტიანად | 7.1 | 2.4 | 5.3 | 4.3 | 2.3 | 14.4 | 1.3 | 0.4 | 5.1 | 6.3 | 0.3 | 5.9 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 8.3 | 0.3 | 0 | 2.2 | 0 | 0 | 1.3 | 1.6 | 0 | 0.8 | 7.2 | 3.3 |
| 2013 | ძალიან ეფექტიანად | 3.8 | 0.5 | 0.9 | 1.4 | 7 | 0.5 | 4.5 | 0.4 | 1 | 2.5 | 0.6 | 1.9 |
| | ეფექტიანად | 22.4 | 60.4 | 70.2 | 54.8 | 60.5 | 52.4 | 55.2 | 54.3 | 52 | 47.8 | 65.3 | 47.5 |
| | არაეფექტიანად | 54.6 | 32.2 | 23.7 | 34.8 | 25.6 | 42.7 | 31.8 | 41.6 | 32.7 | 41.3 | 19.7 | 39.9 |
| | ძალიან არაეფექტიანად | 7.6 | 2.7 | 4.4 | 6.5 | 4.7 | 4 | 7.8 | 0.4 | 2 | 7.4 | 8.1 | 5.6 |
| | არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 11.6 | 4.1 | 0.9 | 2.5 | 2.3 | 0.4 | 0.6 | 3.3 | 12.2 | 1.1 | 6.3 | 5.1 |

მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში ხელისუფლების ეფექტიანი მუშაობის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად დასახელდა თანამდებობაზე მუშაობის მოტივაცია. ფოკუს ჯგუფებში მონაწილეთა ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია მათი აქტიური მხარდამჭერების საკითხების მოგვარება. შესაბამისად, ხელისუფლების მხარდამჭერების პრობლემები შესაძლოა უფრო სწრაფად მოგვარდეს, ვიდრე დანარჩენების - *„ყველა მთავრობის დროს ასე იყო, მხარდამჭერებს უფრო მოკლე გზები აქვთ, რომ მივიდნენ შედეგამდე. უფრო მეტი ბერკეტი და უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ, რომ დადებითი პასუხი მიიღონ“* (38 წლის კაცი; მესტიის მაცხოვრებელი; სამეგრელო - ზემო სვანეთი). მუნიციპალური ორგანოების ეფექტიან მუშაობას ხელს ისიც უშლის, რომ თუნდაც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების შეთანხმება რეგიონულ (რწმუნებულის ადმინისტრაცია) ან/და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ხდება.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოსაზრებებს მუნიციპალური ორგანოების ეფექტიან საქმიანობაზე, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ თვითმმართველობის

**ეფექტიანი მუშაობისთვის** საჭიროა საჯარო სექტორში უფრო მეტი **კვალიფიციური კადრის დასაქმება.** როგორც წესი, მუნიციპალურ ორგანოებში თანამშრომლების დასაქმებისას ყურადღება ნაკლებად ექცევა კანდიდატის კვალიფიკაციასა და სამუშაო გამოცდილებას, უფრო მეტად პრიორიტეტულია კანდიდატის ლოიალურობა მთავრობის მიმართ. მუნიციპალურ ორგანოებში დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, საბოლოო ჯამში, არჩევნების დროს ადმინისტრაციულ რესურსს წარმოადგენს. სახელმწიფოს მიერ შექმნილ არასამეწარმეო იურიდიული პირების (აიპ) დაფინანსების მნიშვნელოვანი წილი ხელფასებში იხარჯება. მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა რაოდენობის აიპ-ებია, შესაბამისად, ექსპერტების შეფასებით, იმის დადგენა, თუ რაზეა დამოკიდებული აიპ-ების რაოდენობა - შეუძლებელია. ასეთ ვითარებაში სერვისებიც მოუწესრიგებელია, რადგან ერთი ან ორი თანამდებობის პირის სუბიექტური მოსაზრება განსაზღვრავს როგორც აიპი-ების, ისე აიპ-ებში დასაქმებული კადრების რაოდენობას.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობის მიმართ რესპონდენტთა უმრავლესობის ზომიერად პოზიტიური დამოკიდებულება ნარჩუნდება მაშინაც, როდესაც რესპონდენტები პასუხობენ შეკითხვაზე: ***„როგორ შეაფასებდით მოქალაქეების ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში?“*** გამოკვეთილი პოზიცია, ამ შემთხვევაში, არის ***„მეტ-ნაკლებად არიან ჩართულნი“.*** აღსანიშნავია, რომ 2021 წლის გამოკითხვაში რესპონდენტები რამდენადმე უფრო პოზიტიურად აფასებენ მოქალაქეთა ჩართულობას (56.2% - „მეტ-ნაკლებად არიან ჩართულნი“), 2019 წელთან შედარებით (51.7%)[41] (იხ. დიაგრამა #56).

**დიაგრამა #56 - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობა**




მოსახლეობასთან ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობას მოსახლეობა ნაკლებად იცნობს, რადგან, როგორც რესპონდენტები აცხადებენ, საკრებულო მერიასთან შედარებით ნაკლებად აქტიურობს - *„საკრებულო არ ჩანს, იმდენად არ არის აქტიური“ (57 წლის კაცი ქალაქ სენაკის მაცხოვრებელი, სამეგრელო-ზემო სვანეთი).* საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობის მხრივ მოსახლეობის პასიურობა იმით აიხსნება, რომ ინფორმაციის გავრცელება გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხდება (მაგ. სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ მეშვეობით) და არა განხილვამდე. არაინფორმირებულობის გამო, მოსახლეობა

41. აღნიშნული კითხვა რესპონდენტებს მხოლოდ 2019 და 2021 წლების კვლევებში დაესვათ.

ნაკლებად ერთვება მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში. პროცესს ასევე აფერხებს ის, რომ ადგილობრივებმა არ იციან რა გზებით არის შესაძლებელი ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა. თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ სოფლებში პერიოდულად ტარდება სხდომები, სადაც მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ბიუჯეტით რისი გაკეთება არის სოფლებისთვის გათვალისწინებული.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დადებითად აფასებენ პროგრამულ ბიუჯეტირებას, თუმცა, გამოთქვამენ სურვილს, რომ უფრო მეტად მოხდეს მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და გათვალისწინება. საქმე ისაა, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილის ყოველწლიური ბიუჯეტები ერთმანეთის მსგავსია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება სათანადოდ არ ხდება. როგორც მოსახლეობის საჭიროებების კვლევას, ისე მუნიციპალური სერვისების მონიტორინგს არასამთავრობო ორგანიზაციები დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ახორციელებენ. მომზადებული ანგარიში და რეკომენდაციები თვითმმართველობებს ეგზავნებათ გასაცნობად.

რაოდენობრივი კვლევის იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მოქალაქეები მეტ-ნაკლებად ან სრულად არიან ჩართულები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კითხვაზე **არის თუ არა ეს ჩართულობა გენდერულად განპირობებული** (ანუ, მამაკაცები უფრო არიან ჩართულნი, თუ ქალები)?[42] 2021 წლის გამოკითხვაში რესპონდენტთა უმრავლესობა (54%) პასუხობს, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები თანაბრად არიან ჩართულნი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაშინ როდესაც 2019 წელს ასეთ პოზიციაზე იყო 35.2%. ის, რაშიც 2021 წლის და 2019 წლის გამოკითხვების შედეგები ერთმანეთს შეესაბამება, ისაა, რომ კაცების მონაწილეობაზე უფრო მეტი რესპონდენტი მიუთითებს, ვიდრე ქალების მონაწილეობაზე. ამასთან, ქალების მონაწილეობის წილი 2021 წელს მნიშვნელოვნად შემცირებულია (იხ. დიაგრამა #57):

**დიაგრამა #57 - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების ჩართულობა**




როგორც 2019 წლის, ისე 2021 წლის გამოკითხვის ფარგლებში **ქალი და კაცი** რესპონდენტების დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ ორივე მათგანი თანაბრად არის ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. გამოკითხვის მეხუთე რაუნდში რესპონდენტები მეტად მიუთითებენ თანასწორობაზე. თუმცა, 2019 წელს, გაცილებით მეტი რესპონდენტი მიუთითებდა, რომ ქალები მეტად მონაწილეობდნენ, ვიდრე კაცები: ქალი რესპონდენტი - 22.8%, კაცი რესპონდენტი - 16.1%. 2021 წლის გამოკითხვაში აღნიშნული მაჩვენებლები 10%-საც კი ვერ აღწევს: ქალი - 8.4%, კაცი - 6% (იხ. დიაგრამა #58).

42. აღნიშნული კითხვა რესპონდენტებს მხოლოდ 2019 და 2021 წლების კვლევებში დაესვათ.

**დიაგრამა #58 - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების ჩართულობა სქესის ჭრილში**




**ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების** უმრავლესობის შეფასებით მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე კაცები მეტად არიან ჩართულნი: 2021 – 66.3%; 2019 – 50.6%. ეთნიკურად ქართველები კი ორივე ტალღის გამოკითხვაში ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მონაწილეობაზე მიუთითებენ: 2021 – 57.8%; 2019 – 35.1% (იხ. დიაგრამა #59).

**დიაგრამა #59 - ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების ჩართულობა ეთნიკურობის ჭრილში**




რესპონდენტების უფრო დიდი ნაწილი ორივე - 2021 წლის და 2019 წლის - კვლევაში მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ ახორციელებს არანაირ ღონისძიებას, რათა გაიზარდოს **ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.** 2021 წლის კვლევაში ასე ფიქრობს გამოკითხულთა თითქმის მესამედი (31.9%), ხოლო 2019 წლის კვლევაში უფრო მეტი - 44.7%

ფიქრობდა ასე. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა დიდ რაოდენობას გაუჭირდა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ორივე კვლევაში[43] (იხ. დიაგრამა #60):

**დიაგრამა #60 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები**




თითოეული **ასაკობრივი ჯგუფის** წარმომადგენლების დიდი ნაწილის შეფასებით, ადგილობრივი თვითმმართველობა ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად არანაირ ღონისძიებას არ ახორციელებს. მნიშვნელოვანია რომ 2019 წლის გამოკითხვის ფარგლებში ნეგატიური პასუხის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო - მაჩვენებლებს შორის სხვაობა 10%-ს აღემატება. 2021 წლისთვის არსებული მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია (პასუხი „არ ახორციელებს"):

- **2021 წელი:** 18-24 წლის - 35.1%; 25-34 წლის - 28.8%%; 35-44 წლის - 32%; 45-54 წლის - 34.6%; 55-64 წლის - 33.3%; 65 წლის ან მეტის - 29.1%
- **2019 წელი:** 18-24 წლის - 44%; 25-34 წლის - 44.9%; 35-44 წლის - 41%; 45-54 წლის - 46.4%; 55-64 წლის - 49.1%; 65 წლის ან მეტის - 42.9% (იხ. დიაგრამა #61).

43. აღნიშნული კითხვა რესპონდენტებს მხოლოდ 2019 და 2021 წლების კვლევებში დაესვათ.

**დიაგრამა #61 - ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის გასაზრდელად თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ასაკის ჭრილში**




მოსახლეობაში ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა, თვითმმართველობის ორგანოების ეფექტიან მუშაობაზე საუბრისას აღნიშნეს, რომ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ საჯარო სექტორში დასაქმების და მით უფრო წამყვანი პოზიციების დაკავების შესაძლებლობა. როგორც წესი, მუნიციპალურ ორგანოებში ერთი და იგივე ადამიანები არიან დასაქმებულები და კადრების ჩანაცვლება, ან განახლება ნაკლებად ხდება. ახალგაზრდების დასაქმება მუნიციპალურ ორგანოებში მნიშვნელოვანია ახალი ინიციატივების, ხედვებისა და მიდგომების დამკვიდრებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტიან მუშაობას. თბილისის საკრებულოს წევრთან ჩატარებულ ინტერვიუში ითქვა, რომ 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე მაჟორიტარებად, რომლებიც თავიანთ უბნებში მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაციაზე არიან პასუხისმგებელნი, შეირჩა ახალგაზრდა კადრები - *„ისინი, ვისაც მეტი ენთუზიაზმი აქვს ადამიანთან კომუნიკაციის, ვისაც შიშშილი აქვს ადამიანებთან ურთიერთობის“* (თბილისის საკრებულოს წევრი).

ხუთივე ტალღის გამოკითხვა აჩვენებს, რომ, ბოლო 2 წლის განმავლობაში, რესპონდენტთა უმრავლესობას არასოდეს მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის (მერია/საკრებულო) რომელიმე კონკრეტული პრობლემების მოგვარების მიზნით. მიმართვიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა 2019 წელს (21.9%), ყველა სხვა წელთან, მათ შორის, 2021 წელთან (16.1%) შედარებით (იხ. დიაგრამა #62).

**დიაგრამა #62 - ბოლო 2 წლის განმავლობაში პრობლემის მოგვარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის (საკრებულო/მერია) მიმართვიანობის გამოცდილება**




რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობისთვის **მიმართვიანობის ინტენსივობას,** ამ შემთხვევაშიც თანხმობაა სხვადასხვა რაუნდის გამოკითხვების შედეგებს შორის: რესპონდენტთა ძირითად ნაწილს ან ერთხელ, ან 2-3 ჯერ მიუმართავს ადგილობრივი ხელისუფლებისთვის. 2021 წელს, 2019 წელთან შედარებით, გაზრდილია მხოლოდ ერთხელ მიმართვის გამოცდილება. მდგომარეობა მცირედით გაუმჯობესებულია 2013-2017 წლის მაჩვენებლებთან შედარებით. ყველა გამოკითხვაში დაბალია და 8-9%-ს არ აღემატება იმათი წილი, ვისაც 4-5-ჯერ ან 5-ზე მეტად მიუმართავს საკრებულო/მერიისთვის. აღსანიშნავია, რომ, 2019 წელთან შედარებით, 2021 წელს იკლო მიმართვიანობის ინტენსივობამ: 4-5-ჯერ ან 5-ზე მეტად ადგილობრივ ხელისუფლებას ჯამში 2019 წელს მიმართა 16.1%-მა, ხოლო 2021 წელს - 9.6%-მა (იხ. დიაგრამა #63):

**დიაგრამა #63 - ბოლო 2 წლის განმავლობაში პრობლემის მოგვარების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის (საკრებულო/მერია) მიმართვიანობის ინტენსივობა**



გამოიკვეთა ორი საკითხი/პრობლემა, რომელთა გამოც მოსახლეობა ყველაზე ხშირად მიმართავს ადგილობრივ თვითმმართველობას (მერია/საკრებულო):

- სოციალური საკითხები (სოციალური დახმარება, უმუშევრობა და ა.შ.)
- ინფრასტრუქტურული პრობლემები (გაზის შეყვანა სოფელში, წყალმომარაგება, ელექტროენერგია).

სხვადასხვა სიხშირით დასახელდა სხვა პრობლემებიც[44] (იხ. ცხრილი #130):

**ცხრილი #130 - საკითხები, რომელთა შესახებაც ბოლო 2 წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობისათვის მიუმართავთ**

| % | | |
|---|---|---|
| **რა საკითხებთან დაკავშირებით მიგიმართავთ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ბოლო 2 წლის განმავლობაში?** | **2021** | **2019** |
| სკოლამდელი (საბავშვო ბაღები) და სკოლისგარეშე (სპეციალიზებული სასწავლებლები) დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა | 3.6 | 2.6 |
| სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან (შშმ, ბავშვები, ხანდაზმულები, უსახლკაროები) დაკავშირებული გარემოს გაუმჯობესება | 5.3 | 6.5 |
| კულტურის (შემოქმედებითი საქმიანობა, კულტურული მემკვიდრეობა) საკითხები | 3.1 | 1.7 |
| კულტურულ-საზოგადოებრივი ობიექტების (ბიბლიოთეკები, კლუბები, საგამოფენო სივრცეები, სპორტული ობიექტები და ა.შ.) ფუნქციონირება | 3.4 | 1.2 |
| ინფრასტრუქტურული პრობლემები (გაზის შეყვანა სოფელში, წყალმომარაგება, ელექტროენერგია) | 16.2 | 14.8 |
| საგზაო ინფრასტრუქტურის (პარკირება, მუნიციპალური ტრანსპორტი და სხვ.) გაუმჯობესება | 5.5 | 5 |
| მშენებლობის ნებართვის გაცემა | 7.1 | 5.4 |
| ტერიტორიის კეთილმოწყობა (დასუფთავება და ნაგვის გატანა, გარეგანათება, გამწვანება) | 5.9 | 5.2 |
| ეკოლოგიური საკითხები (წყლის/ჰაერის დაბინძურება, ნიადაგის ეროზია) | 5.1 | 2.4 |
| უპატრონო ცხოველების საკითხები | 2.2 | 2.8 |
| გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის და ეკონომიკური საქმიანობის ლიცენზირების საკითხები | 0.5 | 0.6 |
| გადასახადების არგადაუხდელობის შემთხვევაში შეწყვეტილი მომსახურებები | 0.9 | 0.7 |
| სოციალური საკითხები (სოციალური დახმარება, უმუშევრობა და ა.შ.) | 27.3 | 25.6 |
| სხვა პასუხი | 4.5 | 20 |
| *არ ვიცი/მიჭირს პასუხი* | 4.8 | 3.2 |
| *უარი პასუხზე* | 2.2 | 2.2 |

ყველა რაუნდის კვლევაში იმ რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი ან მესამედზე მეტი, რომლებმაც ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებისთვის მიმართა, მიუთითებს, რომ **ადგილობრივ ხელისუფლებას არცერთი პრობლემა არ მოუგვარებია** (მცდელობაც კი არ ჰქონია); თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელთან (38.2%) შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლისთვის შემცირებულია და 32.5%-ს უტოლდება. რესპონდენტთა მეორე - ოდნავ მცირე - ნაწილი აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ მათ პრობლემები **სრულად მოუგვარა**. გამოკითხულთა საშუალოდ მეხუთედი

44. აღნიშნული კითხვა რესპონდენტებს მხოლოდ 2019 და 2021 წლების კვლევებში დაესვათ.

კი პრობლემების **ნაწილობრივ** მოგვარებაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ მსგავს გამოცდილე-ბას ყველაზე ხშირად 2021 წლის გამოკითხვაში აღწერენ (24.2%), რაც 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით, თითქმის 10%-ითაა გაზრდილი (2019 – 15.1%). (იხ. ცხრილი #131).

**ცხრილი #131 - თვითმმართველობის მიერ კონკრეტული პრობლემების მოგვარების გამოცდილება**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მოგიგვარათ თუ არა თვითმმართველობამ კონკრეტული პრობლემა / პრობლემები, რომლისთვისაც მიმართეთ?** | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| არცერთი პრობლემა არ მოუგვარებიათ (მცდელობაც არ ჰქონიათ) | 32.5 | 38.2 | 31.2 | 38 | 35.2 |
| ჰქონდათ მცდელობა დახმარების, მაგრამ პრობლემა ვერ მოგვარდა სხვა ობიექტური მიზეზების გამო | 9.5 | 10.8 | 8.3 | 8.2 | 8.9 |
| ნაწილობრივ მოაგვარეს | 24.2 | 15.1 | 20.2 | 18.3 | 22.1 |
| მოაგვარეს | 28.3 | 29.3 | 31.4 | 30.1 | 28.6 |
| ყველა ჩემი პრობლემა/პრობლემები, რომლისთვისაც კი მიმიმართავს, მოაგვარეს | 3.8 | 3.7 | 5.7 | 4.8 | 4.2 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 1.3 | 1.2 | 2.4 | 0.4 | 1 |
| უარი პასუხზე | 0.5 | 1.7 | 0.8 | 0.3 | 0 |

იმ რესპონდენტებს, რომლებმაც ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართეს დასახმარებლად ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად, დაესვათ შეკითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად მარტივ პროცედურას წარმოადგენს თვითმმართველობისთვის მიმართვა. რესპონდენტთა უმრავლესობა (61-65%-ის ფარგლებში), გამოკითხვის ხუთივე ტალღაში, აღნიშნავს, რომ მიმართვის პროცედურა **მარტივია.** ამასთანავე საშუალოდ 10%-მიუთითებს, რომ „ძალიან მარტივი პროცედურებია“. იმ რესპონდენტთა წილი, ვინც მიმართვის პროცედურის სირთულეზე ან ზედმიწევნით სირთულეზე მიუთითებს, 17-25%-ის ფარგლებში მერყეობს. 2013 წელს გამოკითხულთა დაახლოებით მეათედი მიუთითებდა, რომ მიმართვის პროცედურა ძალიან მარტივია. შემდგომ ტალღებში მაჩვენებელი მზარდი იყო და მაქსიმუმს 2019 წელს მიაღწია - 17.1%. საგულისხმოა, რომ 2021 წლისთვის იმ რესპონდენტთა წილი, რომელთა შეფასებითაც, თვითმმართველობისათვის თხოვნით მიმართვის პროცედურა ძალიან მარტივია, 10%-ითაა შემცირებული და 7.3%-ს უტოლდება (იხ. ცხრილი #132).

**ცხრილი #132 - თვითმმართველობისათვის თხოვნით მიმართვის პროცედურის შეფასება**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **იოლია თუ არა თვითმმართველობისათვის თხოვნით მიმართვა/ რამდენად მარტივია პროცედურა?** | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| ძალიან გართულებული პროცედურებია | 4.3 | 2.6 | 3.8 | 3.6 | 5.5 |
| რთული პროცედურებია | 18.4 | 15.6 | 13.4 | 18 | 15.7 |
| მარტივი პროცედურებია | 65.3 | 62.3 | 64.6 | 61.1 | 61.5 |
| ძალიან მარტივი პროცედურებია | 7.3 | 17.1 | 12.1 | 10.7 | 9.2 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 0.2 | 0.7 | 0.4 | 0.9 | 0.2 |
| უარი პასუხზე | 4.5 | 1.6 | 5.6 | 5.8 | 7.9 |
| უარი პასუხზე | 0.5 | 1.7 | 0.8 | 0.3 | 0 |

თვისებრივი კვლევის ფარგლებში საინტერესო იყო იმის გაგება, მოსახლეობის აზრით, მოქალაქეებმა **რა საკითხების მოსაგვარებლად უნდა მიმართონ მუნიციპალურ ორგანოებს.** ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას იმ საკითხებთან დაკავშირებით უნდა მიმართონ, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებს მოსახლეობას. ესენია - სოციალური, ეკონიმიკური და ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე დასახელდა საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის საკითხების მოგვარება, როგორებიცაა სახლის სახურავის გადახურვა, გაყვანილობის მილების შეკეთება და ა.შ. არის საკითხები, რომლის მოსაგვარებლად კოლექტიურად უნდა მიმართონ ადგილობრივი თემის მაცხოვრებლებმა. ეს საკითხებია - გზის დაგება, ტროტუარის მოწყობა, გამწვანებასთან დაკავშირებული საკითხები და ა.შ.

მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერიისთვის მიუმართავს, მთლიანობაში მიღებული მომსახურებით კმაყოფილია. რესპონდენტთა ერთ ნაწილს უარი ეთქვა მომსახურებაზე, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამს. იმ საკითხებს შორის, რომლებზეც მუნიციპალიტეტი დროულად არ რეაგირებს, არის სოციალური დახმარება, წყლის მიწოდებასთან დაკავშირებულ პრობლემები და ა.შ. ქ. რუსთავის მოქალაქეებმა ადგილობრივ ხელისუფლებას ტრანსპორტის ფასის შენარჩუნების მოთხოვნით მიმართეს - *„8 თვით გავწელეთ სამოქალაქო აქტივისტებმა და რუსთავის აქტიურმა მოსახლეობამ არსებული ძველი ტარიფი, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც გაძვირდა“ (26 წლის კაცი, ქ. რუსთავის მაცხოვრებელი, ქვემო ქართლი).* მოსახლეობის გამოცდილებაზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ პრობლემის/საკითხის მოგვარების მეტი შანსი მაშინ არსებობს, როდესაც მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა კოლექტიურად, ან ორგანიზაცია მიმართავს თვითმმართველობას. მოქალაქის ინდივიდუალური მიმართვის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ საკითხის მოგვარება დროში გაიწელოს.

მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ინფორმაციით, მუნიციპალური ორგანოებისადმი მიმართვის პროცედურები შეიცვალა. ადრე თუ უშუალოდ გადაწყვეტილების მიმღებ პირთან შეიძლებოდა გასაუბრება, ახლა მთელი რიგი პროცედურების გავლა არის საჭირო. აუცილებელია განცხადებით კანცელარიისთვის მიმართვა. განცხადების განხილვის პროცედურებს რესპონდენტები დადებითად აფასებენ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, მოქალაქეთა მომსახურება ერთი ფანჯრის პრინციპის მეშვეობით ხორციელდება.[45]

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა იმ მიზეზებზე ისაუბრეს, რომელთა გამოც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისთვის არ მიუმართავთ. ეს მიზეზებია:

- **მიმართვის საჭიროების არქონა.** მოქალაქეთა ნაწილს არ დასჭირვებია, რომ მუნიციპალური ორგანოებისთვის მიემართა;
- **მოქალაქეთა არაინფორმირებულობა.** მოქალაქეებს, განსაკუთრებით სოფლის მაცხოვრებლებს, ინფორმაცია არ აქვთ, თუ რა საკითხების მოგვარების მიზნით შეუძლიათ ხელისუფლებისთვის მიმართვა;
- **ბიუროკრატიის გამო საკითხის გადაწყვეტის დროში გაჭიანურება.** ის პროცედურები, რომლებიც მიმართვის შედმეგ იწყება, ხანგრძლივია - *„ჯერ განცხადება უნდა დაწერო, მერე ეს უნდა განიხილონ, მერე შეიძლება რაღაც დაავიწყდეთ, მერე კანცელარიაში უნდა გადაგზავნოს, იქედან ფინანსურ დეპარტამენტში. მოკლედ, ძალიან ბევრი რამეა და ძალიან დიდ დროსთან არის დაკავშირებული“ (45 წლის ქალი, თბილისი);*
- **უნდობლობა მთავრობის, მათ შორის მუნიციპალური ორგანოების მიმართ.** რესპონდენტების ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ უნდობლობის გამო არ სურს მთავრობასთან ჰქონდეს ურთიერ-

45. საქართველოს მუნიციპალიტეტებში ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვა იწყება, 1) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (mrdi.gov.ge); 2) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (mrdi.gov.ge)

თობა. ამიტომ, მოქალაქეები თავს იკავებენ მიმართვისგან - *„არის მომენტები პოლიტიკური კუთხითაც, ხშირად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები ერიდებიან ურთიერთობას, ამიტომ, არ მიმართავენ თვითმმართველობას“ (39 წლის კაცი; დაბა მესტია, სამეგრელო-ზემო სვანეთი).* როდესაც მოქალაქეს მიმართვა არ სურს, ქალაქის შემთხვევაში საკითხის მოგვარება ამხანაგობის თავჯდომარის მეშვეობით, ხოლო სოფლების შემთხვევაში სოფლის რწმუნებულის მეშვეობით ხდება. არის შემთხვევები, როდესაც, შესაძლებლობის ფარგლებში, მოქალაქე თავად ცდილობს საკითხის გადაწყვეტას;

- **მიმართვის წარუმატებელი გამოცდილება.** მოსახლეობის ნაწილს ადგილობრივი ხელისუფლებისადმი მიმართვის ცუდი გამოცდილება აქვს. როდესაც საკითხი მოქალაქის ინტერესების მიხედვით არ წყდება, ხელახლა მიმართვის მოტივაცია ნაკლებად არსებობს. აღსანიშნავია, რომ თემის წევრის (მეზობლის, ნათესავის და ა.შ.) წარუმატებელი გამოცდილება ხელს უწყობს ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მუნიციპალური ორგანოების საქმიანობების მიმართ. რაც უფრო პატარაა დასახლება, მით უფრო დიდ გავლენას ახდენს ცალკეული მოქალაქის გამოცდილება;
- **კოვიდ-19-ის რეგულაციების გამო მიმართვისგან თავის შეკავება;** ქვეყანაში არსებული რეგულაციები დასახელდა ადგილობრივი ხელისუფლების არ მიმართვის ერთ-ერთ მიზეზად. თუმცა, რესპონდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ საკითხი ნაკლებად პრობლემური იყო და აუცილებლობას არ წამოადგენდა ხელისუფლებისთვის მიმართვა.

აღსანიშნავია, რომ, როგორც მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, მოქალაქეებს აქვთ ე.წ. **„ვირტუალური“** ურთიერთობაც ადგილობრივ ხელისუფლებასთან. კერძოდ, გავრცელებულია სოციალურ ქსელ - „ფეისბუკში“ შექმნილი მოქალაქეთა სპეციალური ჯგუფები, სადაც სხვადასხვა ადგილობრივი მნიშვნელობის აქტუალური საკითხი განიხილება. აღსანიშნავია, რომ იმავე ჯგუფებში ხელისუფლების წარმომადგენლებიც არიან გაწევრიანებულები. სოციალური ქსელით ურთიერთობის პრაქტიკა განსაკუთრებით ქალაქის მაცხოვრებლებშია გავრცელებული.

## მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში/სამოქალაქო აქტივიზმი

2019-2021 წლების გამოკითხვაში ჩართული ყველა **რეგიონის** წარმომადგენლების დიდი ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ. 2019 წელს ამ რესპონდენტების მაჩვენებელი 56%-ს უტოლდებოდა, ხოლო 2021 წლისთვის 49.6%-მდეა შემცირებული. განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებელი გამოკითხვის მეხუთე ტალღაში გურიაში (62.6%), იმერეთში (67.6%), მცხეთა-მთიანეთსა (62.5%) და ქვემო ქართლში (60.6%) ფიქსირდება. საინტერესოა, რომ, წინა რაუნდთან შედარებით, ზოგიერთ რეგიონში ინფორმირებულობის დონე გაუარესებულია, მაგალითად (კატეგორია „არ მსმენია“):

- გურია: 2021 – 62.6%; 2019 – 37.9%
- იმერეთი: 2021 – 67.6%; 2019 – 66.3%
- შიდა ქართლი: 2021 – 55.7%; 2019 – 49.9%
- ქვემო ქართლი: 2021 – 60.6%; 2019 – 58.9%

მოსახლეობის ჩართულობის ფორმებს შორის გამოკითხვის ორივე ტალღაში გამოიყო დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობა და მერიის/საკრებულოს ანგარიშების მოსმენა. 2021 წელს დედაქალაქში გამოკითხული პირების თითქმის მეხუთედმა (18.5%) პეტიციის შესახებ ინფორმირებულობაზე მიუთითა, აჭარაში ეს მაჩვენებელი 12.6%-ს გაუტოლდა, ხოლო კახეთში - 11.8%-ს. აქვე აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთსა (10.3%) და კახეთში (10.5%) 2021 წელს გამოკითხული პირების მეათედს საკრებულოს/საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობის შესახებაც სმენია. გამოკითხულთა მცირე ნაწილი (2021 – 5.5%; 2019 – 7%) ინფორმირებულია სამოქალაქო

მრჩეველთა საბჭოში ჩართულობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ თბილისში (2021 – 8.4%; 2019 – 4.1%), აჭარასა (2021 – 9.7%; 2019 - 4.8%) და იმერეთში (2021 – 3%; 2019 – 1.1%) მზარდი დინამიკაა და მაჩვენებლები თითქმის გაორმაგებულია - თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კონკრეტული ფორმის შესახებ უფრო მეტი რესპონდენტი ფლობს ინფორმაციას (იხ. ცხრილი #133).

**ცხრილი #133 - თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობა რეგიონის ჭრილში**

| გთხოვთ მითხრათ, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის რა ფორმებისა და მექანიზმების შესახებ გსმენიათ? | | თბილისი | სამეგრელო–ზემო სვანეთი | გურია | აჭარა | რაჭა–ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | იმერეთი | სამცხე–ჯავახეთი | შიდა ქართლი | მცხეთა–მთიანეთი | ქვემო ქართლი | კახეთი | საქართველო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არ მსმენია | 2021 | 37.5 | 57.6 | 62.6 | 30.9 | 38.1 | 67.6 | 50 | 55.7 | 62.5 | 60.6 | 40.1 | 49.6 |
| | 2019 | 56.3 | 51.3 | 37.9 | 49.4 | 56.5 | 66.3 | 49.8 | 49.9 | 66 | 58.9 | 59.4 | 56 |
| დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობა | 2021 | 10.3 | 11.2 | 8.4 | 24 | 15.1 | 12.4 | 19 | 12.7 | 12.4 | 2.8 | 9.6 | 12.8 |
| | 2019 | 7.3 | 20.6 | 15.8 | 12.1 | 12.1 | 5 | 12.8 | 15.8 | 13.7 | 14.7 | 11.2 | 11.2 |
| სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ჩართულობა | 2021 | 8.4 | 3.2 | 1.5 | 9.7 | 0.3 | 3 | 1.1 | 2.2 | 1.1 | 1.1 | 5.5 | 3.9 |
| | 2019 | 4.1 | 3.6 | 4.5 | 4.8 | 3.3 | 1.1 | 2.1 | 3.2 | 2.4 | 2.6 | 7 | 3.7 |
| საკრებულოს / საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობა | 2021 | 7.7 | 4.1 | 3.6 | 8.8 | 4.7 | 2.9 | 10.3 | 5.1 | 3.8 | 2.1 | 10.5 | 6.1 |
| | 2019 | 5.1 | 5.3 | 10.2 | 7.3 | 5.5 | 2.7 | 4.5 | 3.7 | 4.9 | 1.4 | 7.9 | 4.9 |
| მერიის/საკრებულოს ანგარიშების მოსმენა | 2021 | 5.1 | 2.8 | 8.5 | 9 | 4.4 | 1.3 | 9.6 | 4.5 | 2.1 | 2.4 | 14.2 | 6.2 |
| | 2019 | 5 | 6.4 | 8.3 | 7 | 3.8 | 1.5 | 3.9 | 2.8 | 3.1 | 2.3 | 8.5 | 4.8 |
| პეტიცია | 2021 | 18.5 | 3.9 | 5.8 | 12.6 | 0.7 | 5.6 | 4.3 | 5.7 | 5.9 | 2.8 | 11.8 | 7.9 |
| სხვა | 2019 | 0.4 | 0 | 0.3 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0.7 | 0 | 0 | 0.3 |
| უარი პასუხზე | 2021 | 0 | 2 | 0.8 | 0.2 | 9.2 | 1.1 | 2.2 | 2.2 | 1.3 | 14.1 | 1.7 | 2.8 |
| | 2019 | 1 | 0 | 2.8 | 0.7 | 0.8 | 2.6 | 6.1 | 0.2 | 0 | 2.3 | 0.2 | 1.3 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა | 2021 | 12.5 | 15.1 | 8.8 | 4.8 | 27.5 | 6.2 | 3.6 | 11.9 | 10.8 | 14.1 | 6.6 | 10.7 |
| | 2019 | 20.8 | 12.8 | 20.3 | 18.7 | 18 | 19.7 | 20.8 | 24.5 | 9.1 | 17.7 | 5.7 | 17.8 |

გამოკითხვის მეხუთე ტალღაში მონაწილე **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების** უმრავლესობა (54.8%) არ ფლობს ინფორმაციას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ. მსგავს პოზიციას აფიქსირებს ეთნიკურად ქართველების თითქმის ნახევარი (48.8%). მეორე მხრივ, ეთნიკურად ქართველების 14.1%-ს სმენია დასახლების საერთო კრების შესახებ. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების შემთხვევაში კი ეს მაჩვენებელი 5%-მდეა შემცირებული. ყველაზე ხშირად უმცირესობის წევრები მერიის/საკრებულოს ანგარიშების მოსმენაზე მიუთითებენ, თუმცა, ამ პასუხს გამოკითხულთა მხოლოდ 7.1% აფიქსირებს.

მნიშვნელოვანია, რომ 2019 წლის გამოკითხვის ფარგლებში დასახელებულ კატეგორიებს შორის დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობა ჭარბობდა: ეთნიკურად ქართველი - 11.1%; ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 11.3%. თუმცა, მეხუთე რაუნდთან შედარებით, ორივე ჯგუფის უფრო მეტი რესპონდენტი მიუთითებდა, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის არცერთი ფორმის შესახებ არ ფლობდა ინფორმაციას: ეთნიკურად ქართველი - 55.9%; ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 57.6% (იხ. ცხრილი #134).

**ცხრილი #134 - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობა ეთნიკურობის ჭრილში**

| | | % | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გთხოვთ მითხრათ, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის რა ფორმებისა და მექანიზმების შესახებ გსმენიათ?** | | **არ მსმენია** | **დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობა** | **სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში ჩართულობა** | **საკრებულოს / საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილეობა** | **მერიის/საკრებულოს ანგარიშების მოსმენა** | **პეტიცია** | **სხვა** | **არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა** | **უარი პასუხზე** |
| 2021 | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 54.8 | 5 | 1 | 6.8 | 7.1 | 6.7 | | 8.4 | 10.2 |
| | ეთნიკურად ქართველი | 48.8 | 14.1 | 4.3 | 6 | 6 | 8 | | 11 | 1.7 |
| | საქართველო | 49.6 | 12.8 | 3.9 | 6.1 | 6.2 | 7.9 | | 10.7 | 2.8 |
| 2019 | ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი | 57.6 | 11.3 | 2.6 | 1.2 | 2 | | 0 | 19.6 | 5.6 |
| | ეთნიკურად ქართველი | 55.9 | 11.1 | 3.8 | 5.3 | 5 | | 0.3 | 17.7 | 0.9 |
| | საქართველო | 56 | 11.2 | 3.7 | 4.9 | 4.8 | | 0.8 | 17.8 | 1.3 |

ეკონომიკური განვითარების პროცესში ჩართულობის **ეთნიკური მიკუთვნებულობის** ჭრილში გაანალიზებისას ზოგადი ტენდენციები შენარჩუნებულია - როგორც 2019, ისე 2021 წლის გამოკითხვაში მონაწილე პირების უმრავლესობამ არ იცის საკუთარი უფლებები იმის შესახებ, თუ როგორ ჩაერთონ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესში:

- **2021 წელი:** ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 52.4%; ეთნიკურად ქართველი - 64.4%
- **2019 წელი:** ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 67.5%; ეთნიკურად ქართველი - 66%

ერთი მხრივ, აღსანიშნავია, რომ არაინფორმირებულობის მაჩვენებელი დინამიკაში შემცირებულია, თუმცა, მეორე მხრივ, 2021 წლის გამოკითხვაში გაზრდილია იმ რესპონდენტების წილი, რომელთაც უჭირთ პასუხის გაცემა: ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი - 35.4%; ეთნიკურად ქართველი - 20.6% (იხ. დიაგრამა #64).

**დიაგრამა #64 - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროცესში ჩართულობის შესახებ ინფორმირებულობა ეთნიკურობის ჭრილში**




2013 წლიდან მოყოლებული, მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას (71-87%-ის ფარგლებში) არ უცდია არც ერთი სამოქალაქო აქტივობის განხორციელება, რომელიც აჩვენებდა მათ მოტივაციას, მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. 2021 წლის კვლევაში ასეთთა წილი 77.3%-ია, რაც ოდნავ უფრო დაბალია 2019 წელთან შედარებით (71.7%), თუმცა, მეტია ყველა დანარჩენ წლებთან მიმართებით. იმ აქტივობებს შორის, რომელთა შესრულების მცდელობა რესპონდენტებს ჰქონდათ, მეტ-ნაკლები სიხშირით გამოიკვეთა შემდეგი:

- დასახლების/სამეზობლოს პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება
- შეკითხვის დასმა საჯარო შეხვედრაზე
- პოლიტიკოსისათვის, ადგილობრივი ან ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლისათვის პირადი ან წერილობითი მიმართვა
- მონაწილეობის მიღება პოლიტიკურ ან საგანმანათლებლო საკითხებზე გამართულ შეხვედრებში (იხ. ცხრილი #135)

**ცხრილი #135 - ბოლო ერთი წლის განმავლობაში კონკრეტული აქტივობების განხორციელების გამოცდილება**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ბოლო ერთი წლის განმავლობაში გიცდიათ თუ არა რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობის განხორციელება?** | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| დასახლების/სამეზობლოს პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება | 6.2 | 8.5 | 6.3 | 6.5 | 7.7 |
| პოლიტიკოსისათვის, ადგილობრივი ან ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლისათვის პირადი ან წერილობითი მიმართვა | 2 | 2.1 | 0.8 | 1.2 | 2.7 |
| მონაწილეობის მიღება პოლიტიკურ ან საგანმანათლებლო საკითხებზე გამართულ შეხვედრებში | 2.7 | 1.7 | 0.9 | 1.1 | 2.8 |
| ადგილობრივი ორგანიზაციის კომიტეტის ლიდერობა ან წევრობა (რელიგიური, სოციალური, განათლების, კულტურის ან პოლიტიკურ სფეროში) | 1.2 | 0.6 | 0.2 | 0.5 | 1.1 |
| საკრებულოს / გამგეობის ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობა | 1.4 | 0.7 | 0.4 | 0.5 | 0.4 |

(გაგრძელება)

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ბოლო ერთი წლის განმავლობაში გიცდიათ თუ არა რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობის განხორციელება?** | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| რომელიმე კომპანიისათვის, ორგანიზაციისათვის ჩივილი | 0.5 | 0.4 | 0.2 | 0.3 | 0.4 |
| თქვენი საქმიანობით რაიმე წვლილის შეტანა ადგილობრივ ან ეროვნულ ორგანიზაციაში (რელიგიურ, სოციალურ, განათლების, კულტურის სფეროში) | 0.9 | 1.3 | 0.3 | 0.4 | 2.1 |
| პეტიციაზე ხელის მოწერა | 1.7 | 1.7 | 1.3 | 0.4 | 0.8 |
| დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობა | 2.4 | 5.2 | 1.3 | | |
| სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობა | 0.2 | 0.3 | | | |
| მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა | 0.4 | 0.8 | 0.1 | | |
| მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა | 0.5 | 0.9 | 0.4 | | |
| სხვა აქტივობა | 0.1 | | | | |
| არცერთი აქტივობა არ მიცდია | 77.3 | 71.7 | 86.9 | 87.4 | 80.3 |

თითოეული **ასაკობრივი ჯგუფის** წარმომადგენლების უმრავლესობას ბოლო 1 წლის განმავლობაში არცერთი ზემოთ წარმოდგენილი აქტივობის განხორციელება არ უცდია. მსგავსი შედეგი განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით 2013-2017 წლებში ვლინდებოდა - თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში 70%-ს აჭარბებდა. 2019 წელს აქტივობების განუხორციელებლობის წილი შედარებით შემცირებულია - 18-24 წლის რესპონდენტებს შორის 67.7% უტოლდება, 24-34 წლის მონაწილეებში 68.9%-ს, ხოლო 55-64 წლის პირებს შორის 63.8%-ს. რაც შეეხება გამოკითხვის მეხუთე ტალღას, 2021 წლის შედეგების მიხედვით, მონაცემები კვლავ მზარდია - ზედა ასაკობრივ კატეგორიებში საშუალოდ 80%-ს უტოლდება: 55-64 წლის - 78.5%; 65 წლის ან მეტის - 82.5%.

წლების მიხედვით, რესპონდენტების წილი კატეგორიაში „არცერთი აქტივობა არ მიცდია“ შემდეგნაირადაა განაწილებული (იხ. ცხრილი #136).

**ცხრილი #136 - რესპონდენტთა წილი კატეგორიაში „არცერთი აქტივობა არ მიცდია“ ასაკის ჭრილში**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ბოლო ერთი წლის განმავლობაში „არცერთი აქტივობა არ მიცდია“** | **2021** | **2019** | **2017** | **2015** | **2013** |
| 18-24 წლის | 77.4 | 67.7 | 78.8 | 86.9 | 68.5 |
| 25-34 წლის | 78.3 | 68.9 | 88.5 | 88 | 86.8 |
| 35-44 წლის | 73.1 | 77.7 | 87.8 | 86.7 | 81.6 |
| 45-54 წლის | 74.3 | 73.4 | 82.5 | 85.8 | 78.4 |
| 55-64 წლის | 78.5 | 63.8 | 90.3 | 87 | 78.7 |
| 65 წლის ან მეტის | 82.5 | 77.1 | 91.1 | 90.1 | 85.7 |

გამოკითხვების მონაცემები აჩვენებს იმასაც, რომ უმრავლეს შემთხვევებში რესპონდენტთა მცდელობებს, განეხორციელებინათ ესა თუ ის სამოქალაქო აქტივობა, შესაბამისი რეალური ქმედებებიც მოჰყვა. რაც შეეხება იმ რესპონდენტებს, რომლებსაც ჰქონდათ მცდელობა რომელიმე დასახელებული აქტივობის განხორციელების, მაგრამ ეს ვერ შეძლეს, მათ სხვადასხვა წინაღობა დაასახელეს: პირადი მიზეზები, ოფიციალური სტრუქტურების წინააღმდეგობა და დამოუკიდებელი მიზეზები.

როგორც აღინიშნა, რესპონდენტთა უმრავლესობას, გამოკითხვის ხუთივე ტალღაში, არასოდეს უცდია შეესრულებინა რაიმე აქტივობა, რომელიც მათ მისცემდა ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. ამ რესპონდენტებმა, 2021 და 2019 წლების კვლევებში, დაასახელეს მათი პასიურობის მიზეზები, რომელთა შორის გამოიკვეთა შემდეგი:

- არ მეცალა
- ჩემი აქტივობა არაფერს შეცვლიდა
- არ დავფიქრებულვარ ასეთ საკითხებზე.

საინტერესოა, რომ თუ 2019 და 2021 წლების კვლევებში პასიურმა რესპონდენტებმა უფრო გამოკვეთეს მიზეზი „არ მეცალა", 2017 წლის კვლევაში სხვებთან შედარებით გამოკვეთილი იყო მიზეზი „ჩემი აქტივობა არაფერს შეცვლიდა" (ცხრილი #137).

**ცხრილი #137 - მიზეზები, რომელთა გამოც რესპონდენტებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში არანაირი აქტივობა არ უცდიათ**

| % | | | |
|---|---|---|---|
| **რა არის იმის მიზეზი, რომ არანაირი სამოქალაქო აქტივობა არ გიცდიათ ბოლო ერთი წლის განმავლობაში?** | **2021** | **2019** | **2017** |
| არ მეცალა | 25 | 24.9 | 19.3 |
| ჩემი აქტივობა არაფერს შეცვლიდა | 21.4 | 19.0 | 23.2 |
| არ ვიცი რისი გაკეთება შემიძლია / რისი უფლება მაქვს | 7.4 | 4.4 | 5.7 |
| ტყუილად დავკარგავდი დროს, ჩემს აზრს მაინც არავინ გაითვალისწინებდა | 8.3 | 9.4 | 6 |
| ასეთ საკითხებზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს | 6.3 | 5.8 | 7.9 |
| ასეთ საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა ზრუნავდნენ | 0.7 | 0.5 | 1 |
| კოვიდ 19-ის გავრცელებით გამოწვეული პანდემია | 4.8 | | |
| არ დავფიქრებულვარ ასეთ საკითხებზე | 19.1 | 17.8 | 21.8 |
| სხვა მიზეზი | 1 | 7.2 | 1.6 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 6.1 | 10.9 | 13.4 |

საკითხის **ასაკობრივი ჯგუფების** ჭრილში გაანალიზებისას აღმოჩნდა, რომ ზოგადი ტენდენცია გამოკითხვის თითოეულ ტალღაში შენარჩუნებულია. რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამოქალაქო აქტივობის განუხორციელებლობის ძირითად მიზეზად დროის უქონლობას ასახელებს. 2021 წლის გამოკითხვაში მსგავსი პოზიცია ზიგზაგისებურად ცვალებადია პირველ სამ ასაკობრივ ჯგუფში, ზედა ასაკობრივ ჯგუფებში კი მონაცემი შედარებით მცირდება: 18-24 წლის - 25.6%; 25-34 წლის - 29%; 35-44 წლის - 28.6%; 45-54 წლის - 26%; 55-64 წლის - 24.2%; 65 წლის ან მეტის - 16.9%.

2021 წელს გამოკითხულ 45-54 წლის (22.3%), 55-64 წლისა (22%) და 65 წლის ან მეტი ასაკის (25%) რესპონდენტებში უფრო დიდი წილი მიიჩნევს, რომ მათი აქტივობა არაფერს შეცვლის. სწორედ ამ მიზნით არ ერთვებიან სამოქალაქო აქტივობებში.

ზოგადად, აღსანიშნავია, რომ გამოკითხვის ხუთივე ტალღაში თითოეული ასაკობრივი ჯგუფის მიერ პასიურობის მიზეზად სამი იდენტური კატეგორია სახელდება:

- არ მეცალა
- ჩემი აქტივობა არაფერს შეცვლიდა
- არ დავფიქრებულვარ ასეთ საკითხებზე.

მონაცემები მიუთითებს, რომ მოსახლეობა, ერთი მხრივ, არ არის დაინტერესებული, ზოგადად, სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობით, ან უარყოფითი გამოცდილების გამო ხელახლა ჩართულობა აღარ სურთ (იხ. ცხრილი #138).

**ცხრილი #138 - მიზეზები, რომელთა გამოც რესპონდენტებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში არანაირი აქტივობა არ უცდიათ ასაკის ჭრილში**

| | | % | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ არანაირი სამოქალაქო აქტივობა არ გიცდიათ ბოლო ერთი წლის განმავლობაში? | არ მეცალა | ჩემი აქტივობა არაფერს შეცვლიდა | არ ვიცი რისი გაკეთება შემიძლია / რისი უფლება მაქვს | ტყუილად დავკარგავდი დროს, ჩემს აზრს მაინც არავინ გაითვალისწინებდა | ასეთ საკითხებზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს | ასეთ საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა ზრუნავდნენ | კოვიდ 19-ის გავრცელებით გამოწვეული პანდემია | არ დავფიქრებულვარ ასეთ საკითხებზე | სხვა (მიუთითეთ) | არ ვიცი |
| 2021 | 18-24 წლის | 25.6 | 15.5 | 6.8 | 7.4 | 6.5 | 0.6 | 3.7 | 27.1 | 1.1 | 5.6 |
| | 25-34 წლის | 29 | 20.9 | 5.6 | 7.2 | 7.5 | 1 | 3.4 | 21.2 | 0.2 | 4 |
| | 35-44 წლის | 28.6 | 20.5 | 8.5 | 8.4 | 4.5 | 1.1 | 4.3 | 17.7 | 0.7 | 5.7 |
| | 45-54 წლის | 26 | 22.3 | 6.4 | 9.1 | 7.9 | 0.3 | 3.9 | 17.7 | 0.3 | 6 |
| | 55-64 წლის | 24.2 | 22 | 7.7 | 7.8 | 5.4 | 0.2 | 7.6 | 17.9 | 0.8 | 6.3 |
| | 65 წლის ან მეტის | 16.9 | 25 | 9.1 | 9.7 | 5.6 | 1.1 | 5.9 | 15.2 | 3 | 8.5 |
| | საქართველო | 25 | 21.4 | 7.4 | 8.3 | 6.3 | 0.7 | 4.8 | 19.1 | 1 | 6.1 |
| 2019 | 18-24 წლის | 34.1 | 11.1 | 3.7 | 8.3 | 10.1 | 0.4 | | 21 | 6.8 | 4.6 |
| | 25-34 წლის | 33.2 | 14.8 | 3.8 | 7.1 | 5.9 | 0.7 | | 19.6 | 2.8 | 12.1 |
| | 35-44 წლის | 35.7 | 18.7 | 4 | 8.3 | 4.9 | 0.6 | | 15.7 | 2.7 | 9.4 |
| | 45-54 წლის | 19.8 | 25.4 | 2.3 | 15.2 | 5.9 | 0.3 | | 16.4 | 4.7 | 10.1 |
| | 55-64 წლის | 21.4 | 18.8 | 6.3 | 8 | 4.5 | 0.1 | | 18.7 | 9.5 | 12.8 |
| | 65 წლის ან მეტის | 11.6 | 21.7 | 6.1 | 8.6 | 4.8 | 0.7 | | 17 | 15.5 | 14 |
| | საქართველო | 24.9 | 19 | 4.4 | 9.4 | 5.8 | 0.5 | | 17.8 | 7.2 | 10.9 |
| 2017 | 18-24 წლის | 22.1 | 16.1 | 4.7 | 8.9 | 3.7 | 0.5 | | 30.5 | 1.9 | 11.5 |
| | 25-34 წლის | 23.4 | 22 | 4.6 | 8.3 | 9.1 | 1.6 | | 17.5 | 0.2 | 13.3 |
| | 35-44 წლის | 24.9 | 18.3 | 5.2 | 4.2 | 8.2 | 0.8 | | 25 | 0.3 | 13 |
| | 45-54 წლის | 16.4 | 27.2 | 6.1 | 5.1 | 8.1 | 0.7 | | 21.7 | 1 | 13.6 |
| | 55-64 წლის | 19.9 | 25.6 | 5.8 | 6 | 9.4 | 1.9 | | 17.4 | 1 | 13 |
| | 65 წლის ან მეტის | 10.1 | 27.5 | 7.4 | 4.3 | 7.1 | 0.4 | | 22.4 | 5.4 | 15.4 |
| | საქართველო | 19.3 | 23.2 | 5.7 | 6 | 7.9 | 1 | | 21.8 | 1.6 | 13.4 |

იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში განახორციელეს ესა თუ ის სამოქალაქო აქტივობა, კიდევ უფრო მეტად დააკონკრეტეს ის, თუ რა საკითხს შეეხებოდა მათი აქტივობები. როგორც 2021, ისე 2019 და 2017 წლებში დასახელდა ათობით აქტივობა, რომელთა შორის გამოიკვეთა რამდენიმე:

- კეთილმოწყობა: ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, გამწვანება, განათება
- წყალმომარაგების საკითხები
- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება
- ბიუჯეტის მომზადება / განხილვა / დამტკიცება / ცვლილებების შეტანა (2017 და 2021 წლებში) და სხვ. (იხ. ცხრილი #139).

**ცხრილი #139 - საკითხები, რომელთაც შეეხებოდა რესპონდენტის მიერ განხორციელებული სამოქალაქო აქტივობა**

| % | | | |
|---|---|---|---|
| **კონკრეტულად რა საკითხს შეეხებოდა თქვენ მიერ განხორციელებული აქტივობა?** | **2021** | **2019** | **2017** |
| ბიუჯეტის მომზადება / განხილვა / დამტკიცება / ცვლილებების შეტანა | 5.9 | 2.7 | 6.5 |
| ქონების მართვა / განკარგვა | 3.1 | 3.1 | 3.2 |
| ბუნებრივი რესურსების მართვა / განკარგვა | 3.6 | 3.1 | 3.7 |
| ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების შემოღება / გაუქმება / ამოღება | 3.6 | 1.2 | 2.4 |
| სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება | 7.6 | 5.3 | 5.4 |
| კეთილმოწყობა: ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, გამწვანება, განათება | 19.2 | 18.8 | 22 |
| ნარჩენების მართვა | 5.5 | 5.2 | 5.2 |
| წყალმომარაგების საკითხები | 14.9 | 13.5 | 9.3 |
| სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა / ფუნქციონირება | 3.7 | 2.5 | 2.9 |
| ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა: მოძრაობის ორგანიზება, პარკირების და დგომა/გაჩერების წესების რეგულირება | 4.7 | 6.2 | 3.5 |
| მუნიციპალური ტრანსპორტის ფუნქციონირება | 3.6 | 3.1 | 1.7 |
| გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება | 1.2 | 0.6 | 0.5 |
| მშენებლობის ნებართვების გაცემა და ზედამხედველობა | 3.1 | 2.4 | 5.5 |
| შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვის საკითხების რეგულირება | 0.7 | 0.2 | 1.2 |
| მუნიციპალიტეტების ობიექტების სახელდება | 0.9 | 0.8 | 0.3 |
| გარე რეკლამის განთავსების რეგულირება | 0.4 | 0.8 | 1.4 |
| შინაური ცხოველების ყოლის წესისა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხები | 2.1 | 1.6 | 0.9 |
| სასაფლაოების მოვლა-პატრონობა | 0.6 | 1.4 | 0.4 |
| ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და არამატერიალური) დაცვა და განვითარება | 0.8 | 1 | 0.8 |
| ბიბლიოთეკების, კლუბების, კინოთეატრების, საგამოფენო დარბაზების, სპორტული ობიექტების და ა.შ. მშენებლობა / ფუნქციონირება | 1.4 | 1.1 | 1.7 |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა | 1.4 | 0.7 | 3.1 |
| უსახლკაროთა რეგისტრაცია და თავშესაფრით უზრუნველყოფა | 0.6 | 2.5 | 1.3 |
| სხვა აქტივობა | 4.8 | 15.3 | 15.5 |
| არ ვიცი/მიჭირს პასუხი | 4.3 | 5.6 | 1.2 |
| უარი პასუხზე | 2.3 | 1.5 | |

კითხვაზე, თუ რა პოზიტიური შედეგები შეიძლება მოიტანოს მოქალაქეთა მონაწილეობამ თვით-მმართველობის განხორციელებაში, მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებში შემდეგი მოსაზრებები გამოითქვა: მოქალაქეთა ჩართულობით ხელისუფლება მუდმივად კონტროლის ქვეშ იქნება და არ მიეცემა მოდუნების შესაძლებლობა. აგრეთვე, მოსახლეობას გაუჩნდება განცდა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული საკითხების სწორი გადაწყვეტა უშუალოდ მოსახლეობის ჩართულობაზეა დამოკიდებული - *„მოტივაცია გაუჩნდება ხალხს დაინახავენ ძალას, რომ მათზეა დამოკიდებული ბევრი რამ“ (ქალი 35 წლის, ქ. ცაგერი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი).* ბიუჯეტის დაგეგმვისას მოქალაქეთა მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მოქა-ლაქეები ინფორმირებულები იქნებიან ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებზე საუბრისას, მოსახლეობაში ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ყველაზე ხშირად პეტიციაზე აქვთ მოწერილი ხელი. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთაგან მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტი აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც კომისიის სხდომებში, ანგარიშების განხილვაში და სხვა მსგავს აქტივობებში მიუღია მონაწილეობა. რაც შეეხება პეტიციის შედგენასა და ხელის მოწერას, პეტიციის ტექსტი ძირითადად შემდეგ საკითხებს ეხება: სკვერის მოწყობა, გზების რეაბილიტაცია/დაგება, უკანონო მშენებლობის აღკვეთა, ნარჩენების მართვა, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები, სპორტული მოედნების მოწყობა და ა.შ. თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებში ითქვა, რომ მერია აქტიურად ცდილობს პეტიციის მექანიზმის გამოყენებას მოსახლეობის საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად.

მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფების რამდენიმე რესპონდენტი მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული მრჩეველთა საბჭოს წევრია. მათი შეფასებით, მრჩეველთა საბჭოს საქ-მიანობა ნაკლებად ქმედითია, რადგან ძირითადად რეკომენდაციის გაცემით შემოიფარგლება.

როგორც ფოკუს ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობა სა-კითხის მოსაგვარებლად აქტიურად იყენებს პირად კავშირებს. გამომდინარე იქიდან, რომ თემში ძირითადად ერთმანეთს იცნობენ, მოქალაქე თავდაპირველად ცდილობს მუნიციპალურ ორგანოში მომუშავე ნაცნობი თანამშრომლისგან მიიღოს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვის ეხება საკითხი, რეალისტურია თუ არა საკითხის გადაწყვეტა, რა პროცედურების გავლაა საჭირო და ა.შ. ნაცნობისგან ინფორმაციის მოპოვების შემდეგ, მოქალაქე წყვეტს, მიმართოს თუ არა მუნიციპალურ ორგანოს. აგრეთვე, გავრცელებული პრაქტიკაა შეხვედრები ადგილობრივი მოსახლეობასა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, სადაც ძირითადად ინფორმაციის გაცვლა ხდება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით.

ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფლებში ინფორმირებულობა როგორც სერვისების, ისე მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ, მცირეა, ვიდრე ეთნიკურ ქართველებში. ამის მთავარი მიზეზი ენის ბარიერია, რაც განაპირობებს მოსახლეობის დაბალ სოციალური ინტეგრაციას სხვადასხვა საჯარო სფეროში. როგორც ქვემო ქართლის ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი მხოლოდ ქართულ ენაზეა[46]. შესაბამისად, აზერბაიჯანულენოვანი მოქალაქეთათვის ინფორმაცია ვებ-გვერდის გზით მიუწვდომელია.

მოსახლეობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობაზე საუბრისას მოსახლეობის ერთმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობა მიუღია.

> *„დასუფთავების აქციაზე თვითმმართველობის მხრიდან იყო მობილიზება, მაგალითად, ხელთათმანები და ჩანთები დარიგდა, რაშიც განთავსდებოდა მოგროვებული ნაგავი და*

46. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი - https://gardabani.gov.ge/

*მოსახლეობა მონაწილეობდა აქტივობების განხორციელებაში“ (19 წლის ქალი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, გურია)*

მოსახლეობის მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორი არაინფორმირებულობაა. მოსახლეობის ნაწილმა არ იცის, რომელ მუნიციპალურ ორგანოს რა შემთხვევაში და როდის შეიძლება რომ მიმართოს. აგრეთვე, უცნობია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის რა ფორმები არსებობს. როდესაც მოქალაქეების ჩართულობაზეა საუბარი, გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტებში არსებული მოსახლეობის რთული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა. გაჭირვება და სიღარიბე ხელს უშლის მოქალაქეებს აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტილების პროცესში, რადგან, როგორც ითქვა, სათანადო მზაობა არ არის.

*„ხალხი ფიქრობს ხვალ რა ჭამოს, შვილებს რა აჭამოს, საიდან მოიპოვოს საკვები ერთჯერადად სად იმუშაოს“ (47 წლის კაცი, სოფლის მაცხოვრებელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, გურია).*

მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება გაზრდის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოსახლეობის ჩართულობის ხარისხს - *„როდესაც ადამიანს ტრანსპორტის ფული არ აქვს რომ გადაიხადოს, რომელ ჩართულობაზეა საუბარი?“ (ქალი 62 წლის, სოფლის მაცხოვრებელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, გურია).* საქმე ისიცაა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ნაკლებად ცდილობს წაახალისოს მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ფოკუს ჯგუფების რესპონდენტების ერთი ნაწილის შეფასებით, ხელისუფლება არასაკმარისად ცდილობს მოქალაქეებს მიაწოდოს მიმდინარე განსახილველ საკითხების შესახებ ინფორმაცია.

მოქალაქეთა ჩართულობის მხრივ, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს. არასამთავრობო სექტორს აქვს რესურსი მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა გზებით არის შესაძლებელი ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართვა. მაგალითად, როგორ ხდება პეტიციის შედგენა, როგორ არის შესაძლებელი საჯარო ფინანსების ხარჯვის აღრიცხვაში მონაწილეობა და ა.შ. მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის უცნობია საკრებულოს სხდომები ღია რომ არის, ხოლო მოქალაქეთა მონაწილეობა ბიუჯეტის შედგენის დროს, აუცილებელია. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ჯგუფური დისკუსიის დროს, აღნიშნეს, რომ იმ მუნიციპალიტეტში, სადაც აქტიურია არასამთავრობო სექტორი, უფრო მეტადაა ორიენტირებული ადგილობრივი ხელისუფლება მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების განხორციელებაში.

ოზურგეთის თვითმმართველობის მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომები პირდაპირი ეთერით ე.წ. „ლაივსტრიმით“ გადაიცემა. თუმცა, ინტერნეტი ყველა სოფელში ხელმისაწვდომი არ არის. შესაბამისად, მოქალაქეთა ჩართულობა ნაკლებია. თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებში ითქვა, რომ არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მხრივ, საჭიროა მოსახლეობაში ინტერნეტ რესურსებზე წვდომის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება. ამ კუთხით, საჭიროა გარკვეული აქტივობების დაგეგმვა. ამ პროცესში ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია სამოქალაქო აქტივობების წახალისების პროგრამას ახორციელებს, რომელიც ნებისმიერი უბნის, სოფლის მოსახლეობას საკუთარი იდეების წარმოდგენის შესაძლებლობას აძლევს. პროექტის ფარგლებში დაფინანსდა რამდენიმე მიკრო სკვერი, ყვავილების ბაღების მშენებლობა და სხვა იდეები. ორივე პროგრამის (ახალგაზრდების წახალისების და მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამები) შემოღებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოქალაქეთა ჩართულობას - *„პირველ წელს თუ იყო ნაკლები განაცხადები, მეორე წელს გაცილებით მეტი იყო. ანუ ადამიანებს გაუჩნდათ იმის განცდა, რომ მათ შეუძლიათ მათ სივრცეში, მათ გარშემო რაღაც შეცვალონ და მუნიციპალიტეტმა დაუჭიროს მხარი“ (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი, გურია).*

# კვლევაში მონაწილე პირთა სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები

კვლევის მეხუთე რაუნდში გამოკითხულთა 51.3% მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო 48.7% კი მამრობითი. გამოკითხულთა ასაკობრივი სეგრეგაციის მიხედვით, კვლევაში მონაწილე პირთა შორის ყველაზე ნაკლებია 18-24 წლამდე რესპონდენტების წილი (12.3%), ხოლო ყველაზე მეტი 25-34 წლამდე (18.7%) (იხ. დიაგრამა #65).

**დიაგრამა #65 - რესპონდენტის ასაკი**




კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა (59.4%) რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება, მეხუთედზე მცირედით მეტი კი არ არის დაქორწინებული. ამასთან, 11.4% ქვრივია. სხვა სტატუსის მქონე რესპონდენტთა წილი კვლევაში არ აღემატება 8.1%-ს.

რესპონდენტების განაწილება მათი განათლების დონის მიხედვით შემდეგნაირია: გამოკითხულთა 39.3%-ს სრული საშუალო განათლება აქვს მიღებული, 29.6%-ს კი სრული უმაღლესი განათლება. კვლევაში მონაწილე პირთა მეხუთედზე მცირედით მეტი კი ტექნიკური განათლების მქონეა (21.9%) (იხ. დიაგრამა #66).

**დიაგრამა #66 - რესპონდენტის განათლების დონე**



კვლევის მეხუთე რაუნდში მონაწილე პირთა უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია (85.3%), სომხური და აზერბაიჯანული ეროვნების რესპონდენტთა წილი კი თითოეულ შემთხვევაში 6.8%-ია. სხვა ეთნოსის რესპონდენტთა წილი ჯამში 1.2%-ს არ აღემატება. რესპონდენტთა ოჯახის წევრების რაოდენობა გამოკითხულთა თითქმის მეხუთედის შემთხვევაში 4 (19.9%) ან 2 (16.6%) ადამიანია. ცენტრალური ტენდენციების თანახმად, გამოკითხულთაგან თითო პირის ოჯახში საშუალოდ 4 ადამიანი ცხოვრობს (MEAN=3.74, MEDIAN=4). გამოკითხულთაგან ყოველი მეორე აღნიშნავს, რომ მათ ოჯახში არ არის 0-18 წლამდე ასაკის წევრი (ბავშვი). მათ შორის კი, რომელთაც ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი 1 (17.8%) ან 2 (19.8%) წევრი ჰყავთ ოჯახში, გამოკითხულთა თითქმის მეხუთედი ან მასზე მცირედით ნაკლებია (MEAN=0.83) (იხ. ცხრილი #140).

**ცხრილი #140 - რესპონდენტის ოჯახის წევრები**

| თქვენი თავის ჩათვლით რამდენი ადამიანი ცხოვრობთ ოჯახში? N=3400 | | | | |
|---|---|---|---|---|
| **საშუალო (Mean)** | **მედიანა (Median)** | **სტანდარტული გადახრა (Std. Deviation)** | **მინიმუმი (Minimum)** | **მაქსიმუმი (Maximum)** |
| 3.7 | 4 | 1.8 | 1 | 13 |
| **აქედან რამდენია ბავშვი (0-დან18 წლამდე) N=3400** | | | | |
| **საშუალო (Mean)** | **მედიანა (Median)** | **სტანდარტული გადახრა (Std. Deviation)** | **მინიმუმი (Minimum)** | **მაქსიმუმი (Maximum)** |
| 0.8 | 0 | 1.1 | 0 | 8 |

გამოკითხულთა ოჯახების დიფერენციაცია მათი სტატუსის მიხედვით შემდეგნაირია: რესპონდენტთა 83% აღნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ არც იძულებით გადაადგილებული პირის, არც ლტოლვილის და არც სოციალურად დაუცველის სტატუსი. მათ შორის, რომელთაც ჩამოთვლილთაგან რომელიმე ერთი სტატუსი აქვთ მინიჭებული 10.1% სოციალურად დაუცველია, 4% კი იძულებით გადაადგილებული პირი. შშმ პირის ან ლტოლვილის სტატუსის მქონე პირთა წილი კვლევაში ჯამში 3%-ს არ აღემატება.

კვლევის მე-5 რაუნდში მონაწილე პირთა 26.2%-ის სამუშაო სტატუსი დაქირავებული მუშაკია, 20.1% კი საკუთარ თავს პენსიონერად აიდენტიფიცირებს. 18.2% უმუშევარია. 2021 წლის მონაცემების ჩატარებული 4 რაუნდის მონაცემებთან შედარება აჩვენებს, რომ 2013-2017 წლის ჩათვლით გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი უმუშევარია (2017 – 29.1%; 2015 – 30%; 2013 – 34.5%). IV რაუნდში მონაცემები მცირედით შეიცვალა და გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს პენსიონერები წარმოადგენდნენ (23.2%) (იხ. ცხრილი #141).

**ცხრილი #141 - რესპონდენტის სამუშაო სტატუსი**

| | % | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რესპონდენტის სამუშაო სტატუსი** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| დაქირავებული მუშაკი | 26.2 | 19 | 20.1 | 20.9 | 18.2 |
| თვითდასაქმებული (სამუშაოს მიმცემი) | 6.4 | 4.1 | 2.6 | 3.2 | 3.1 |
| თვითდასაქმებული (მეწარმე, მეურნე, დაქირავებული პირების გარეშე ან პროფესიული საქმიანობით დაკავებული პირი) | 15.6 | 9 | 6.7 | 7.4 | 5.6 |
| პენსიონერი | 20.1 | 23.2 | 22 | 18.3 | 20.1 |
| დეკრეტულ შვებულებაში მყოფი | 0.1 | 0.2 | 0.3 | 0.4 | 0.3 |

(გაგრძელება)

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რესპონდენტის სამუშაო სტატუსი** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| დიასახლისი | 8.8 | 17.6 | 13.9 | 14.4 | 13.5 |
| სტუდენტი / მოსწავლე | 3.9 | 5.2 | 5 | 5 | 4.7 |
| უმუშევარი | 18.2 | 21.1 | 29.1 | 30 | 34.5 |
| არასოდეს უმუშავია | 0.3 | 0.3 | 20.1 | 20.9 | 18.2 |
| სხვა (მიუთითეთ) | 0 | 0.3 | 0 | 0 | 0 |
| უარი პასუხზე | 0.5 | 19 | 0.1 | 0.5 | 0 |

რესპონდენტების სამუშაო სტატუსის სტატისტიკური ანალიზი სქესის ჭრილში ცხადყოფს, რომ კვლევის მეხუთე რაუნდში გამოკითხულ დაქირავებულ მუშაკთა შორის ქალი/კაცის თანაფარდობა თითქმის თანაბარია (ქალი -25%; კაცი - 27.5%). ამასთან, კვლევაში პენსიონერი ქალების წილი (24.8%) რამდენადმე აღემატება ასეთი სტატუსის მქონე მამაკაცთა რაოდენობას (15.1%). გარდა ამისა, კვლევის ბოლო რაუნდში უმუშევარი კაცების (23.1%) წილი აჭარბებს უმუშევარი ქალების წილს (13.5%). 2021 წლის სტატისტიკური მონაცემების წინა წლებთან შედარება აჩვენებს, რომ კვლევის პირველი რაუნდიდან მეხუთემდე, როგორც უმუშევარი კაცების, ასევე, ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა (ქალი: 2021 – 13.5%; 2019 – 13.3%; 2017 – 20.2%; 2015 – 25.2%; 2013 – 25.9%; კაცი - 2021 – 23.1%; 2019 – 30.3%; 2017 – 39.4%; 2015 – 35.8%; 2013 – 25.9%) (იხ. ცხრილი #142).

**ცხრილი #142 - რესპონდენტის სამუშაო სტატუსი სქესის ჭრილში**

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რესპონდენტის სამუშაო სტატუსი** | | **2021 N=3400** | **2019 N=3400** | **2017 N=3400** | **2015 N=3400** | **2013 N=3400** |
| დაქირავებული მუშაკი | ქალი | 25,0 | 15,6 | 18.3 | 15.9 | 17 |
| | კაცი | 27.5 | 23 | 22.2 | 26.7 | 19.7 |
| თვითდასაქმებული (სამუშაოს მიმცემი) | ქალი | 2.9 | 2.5 | 1.3 | 1.9 | 1.5 |
| | კაცი | 10 | 5.9 | 4.3 | 4.7 | 5 |
| თვითდასაქმებული (მეწარმე, მეურნე, დაქირავებული პირების გარეშე ან პროფესიული საქმიანობით დაკავებული პირი) | ქალი | 12.8 | 3.6 | 3.9 | 4.1 | 2.6 |
| | კაცი | 18.5 | 15.2 | 10 | 11.3 | 9.1 |
| პენსიონერი | ქალი | 24.8 | 26.7 | 25.8 | 21.5 | 23.3 |
| | კაცი | 15.1 | 19 | 17.6 | 14.4 | 16.2 |
| დეკრეტულ შვებულებაში მყოფი | ქალი | 0.1 | 0.5 | 0.7 | 0.8 | 0.6 |
| | კაცი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დიასახლისი | ქალი | 16.7 | 32.9 | 26 | 26.4 | 24.7 |
| | კაცი | 0.5 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სტუდენტი / მოსწავლე | ქალი | 3.6 | 4.3 | 3.8 | 3.9 | 4.4 |
| | კაცი | 4.3 | 6.1 | 6.5 | 6.3 | 5.2 |
| უმუშევარი | ქალი | 13.5 | 13.3 | 20.2 | 25.2 | 25.9 |
| | კაცი | 23.1 | 30.3 | 39.4 | 35.8 | 44.8 |
| არასოდეს უმუშავია | ქალი | 0.3 | 0.2 | 0 | 0 | 0 |
| | კაცი | 0.3 | 0.3 | 0 | 0 | 0 |

(გაგრძელება)

| % | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რესპონდენტის სამუშაო სტატუსი** | | **2021 N=3400** | **2019 N=3400** | **2017 N=3400** | **2015 N=3400** | **2013 N=3400** |
| სხვა (მიუთითეთ) | ქალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | კაცი | 0 | 0 | 0 | 0.1 | 0 |
| უარი პასუხზე | ქალი | 0.3 | 0.2 | 0.1 | 0.2 | 0 |
| | კაცი | 0.7 | 0.3 | 0.1 | 0.8 | 0 |

რესპონდენტებმა მათთვის მიწოდებული დებულებების საფუძველზე აღწერეს მათი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა. კერძოდ, კვლევის მეხუთე რაუნდში გამოკითხულთა 31.2% აღნიშნავს, რომ მათ საკმარისი ფული აქვთ საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისთვის და ფეხსაცმლისთვის, მაგრამ იმისთვის, რომ შეიძინონ კარგი ტანსაცმელი, მობილური ტელეფონი, მტვერსასრუტი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა ფულის დაზოგვა ან სესხება უწევთ. აღსანიშნავია, რომ ასეთი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე რესპონდენტთა წილი 2013-დან 2021-წლამდე საგრძნობლად გაიზარდა (2021 – 31.2%; 2019 – 26.1%; 2017 – 24.1%; 2015 – 22.2%; 2013 – 13.6%). ამის პარალელურად შემცირდა ისეთთა წილი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საკვებზე ძლივს ყოფნით ფული (2021 – 28%; 2019 – 33.3%; 2017 – 39%; 2015 – 39.2%; 2013 – 50.3%). კვლევის სხვადასხვა ეტაპზე თითქმის უცვლელია ისეთთა წილი, რომლებიც შეიძლება მაღალი ეკონომიკური ფენის წარმომადგენლებად იდენტიფიცირდნენ (ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ მომენტში შევიძინოთ ყველაფერი, რაც გვსურს - კვლევის სხვადასხვა ეტაპზე 1.2%-ს არ აღემატება) (იხ. ცხრილი #143).

**ცხრილი #143 - რესპონდენტის ოჯახის ფინანსური მდგომარეობა**

| % | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **რომელი ფრაზა აღწერს ყველაზე უკეთ თქვენს ოჯახს?** | **2021 (N=3400)** | **2019 (N=3400)** | **2017 (N=3400)** | **2015 (N=3400)** | **2013 (N=3400)** |
| საკვებზე ძლივს გვყოფნის ფული | 28 | 33.3 | 39 | 39.2 | 50.3 |
| ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, მაგრამ ტანსაცმლის და ფეხსაცმლის საყიდლად ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს | 30.9 | 28.4 | 29.4 | 29.7 | 26.6 |
| ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისთვის და ფეხსაცმლისთვის მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ კარგი ტანსაცმელი, მობილური ტელეფონი, მტვერსასრუტი და სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს | 31.2 | 26.1 | 24.1 | 22.2 | 13.6 |
| ჩვენ საკმარისი ფული გვაქვს საკვებისთვის, ყოველდღიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისთვის მაგრამ იმისთვის, რომ შევიძინოთ მანქანა ან ბინა ფულის დაზოგვა ან სესხება გვიწევს | 6.2 | 8.5 | 4.8 | 5.9 | 5.3 |
| ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ მომენტში შევიძინოთ ყველაფერი, რაც გვსურს | 0.8 | 1.2 | 0.2 | 0.3 | 0.2 |
| არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა | 3 | 2.4 | 2.5 | 2.6 | 3.9 |

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ოჯახის თვიური შემოსავალი გამოკითხულთა 18.9%-სთვის 301-500 ლარამდე მერყეობს, 15.2%-სთვის კი 101-300 ლარია. რესპონდენტთა 13.6%-ს არ აღემატება მათი წილი, რომელთა ოჯახების თვიური შემოსავალი 501-დან 700 ლარამდეა. 700 ლარზე მაღალი

თვიური შემოსავლის მქონე რესპონდენტთა წილი ჯამში 31.3%-ია. აღსანიშნავია, რომ კვლევის პირველ სამ რაუნდში გამოკითხულთა დიდი ნაწილი ოჯახის თვიური შემოსავლის ოდენობად 101-300 ლარს უთითებდა, თუმცა, ამასთან, კვლევის ყოველ შემდგომ ეტაპზე ასეთ რესპონდენტთა კლების დინამიკა ფიქსირდება (2017 – 27%; 2015 – 32.7%; 2013 – 43.7%). 2019 წელს გამოკითხულთა შორის მხოლოდ 1.4%-მა აღნიშნა, რომ მათი შემოსავალი 101-300 ლარია, რაც საგრძნობლად ჩამოუვარდება წინა რაუნდების მონაცემებს. 2019 წელს გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტის თვიური შემოსავალი 301-500 ლარამდე ან 501-700 ლარამდე მერყეობს (301-500 - 18.3%; 501-700– 18.9%;). ამასთან, აღსანიშნავია, რომ კვლევის პირველ სამ რაუნდთან შედარებით 2019 და 2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთთა რაოდენობა, რომელთა შემოსავალიც 700 ლარს აღემატება. კერძოდ, მაშინ როდესაც 2013-2015-2017 წლებში ასეთა წილი არ აღემატებოდა 22.9%-ს, ბოლო ორი წლის შემთხვევაში 31%-ს აღემატება (2021 – 33,1%; 2019 – 33.3%; 2017 – 22.9%; 2015 – 15.6%; 2013 – 20.5%) (იხ. ცხრილი #144).

**ცხრილი #144 - რესპონდენტის ოჯახის თვიური შემოსავალი**

| ოჯახის თვიური შემოსავალი | 2021 (N=3400) | 2019 (N=3400) | 2017 (N=3400) | 2015 (N=3400) | 2013 (N=3400) |
|---|---|---|---|---|---|
| | % | | | | |
| <100 | 1.5 | 13.5 | 5.2 | 4.9 | 1.3 |
| 101-300 | 15.2 | 43.7 | 32.7 | 27 | 1.4 |
| 301-500 | 18.9 | 15.1 | 23.4 | 22.1 | 18.3 |
| 501-700 | 13.6 | 7.2 | 9.6 | 10.9 | 18.9 |
| 701-900 | 7.6 | 3.4 | 4.1 | 5.4 | 7.6 |
| 901-1000 | 8 | 4.9 | 5.3 | 7 | 4.7 |
| 1001-1500 | 7.7 | 2 | 3.5 | 5.7 | 9.4 |
| 1501-2000 | 4.2 | 1 | 1.4 | 2.7 | 4.7 |
| 2001-2500 | 1.6 | 0.3 | 0.5 | 0.3 | 4.3 |
| 2501-3000 | 1.2 | 0.5 | 0.5 | 0.3 | 1 |
| 3001-4000 | 0.7 | 0.4 | 0.3 | 0.5 | 0.7 |
| 4001-5000 | 0.2 | | | 0.3 | 0.4 |
| 5001< | 0.2 | 0.2 | 0.2 | 0.6 | 0.4 |
| უარი პასუხზე | 0 | 0 | 0 | 0 | 9.5 |
| არ ვიცი / მიჭირს პასუხი | 19.5 | 7.9 | 13.6 | 12.3 | 0.1 |